სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა
(ACETT)

სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო

სტატიების კრებული

1

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International-ი კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან პარტნიორობით.

პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

მოცემული კრებული მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

© CTC-ACETT

სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო

სტატიების კრებული

რედაქტორ-შემდგენელი:
თამარ ბრეგვაძე

მთარგმნელთა ჯგუფი:
ნათია დათუაშვილი
შოთა კოსოვი
ნინო მარდალეიშვილი
ნინო ჭიაბრიშვილი

რედაქცია:
თეა გულუა
რიტა ბაინდურაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
შოთა კოსოვი

© CTC- ACETT

სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

წინასიტყვაობა

ეს გამოცემა სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის შეიქმნა. იგი აერთიანებს მიმოხილვითი ხასიათის ტექსტებსა და თანამედროვე სახელმძღვანელოების ამონარიდებს სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში, ფილოსოფიასა და ეკონომიკაში, რომელთა დიდი უმრავლესობა სპეციალურად ამ კრებულისათვის ითარგმნა ქართულ ენაზე.

ამგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა სამოქალაქო განათლების ინტერდისციპლინარულმა ხასიათმა განაპირობა. სამოქალაქო განათლება ახალი საგანია საქართველოს სკოლებში. ამ საგნის მასწავლებლის მომზადების კონცეფცია უმაღლესი განათლების სფეროში მხოლოდ ახლახან დაინერგა, ამიტომ მოქმედი მასწავლებლების დიდი ნაწილი სოციალური მეცნიერებების კუთხით ცოდნის გაღრმავების აუცილებლობას აღიარებს.

კრებულის შინაარსი მასწავლებლის სტანდარტს ეყრდნობა და მიზნად ისახავს, დაეხმაროს მასწავლებელს საჭირო კომპეტენციების განვითარებასა და სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადებაში.

ტექსტები სამ წიგნად გამოიცემა:

პირველი წიგნი მიმოიხილავს სოციალური მეცნიერებების საგანსა და ამოცანებს, მიკრო და მაკრო სოციალურ თეორიებს, გენდერის, რელიგიისა და კულტურის ცნებებს.

მეორე წიგნი შეიცავს ტექსტებს პოლიტიკის არსის, პოლიტიკური იდეოლოგიების ტიპოლოგიის, პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკურ რეჟიმების შესახებ. ამ თავში, აგრეთვე, საუბარია დეცენტრალიზაციის, გლობალიზაციის, ნაციონალიზმის, მულტიკულტურალიზმის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ცნებებზე.

მესამე წიგნი აღწერს ეკონომიკის ძირითად პრინციპებს, ეკონომიკის ტიპებს, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს და სხვადასხვა ინსტიტუციების როლს ეკონომიკაში.

კრებულის თემების ჩამონათვალი თავად მასწავლებლებთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა, ხოლო ტექსტები უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის რეკომენდაციების საფუძველზე იქნა შერჩეული. გამოცემაზე მუშაობაში, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა და სფეროს ექსპერტებმა.

სკოლის, უნივერსიტეტებისა და სამინისტროს ეს ერთობლივი ინიციატივა ხაზს უსვამს სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვნებას ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

საქართველოში სამოქალაქო განათლების სწავლების ხანმოკლე გამოცდილება ცხადყოფს, თუ რამხელა ძალისხმევაა საჭირო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. სამოქალაქო განათლება ახლა იმკვიდრებს ადგილს სასწავლო გეგმაში, რაც მასწავლებლებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს – ისინი ახალი საგნის სწავლების ტრატეგიის განმხორციელებელნიც არიან და ამ სტრატეგიის შემქმნელნიც.

მუდმივად ცვალებად გარემოში და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში სამოქალაქო განათლების მასწავლებელს უნდა შეეძლოს ცოდნის სწრაფად განახლება და ამ ცოდნის მოსწავლეებისათვის ეფექტურად გადაცემა. იმედი გვაქვს, რომ მოცემული კრებული დაეხმარება მასწავლებლებს ამ რთული მისიის განხორციელებაში და ხელს შეუწყობს ახალი, შემოქმედებითი მიდგომებისა დანერგვას ახალგაზრდა თაობის სამოქალაქო აღზრდის საქმეში.

თამარ ბრეგვაძე
სამოქალაქო განათლების ექსპერტი
თბილისი, 2013

წიგნი პირველი

ინდივიდები
და
საზოგადოებები

საზოგადოება გამადიდებელი შუშის ქვეშ 9
სოციოლოგიური მიდგომა 9
„თოკის გადაქაჩვა" 11
სოციოლოგიის მონათესავე მეცნიერებები 11
სოციოლოგიური თვალსაზრისი 11
მიკროსოციოლოგიური თეორიები 12
მაკროსოციოლოგიური თეორია 13
საზოგადოება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი: ფუნქციონალიზმი 13
მდიდრები და ღარიბები: კონფლიქტის თეორია 14

საკუთარი „მე" და ურთიერთქმედება 17
რას წარმოადგენს ადამიანის ბუნება? 17
შესავალი 18
რას წარმოადგენს ადამიანის ბუნება? 18
ბუნება თუ აღზრდა? 18
სოციალიზაციის პროცესი 19
სოციალური იზოლაცია 20
თეორიები საკუთარი „მეს" შესახებ 21
ფსიქოანალიტიკური თეორია: ზიგმუნდ ფროიდი 21
არეკლილი „მე" 23
გონება, „მე" და საზოგადოება: ჯორჯ ჰერბერტ მიდი 24
დრამატურგია: ირვინგ გოფმანი 26
საკუთარი თავის წარდგენა 26
ყოველდღიური ცხოვრების ანალიზი 30
სოციალიზაციის ფაქტორები 33
ოჯახი 33
სკოლა 34
თანატოლები 34
მასმედია 35
ზრდასრულთა სოციალიზაცია 40
სტატუსები და როლები 41
როლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი 44

კულტურა და მედია 45
კულტურის განსაზღვრება 47
კულტურის ნიშან-თვისებები 48
კულტურის ელემენტები 53
ენა 53
ნორმები 57
რწმენა-წარმოდგენები 59
ღირებულებები 59
კულტურული მრავალფეროვნება 63
დომინანტური კულტურა 63
სუბკულტურები 65
კონტრკულტურები 66
ეთნოცენტრიზმი და კულტურული რელატივიზმი 66
კულტურის გლობალიზაცია 69

რელიგია და რწმენა 71
რას წარმოადგენს რელიგია? 73
არამიწიერი და მიწიერი 73
რელიგიურობა 74
რელიგიის არსის გაგება 74
რელიგიის ფუნქციები: რელიგია, როგორც რიტუალი 75
სიწმინდის კონსტრუირება: რელიგია, როგორც მოქმედება 76

უთანასწორობა, კონფლიქტი და რელიგია: რელიგია, როგორც ძალაუფლება 77
ახალი პერსპექტივები: რელიგია, როგორც მეხსიერების რგოლი 78
რელიგიური ორგანიზაციების ნიშან-თვისებები 78
ეკლესია 78
სექტა 79
კულტი 80
გლობალური რელიგიების სოციალური კონტურები 81
ქრისტიანობა 83
ისლამი 84
იუდაიზმი 85
ინდუიზმი 86
ბუდიზმი 87
ჩინური რელიგიები და „კონფუციანელობა“ 88
ურწმუნოები: სკეპტიკოსები, აგნოსტიკოსები, „სეკულარები“, ათეისტები და ჰუმანისტები 89
რელიგია: აღმოსავლეთი და დასავლეთი 90
რელიგია ევროპაში 90
რელიგია დიდ ბრიტანეთში 92
რელიგია XI საუკუნეში 94
შეზღუდული და ნაწილობრივი სეკულარიზაცია 95
რელიგიური ფუნდამენტალიზმი და „ცივილიზაციათა შეჯახება“ 98
ცივილიზაციათა შეჯახება 99
ახალი რელიგიური მოძრაობების აღმოცენება და „ახალი ერა“ 100
რელიგიის ახალი ფორმები და ორგანიზაციები 102
ქრისტიანობის მასშტაბების ზრდა: ორმოცდაათიანელები 102
ელექტრონული, „კიბერ“ და „მეგა-ეკლესია“ 103
შედეგების შეჯამება და მომავლის განჭვრეტა 104

გენდერი 105
გენდერის სოციალური კონსტრუქცია 106
სქესისა და გენდერის განსაზღვრა 107
სქესობრივი განსხვავებულობა: ბუნება თუ აღზრდა? 108
გენდერული სოციალიზაცია 111
გენდერული იდენტობის წარმოქმნა 112
გენდერული სოციალიზაციის წყაროები 113
კონფორმიზმის საფასური 116
რასა, გენდერი და იდენტობა 117
გენდერული სოციალიზაცია და ჰომოფობია 118
გენდერის ინსტიტუციური საფუძველი 118
გენდერული სტრატიფიკაცია 121
სექსიზმი და პატრიარქატი 123
ქალთა სტატუსი 124
ადამიანური კაპიტალის თეორია. 126
დუალური შრომის ბაზარი. 127
გენდერული ნიშნით დაყოფა 128
დაუფარავი დისკრიმინაცია. 128
ქალების მიერ შესრულებული სამუშაოს გაუფასურება 129
წონასწორობა სამსახურსა და ოჯახს შორის 130
გენდერის თეორიები 131
სოციოლოგიის სტრუქტურები 131
ფემინისტური თეორია 133
გენდერი გლობალურ რაკურსში 134
გენდერი და სოციალური ცვლილება 136

ტერმინებისა და პიროვნებების საძიებელი 138

ნილ სმელზერი

საზოგადოება გამადიდებელი შუშის ქვეშ *

ჩვეულებრივ, სამყაროს „ფაქტების“ სამ განსხვავებულ ჯგუფად ვყოფთ: ბიოლოგიურ ფაქტებად – სუნთქვა, კვება, ძილი და სხვ.; ფსიქოლოგიურ ფაქტებად, მაგალითად: სიყვარულის, სიძულვილის ან აღქმის ისეთი ემოცია, როგორიცაა ხელოვნების ნიმუშის ჭვრეტით მიღებული სიამოვნება; და სოციოლოგიურ ფაქტებად, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებსა და საზოგადოებას უკავშირდება. ჩვენ ვმეგობრობთ, ვთანამშრომლობთ, სხვადასხვა ჯგუფებში ვწევრიანდებით. თუ სამყაროს ამგვარად განვიხილავთ, ლოგიკურად მოგვეჩვენება, რომ მეცნიერების ყოველმა სფერომ ფაქტების განსაზღვრული ჯგუფი უნდა შეისწავლოს და არ შეეხოს სხვა ჯგუფებს. თუმცა, სინამდვილეში ასეთი მიდგომა უსარგებლოა. ერთი და იგივე ფაქტით შესაძლოა მრავალი მეცნიერება დაინტერესდეს.

განვიხილოთ ქცევის მარტივი მაგალითი: ქალი ოთხ ბილეთს იძენს ჰავაის კუნძულებზე გასამგზავრებლად, სადაც ოჯახთან ერთად ორკვირიან შვებულებას გაატარებს. ფსიქოლოგი დაინტერესდებოდა გაერკვია, რატომ აირჩია ქალმა მაინცდამაინც ჰავაის კუნძულები. ეკონომისტი განიხილავდა ბილეთებზე დახარჯული ფულის სხვაგვარი გამოყენების გზებს. სოციოლოგი კი შენიშნავდა სამ სხვა მგზავრს – ქალის ქმარს და შვილებს; მაგალითად, ის დაინტერესდებოდა, როგორი გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ამ სამ ადამიანს ქალის გადაწყვეტილებაზე. როგორც ხედავთ, განსხვავებული მეცნიერული დისციპლინები განსხვავებულად ხსნიან ქცევის ერთსა და იმავე ელემენტს. ანალიზის შემდგომი ეტაპი სინამდვილის ინტერპრეტაციის სწორედ სოციოლოგიური და არა ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სხვა ხასიათის გამოვლენაა (სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

სოციოლოგიური მიდგომა

სოციოლოგები სხვადასხვა ფაქტების შესწავლისა და ახსნისთვის ხუთ ძირითად მიდგომას იყენებენ:

1. პირველი მიდგომა დემოგრაფიულია. სიტყვა „დემოგრაფია“ წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „დემოს“ და აღნიშნავს „ხალხს“ („დემოკრატია“-ს – იგივე ფუძე აქვს). დემოგრაფია ეს არის მოსახლეობის, კერძოდ, შობადობის, სიკვდილიანობის, მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული ადამიანური საქმიანობის შესწავლა. მაგალითად, მესამე სამყაროს მოსახლეობის დემოგრაფიულ ანალიზს მათი ეკონომიკური ჩამორჩენილობა შეეძლო იმით აეხსნა, რომ ისინი იძულებულნი არიან სახსრების უდიდესი ნაწილი სწრაფად მზარდი მოსახლეობის გამოსაკვებად დახარჯონ.

2. მეორე მიდგომა ფსიქოლოგიურია. ქცევას ის ადამიანების, როგორც პიროვნებებისთვის მისი მნიშვნელობის კუთხით ხსნის. შესწავლის საგანი ხდება მოტივი, აზროვნება, უნარ-ჩვევები, სოციალური განწყობა, თვით ადამიანის წარმოდგენა საკუთარ თავზე. ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი ეს მიდგომა სოციოლოგიაშიც დამკვიდრდა. სოციალური ფსიქოლოგები მრავალ პრობლემას იკვლევენ, მათ შორის, სოციალური განწყობის ჩამოყალიბებას, სოციალიზაციის პროცესში საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთქმედებას, პანიკასა და არეულობასთან დაკავშირებულ სიტუაციებში განწყობის ჩამოყალიბებას და გავრცელებას.

3. კოლექტივისტურ მიდგომას მაშინ ვიყენებთ, როცა ორ ან მეტ ადამიანს ვსწავლობთ, რომლებიც ჯგუფს ან ორგანიზაციას ქმნიან. როცა სოციოლოგები ისეთ პირველად ჯგუფებს სწავლობენ, როგორიცაა ოჯახი ან ისეთ ფორმალურ ორგანიზაციებს, როგორიცაა ჯარი ან კომპანია „ჯენერალ მოტორსი“, ამ ჯგუფებს ინდივიდების კოლექტივად

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ერთი თავის თარგმანს წიგნისა: „სოციოლოგია“

მიიჩნევენ. მკვლევარს ასეთივე მიდგომა შეეძლო გამოეყენებინა იმ ოჯახის ქცევის ანალიზისას, რომელიც ჰავაის კუნძულებზე მოგზაურობას გეგმავს. მას შეეძლო იმ მოვლენათა თანმიმდევრობა განეხილა, რომელმაც ხელი შეუწყო მოგზაურობის ადგილის შერჩევას და გარკვეული კანონზომიერების გამოვლენა ეცადა. ასევე შეეძლო ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციის პროცესის შესწავლა ან გაეანალიზებინა ოჯახში ძალაუფლების განაწილებამ როგორ იმოქმედა საბოლოო გადაწყვეტილებაზე. ოჯახის ერთ წევრს უფრო მეტი ძალაუფლება ჰქონდა თუ არა? თუკი ჰქონდა, რა იყო მიზეზი? რა გავლენა იქონია მან მოვლენათა თანმიმდევრობაზე?

მოცემული მიდგომის გამოყენება შესაძლებელია ჯგუფების, ბიუროკრატული ორგანიზაციების და სხვადასხვაგვარი ერთობების შესწავლისას. მისი დახმარებით სოციოლოგებს შეუძლიათ გააანალიზონ პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენცია, რასობრივი კონფლიქტები, ჯგუფებს შორის შეჯიბრი/დაპირისპირება. ის გვეხმარება გავიგოთ, ერთი და იგივე საზოგადოებრივი კლასის, რასისა თუ ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, სქესის წარმომადგენლები როგორ აყალიბებენ ჯგუფებს საკუთარი ინტერესების დასაცავად. ამას გარდა, ეს მიდგომა მნიშვნელოვანია კოლექტიური ქცევის, მაგალითად, ბრბოს მოქმედება, აუდიტორიის რეაქცია და ისეთი საზოგადოებრივი მოძრაობების შესასწავლად, როგორიცაა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა და ფემინიზმი.

4. მეოთხე მიდგომა ავლენს ურთიერთობებს. საზოგადოებრივი ცხოვრება განიხილება არა მასში მონაწილე კონკრეტული ადამიანების, არამედ როლებით გაპირობებული მათი ურთიერთქმედების კუთხით. როლი ეწოდება იმ ქცევას, რომელსაც მოველით ჯგუფში განსაზღვრული პოზიციის მქონე ადამიანისაგან. მაგალითად, მსხვილი კორპორაციის კადრების განყოფილებაში თავაზიანად მოგესალმებათ მიმღები განყოფილების წარმომადგენელი, ჩამოგართმევთ ქურთუკს, შემდეგ მდივანი მოგანვდით ანკეტას და აცნობებს თქვენი ვიზიტის შესახებ, ხოლო ბოლოს განყოფილების უფროსი გაგესაუბრებათ. ჯგუფის შიგნით როლების განსაზღვრით, შევძლებთ ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების დადგენას და, შესაბამისად, მისი სტრუქტურის გაანალიზებას.

ჩვენს საზოგადოებაში ასეულობით როლი არსებობს: პოლიტიკოსი, ამომრჩეველი, მეპატრონე, მოსამსახურე, საქმიანი ადამიანი, მომხმარებელი, პოლიციელი, მსჯავდებული და ა.შ. გარკვეულწილად, ადამიანთა ქცევა ამ როლების საფუძველზე ყალიბდება არა მხოლოდ შეყვარებულთა ან ოჯახის, არამედ ისეთი ძირითადი სოციალური ინსტიტუტების დონეზეც, როგორიცაა, მაგალითად, განათლება და რელიგია.

5. მეხუთე და უკანასკნელი მიდგომაა კულტუროლოგიური. ის გამოიყენება ქცევის ანალიზისას კულტურის ისეთი ელემენტების საფუძველზე, როგორიცაა საზოგადოებრივი წესები (რეალური და ნაგულისხმევი) და საზოგადოებრივი ფასეულობები (რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე). კულტუროლოგიური მიდგომისას ქცევის წესები ან ნორმები განიხილება ცალკეულ ადამიანთა ქცევის ან ჯგუფის ქმედების მარეგულირებელ ფაქტორებად. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მკვლელობა, გაუპატიურება ან ძარცვა მიუღებელია და ისჯება. არსებობს ნაგულისხმევი ნორმებიც, მაგალითად: არ შეიძლება თითით ჩვენება, ღია პირით ღეჭვა, აუცილებელია დაბადების დღეზე საჩუქრით მისვლა და ა.შ.

იდეები, რომლებიც განსაზღვრავს, რომელი საზოგადოებრივი მიზნებია სასურველი, კულტურის სხვა ასპექტს მიეკუთვნება. ეს იდეები, ცნებები, რომლებსაც ფასეულობებს ვუწოდებთ, სოციალური ნორმების საფუძვლად გვევლინება. მაგალითად, საზოგადოებაში, სადაც ადამიანის სიცოცხლე ძალზე ფასეულია, არსებობს მყარი ნორმები, რომელთა მიხედვით განისჯება მკვლელობა და სხვა ადამიანისთვის ზიანის მიყენება.

„თოკის გადაქაჩვა"

სოციოლოგები ზემოხსენებულ ხუთ მიდგომას იყენებენ ორი მთავარი მიზნისათვის: კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა გასაანალიზებლად (1) და ამ მონაცემთა მსგავსებისა და განსხვავების საუკეთესო, ყველაზე მეცნიერული ახსნის მისაგნებად (2). მონაცემთა ანალიზის პროცესში სოციოლოგები სწავლობენ ადამიანთა საზოგადოებაში სტაბილურობისა და ცვლილებების მიზეზებს. არსებითად, საზოგადოების შიგნით მუდმივად მიმდინარეობს „თოკის გადაწევა". სოციალურ ძალთა ერთი მძლავრი სისტემა სტაბილიზაციისაკენ, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და სხვა საზოგადოებრივი ნორმების შენარჩუნებისაკენ მიისწარფვის. ძალთა მეორე სისტემა – ცვლილებებისკენ – ძველი საზოგადოებრივი ფორმების დაშლისა და ახლის შექმნისკენ. ჩვენი მიზანია, ამ დაძაბულ პროცესს მრავალ კონტექსტში დავაკვირდეთ, რათა სხვადასხვა დონეზე ვიკვლიოთ საზოგადოება და მისი ინსტიტუტები.

სოციოლოგიის მონათესავე მეცნიერებები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის ერთ-ერთი სოციოლოგიაა, რომელიც ადამიანთა ქცევასა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფორმირებას სწავლობს. ცოდნის ყველა ამ სფეროს თავისი მახასიათებლები აქვს, მაგრამ ხშირად ისინი ერთმანეთს თანხვდება.

ანთროპოლოგია სოციოლოგიისათვის დამახასიათებელ მრავალ მეთოდს იყენებს, მაგრამ ანთროპოლოგია, ძირითადად, მცირე, არადასავლურ ტომურ საზოგადოებებს სწავლობს, ხოლო სოციოლოგები ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მსხვილ, თანამედროვე საზოგადოებებს იკვლევენ. მაგალითად, ანთროპოლოგები შეიძლება დაინტერესდნენ კვაკიუტლის ტომის ინდიელების ცერემონიით, რომელსაც „პოტლატჩი" ეწოდება. ამ ცერემონიის პროცესში მამაკაცი ანადგურებს საკუთარ ქონებას და აცხადებს, რომ აქვს უფრო მაღალი მდგომარეობის დაკავების უფლება.

ეკონომიკა ეს არის წარმოების, სხვადასხვა რესურსის განაწილებისა და მოხმარების შესწავლა. ეკონომისტებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიც არის უმუშევრობა, ინფლაცია და საერთაშორისო ვაჭრობა. ეკონომისთვისათვის ჩვეულია ინფლაციის გავლენის კვლევა მომხმარებლის მყიდველუნარიანობაზე.

პოლიტიკური მეცნიერება სწავლობს, როგორ მოდიან ადამიანები ხელისუფლებაში და როგორ იყენებენ მას, ასევე საზოგადოებაში ძალაუფლების გადანაწილებას. პოლიტიკოსები ძირითადად იკვლევენ ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიის, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფის საქმიანობას და, ასევე, ამომრჩევლის სპეციფიკურ ქცევას. მაგალითად, მათ შესაძლოა სცადონ იმის გარკვევა, რატომ არის, რომ ამა თუ იმ პირველადი ჯგუფების წევრები, როგორც წესი, ერთსა და იმავე კანდიდატებს აძლევენ ხმას.

და ბოლოს, ფსიქოლოგია ინდივიდუალური ქცევის მეცნიერული შესწავლაა. მაგალითად, ფსიქოლოგები აანალიზებენ, როგორ ეუფლებიან ადამიანები მეტყველებისა და კითხვის უნარებს, როცა სწავლების პროცესში გამოიყენება წახალისება და დასჯა; როგორ ყალიბდება გარე სამყაროსადმი დამოკიდებულება და პიროვნების თავისებურებები. ერთი ცნობილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ცხადყოფდა ადამიანთა მზაობის ხარისხს დამორჩილებოდნენ ავტორიტეტის ნებას მაშინაც კი, თუკი უმწეო მსხვერპლს ელექტრული დარტყმის საფრთხე ემუქრებოდა.

სოციოლოგიური თვალსაზრისი

სოციოლოგიისადმი ზემოხსენებული ხუთი მიდგომა გვიჩვენებს, რამდენად ფართოა სოციოლოგიის კვლევის სფერო. სწორედ ამიტომ, სოციოლოგიაში არსებობს სპეციალიზაცია. ზოგიერთის ინტერესის სფერო ბიუროკრატიაა, ზოგის სხვადასხვა საზოგადოებრივი

ინსტიტუტები, მაგალითად, ოჯახი ან რელიგია, ზოგი საზოგადოებრივ კლასებს შორის ურთიერთობებს აანალიზებს, ზოგი კი, მასობრივ კულტურას იკვლევს.

სოციოლოგები მხოლოდ კვლევის სფეროს მიხედვით როდი განსხვავდებიან; მათ სხვადასხვაგვარი შეხედულება აქვთ იმის თაობაზეც, თუ რა უწყობს ხელს მეცნიერული მონაცემების მოპოვებას, ანუ რა ფაქტორები ზემოქმედებს ყველაზე მეტად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ეს განსხვავება ასახულია ჩვენი წიგნის თითქმის ყველა თავში, თუმცა ამ თავში მხოლოდ ძირითად საკამათო საკითხებს შევეხებით.

სოციოლოგები საზოგადოებას ორ დონეზე შეისწავლიან: მიკრო და მაკროდონეზე. მიკროსოციოლოგია სწავლობს ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობას, ინტერაქციას, ურთიერთქმედებას. ის მკვლევრები, რომლებიც ამ დონეზე მუშაობენ, მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი მოვლენების გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ აზრის საფუძველზე, რასაც ადამიანები მიაწერენ მოცემულ მოვლენებს ერთმანეთთან ურთიერთქმედებისას. მათი კვლევის მთავარი არსია ინდივიდთა ქცევა, მათი ქმედებები, მოტივი, ადამიანთა ურთიერთქმედების მიზანი, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოების სტაბილურობაზე ან მასში მიმდინარე ცვლილებებზე.

მაკროსიციოლოგიის ყურადღების ცენტრშია ქცევის მოდელები, რომელიც ნებისმიერი საზოგადოების არსის გაგებაში გვეხმარება. ეს მოდელები, რომელსაც სხვაგვარად სტრუქტურებსაც ვუწოდებთ, მოიცავს ისეთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, როგორიცაა ოჯახი, განათლება, რელიგია და ასევე, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა. ადამიანი დაბადებიდანვეა ჩართული სოციალურ სტრუქტურათა მოცემულ სისტემაში და განიცდის მათ უდიდეს გავლენას. მაკროსოციოლოგებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შორის ურთიერთკავშირების შესწავლა და მათი ცვლილების ბუნების გამოვლენა.

მიკროსოციოლოგიური თეორიები

საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთქმედების ასაღწერად და ასახსნელად სოციოლოგებმა გარკვეული თეორიები ჩამოაყალიბეს. ჯორჯ ჰომანსი (1973) მიიჩნევს, რომ ადამიანთა ურთიერთქმედების გაგება შესაძლებელია წახალისებისა და დასჯის პრინციპის საფუძველზე – ადამიანები ქცევის იმ მოდელს აღადგენენ/იმეორებენ, რომლისთვისაც უახლოეს წარსულში ამა თუ იმ ფორმით დაჯილდოვდნენ (შექება, აღფრთოვანება, სიყვარული, ფული და ა.შ.).

ჰაროლდ ჰარფინკელმა (1967) შეიმუშავა ეთნომეთოდოლოგიის თეორია, რომელიც ძირითადად ყურადღებას აქცევს რწმენად ქცეული წესებისა და ცნებების შესწავლას, რომლებიც განაპირობებენ ადამიანთა ქცევას სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. ერვინ ჰოფმანის (1959) აზრით, ცხოვრება თეატრს ჰგავს და ის ადამიანთა ურთიერთქმედებას „შთაბეჭდილებათა მართვის“ ტერმინით აღწერს. ჰოფმანი მიიჩნევს, რომ ადამიანები ცხოვრებაში, ისევე, როგორც მსახიობები სცენაზე როლებს თამაშობენ, რომელსაც შეგნებულად ირჩევენ სხვებზე შთაბეჭდილებისა და ზემოქმედების მოსახდენად.

მიკროსოციოლოგიურ დონეზე მეორე მნიშვნელოვან მიდგომას სიმბოლური ინტერაქციონიზმი ეწოდება. ამ მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანი გარე სამყაროს ზემოქმედებაზე უშუალოდ არ რეაგირებს მსგავსად გომბეშოსი, რომელიც ბუზის ბზუილის გაგონებაზე ავტომატურად ახორციელებს ენის ტაცებით მოძრაობას. ამის ნაცვლად ადამიანი მასზე ზემოქმედ სტიმულს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს და, პირველ რიგში, სწორედ ამ მნიშვნელობაზე ანუ სიმბოლოზე რეაგირებს და არა თვით გარე სამყაროს სტიმულზე. იმ სიმბოლოებად, რომელზეც ადამიანი რეაგირებს, შესაძლოა გვევლინებოდეს სიტყვები, საგნები, ურთიერთქმედ ადამიანებს შორის დისტანცია, სახის გამომეტყველება და ქცევები.

სიმბოლოებია ასევე სამკუთხედში ჩაწერილი სიტყვები „სდექ“ ან „გამოიცანი!“, რომელიც მოდურ ჯინსებსა და მაისურებზეა ამოქარგული, თავის მსუბუქი დაქნევა, რომლითაც მეგობარს ანიშნებენ, რომ წასვლის დროა. წარსული გამოცდილება და სიმბოლოთა აზრის ურთიერთგაგება უმრავლეს შემთხვევაში ხელს უწყობს ურთიერთობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სიმბოლოთა მნიშვნელობა ბუნდოვანია და ამ დროს რთულია ადამიანის ქცევის ახსნა. როცა უცნობი გვესაუბრება, ვცდილობთ მისი ქცევის ფარული აზრის გამოცნობას. იქნებ ჩვენი მოტყუება სურს? ან ჩვენდამი მის ინტერესს რომანტიკული მისწრაფებები უდევს საფუძვლად? იქნებ დახმარება სჭირდება? რაკი უცნობის შესახებ არაფერი ვიცით, ვცდილობთ მისი სიტყვების, მოქმედებების და მათი მოტივების არსის გამოცნობას, რათა სწორი საპასუხო რეაქციის შერჩევა შევძლოთ.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის მომხრეები ადამიანთა ყოველდღიურ ქცევას აანალიზებენ. ისინი იმ მნიშვნელობებს გამოავლენენ, რომელსაც ადამიანები ანიჭებენ თავიანთ ქცევას და იმ ფაქტორებს, რომლებიც ამ მნიშვნელობებს განაპირობებენ.

მაკროსოციოლოგიური თეორია

მაკროსოციოლოგიური დონის მკვლევრები, როგორც წესი, ორი კონკურენტი თეორიის – ფუნქციონალიზმისა და კონფლიქტების თეორიის – პრინციპებს ემხრობიან.

საზოგადოება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი: ფუნქციონალიზმი

საზოგადოებასა და საზოგადოებრივ სტრუქტურაზე ფუნქციონალისტური შეხედულება თავდაპირველად მე-19 საუკუნეში გამოხატა ჰერბერტ სპენსერმა. ის საზოგადოებას ადამიანის სხეულის მსგავს ცოცხალ ორგანიზმს ადარებდა. ჩვენს სხეულში ყოველი ორგანო – გული, ტვინი, კუჭი და ა.შ. – სიცოცხლის შესანაჩუნებლად სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებს. ჩვენი ორგანიზმის შიგნით ურთიერთდაკავშირებული ეს ორგანოები ურთიერთდამოკიდებულ სისტემას ქმნიან. თუკი ერთ-ერთი ორგანო წყვეტს ფუნქციონირებას ან არასათანადოდ მუშაობს, ორგანიზმს არ შეუძლია ნორმალურად ფუნქციონირება და, შესაძლოა, მთლიანადაც გამოვიდეს მწყობრიდან. ფუნქციონალიზმის მომხრე საზოგადოებას ორგანიზმის მსგავსად განიხილავს, რომელიც მრავალი ნაწილისაგან შედგება: სამხედრო, ეკონომიკური, სამედიცინო, რელიგიური და სხვ. საზოგადოების ყველა ნაწილი თავის ფუნქციებს ასრულებს და რაც უფრო დიდია ამ ფუნქციებს შორის განსხვავება, მით უფრო უჭირს ერთ ნაწილს მეორის ჩანაცვლება.

სპენსერმა ფუნქციონალიზმს ჩაუყარა საფუძველი, ხოლო ფრანგმა სოციოლოგმა ემილ დიურკემმა არაჩვეულებრივად განავითარა. დიურკემი ასე მსჯელობდა: თუ საზოგადოება მრავალი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება და ყოველი მათგანი ზემოქმედებს მთელი სისტემის ფუნქციონირებაზე, მაშინ საზოგადოებრივი მოვლენების ახსნა შესაძლებელია საზოგადოებრივ სისტემაში ნაწილების ფუნქციების ანალიზის საფუძველზე. დიურკემის თეორია ხსნის ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, მათ შორის დევიანტურ ქცევას (ნორმისაგან გადახრას), თუმცა, ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ ის არ ასრულებს არავითარ საზოგადოებრივ ფუნქციას. დიურკემის აზრით, საზოგადოების მიერ აღიარებული მიზნებისა და ფასეულობებიდან გადახრას გარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მკვლელობა ადამიანებს საშუალებას აძლევს კიდევ ერთხელ დაადასტურონ დანაშაულის ამკრძალავი წესები და მკვლელის დასჯით ისინი გამოხატავენ ამ წესებისადმი თანხმობას.

თანამედროვე ფუნქციონალისტები ტალკოტ პარსონსი, რობერტ მერტონი და კინგსლი დევისი სპენსერისა და დიურკემის მიმდევრებად გვევლინებიან. მათი ძირითადი მიდგომა მდგომარეობს საზოგადოების ნაწილების განსაზღვრაში, მათი დადებითი და უარყოფითი ფუნქციების გამოვლენაში, მათ იმგვარ გაერთიანებაში, რომელიც საზოგადოებას

ორგანულ მთლიანად წარმოგვიდგენს. ქვემოთ მოცემული ხუთი პუნქტი თანამედროვე ფუნქციონალიზმის თეორიულ ჩარჩოს შეადგენს.

1. საზოგადოება იმ ნაწილთა სისტემაა, რომელიც ერთ მთლიანად არის გაერთიანებული.

2. საზოგადოებრივი სისტემები ინარჩუნებენ სიმტკიცეს, რადგან მოქმედებს კონტროლის ისეთი შინაგანი მექანიზმები, როგორიც არის სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო.

3. დისფუნქცია, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ის თავისთავად გადაილახება ან ბოლოს და ბოლოს საზოგადოებაში მკვიდრდება. მაგალითად, 60-იანი წლების რადიკალებმა და ჰიპებმა მრავალი ცვლილება მოიტანეს ჩვენს საზოგადოებაში: გარე სამყაროს პრობლემებისადმი ახლებური მიდგომა, უმაღლესი ხელისუფლებისადმი უნდობლობა, ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის უფრო თავისუფალი სტილი, თუმცა, დღეს 20 წლის შემდეგ, რადიკალები და ჰიპები ისტაბლიშმენტის გარემომ ჩაყლაპა, რომელშიც ისინი შევიდნენ იურისტებად, მასწავლებლებად, და, თვით ბირჟის მაკლერებადაც კი.

4. ცვლილებებს, როგორც წესი, თანდათანობითი და არა რევოლუციური ხასიათი აქვს.

5. სოციალური ინტეგრაცია, ანუ განცდა, რომ საზოგადოება სხვადასხვა ძაფისაგან მოქსოვილი მტკიცე ქსოვილია, ყალიბდება ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე, დაიცვან ფასეულობათა ერთიანი სისტემა. მაგალითად, ინგლისელები თანხმდებიან მონარქიის აუცილებლობაზე; შეერთებულ შტატებში თანაბარ შესაძლებლობათა პრინციპი ამერიკელთა უმრავლესობისათვის არის დამახასიათებელი.

ფასეულობათა ეს სისტემა საზოგადოებრივი სისტემის ყველაზე მტკიცე საყრდენია (დარენდორფი, 1959).

მდიდრები და ღარიბები: კონფლიქტის თეორია

კონფლიქტის თეორია ძირითადად კარლ მარქსის ნაშრომების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ის მიიჩნევდა, რომ საზოგადოებას საფუძვლად უდევს კლასობრივი კონფლიქტი. კლასობრივი კონფლიქტის გაჩენას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ადამიანები ეკონომიკურ სისტემაში მათი მდგომარეობის შესაბამისად სხვადასხვა კლასად არიან დაყოფილნი. მარქსის აზრით, ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასები კაპიტალისტები და დაქირავებული მუშები არიან. ამ ორ კლასს არ აქვს საერთო ფასეულობები, მეტიც, კაპიტალისტები ესწრაფვიან მუშებზე ბატონობასა და მათ ექსპლუატაციას. შედეგად ეს კლასები მუდმივად მტრობენ ერთმანეთს.

მარქსი მიიჩნევდა, რომ კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკურ კონფლიქტთა უმრავლესობის წყაროა. ის წინასწარმეტყველებდა, რომ ექსპლოატირებული კლასი აჯანყდება და რევოლუცია გარდაქმნის საზოგადოებას. მარქსის თეორიის მიხედვით კლასობრივი კონფლიქტი ისტორიის მამოძრავებელი ძალაა. ჩვენს ასწლეულში კონფლიქტის თეორიის რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი გაჩნდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე თეორიაა გერმანელი სოციოლოგის რალფ დარენდორფის კონცეფცია. დარენდორფი უარყოფს მარქსის იდეას იმის შესახებ, რომ საზოგადოებაში ძირითადი კონფლიქტური ჯგუფები ეკონომიკური ნიშნით შექმნილი კლასებია. მისი აზრით, კონფლიქტების მთავარი მიზეზი ის ფაქტია, რომ ზოგიერთ ადამიანს ძალაუფლება აქვს სხვებზე. როგორც წესი, ძირითადად კონფლიქტები თავს იჩენს ძალაუფლების მქონე და არმქონე ადამიანებს შორის.

დარენდორფმა კონფლიქტის თეორიის შემდეგი ძირითადი დებულებები ჩამოაყალიბა:

1. ნებისმიერი საზოგადოების მთავარი განმასხვავებელი თავისებურებაა ბატონობა, კონფლიქტი და დათრგუნვა.

2. საზოგადოებრივი სტრუქტურა ეფუძნება ადამიანთა ერთი ჯგუფის ძალაუფლების გამოვლენას მეორის მიმართ, მაგალითად მეწარმეებისა მუშებზე, ოფიცრებისა ჯარისკაცებზე, პედაგოგებისა სტუდენტებზე და ა.შ.

3. ყოველ ასეთ ჯგუფს აქვს საერთო ინტერესები იმის მიუხედავად, აცნობიერებენ ამ ინტერესებს ჯგუფის წევრები თუ არა; სხვადასხვა ჯგუფის წევრთა ინტერესები განსხვავებულია და წინააღმდეგობრივი. მაგალითად, შესაძლოა წარმოიშვას კონფლიქტი საკუთარი შემოსავლების გაზრდით დაინტერესებულ საქმიან ადამიანებსა და გარემოს დაცვის მოძრაობის აქტივისტებს შორის, რომლებიც იბრძვიან სუფთა ჰაერისა და წყლისთვის.

4. როდესაც ადამიანები აცნობიერებენ საკუთარ საერთო ინტერესებს, მათ შეუძლიათ შექმნან საზოგადოებრივი კლასი, რომელიც პროფკავშირების მოძრაობის ფორმით, პოლიტიკური პარტიის ლობირებითა და სხვა ფორმებით იჩენს თავს.

5. კლასობრივი კონფლიქტი მწვავდება, თუკი: ა) მთელი ძალაუფლება რამდენიმე ადამიანის ხელშია თავმოყრილი, ხოლო სხვებს ის საერთოდ არ გააჩნიათ; ბ) ძალაუფლების არმქონეს არ აქვს ძალაუფლების მიღების შესაძლებლობა; გ) ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბება (დარენდორფი, 1959).

ქერი ფერისი და ჯილ სტაინი

საკუთარი „მე“ და ურთიერთქმედება *

რას წარმოადგენს ადამიანის ბუნება?

ვინ ხარ შენ? ეს კონკრეტულ ვითარებაზეა დამოკიდებული. საკლასო ოთახში მოსწავლე ხარ, ხოლო სახლში – ბავშვი, და ან ძმა, მშობელი, მეუღლე ან პარტნიორი. სამსახურში – უფროსი ხარ ან რიგითი თანამშრომელი. საკუთარ სახელოსნოში – მხატვარი ან დურგალი. ასეთია შენი პიროვნების სხვადასხვა წახნაგი (მხარე). ისინი შენივე ყოველდღიურობის რეალურ საქმიანობებზეა დამყარებული, იქნება ეს სკოლასთან, სამსახურთან, გატაცებებთან თუ სხვადასხვა ურთიერთობებთან მიმართებაში. თუმცა, ვირტუალურ სამყაროში არ ხარ შეზღუდული იდენტობის არჩევაში. ამგვარ რეალობაში შეგიძლია იყო ის, ვინც გინდა!

ქვემოთ მოყვანილია რეალურ ინტერნეტ-მომხმარებელთა სახელების ნიმუში. რადგანაც ადამიანები თავად ირჩევენ მომხმარებლის სახელს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს სახელი – იდივიდუალური შეკვეთით დამზადებული ავტომობილის სანომრე ნიშნის მსგავსად – მომხმარებლის პიროვნულ თვისებებზე უნდა მიუთითებდეს. ზოგიერთი მომხმარებლის სახელი ამგვარ კითხვას აღძრავს: ვინ *ჰგონია* მას საკუთარი თავი? (ვისთან *აიგივებს* იგი საკუთარ თავს?) ანდა ვინ *სურს* მას, რომ *იყოს*? (ვის როლში *სურს* მას ყოფნა?)

angelbabee3 (ანგელოზი)
bluechihuahua (ცისფერი ჩიჰუაჰუა)
crazyaboutjesus (იესოზე შეყვარებული)
heartbreakah (გულთამპყრობელი)
intensejello (ტკბილი)
ladyinpain (ტანჯულა)
luvsexxy (სექსუალური)
mauiwowee (ხუმარა)
mostwanted (ძებნილი)
motherwitch (ალქაჯი)
nerd87 (კომპიუტერის ჭია)
rebelcutie (ლამაზმანი)
superman22 (სუპერმენი)
viciousvixen (ავხორცი)
yummiest (უგემრიელესი)

მაშინ და ახლა

600 წ. ჩვ. წ. აღ.: ინდოელმა ქირურგმა ცხვირის პირველი პლასტიკური ოპერაცია (რინოპლასტიკა) ჩაატარა, რომლის დროსაც ლოყიდან აღებული ქსოვილის მეშვეობით მოახდინა პაციენტის ცხვირის რეკოსნტრუქცია.

2007 წ.: მარტო აშშ-ში 284’960 ცხვირის პლასტიკური ოპერაცია იქნა ჩატარებული

აქ და იქ

აშშ: ყოველდღიურად ამერიკელ ქალთა თითქმის 50% დიეტაზეა წონის დაკლების მიზნით

ნიგერია: ქორწინებამდე 5 კვირით ადრე ვაიკირიკის ტომის ქალებს ქოხში ამწყვდევენ წონის მომატების მიზნით

სხვადასხვა

ხუთი ყველაზე გავრცელებული ქირურგიული პროცედურა ქალებში: მკერდის გადიდება, ლიპოსაქცია, ცხვირის ფორმის კორექცია, ქუთუთოების კორექცია და აბდომინოპლატიკა

ხუთი ყველაზე გავრცელებული ქირურგიული პროცედურა მამაკაცებში: ცხვირის ფორმის კორექცია, ქუთუთოების კორექცია, ლიპოსაქცია, მკერდის ზომის შემცირება და თმის გადანერგვა

სოციალური ურთიერთქმედებისას ჩვენ მრავალგვარად გამოვხატავთ საკუთარ თავს, ხოლო მომხმარებლის სახელის შერჩევა ამგვარი გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. რადგანაც ჩვენი ვირტუალური იდენტობა, როგორც წესი, ყოველდღიური

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ერთი თავის თარგმანს წიგნისა: „რეალური სამყარო – სოციოლოგიის შესავალი“

ცხოვრების კონტექსტიდან დაშორებული და აბსტრაგირებულია, შეგვიძლია ნებისმიერი რამ ვთქვათ იმის შესახებ, თუ ვინ ვართ (ანდა ვფიქრობთ, რომ ვართ/გვსურს, რომ ვიყოთ). მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი სინამდვილეში გულთამპყრობელები, მეამბოხეები, ლამაზმანები თუ სუპერმენები, ვირტუალურ სამყაროში მომხმარებლებს შეუძლით აღნიშნულ პერსონაჟებად ყოფნა. რა სახელი შეირჩიეთ თქვენთვის?

შესავალი

წიგნის ამ ნაწილში შეიტყობთ, თუ როგორ არის დაკავშირებული საკუთარი „მე“ ყველა სოციალურ მოვლენასთან (როგორიცაა გენდერი, რასა და მასმედიის ზემოქმედება) და როგორ აყალიბებს ამ მოვლენებს მათი ურთიერთქმედება. მკითხველი გაეცნობა რამდენიმე ახალ ანალიტიკურ ინსტრუმენტს (მათ შორის სოციალიზაციისა და შთაბეჭდილების მოხდენის მართვის კონცეფციებს). გარდა ამისა, წარმოგიდგენთ საკუთარი „მეს“ აღქმის ახალ ხერხს – დიახ, საკუთარი თავის დანახვის ახლებურ საშუალებას – რომელიც ხაზს უსვამს საზოგადოების როლს ინდივიდის ჩამოყალიბებაში. ასევე შეგახსენებთ საპირისპიროსაც: გარდა იმისა, რომ საზოგადოება გაყალიბებთ იმად, ვინც ხართ, თქვენც გეკისრებათ როლი (მეტიც, არაერთი როლი!) თქვენ გარშემო არსებული საზოგადოების ფორმირებაში.

რას წარმოადგენს ადამიანის ბუნება?

„ასეთია ადამიანის ბუნება“. ამ ფრაზას ხშირად ვიყენებთ ათასგვარი მოვლენის ასახსნელად – ძალადობითა და ეჭვიანობით დაწყებული, სიყვარულითა ალტრუიზმით დამთავრებული. სინამდვილეში რას წარმოადგენს ადამიანის ბუნება? რა არის ჩვენში ის უნიკალურ, რაც ყოველ ჩვენგანს აქვს და რაც სხვა არსებებისაგან განგვასხვავებს? სოცილოგის თვალთახედვით, კულტურა და საზოგადოება გვაქცევს ადამიანად. ის, რაც ჩვენ შევქმენით, ასევე წარმოგვაჩენს იმად, თუ ვინ ვართ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ (შევიმეცნოთ) ის მნიშვნელობები, რასაც ვანიჭებთ საკვებს, საცხოვრებელს, სექსს და სხვა დანარჩენს, ხოლო მასწავლებლად საზოგადოება გვევლინება.

სრულიად განსხვავებული პიროვნება იქნებოდი, მეთოთხმეტე საუკუნის იაპონიაში, აცტეკურ სოფელში ანდა სულაც ნორვეგიის სამეფო ოჯახში რომ დაბადებულიყავი. სხვა ენაზე ისაუბრებდი, განსხვავებულ უნარებს შეიძენდი და სხვანაირი წარმოდგენა გექნებოდა სამყაროს შესახებ. გარდა ამისა, თითოეულ ზემოხსენებულ შემთხვევაში საკუთარ თავს რადიკალურად განსხვავებულად შეიგრძნობდი კონკრეტული სოციალური წყობისა და ურთიერთქმედებების შესაბამისად. მაგალითად, აცტეკი გლეხის ოჯახში რომ დაბადებულიყავი, შენი მშობლების მიერ არჩეულ პირზე მოგიწევდა დაქორწინება სიყმაწვილეში (McCaa 1994). 15 წლის გაუთხოვარ გოგონებს შინაბერებად თვლიდნენ და თუ ისინი ამ ასაკში ქმარს ვერ მოძებნიდნენ, მათ, შესაძლოა, მეძავის ან ხარჭის ბედი გაეზიარებინათ.

დებატები ბუნებისა და აღზრდის შესახებ: ინდივიდუალური ქცევისა და თვისებების განსაზღვრასთან მიმართებით გენეტიკისა და სოციალიზაციის შესაბამისი როლების განუწყვეტელი განხილვა

სოციალიზაცია: საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ჩვენი სოციალური ჯგუფის ღირებულებების, შეხედულებებისა და ნორმების შესწავლისა და შეთვისების პროცესი

ბუნება თუ აღზრდა?

თუკი კულტურა და ბუნება აყალიბებს ადამიანს, რა როლს თამაშობს ჩვენი გენეტიკური წყობა? ვიბადებით თუ არა გარკვეული თანდაყოლილი ინსტინქტებით? ეს ის კითხვებია, რომლებიც დაისმის ისეთ საკითხთან მიმართებით, რომელსაც ხშირად **ბუნებისა და აღზრდის შესახებ დებატებს** უწოდებენ. ისინი, ვინც ბუნების როლს ემხრობიან – უმეტესწილად სოციობიოლოგები, ფსიქოლოგთა ნაწილი და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმდევრები – გვარწმუნებენ, რომ ქცევითი თვისებები გენეტიკით აიხსნება. ხოლო აღზრდის

როლის მომხრეები – სოციოლოგები და სხვა სოციალურ მეცნიერებათა მიმდევრები – მიიჩნევენ, რომ ადამიანის ქცევა სოციალური ურთიერთქმედების საშუალებით შეითვისება და ყალიბდება. რომელია ამ არგუმენტთაგან სწორი?

ორივე მოსაზრება მართებულია. ბევრი ძიება არ არის საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ გენეტიკა, ანუ ბუნება თავის როლს ასრულებს პიროვნების რაობაში. მაგალითად: კვლევები გვიჩვენებს, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონე აძლიერებს სტერეოტიპის თანახმად მამაკაცურად მიჩნეულ ისეთ თვისებებს, როგორიცაა აგრესიულობა და მეტოქეობა (Van Goozen et al. 1994). თუმცა, ასევე მართალია, რომ მეტოქეობრივი გამოწვევის წინაშე ყოფნა (მაგ.: ბეისბოლის მატჩი) იწვევს ტესტოსტერონის დონის მომატებას (Booth et al. 1989). მაშ, ჰორმონი ამაღლებს ჩვენში მეტოქეობის გრძობას თუ შეჯიბრი (მეტოქეობა) ახდენს ჰორმონის გამოყოფის სტიმულირებას? დამატებით მაგალითში წარმოდგენილია თავის ტვინის ტრავმის მქონე ადამიანთა მორალური და სოციალური განვითარების ანალიზი. სტივენ ანდერსონმა კოლეგებთან ერთად (Stephen W. Anderson, 1999) გამოიკვლია შუბლის წილის წინ მდებარე თავის ტვინის ქერქის დაზიანების მქონე პაციენტები. ყრმობის ასაკში მიღებული ტრავმის მქონე პირებს უჭირდათ მორალური და სოციალური აზროვნება: მათთვის თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა „მისაღებია თუ არა მამაკაცისათვის წამლის მოპარვა ცოლის გადარჩენის მიზნით, თუკი მას წამლის შეძენის საშუალება არ აქვს?“ ზრდასრულობაში მიღებული ტრავმის მქონე პირებმა კი შეძლეს მსგავს საკითხებთან გამკლავება. ანდერსონმა და მისმა ჯგუფმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ გონებრივი განვითარების პროცესში არსებობს უმნიშვნელოვანესი პერიოდი, როდესაც ხდება **მორალური აზროვნების უნარის შეძენა**. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბუნება ქმნის ბიოლოგიურ ფანჯარას, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს სოციალური და მორალური განვითარება.

საქმე ისაა, რომ ბუნებასა და აღზრდას შორის რთული ურთიერთკავშირია და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი არ არის საკმარისი იმის ასახსნელად, თუ რა აყალიბებს ადამიანს. რა თქმა უნდა, მემკვიდრეობითობა ძირითად პოტენციალს გვანიჭებს, მაგრამ უმთავრესად ჩვენი სოციალური გარემო განსაზღვრავს, მოვახდენთ თუ არა ამ პოტენციალის რეალიზებას ანდა განვავითარებთ თუ არა ჩვენში ახალ შესაძლებლობებს. დაბადებისთანავე (და დაბადებამდეც) სოციალური ზეგავლენის ქვეშ ვექცევით და ეს ზეგავლენა წლებთან ერთად მატულობს. ნაწილობრივ იმის გამო, რომ სოციალური კონტაქტი თანდათანობით და გარკვეულწილად არაცნობიერად ხორციელდება, სინამდვილეში ვერ ვამჩნევთ, თუ რას და რა გზით ვსწავლობთ (ვითვისებთ).

სოციალიზაციის პროცესი

ხშირად ვსაუბრობთ მეგობრებთან „სოციალიზაციაზე“ (ურთიერთობაზე), თუმცა ამ ცნების არსი მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც სოციოლოგები **სოციალიზაციად** მიიჩნევენ. სოციალიზაცია ორმაგი პროცესი გახლავთ. იგი მოიცავს პროცესს, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება, კულტურა ან ჯგუფი ასწავლის ინდივიდს სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. ამავდროულად, ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები სწავლობენ და შეითვისებენ ჯგუფის ღირებულებებსა და ნორმებს. ამგვარად, სოციალიზაცია მოქმედებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე: ჩვენ ვსწავლობთ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების წესს და ვითავისებთ მას. სოციალიზაცია ორ მთავარ მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, ის საზოგადოების წევრებს ასწავლის ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და საშიშროებისგან თავის დაცვისათვის აუცილებელ უნარებს, რითაც უზრუნველყოფს თავად საზოგადოების არსებობის განგრძობას. მეორე რიგში, სოციალიზაცია ინდივიდებს ასწავლის მათ კულტურასთან დაკავშირებულ ნორმებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს; ის აგრეთვე ეხმარება წევრებს თავიანთ საზოგადოებაში მიღებული ცხოვრების წესის დაცვაში.

სოციალური იზოლაცია

ჩვენ სათანადოდ შევძლებთ სოციალიზაციის მნიშვნელობის შეფასებას, თუკი დავაკვირდებით, რა ემართებათ ადამიანებს, ვინც მოკლებულია სოციალური კონტაქტის უნარს. ახლადდაბადებული ჩვილი ადამიანისათვის დამახასიათებელ თითქმის არც ერთ ათვისებულ ქცევას არ ამჟღავნებს. კვებითი, თვითდაცვისა და თვითგადარჩენის ინსტინქტებიც კი სუსტად ვლინდება და მათთვის თითქმის შეუძლებელია მარტო, დამოუკიდებლად მოქმედება. ჩვილ ბავშვებს აქვთ თანდაყოლილი უნარები, მაგრამ სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბება მხოლოდ სხვებთან კონტაქტის შედეგად არის შესაძლებელი. არსებობს ამის დამადასტურებელი რამდენიმე განსაცვიფრებელი მაგალითი (Newton 2004).

ალბათ, გსმენიათ მითები ველურ ბავშვებზე, რომლებიც ცივილიზაციის მიღმა, ბუნებაში გაიზარდნენ. აღნიშული მითები, სავარაუდოდ, რეალურ ფაქტებს ეფუძნება, რომელთა თანახმადაც ბავშვებს მგლები ზრდიდნენ. აგრეთვე არსებობს ლიტერატუტული ნაწარმოებები, როგორიცაა „ტარზანი – ადამიანი-მაიმუნი“ და „ჯუნგლების წიგნი“. ამ ნაწარმოებებში წარმოდგენილია პრიმიტიული ადამიანის სახე, რომელიც ცივილიზაციის ფარგლებს მიღმა გაიზარდა და შესაბამისად უკულტურო და არაცივილიზებული, მაგრამ ამავდროულად უბიწო და გაურყვნელია; მან არ იცის საზოგადოებაში მართებული ქცევის ნორმები, მაგრამ მასში მკვეთრადაა განვითარებული ინსტინქტები. არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც მეთოთხმეტე საუკუნეში გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ II ატარებდა ექსპერიმენტს, რათა გაერკვია, შეეძლო თუ არა ადამიანს ბიბლიურ ედემის ბაღში აღწერილ ბუნებრივ და სრულყოფილ პირობებში დაბრუნება. ადამიანთან კონტაქტის გარეშე დარჩენილი ამ შეუბრალებელი ექსპერიმენტის მონაწილე ბავშვებმა ვერანაირი ღვთაებრივი ჭეშმარიტება ვერ დაუმტკიცეს ექსპერიმენტატორებს. შედეგად, ყველა მათგანი დაიხოცა (Van Cleve 1972).

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ეპოქაში სამეცნიერო ეთიკა არასდროს არ დაუშვებს მსგავს ექსპერიმენტებს, სამწუხაროდ, არსებობს არაერთი რეალური მაგალითი, რომელიც ბავშვების უკიდურეს სოციალურ ოზოლაციაში ცხოვრებას ცხადყოფს. სოციოლოგმა კინგსლი დეივისმა (Kingsley Davis 1940) რამდენიმე აღნიშნული მაგალითი შეისწავლა, რათა უკეთ შეესწავლა კავშირი ადამიანის განვითარებასა და სოციალიზაციას შორის.

1930-იან წლებში მომხდარი ფაქტი ეხება გოგონას, სახელად იზაბელს, რომელიც დაუქორწინებელ დედასთან ერთად იზოლირებულ იქნა ოჰაიოში მდებარე საგვარეულო სახლის ბნელ ოთახში (K. Davis 1940, 1947). ყრუ-მუნჯი დედა ბავშვთან მხოლოდ ჟესტების მეშვეობით ურთიერთობდა. იზაბელს საერთოდ არ შეეძლო ლაპარაკი და კომუნიკაციის ნიშნად ჩხავილის მაგვარ ხმებს გამოსცემდა. როდესაც საბოლოოდ დედა-შვილი ადგილობრივმა ორგანოებმა აღმოაჩინეს, გაირკვა, რომ გოგონა თითქმის ყველა ასპექტში განუვითარებული იყო (ნორმალურ ბავშვთან შედარებით). მისი ქცევა ხასიათდებოდა როგორც პრიმიტიული და უჩვეულო, თუმცა მას არ აღენიშნებოდა არანაირი თანდაყოლილი ფიზიკური ან მენტალური შეზღუდულობა. იზაბელმა ათვისების შესანიშნავი უნარი გამოამჟღავნა, მას შემდეგ, რაც მას ადამიანებთან კონტაქტის შესაძლებლობა მიეცა. თუმცა, მეტყველების უნარი მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი იყო იმ საჭიროებათაგან, რაც მას შემდგომში უნდა აეთვისებინა საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დასაკავებლად. საბოლოოდ, იზაბელმა შეძლო სოციალური იზოლაციის შედეგად გამოწვეულ მრავალ

„მაუგლი“. მხატვრულ ლიტერატურაში წარმოდგენილი ბავშვები, როგორიცაა დისნეის ანიმაციური ფილმის „ჯუნგლების წიგნის“ პერსონაჟი მაუგლი, საკმაოდ განსხვავდებიან რეალურ ცხოვრებაში, იზოლირებულ გარემოში მყოფი ბავშვებისაგან, რომლებსაც დიდი ძალისხმევა სჭირდებათ ენის ათვისებისა და სხვებთან ურთიერთობების დასამყარებლად.

პრობლემასთან გამკლავება, რაც მედიკოსებთან და ფსიქოლოგებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი. გოგონას ორი წელი დასჭირდა ენის ასათვისებლად და ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად. ფაქტი ცხადყოფს, რომ სოციალიზაციის გარეშე თითქმის სრულიად მოკლებულნი ვართ იმ თვისებებს, რაც ჩვეულებისამებრ ჩვენში ადამიანთან ასოცირდება. ინკლუზიური სოციალიზაციის ინტენსიური კურსის დახმარებით იზაბელმა შეძლო თანატოლების „დაწევა“ და ნორმალურ ბავშვად ჩამოყალიბება – რისი შესაძლებლობაც მას არ ჰქონდა იზოლირებულ გარემოში არსებობის პირობებში.

სოციალიზაციის პროცესი ყრმობის ასაკში იწყება და განსაკუთრებით პროდუქტიულია ბავშვის მიერ მეტყველების აღქმისა და ათვისების პერიოდში (Ochs 1986). თუმცა, სოციალიზაციის პროცესი ამ ეტაპზე არ სრულდება. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობს და განაგრძობს ჩვენს ჩამოყალიბებას სხვადასხვა ეტაპზე, მაგ.: სკოლაში, სამსახურში, დაოჯახებისას და მშობლად ყოფნისას, რის მაგალითებსაც პუბლიკაციის შემდეგ ნაწილებში ვიხილავთ.

თეორიები საკუთარი „მეს“ შესახებ

საკუთარი „მეს“ შეგრძნება, შესაძლოა, უმთავრესი იყოს ადამიანურ განცდებს შორის. როდესაც მეჩვიდმეტე საუკუნის ფილოსოფოსმა რენე დეკარტმა განაცხადა: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, მან ამით ხაზი გაუსვა იმ ძირითად ფაქტს, რომ ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ თავს. ბოლო ხანებში ზოგიერთნი დაინტერესდნენ, აქვთ თუ არა მაღალორგანიზებულ ძუძუმწოვრებს, ანუ პრიმატებს ამავე სახის თვითცნობიერება. აღნიშნული საკითხის დადგენამდე ერთი რამ ცხადია, რომ ცნობიერება ადამიანური თვისების საფუძველს წარმოადგენს.

საკუთარი „მე“ გახლავთ ჩვენი გამორჩეული, რეალური, პიროვნული იდენტობის განცდა, რომელიც ყველა სხვა ადამიანისაგან განგვასხვავებს. ჩვენ შეგვიძლია „ვიამაყოთ საკუთარი თავით“, „დავკარგოთ კონტროლი საკუთარ თავზე“, ან მოვისურვოთ „საკუთარი თავის შეცვლა“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ ძალგვიძს ვიფიქროთ საკუთარ თავზე იმგვარად, თითქოს ჩვენში ერთზე მეტი არსება ბინადრობს და საკუთარი თავი დამკვირვებლის პოზიციიდან დავინახოთ. ჩვენი აზრები და გრძნობები როგორც *ჩვენგან*, ასევე *ჩვენკენ* მოემართება. ფაქტობრივად, სწორედ ამგვარად „შევიცნობთ“ საკუთარ თავს.

მაგრამ საიდან მომდინარეობს საკუთარი „მეს“ შეგრძნება? რა გზით ვაღწევთ თვითშემეცნებას? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სოციოლოგები ინდივიდსა და საზოგადოებას პარალელურად განიხილავენ. მათ სწამთ, რომ საკუთარი „მე“ მთელი ცხოვრების განმავლობაში ყალიბდება და სახეიცვლება. მაგრამ, თუკი სოციოლოგების თანახმად საკუთარი „მე“ უმეტესწილად საზოგადოებრივ პროდუქტს წარმოადგენს, არსებობს რამდენიმე განსხვავებული თეორია საკუთარი „მეს“ ჩამოყალიბების გზების შესახებ, რასაც შემდგომში შევეხებით.

ფსიქოანალიტიკური თეორია: ზიგმუნდ ფროიდი

საკუთარი „მეს“ შესახებ არსებული ფსიქოანალიტიკური შეხედულება, რომელიც ჩვეულებისამებრ ფროიდთან ასოცირდება, ხაზს უსვამს ბავშვობის ასაკსა და სქესობრივ განავითარებას, როგორც პიროვნების იდენტობაზე წარუშლელი ზეგავლენის მომხდენ ფაქტორებს. მიუხედავად იმისა, რომ ფროიდის მოსაზრებებმა საკმაოდ დიდი კამათი გამოიწვია მეცნიერთა წრეებში, ისინი დღემდე იწვევს სოციოლოგთა ინტერესს. შესაძლოა, საკუთარი „მეს“ გააზრებაში უდიდესი წვლილი არაცნობიერის ფროიდისეულმა იდეამ შეიტანა, რომელიც წარმოდგენილია მის ნაშრომში „სიზმრების ახსნა“ (1900/1955). ფროიდს სწამდა, რომ გონების ცნობიერი დონე აისბერგის მხოლოდ ხილული მხარეა და რომ მისი უდიდესი ნაწილი – ქვეცნობიერი და არაცნობიერი – ზედაპირის ქვეშ იმყოფება. მისი აზრით, არაცნობიერი ენერგია წარმოადგენს ჩვენი გაცნობიერებული აზრებისა და ქცევის

საკუთარი „მე“: ერთი ინდივიდის სხვა დანარჩენი ინდივიდებისაგან განსხვავებული და გამორჩეული პიროვნულობის ცნობიერი, რეფლექსური განცდა.

იდი, ეგო და სუპერეგო ფროიდის თანახმად, ფსიქიკური აპარატის შემადგენელი სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტი. იდი შედგება ძირითადი თანდაყოლილი იმპულსებისაგან, რომლებიც ინსტინქტური, ფსიქიკური ენერგიის წყაროს წარმოადგენენ. ეგო არის გონების რეალისტური ასპექტი, რომელიც აწონასწორებს იდისა და სუპერეგოს ძალებს. სუპერეგო ორი კომპონენტისაგან შედგება (ცნობიერი და ეგო-იდეალი) და საზოგადოების ინტერნალიზებულ მოთხოვნებს ასახავს.

წყაროს. მაგალითად, ჩვენი მეტოქეების განადგურების არაცნობიერმა სურვილმა შესაძლოა გამოხატვა ჰპოვოს გაცნობიერებულ გადაწყვეტილებაში – ვიმუშაოთ უფრო გულმოდგინედ, რათა დავჩრდილოთ ჩვენი კონკურენტი თანამშრომელი.

ფროიდის თანახმად, გონება სამი ურთიერთდაკავშირებული სისტემისაგან (იდი, ეგო და სუპერეგო) შედგება. **იდი**, რომელიც ბიოლოგიურ იმპულსებს შეიცავს, ინსტინქტური, ფსიქიკური ენერგიის წყაროს წარმოადგენს. მისი მთავარი მიზანია სიამოვნების მიღწევა და ნებისმიერ სიტუაციაში ტკივილის თავიდან არიდება, რაც მას გონების ეგოისტ და არარეალისტურ ნაწილად აქცევს. მაგალითად, მიუხედავად თქვენი დაუღალავი შრომისა, ხელფასი შესაძლოა მხოლოდ თქვენს კონკურენტ თანამშრომელს მოუმატონ. ეს ის არ არის, რაც სიამოვნების მაძიებელ **იდს** სურდა. **ეგო**, მისგან განსხვავებით, გახლავთ ის ნაწილი, რომლიც რეალურ სამყაროს უკავშირდება. იგი კეთლგონიერებით ხელმძღვანელობს და იდისა და სუპერეგოს მოთხოვნების ინტეგრირებასა და ურთიერთშეთანხმებაში გვეხმარება. ამგვარად, ეგო საკუთარი „მეს“ იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გვეუბნება: „კეთილი, ამჯერად სხვამ გაიმარჯვა, მაგრამ მე განვაგრძობ მცდელობას და ადრე თუ გვიან აუცილებლად დავიმსახურებ ხელფასის მომატებას“.

სუპერეგო ორი კომპონენტისაგან – ცნობიერისაგან და ეგო-იდეალისაგან – შედგება. ცნობიერი სოციალურად არასასურველი ქცევისაგან გვიცავს, ხოლო ეგო-იდეალი გვიმყარებს წარმოდგენას იდეალური „მეს“ შესახებ. სუპერეგო მშობლების მხრიდან კონტროლის შედეგად ვითარდება, რომელიც, განსაკუთრებით, ბავშვობაში მიღებულ შექება-წახალისებას ან დასჯას უკავშირდება. იგი ახშობს იდის მისწრაფებებს და ხელს უწყობს ეგოს ქცევის მორალურად მისაღები ფორმების მოძიებაში. მაშასადამე, სუპერეგო გვეხმარება მეტოქის მოკვლის სურვილის დათრგუნვაში და გვიბიძგებს, მივაღწიოთ ხელფასის მომატებას საზოგადოებისათვის მისაღები საშუალებებით. თითოეული ზემოაღნიშნული სისტემა სხვადასხვა მენტალურ თუ ემოციურ ფუნქციას ემსახურება. თუმცა, ისინი ერთად მოქმედებენ, რათა ინდივიდმა წონასწორობის მეტნაკლებად ჯანსაღი მდგომარეობა შეინარჩუნოს.

სიზმრები და ქვეცნობიერი ზიგმუნდ ფროიდი თავის წიგნში „სიზმრების ახსნა“ სამ ფსიქოლოგიურ სისტემას გამოყოფს: იდი, ეგო და სუპერეგო – რომლებიც არეგულირებს ქვენობიერ იმპულსებს და ეხმარება ინდივიდს ფსიქიკური ბალანსის შენარჩუნებაში.

ფროიდს ასევე მიაჩნდა, რომ სიყრმიდან ზრდასრულობამდე პიროვნება განვითარების ოთხ გამორჩეულ **ფსიქო-სექსუალურ საფეხურს გადის** (1905). აღნიშნული თეორია ზრდასრულ პაციენტებთან ჩატარებული თერაპიული მუშაობის შედეგად წარმოიშვა, რომელთაც თავიანთი ცხოვრების ადრეული პერიოდი უნდა გაეხსენებინათ. თეორიის თანახმად, ბავშვი თავისი განვითარების პირველ სამ საფეხურს ერთიდან ხუთ წლამდე მონაკვეთში გადის. ადამიანთა უმეტესობას ძალიან ცოტა რამ ან საერთოდ არაფერი არ ახსოვს ამ პერიოდიდან, თუმცა ფსიქოანალიტიკური თეორი-

ის მიხედვით, ამ მონაკვეთს შეუძლია განსაზღვროს ზრდასრული ადამიანის დარჩენილი ცხოვრების სტადია. განვითარების ბოლო საფეხური იწყება დაახლოებით თორმეტი წლის ასაკში, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხერხებს მოწიფულობისკენ გარდამავალი ამ ბოლო მონაკვეთის წარმატებით დასრულებას. ზოგიერთ შემთხვევაში, არც პირველი სამი საფეხურის დასრულება ხდება სრულყოფილად, რის შედეგადაც ადამიანი შესაძლოა ჩარჩეს, ანუ „შეჩერდეს“ განვითარების ადრეულ სტადიაზე. ალბათ, იცნობთ ვინმეს, ვისაც „ორალური ფიქსაცია“ აღენიშნება. ამგვარი პიროვნება, რომელიც განვითარების პირველ სტადიაზე ნაწილობრივ „შეჩერებულად“ ითვლება, შესაძლოა ეწეოდეს, ზომაზე მეტს ჭამდეს ან ვერბალური აგრესიით გამოირჩეოდეს. ის, ვინც გამაღიზიანებლად გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევს წვრილმანებს („ანალური რეტენტიულობა“) – სისუფთავის მოყვარული, კრიჟანგი ანდა სხვებზე დომინირებისა და მბრძანებლობის ჟინით შეპყრობილი ადამიანი – განვითარების მეორე სტადიაზე ნაწილობრივ „შეჩერებულად“ მიიჩნევა. ამგვარი პიროვენული თვისებები, რომლებიც საფუძველს ადრეული ბავშვობიდან იღებს (ფროიდის თანახმად), ზრდასრულ ასაკში ემოციური პრობლემის (კომპლექსის) სახით ვლინდება.

სხვა სოციოლოგებმა განავრცეს ფროიდის ნაშრომი ამ მიმართულებით და განსაკუთრებული ყურადღება სქესობრივ იდენტობას, ანუ საკუთარი თავის ქალთან ან მამაკაცთან გაიგივებას დაუთმეს. ფემინისტისა და ფსიქოანალიტიკური სოციოლოგიის მიმდევარის ნენსი ხოდოროვის ნაშრომები ძირითადად ადამინის ქცევასა და შინაგან ფსიქიკურ აგებულებას ეთმობა. მათში აღწერილია, თუ როგორ მივყავართ გენდერულად დიფერენცირებული აღზრდის მოდელსა და ბავშვის ადრეულ სტადიაზე განვითარებას საზოგადოებაში სქესთა ტრადიციული როლების წარმოქმნისაკენ (1978, 1994).

არეკლილი „მე“

დაახლოებით იმ დროს, რედესაც ფროიდი თავის თეორიებს ავითარებდა (ადრეული 1900-იანები), ატლანტის ოკეანის მეორე ნაპირზე მცხოვრები სოციალური თეორიის სხვა მიმდევრები საკუთარი „მეს“ საკითხს სწავლობდნენ. ჩარლზ კულიმ, ჩიკაგოს სოციოლოგიის სკოლის წევრმა, შეიმუშავა მარტივი და კარგად ფორმულირებული მეთოდი, რომელიც წარმოგვიდგენს, თუ როგორ უყალიბდება ინდივიდს საკუთარი „მეს“ შეგრძნება. მისი იდეა ქვემოთ ციტირებული ლექსის სტრიქონშია ასახული, რომელშიც შეჯამებულია ღრმა და კომპლექსური პროცესი.

ამ სარკეში ირეკლება, ვინ რას ფიქრობს ერთმანეთზე.

კულიმ ამ კონცეფციას **არეკლილი „მე“** უწოდა (1909). მისი აზრით, ყოველი ჩვენგანი სარკის როლს ასრულებს ერთმანეთისათვის, რომელშიც საკუთარი თავის გამოსახულება ირეკლება. ეს პროცესი სამ საფეხურს მოიცავს.

1. *ჩვენ წარმოვიდგენთ, თუ როგორ გამოვიყურებით სხვების თვალში* – არა ფიზიკური მნიშვნელობით, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოვაჩენთ საკუთარ თავს. მაგალითად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ გვთვლიან მეგობრულ, მხიარულ ან შრომისმოყვარე ადამიანად. საკუთარი თავის შესახებ არსებული წარმოდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებთან მიმართებით, ვისაც მეტად ვაფასებთ – იქნება ეს მშობელი, უფროსი, მეგობარი თუ პარტნიორი. ჩვენ გვაღელვებს, თუ როგორ გამოვიყურებით მათ თვალში.

2. *ჩვენ წარმოვიდგენთ, თუ როგორ გვაფასებენ სხვები.* ჩვენ ვცდილობთ წარმოვიდგინოთ სხვათა რეაქციები და ავხსნათ, რას შეიძლება ისინი გრძნობდნენ ჩვენ მიმართ. რა აზრის

განვითარების ფსიქოსექსუალური საფეხურები: საკუთარი „მეს“ განვითარების ოთხი გამორჩეული საფეხური ყრმობიდან ზრდასრულობამდე (ფროიდის თანახმად). თითოეული საფეხური ასოცირდება სხვადასხვა ეროგენულ ზონასთან.

არეკლილი „მე“: მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საკუთარი „მე“ ყალიბდება სხვების მიერ ჩვენი შეფასების ჩვენეულ აღქმის მიხედვით.

არიან ისინი ჩემზე? მიიჩნევენ ისინი თუ არა, რომ საკმაოდ გონიერი (ზარმაცი, მოსაწყენი, ზედმეტად მაღალი ან უკარება) ვარ?

3. *საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა გარკვეულწილად ემყარება სხვათა შეფასებების ჩვენეულ აღქმას.* მაგალითად, თუკი წარმოვიდგენთ, რომ ისინი გვთვლიან კომპეტენტურ ადამიანად, შეიძლება სიამაყე ვიგრძნოთ; ხოლო თუკი, ჩვენი აზრით, ისინი არაკომპეტენტურად მიგვიჩნევენ, შესაძლოა სირცხვილის ან უხერხულობის განცდა დაგვეუფლოს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი პუნქტი გახლავთ ის, რომ ჩვენ ვრეაგირებთ იმ შეფასებებზე, რომლებსაც, ჩვენი აზრით, სხვები აკეთებენ ჩვენს მიმართ – მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში არც კი ვიცით, თუ რას ფიქრობენ ისინი. ჩვენი აზრი სიმართლეს ყოველთვის არ შეესაბამება. ჩვენ შეგვიძლია საკმაოდ არარეალისტური დასკვნების გამოტანა. თუმცა, კულის თანახმად, სწორედ ეს წარმოდგენები – და არა რეალობა – საბოლოო ჯამში განსაზღვრავს, თუ რას ვგრძნობთ (რა შთაბეჭდილება გვექმნება), საკუთარი თავის მიმართ.

ჩვენს კონცეფციას საკუთარი თავის შესახებ აყალიბებს სოციალური სარკე, ანუ ის, თუ როგორ აღვიქვამთ სარკეში არეკლილ საკუთარ თავს, ამას მიმატებული ის შეხედულებები, რომლებიც სხვათა მიერ საკუთარი „მეს“ დანახვის ჩვენეული წარმოდგენის შედეგად ვითარდება. კულის თეორიის მიხედვით, არანაირი აზრი არ აქვს „მეს“ საზოგადოების გარეშე, რადგანაც ვერ იარსებებს საკუთარი „მე“ შესაბამისი „სხვა პირის“ გარეშე, რომელმაც სარკეში საკუთარი გამოსახულება უნდა დაგვანახოს.

ვარაუდი, რომ ჩვენ დამოკიდებულნი ვართ იმაზე, თუ რას ფიქრობენ სხვები ჩვენს შესახებ (უფრო სწორად – ჩვენი აზრით, რას ფიქრობენ ისინი ჩვენ შესახებ), შესაძლოა საკუთარი თვითშეფასებისათვის შემაშფოთებელი აღმოჩნდეს: ნუთუ მართლაც ასე მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ სხვები? ზოგიერთ ჩვენგანზე ეს ფაქტორი მეტნაკლებ გავლენას ახდენს, მაგრამ საკუთარ თავს ყოველი ჩვენთაგანი სხვებთან რეალური თუ წარმოსახვითი ურთიერთობების მეშვეობით შეიცნობს.

გონება, „მე“ და საზოგადოება: ჯორჯ ჰერბერტ მიდი

ჯორჯ ჰერბერტ მიდმა (George Herbert Mead), ჩიკაგოს სკოლის კიდევ ერთმა წევრმა, განავრცო კულის იდეები საკუთარი „მეს“ განვითარების შესახებ და მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა, რაც შემგომში სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიად იქცა. მიდს აგრეთვე სწამდა, რომ საკუთარი „მე“ სოციალური ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. მისი აზრით, ეს პროცესი ბავშვობაში იწყება – ბავშვებში პირადი „მეს“ შეგრძნების განვითარება იწყება თითქმის იმავე დროს, როდესაც ისინი ენის ათვისებას იწყებენ. მეტყველების ათვისება ემთხვევა გონებრივი შესაძლებლობების ზრდას, რაც ასევე მოიცავს საკუთარი თავის ცალკეულ და განსხვავებულ არსებად აღქმისა და სხვების მიმართ ურთიერთდამოკიდებულებაში საკუთარი თავის დანახვის უნარს (1934).

მოსამზადებელი სტადია: მიდის თეორიის თანახმად, საკუთარი „მეს“ განვითარების პირველი საფეხური, რომლის დროსაც ბავშვი სხვებს ჰბაძავს.

როლის განსახიერების სტადია: საკუთარი „მეს“ განვითარების მეორე საფეხური, რომლის დროსაც ბავშვები გამორჩეული ან მნიშვნელოვანი „სხვის“ როლს განასახიერებენ.

გამორჩეული ანუ მნიშვნელოვანი „სხვა“: გამორჩეულ როლთან დაკავშრებული პერსპექტივები და მოლოდინები, რომლებსაც ბავშვი სწავლობს და შეითვისებს.

მიდის თანახმად, საკუთარი „მეს“ განვითარება ბავშვობაში რამდენიმე საფეხურად მიმდინარეობს. პირველი გახლავთ **მოსამზადებელი სტადია**. სამ წლამდე ასაკის ბავშვებს არ აქვთ საკუთარი „მეს“ ბოლომდე ჩამოყალიბებული შეგრძნება და ამგვარად მათ უჭრთ საკუთარი თავის სხვებისაგან გამორჩევა. განვითარების პროცესს ამ სტადიაში მყოფი ბავშვები გარშემომყოფთა მიბაძვით იწყებენ (სახის მიმიკით, ჟესტებით), რომლის დროსაც სრულებით ვერ აცნობიერებენ საკუთარ ქცევას. სამი წლის შემდეგ ბავშვები შედიან **როლის განსახიერების**

სტადიაში. ამ დროს ისინი იწყებენ თამაშს და ასახიერებენ „დედას“, „მეხანძრეს“, „პრინცესას“ ან „ექიმს“. ამას ეწოდება **გამორჩეული ან მნიშვნელოვანი „სხვისი“** როლის მორგება. დედასთან ან ექიმთან ასოცირებული ქცევის სწავლასთან ერთად, ისინი შეითვისებენ აღნიშნული მნიშვნელოვანი „სხვების“ მოლოდინებს და საკუთარის გარდა ახალი პერსპექტივების (თვალსაწიერის) შეცნობასაც იწყებენ. ეს სტადია ასევე ემსახურება იმ რეალურ როლებთან წინასწარ სოციალიზაციას, რომლებიც, შესაძლოა, ბავშვმა მომავალში განასახიეროს.

თამაშის სტადია: საკუთარი „მეს“ განვითარების მესამე საფეხური, რომლის დროსაც ბავშვები ორგანიზებულ თამაშებს თამაშობენ და განზოგადებული „სხვის“ თვალთახედვას იზიარებენ.

განზოგადებული „სხვა“: სხვათა ერთობლიობის (ანუ ზოგადად საზოგადოების) პერსპექტივები და მოლოდინები, რომელთაც ბავშვი სწავლობს და შემდგომში, საკუთარი ქცევის ჩამოყალიბებისას ითვალისწინებს.

საკუთარი „მეს“ ორბუნებრიობა: წარმოდგენა იმის შესახებ, რომ საკუთარ თავს აღვიქვამთ როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ „მედ“.

განვითარების საბოლოო საფეხურზე, რომელსაც **თამაშის სტადია** ეწოდება, ბავშვის თვითშემეცნება იზრდება იმ პროცესის მეშვეობით, რომელსაც მიდი თამაშის მაგალითებით აღწერს. ადრეულ სასკოლო ასაკში ბავშვები იწყებენ ორგანიზებულ თამაშებში მონაწილეობას. თითოეულმა ბავშვმა უნდა დაიცვას თამაშის წესები, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ამავდროულად ყველა დანარჩენი მოთამაშის როლიც უნდა გაითვალისწინოს. აღნიშნულ საკითხს მიდი **განზოგადებული „სხვის“** თვალთახედვის შესახებ წარმოდგენის შექმნას უწოდებს. ამგვარად, ბავშვები იწყებენ სოციალური ჯგუფისთვის – მათი თანატოლებისთვის – დამკვიდრებული საერთო სტანდარტების აღქმას და საკუთარი თავის უკვე სხვათა პოზიციიდან დანახვას სწავლობენ. განზოგადებული „სხვის“ თვალსაწიერის გათვალისწინებით ბავშვებს საკუთარი თავის ობიექტებად დანახვის უნარი ეძლევათ. ისინი თანდათანობით სწავლობენ განზოგადებული „სხვის“ მოლოდინების შეთვისებას და საკუთარი ქცევის შეფასებას. ეს გახლავთ საზოგადოების (როგორც ერთი მთლიანის) დამოკიდებულებებისა და მოლოდინების აღქმის დასაწყისი. მიდი ასევე აღიარებდა **საკუთარი „მეს“** დიალექტიკურ, ანუ **ორმაგ ბუნებას**, რაც სუბიექტური და ობიექტური „მეთი“ გამოიხატება. „მეს“ სუბიექტური კომპონენტი გახლავთ სპონტანური, აქტიური და შემოქმედებითი ნაწილის განცდა – ის, რაც გარკვეულწილად ნაკლებადაა სოციალიზირებული. „მეს“ ობიექტური კომპონენტი წარმოადგენს ნორმების მორჩილ, შეთანხმებულ ნაწილს, რომელიც უფრო მეტადაა სოციალიზირებული და შესაბამისად სხვებზე დამოკიდებული. ეს ორი კომპონენტი ერთმანეთისგან განუყოფელია. ისინი ყოველ ჩვენგანში ერთობლივად ქმნიან ერთადერთ „მეს“. მიდის აზრით, სწორედ საკუთარი „მეს“ ორბუნებრიობის გაცნობიერება, განსაკუთრებული „სხვის“ როლის განსახიერება და განზოგადებული „სხვის“ თვალსაწიერის დანახვა უდევს საფუძვლად საკუთარი „მეს“ განვითარებას.

განსაკუთრებული „სხვა“. მიდის თანახმად, საკუთარი თავის შეცნობისთანავე ბავშვი იწყებს სხვების იმიტირებას და როლების განსახიერებას. ბავშვი, საკუთარი თავის გარდა, სხვათა თვალთახედვის შესწავლასაც იწყებს.

დრამატურგია: ირვინგ გოფმანი

ირვინგ გოფმანი (Erving Goffman) ერთ-ერთია სიმბოლური ინტერაქციონიზმის მიმდევართაგან, ვინც საზოგადოების ყოველი ასპექტის ქვაკუთხედად მიკროდონის, პირისპირ ურთიერთქმედებებს მიიჩნევს. გოფმანს სწამს, რომ ნებისმიერი აზრი (მნიშვნელობა), ისევე როგორც საკუთარი „მე“ ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. მისი იდეების დიდი ნაწილი თავმოყრილია ნაშრომში „საკუთარი თავის წარდგენა ყოველდღიურ ცხოვრებაში“ (1956).

გოფმანის ნაშრომის კარგად გასაგებად საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ჩიკაგოს ადრეული სკოლის წარმომადგენელი, სოციოლოგი თომასი (W. I. Thomas). **თომასის თეორემის** (Thomas and Thomas 1928) თანახმად, „თუკი ხალხი ამა თუ იმ ვითარებას რეალურად თვლის, მაშინ ის რეალობად იქცევა თავისი შედეგებით“ (გვ. 572). ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგანაც ყოველდღიურად ვაწყდებით ბუნდოვან, ორაზროვან სიტუაციებს, შესაძლოა ყოველი მათგანისთვის მრავალი მნიშვნელობა არსებობდეს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვსაზღვრავთ თითოეულ სიტუაციას, მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა ესა თუ ის ვითარება რეალობად.

მაგალითად: წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ ქუჩაში და უცებ დაინახეთ, თუ როგორ აწნის სილას საჯაროდ ქალი მამაკაცს. რა შეიძლება იყოს ამ ვითარების შესაძლო მნიშვნელობები? – ჩხუბი ან მეუღლეებს შორის ძალადობა; ხუმრობა ან მეგობრული მისალმება, გამომდინარე იქიდან, რაოდენ ძლიერი იყო დარტყმა. ან იქნებ მამაკაცმა გონება დაკარგა და ქალმა მისი მოსულიერება სცადა? ან იქნებ ისინი მსახიობები არიან და ფილმის სცენაში მონაწილეობენ. აღნიშნული სიტუაციის თითოეული ახსნა განსხვავებულ შესაძლო შედეგებს გამოიწვევს: თქვენ ჩაერევით, გამოიძახებთ პოლიციას, გაგეცინებათ, საერთოდ არ მიაქცევთ ყურადღებას, სასწრაფო დახმარებას გამოიძახებთ ან ავტოგრაფს მოსთხოვთ – გამომდინარე იქიდან, თუ რომელი მნიშვნელობის მიხედვით იმოქმედებთ. ამ კონკრეტული **სიტუაციის თითოეული ახსნა** სხვადასხვა მიდგომას (ქმედებას) შეესაბამება და შედეგებიც რეალურია.

გოფმანისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ განვსაზღვრავთ ვითარებას ურთიერთქმედებების საფუძველზე – არა შემეცნების დონეზე (საკუთარ თავში), არამედ სხვებთან ურთიერთკავშირის შედეგად. დაფიქრდით: როგორ აწვდით ვითარების თქვენეულ მნიშვნელობას სხვებს? თუკი გაკვეთილი ან ლექცია თვენთვის მოსაწყენია, შეგიძლიათ გახედოთ თქვენს უახლოეს მეგობარს და თვალებით გამოხატოთ უკმაყოფილება... მეგობარი თავის დაკვრით განიშნებთ, რომ მან იცის, რასაც გულისხმობთ. თვალების გამომეტყველება და თავის დაკვრა გახლავთ **ქცევის გამოხატულებები**, ანუ მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ვახდენთ კონკრეტული ვითარების მნიშვნელობის სხვებისთვის გადაცემას.

ის, რასაც გოფმანი **ვერბალურ თვითგამოხტვას** უწოდებს, როგორც წესი, გამოხატვის სიტყვიერ ფორმას განეკუთვნება და ჩვენს მეტყველებას გულისხმობს – თითქმის ყველაფერი, რასაც მოცემულ მომენტში წარმოვთქვამთ (განზრახული გვაქვს, რომ ვთქვათ). მხოლოდ უკიდურესად ემოციური ვითარების საპასუხოდ (მაგ.: შიშის, ტკივილის ან აღტაცების განცდისას) შეიძლება უნებურად წამოგვცდეს რამე. **არავერბალური თვითგამოხატვა**, მაგალითად თვალების მოძრაობა და თავის დაკვრა, როგორც წესი, არასიტყვიერი, მაგრამ შესამჩნევი გამოხატვის საშუალებაა და ის შეიძლება იყოს განზრახული ან უნებლიე. სახის გამომეტყველებები, მანერები, სხეულის ენა ან ჩაცმულობის სტილი სხვებსთვის სიტუაციის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია.

საკუთარი თავის წარდგენა

სხვათა ქცევის გამომსახველობების მნიშვნელობის გაგება ყურადღებას მოითხოვს. ცნობილია, რომ ადამიანებს შეუძლიათ სიტყვების მეშვეობით დამალონ, თუ რას გრძნობენ ისინი სინამდვილეში. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ ნამდვილი მნიშვნელობის არსში

ჩაწვდომას არავერბალური თვითგამოხატულების მეშვეობით შევძლებთ, რადგანაც, ჩვენი აზრით, ის უნებლიედ მჟღავნდება. თუმცა, არავერბალური თვითამოხატვის მანიპულირებაც არის შესაძლებელი. გოფმანის თქმით, აზრი იმალება არა იმაში, თუ რას ამბობ, არამედ – როგორ ამბობ. იგი ცინიკოსია, თუმცა მას სწამს, რომ მსახიობი, რომელიც ყოველდღე თამაშობს, შეიძლება გულწრფელი იყოს. გოფმანი სოციალურ ცხოვრებას ერთგვარ თაღლითურ თამაშად განიხილავს, რომელშიც ჩვენ ვცდილობთ იმ წარმოდგენების გაკონტროლებას, რომლებიც სხვებს ჩვენ შესახებ აქვთ შექმნილი. იგი ამ პროცესს **შთაბეჭდილების მოხდენის მართვას** უწოდებს. როგორც მსახიობები სცენაზე, ჩვენც ვთამაშობთ და ამისათვის ჩვენ ხელთ არსებულ მთელ საკომუნიკაციო რესურსს ვიყენებთ (ვერბალურს თუ არავერბალურს), რათა სხვებზე გარკვეული შთაბეჭდილება მოვახდინოთ. ჩვენ ვამბობთ და ვაკეთებთ იმას, რასაც საჭიროდ მივიჩნევთ საკუთარი რაობისა და აზრების წარმოსაჩენად; ამავდროულად, ჩვენ თავს ვიკავებთ იმის თქმისა და გაკეთებისგან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს იმ წარმოდგენას, რომელიც გვსურს, რომ სხვის თვალში გვქონდეს.

სწორედ შთაბეჭდილების მოხდენის მართვის შესრულების სტრატეგიებზე ფოკუსირებამ უბიძგა მეცნიერებს, რათა მათ გოფმანის უმთავრესი იდეებისთვის **დრამატურგია** ეწოდებინათ, რომელშიც თეატრალური ალუზია სრულიად გამიზნულად არის მოქცეული. ისევე, როგორც თეატრში, ჩვენც ვიყენებთ გარკვეულ ინსტრუმენტებს შთაბეჭდილების მოხდენის მართვის გასაუმჯობესებლად. **ფასადი**, მაგალითად, გახლავთ ის გარემო, რომელიც კონკრეტული აზრის (მნიშვნელობის) დამკვიდრებაში გვეხმარება (მაგ.: საკლასო ოთახი სწავლებისთვის და ბარი – სასმელის მირთმევისთვის). ჩვენი **პერსონალური ფასადი** – გარეგნული მხარე, მანერები და ჩაცმულობის სტილი (ანუ „სამოსი“), სქესი, რასა და ასაკი – ასევე გვეხმარება ვითარების ჩვენეული განსაზღვრის დამკვიდრებაში.

მაგალითად, დოქტორ ფერისს ხშირად ეუბნებიან, რომ იგი „არ გამოიყურება პროფესორივით“. ყოველივე ეს გვიჩვენებს, თუ როგორ ვიყენებთ პერსონალური ფასადის ელემენტებს ადამიანების შეფასებისას: პროფესორის შესახებ ჩვენეული წარმოდგენა, როგორც წესი, უკავშირდება პირქუშ, ჭაღარა, ასაკოვან, ძველმოდურად ჩაცმულ მამაკაცებს. ამგვარად, ახალგაზრდა, მეგობრულად განწყობილ ქალს, რომელიც ბრჭყვიალა სამკაულს ატარებს, მოუწევს მეტი ძალ-ღონის დახარჯვა სხვების დასაწრმუნებლად, რომ ის ნამდვილად პროფესორია. ანალოგიურად, თუკი სტუდენტი დოქტორ ჰარისს რესტორანში, კინოში, თეატრში ან უნივერმაღში წააწყდება, სტუდენტის რეაქცია უმეტესწილად შემდეგნაირი იქნება: „აქ რას აკეთებთ?“

თომასის თეორემა: ინდივიდების მიერ ვითარების განსაზღვრის კლასიკური ფორმულირება, რომლის მიხედვითაც „თუკი ხალხი ამა თუ იმ ვითარებას რეალურად თვლის, მაშინ ის რეალობად იქცევა თავისი შედეგებით“.

ვითარების განსაზღვრა: სხვებთან შეთანხმებული განსაზღვრება იმისა, თუ „რა ხდება“ მოცემულ ვითარებაში. აღნიშნული კონსენსუსი ჩვენი და სხვისი ქმედებების კოორდინირებისა და მიზნების განხორციელების საშუალებას გვაძლევს.

ქცევის გამოხატულებები: ქმედებები, როგორიცაა თვალების მოძრაობა და თავის დაკვრა, რაც ურთიერთქმედების ინსტრუმენტს წარმოადგენს და გვეხმარება ვითარების ჩვენეული განსაზღვრების სხვებისთვის გადაცემაში.

ვერბალური თვითგამოხატვა: განზრახული სიტყვიერი გამოხატულება, როგორიცაა სიტყვის, ფრაზის ან აზრის გამოთქმა.

არავერბალური თვითგამოხატვა: გამოხატვის არასიტყვიერი, შესამჩნევი საშუალება, რომელიც შეიძლება იყოს განზრახული, ასევე უნებლიე.

შთაბეჭდილების მოხდენის მართვა: სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენის გაკონტროლების მცდელობა, რათა მათ ჩვენთვის სასურველი წარმოდგენა შევუქმნათ ჩვენზე და მოცემულ ვითარებაზე; საკუთარი თავის წარდგენისა და შესრულების ტაქტიკის გამოყენება.

დრამატურგია: მიდგომა, რომელიც პირველად ირვინგ გოფმანმა გამოიყენა, რომლის მიხედვითაც სოციალური ცხოვრების გაანალიზება ხდება მასსა და თეატრალურ წარმოდგენას შორის არსებული მსგავსებების ჭრილში.

ფასადი: დრამატურგიულ პერსპექტივაში, გარემო ან წარმოდგენის ადგილი, რომელიც გვეხმარება ვითარების ჩვენეული განსაზღვრის დამკვიდრებაში.

პერსონალური ფასადი: გამომსახველობითი ინსტრუმენტები (გარეგნული მხარე და მანერები), რომელთაც ჩვენ ცნობიერად თუ არაცნობიერად ვიყენებთ სხვათა წინაშე საკუთარი თავის წარდგენისას; ისინი გვეხმარება ვითარების ჩვენეული განსაზღვრის დამკვიდრებაში.

რეგიონი: დრამატურგიულ პერსპექტივაში, კონტექსტი ან გარემო, რომელშიც მიმდინარეობს წარმოდგენა.

კულისები: დრამატურგიულ პერსპექტივაში, ადგილები, სადაც რეპეტიციას გავდივართ და ვემზადებით წარმოდგენისათვის.

სცენა: დრამატურგიულ პერსპექტივაში, რეგიონი, რომელშიც ვმართავთ საჯარო წარმოდგენას.

სოციალური კონსტრუირება: პროცესი, რომლის დროსაც მონაწილეები ქმნიან და ინარჩუნებენ კონცეფციას ან დადგენილ წესს, რის არსებობასაც ისინი კოლექტიურად აღიარებენ.

სოციალური გარემოს, ანუ რეგიონს (რომელიც მოიცავს ადგილმდებარეობას, დეკორაციებსა და რეკვიზიტს) დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასთან მიმართებით, თუ როგორ აღვიქვამთ და ვურთიერთობთ იქ შემხვედრ ადამიანებთან. სტუდენტები და პროფესორები ცნობენ ერთმანეთს და იციან, თუ როგორ უნდა დაამყარონ ურთიერთობა სასწავლებლის ეზოსა თუ აუდიტორიაში. მაგრამ, სასწავლებლის მიღმა ტერიტორიაზე ჩვენ კონტექსტის გარეთ აღმოვჩნდებით, რამაც შესაძლოა დაგვაბნიოს კიდეც. პროფესორებს იშვიათად მივიჩნევთ იმ ადამიანებად, ვინც ცხოვრების ნაწილს სასწავლებლის მიღმა ატარებს. ჩვენ გვიჭირს მათი იმ ადამიანებად წარმოდგენა, რომლებიც რესტორანში სადილობენ, ფილმებს უყურებენ ანდა საცვლებს ყიდულებენ (ამ შემთხვევაში პროფესორებიც იშვიათად ფიქრობენ სტუდენტებზე ამგვარად!). მაშასადამე, როდესაც ჩვენ ერთმანეთს უცხო გარემოში (რეგიონში) ვხვდებით, ხშირად არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, რადგანაც იქ აუდიტორიაში მიღებული წესები არ მოქმედებს.

გარდა ამისა, არსებობს ისეთი ადგილები, როგორიცაა **კულისები**, სადაც ვემზადებით ჩვენი წარმოდგენებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, **სცენაზე** იმართება. სცენაზე ჩვენ სხვაგვარად ვიქცევით და საკუთარი თავის განსხვავებულ მხარეებს წარმოვაჩენთ, ვიდრე სცენაზე. თქვენი პროფესორი სხვაგვარად იქცეოდა ამ დილას – სანამ ის შხაპს ივლებდა, წვერს იპარსავდა, იცვამდა და საუზმეს უმზადებდა თავის შვილებს – ვიდრე ახლა, ლექციის წაკითხვისას და თქვენ კითხვებზე პასუხისას. გოფმანისთვის, შთაბეჭდილების მოხდენის მართვის ნიუანსების კარგად გასაგებად, უმნიშვნელოვანესია იმის აღიარება, რომ სხვადსხვა ვითარებაში განსხვავებულად წარმოვაჩენთ საკუთარ თავს, ხოლო სხვების მიერ ჩვენ მიმართ გამოვლენილი რეაქციები მუდმივად აყალიბებს ვითარების ჩვენეულ განსაზღვრებებსა და საკუთარ თავს. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთარი „მე“ სოციალურ კონსტრუქციას წარმოადგენს (Berger and Luckmann 1966). საკუთარი „მე“ არის ის, რაც იქმნება იმ ინდივიდებთან ურთიერთობისას, რომლებიც ასევე მონაწილეობენ რეალობის ან მოცემულ ვითარებაში წარმოდგენილი „მეს“ მნიშვნელობის შეთანხმებულ აღიარებაში.

ურთერთობებისას ჩვენ აგრეთვე გამოვთქვამთ პრეტენზიას საკუთარი თავის რაობაზე. ზოგიერთი ეთანხმება ან ეწინააღმდეგება ამ პრეტენზიებს, რაც უფრო აიოლებს ან ართულებს მდგომარეობას საკუთარი თავზე წარმოდგენასთან მიმართებით. ხშირ შემთხვევებში, სხვები აღიარებენ ჩვენ მიერ წარმოჩენილ საკუთარ თავს. მაგალითად, როდესაც თქვენი პროფესორი იწყებს ლექციის წაკითხვას და თქვენ კონსპექტს აწარმოებთ, თქვენ ეთანხმებით პროფესორის მიერ საკუთარი თავის წარდგენის ვერსიას: იგი „პროფესორობს“, ხოლო ამის საპასუხოდ თქვენ „სტუდენტობთ“. წარმოჩენილი საკუთარი თავის მხარდაჭერის კიდევ ერთ გზას სახის შენარჩუნება (რეპუტაციის დაცვა) წარმოადგენს: არ აფიქრებინოთ სხვას, რომ მან რაიმე უხერხულობა გამოიწვია. გოფმანი ამას **თავის შეკავებას** უწოდებს. ეს ფრაზა თაღლითური თამაშების ტერმინოლოგიიდან არის ნასესხები, თუმცა მისი გამოყენება კორექტულობისა და ტაქტის ნიშნადაც შეგვიძლია. მაგალითად, როდესაც პროფესორი ლექციაზე ორ მსგავს კონცეფციას ერთმანეთში აურევს, არ შეიმჩნიოთ, რადგანაც თქვენ იცით, რომ მას ეს უნებლიედ მოუვიდა. ანდა, თუკი შენიშნეთ, რომ პროფესორს კბილებზე საჭმლის ნარჩენი მიკრობია, შეგიძლიათ მას ამის შესახებ პირისპირ ყოფნისას ამცნოთ!

აგრეთვე არსებობს სიტუაციები, როდესაც ჩვენ მიერ წარმოჩენილ საკუთარ იმიჯს ეჭვქვეშ აყენებენ ანდა სულაც ანადგურებენ. მაგალითად, თუკი თქვენ 200-კაციან აუდიტორიაში ხელს აიწევთ და ამცნობთ პროფესორს, რომ მას კბილებზე საჭმლის ნარჩენი აქვს მიკრული, თქვენ ზიანს მიაყენებთ მის მიერ წარმოჩენილ იმიჯს. მისი, როგორც ექსპერტის, ავტორიტეტისა და უფროსი დამრიგებლის იდენტობა მაშინვე დაზარალდება, როგორც კი თქვენ აუდიტორიის ყურადღებას მის მიმართ გამოთქმული უადგილო შენიშვნისაკენ მიმართავთ (თუკი მან ვერ მოახერხა უხერხული სიტუაციიდან მოხერხებულად თავის დაძვრენა). ამ შემთხვევაში, გოფმანის აზრით, საკუთარი თავის წარდგენა და შთაბეჭდილების მოხდენის მართვა როგორც საკუთარ თავს, ასევე სიძლიერეს უკავშირდება. თუკი თქვენს პროფესორს სტუდენტთა აუდიტორიის წინაშე ჩააყენებთ უხერხულ მდგომარეობაში, მაშინ მას აღარ ექნება ისეთივე ძალა, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ჰქონდა.

ურთიერთობების შესახებ არსებული გოფმანისეული შეხედულება შესაძლოა ზოგიერთისთვის შემაშფოთებელი აღმოჩნდეს, რადგანაც მის თანახმად ჩვენ მუდმივად ვთამაშობთ და სინამდვილეში არასდროს არ წარმოვაჩენთ გულწრფელად საკუთარ თავს. მაგრამ, გოფმანი შეეწინააღმდეგებოდა მისი ნაშრომის ამგვარ ინტერპრეტირებას. დიახ, ზოგიერთი ადამიანი განგებ ატყუებს სხვებს საკუთარი თავის წარმოჩენისას, მაგრამ ყველა ჩვენგანმა აუცილებლად უნდა წარადგინოს საკუთარი თავის *რომელიმე* ტიპი ამა თუ იმ სოციალურ ვითარებაში. რატომ არ შეიძლება საკუთარი თავის გულწრფელად წარდგენა? როგორც გოფმანის მიმდევარი სოციოლოგი ჯონ მეიეროვიცი აცხადებს: „მაშინ, როდესაც უპატიოსნო მოსამართლეს შეუძლია თავი პატიოსნად მოგვაჩვენოს, თვით პატიოსანი მოსამართლეც ვალდებულია „პატიოსანი მოსამართლის“ როლი განასახიეროს“ (1985, გვ. 30).

ფასადი და კულისები. ჯინ სიმონსის მსგავსად, რომელიც სცენაზე მის ბენდთან (Kiss) ერთად და სახლში არის გამოსახული, საკუთარ თავს, სიტუაციიდან გამომდინარე, განსხვავებულად წარმოვაჩენთ. სხვადასხვა გარემოში ჩვენ ქცევებზე სხვათა რეაქციების მიხედვით ყალიბდება საკუთარი თავის ჩვენეული აღქმა.

ყოველდღიური ცხოვრების ანალიზი
(მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების მიზნით გამართული ჯგუფური მეცადინეობა)

შთაბეჭდილების მოხდენის მართვა პრაქტიკაში

ეთნოგრაფიული სავარჯიშო შედგენილია, რათა დაგეხმაროთ შთაბეჭდილების მოხდენის მართვის უკეთ დანახვაში, რაც, თავის მხრივ, გიჩვენებთ, თუ რაოდენ განუყოფელია ის თქვენი ყოველდღიური ცხოვრებასგან. თქვენ დააკვირდებით საკუთარ თავს ორ სხვადასხვა სოციალურ ვითარებაში მოქმედებისას და ურთიერთქმედებისას, რის შემდეგაც მოახდენთ თითოეულ გარემოში საკუთარი თავის წარდგენის შედარებით ანალიზს. საკუთარ ქცევაზე დაკვირვება გახლავთ ეთნოგრაფიული მეთოდის ერთი-ერთი ვარიანტი, რომელიც ავტოეთნოგრაფიის სახელით არის ცნობილი.

პირველი საფეხური: დაკვირვება

შეარჩიეთ ორი განსხვავებული სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდებით ამ კვირას ყოველდღიურ ცხოვრებაში და დააკვირდით საკუთარ თავს 30 წუთის განმავლობაში თითოეულ ვითარებაში. მაგალითად, დააკვირდით საკუთარ თავს სამსახურში, ოჯახში გამართულ დაბადების დღის წვეულებაზე ან სოფტბოლის მატჩის ყურებისას. თქვენს მიერ შერჩეული ორივე სიტუაცია არანაირად არ უნდა იყოს უჩვეულო; რაც უფრო მეტად რუტინული იქნება ისინი, მით უკეთესი. მაგრამ, ისინი აშკარად უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

თავის შეკავება: ქცევა, რომელიც ეხმარება სხვებს სახის შენარჩუნებაში ან უხერხულობის თავიდან აცილებაში; ხშირად უწოდებენ კორექტულობას ან ტაქტიანობას.

ავტოეთნოგრაფია: ეთნოგრაფიული აღწერილობა, რომელიც ფოკუსირდება ეთნოგრაფის გრძნობებსა და რეაქციებზე.

მეორე საფეხური: ანალიზი

ორივე სიტუაციაში საკუთარ თავზე დაკვირვების შემდეგ, გააანალიზეთ შემდეგი კითხვები:

- რა ტიპის „ფასადი“ შეგხვდათ თითოეულ ვითარებაში?
- რა გავლენა იქონია „რეგიონმა“ ანუ გარემომ (ადგილმდებარეობამ, დეკორაციებმა, რეკვიზიტმა) საკუთარი თავის წარდგენაზე?
- შეგიძლიათ თუ არა გამოავლინოთ „კულისები“ და „სცენა“ თითოეულ სიტუაციაში? თქვენი რომელი ქმედება შეესაბამებოდა მზადებას და შესრულებას?
- რა ტიპის „პერსონალური ფასადი“ (გარეგნული მხარე, მანერები, ჩაცმულობა) გამოიყენეთ თითოეულ სიტუაციაში?
- რამდენად განსხვავდებოდა თქვენი სახის გამომეტყველება, სხეულის ენა და ა.შ. („არავერბალური თვითგამოხატულება“) თითოეულ ვითარებაში?
- რას ლაპარაკობდით („ვერბალური თვითგამოხატულება“) თითოეულ ვითარებაში?
- როგორ ახდენდით თითოეულ სიტუაციაში საქციელის ან ნათქვამის მოდიფიკაციას? ერთ სიტუაციაში იყო თუ არა რაიმე ისეთი თქვენ საქციელში ან ნათქვამში, რაც მეორე სიტუაციაში უადგილოდ, უცნაურად ან თუნდაც აბსურდულადაც კი გამოჩნდებოდა?

- ვინ იყავით თითოეულ ვითარებაში? წარადგენთ თუ არა განსხვავებულ ვითარებებში საკუთარ თავს ოდნავ განსხვავებული სახით? რატომ?

თუკი თქვენი ურთიერთქმედებების ძალზე უმნიშვნელო ასპექტებსაც კი დააკვირდებით, შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ ორივე სიტუაციაში თავს გარკვეულწილად სხვა სახით განასახიერებდით. მაგალითად, „სტუდენტის“ როლში შესაძლოა ძალზე განსხვავებული აღმოჩნდეთ, ვიდრე „ბოიფრენდის“ როლში.

გოფმანის თეორიით ნაკარნახევი ბოლო კითხვა ასე ჟღერს: ნიშნავს თუ არა შთაბეჭდილების მოხდენის მართვის გამოყენება იმას, რომ არანაირი ძირითადი, უცვლელი „მე“ არ არსებობს ჩვენში? თუკი სხვადასხვა სიტუაციებში საკუთარ თავს განსხვავებულად წარმოვაჩენთ, როგორ აიხსნება ამით „ნამდვილი მეს“ იდეა? ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ და იმედია, ჯგუფური მეცადინეობის შედეგების გამოყენებით შეძლებთ საკითხის ღრმად შესწავლას.

გთავაზობთ ჯგუფური მეცადინეობის შესრულების ორ ვარიანტს:

- **პირველი ვარიანტი (არაფორმალური):** ჩაიწერეთ შენიშვნები პირველ საფეხურში აღწერილი დაკვირვების შესახებ და მოინიშნეთ მეორე საფეხურში დასმულ კითხვებზე თქვენს მიერ გაცემული რამდენიმე პასუხი. მცირე ჯგუფური დისკუსიის ფონზე შეადარეთ თქვენი და დანარჩენი მონაწილეების კომენტარები. გამოიყენეთ ეს მეთოდი საკუთარი თავის და ჯგუფის წევრების უკეთ შესასწავლად.

- **მეორე ვარიანტი (ფორმალური):** პირველი საფეხურისთვის გამოიყენეთ მონაცემთა შეგროვების ეთნოგრაფიული მეთოდი. აწარმოეთ დაკვირვებების ჟურნალი, სადაც მოინიშნავთ თქვენს ქმედებებს, ურთიერქმედებებსა და აზრებს 30-წუთიანი დაკვირვების თითოეულ პერიოდში. ჩაიწერეთ შენიშვნები რაც შეიძლება დეტალურად. შემდეგ დაწერეთ 3-4-გვერდიანი ანალიზი, რომელიც შეეხება მეორე საფეხურში მოცემულ კითხვებზე გაცემულ პასუხებს. ანალიზში აუცილებლად გამოიყენეთ დაკვირვების ჟურნალში ჩაწერილი მონაცმები, ხოლო თავად ჟურნალი თან დაურთეთ თქვენს წერილობით ნამუშევარს.

თეორია ყოველდღურ ცხოვრებაში

პერსპექტივა	საკუთარი „მეს“ და ურთიერთქმედების მიმართ მიდგომა	პრაქტიკული მაგალითი: იდენტობის შეგრძნება ბავშვებში
ფსიქოანალიზი	ფროიდის თეორია არაცნობიერის შესახებ, რომელიც ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისგან შეკრული სისტემისგან (იდი, ეგო, სუპერეგო) შედგება, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ადამიანის ქცევას; პიროვნება ყალიბდება ფსიქოსექსუალური სტადიების გავლით.	მშობლები ბავშვებს უნერგავენ სინდისის შეგრძნებას (სუპერეგო) წესების მეშვეობით, რომლებიც მართავს მათ ინსტინქტურ ქცევებს (იდი) ბავშვების მომწიფებამდე, რის შემდეგაც ისინი თავად მართავენ საკუთარ თავს (ეგო).
არეკლილი „მე“	კულის თეორია თვითშეფასების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ, ჩვენი აზრით, როგორ აღგვიქვამენ სხვები; თვითშეფასება ასევე ეფუძნება სხვების მიერ ჩვენი შეფასების ჩვენეულ ხედვას	მშობლები და მნიშვნელოვანი „სხვები“ ბავშვისთვის სარკის როლს ასრულებენ. ბავშვის საკუთარი „მეს“ შეგრძნება ყალიბდება მათ მიერ გაკეთებული რეალური თუ წარმოსახვითი შეფასებების მიხედვით
გონება, „მე“ და საზოგადოება	მიდის თეორია საკუთარი „მეს“ სამი (მოსამზადებელი, როლის განსახიერებისა და თამაშის) სტადიის გავლის შედეგად ჩამოყალიბების შესახებ; გამორჩეული ან განზოგადებული „სხვის“ როლის მორგებისას ჩვენ ვსწავლობთ საკუთარი თავის სხვისი თვალით დანახვას.	საკუთარი „მეს“ ჩამოყალიბება ბავშვებში ხდება იმიტაციის, როლის განსახიერებისა და თამაშის გზით, რომლის დროსაც ისინი სხვადასხვა როლს და სხვათა თვალთახედვას ეცნობიან.
დრამატურგია	გოფმანის თეორია საკუთარი თავის წარდგენის შესახებ; ჩვენ სცენაზე მდგომ მსახიობებს ვგავართ, რომელთა სამსახიობო შესრულების სტარტეგიები მათ შთაბეჭდილების მოხდენის მართვაში ეხმარება.	ბავშვები სწავლობენ შთაბეჭდილების მოხდენის მართვის ხელოვნებას; მათ შეუძლიათ საკუთარი თავი გამსხვავებული კუთხით წარუდგინონ მშობლებს, ვიდრე სხვა ბავშვებს ან მასწავლებლებს.

სოციალიზაციის ფაქტორები

სოციალიზაციის ფაქტორები: სოციალური ჯგუფები, ინსტიტუტები და ინდივიდები (განსაკუთრებით ოჯახი, სკოლა, თანატოლები და მასმედია), რომლებიც გვთავაზობენ სტრუქტურირებულ სიტუაციებს, რომლებშიც სოციალიზაცია მიმდინარეობს.

ფარული საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი): ღირებულებები და ქცევები, რომლებსაც მოსწავლეები ირიბად იძენენ და ითვისებენ განათლების მიღების პერიოდში, რასაც განაპირობებს გამოყენებული საგანმანათლებლო სისტემა და სწავლების მეთოდები.

რადგანაც საკუთარი „მეს“ შეგრძნება სოციალური ურითერთქმედებების შედეგად ყალიბდება, ჩვენი ყურადღება ამჯერად სოციალიზაციის გამომწვევი იმ ძალებისკენ უნდა მივმართოთ, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ჩვენ ცხოვრებზე. ეს ძალები, რომელთაც **სოციალიზაციის ფაქტორები** ეწოდება, გვთავაზობენ სტრუქტურირებულ სიტუაციებს, რომლებშიც სოციალიზაცია მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ საზოგადოებაზე გავლენის მომხდენი მრავალი ფაქტორი არსებობს (განსაკუთრებით რელიგია და ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები), ამჯერად ყურადღებას სოციალიზაციის ოთხ ყველაზე მეტად გავლენიან ფაქტორზე შევაჩერებთ. ესენი გახლავთ: ოჯახი, სკოლა, თანატოლები და მასმედია.

ოჯახი

ოჯახი გახლავთ ყველა საზოგადოებაში არსებული სოციალიზაციის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი. ის არის თავდაპირველი ჯგუფი, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით. ეს ის ადგილია, სადაც ადრეული ემოციური და სოციალური კავშირები იქმნება, სადაც ვსწავლობთ მეტყველებას და სადაც პირველად ვიწყებთ ჩვენი საზოგადოების ნორმებისა და ღირებულებების შეთვისებას. სოციალიზაციის საწყისი ეტაპი, რომელიც საზოგადოების მოწიფულ, პასუხისმგებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას გვასწავლის, სწორედ ოჯახში მიმდინარეობს. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ოჯახმა შესაძლოა ყველაზე ხანგრძლივი ზეგავლენა იქონიოს ინდივიდზე.

კვლევათა უმეტესი ნაწილი დიდ ყურადღებას ამახვილებს დედის როლზე ბავშვის აღზრდასთან მიმართებით (Goode 1982), თუმცა ბოლო პერიოდში აქცენტი ასევე გადატანილ იქნა მამის, დედმამიშვილებისა და სხვა ნათესავების როლის მნიშვნელობაზეც. მაგალითად, სკოტ კოლტრეინი თავის წიგნში „მეოჯახე მამაკაცი“ (Family Man 1997) განიხილავს მამაკაცის, როგორც აქტიური მშობლის როლის ისტორიულ ცვლილებებს და იმას, თუ რას გრძნობენ მამაკაცები თავიანთი შვილების ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ. ოჯახის ასეთი ძლიერი ზეგავლენა ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ბავშვობაში ჩვენ საკმაოდ მცირე ან საერთოდ არანაირი კონტაქტი არ გვაქვს გარე სამყაროსთან, სანამ სკოლაში სიარულს არ დავიწყებთ და შესაბამისად არ გვაქვს შედარებების გაკეთების საფუძველი. ოჯახი ჩვენი სამყაროა.



ოჯახს ყველაზე ხანგრძლივი გავლენა აქვს. ოჯახი არის თავდაპირველი ჯგუფი, რომელსაც თითოეული პიროვნება ეკუთვნის. ის აგრეთვე სოციალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ოჯახი ასევე *მოქცეულია* სამყაროში. მისი როგორც გეოგრაფიული, ასევე სოციალური ადგილმდებარეობა – ეთნიკური, კლასობრივი, რელიგიური და პოლიტიკური კუთვნილება – გავლენას იქონიებს ოჯახის წევრებზე (Lareau 2003). მაგალითად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რასაც ოჯახებში ვწავლობთ, გახლავთ გენდერული როლები: ჩვენ ვაკვირდებით, თუ რა და რა საქმიანობას ასრულებენ დედები, მამები, დები და ძმები (მაგ.: ბაღში ბალახის გაკრეჭა ან ტანსაცმლის რეცხვა), რის შედეგადაც აღნიშულ დაკვირვებებს საზოგადოებაში გენდერული როლების შესახებ არსებულ საერთო ნორმებად ვაქცევთ (Chodorow 1978). სოციალიზაციის პროცესი განსხვავებულია სხვადასხვა ოჯახში, რადგანაც თითოეულ ოჯახს თავისი გამორჩეული ღირებულებები და

შეხედულებები ახასიათებს. ასევე, დროთა განმავლობაში, შეიძლება შეიცვალოს ცალკეული ოჯახი. ბავშვები შესაძლოა აღარ იზრდებოდნენ იმავე მეთოდით, რაც მათი უფროსი დედმამიშვილები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მშობლებს არ ჰქონდათ ბაშვის აღზრდის გამოცდილება მათი პირველი შვილის გაჩენისას, რაც მეორე შვილის გაჩენის დროისთვის დაუგროვდათ. სოციალიზაციის ყველა ასპექტი წინასწარ განზრახული როდია; ზოგიერთი მათგანი, სინამდვილეში, საკმაოდ უნებლიე და შემთხვევითია (მაგალითად, როდესაც მამის ფიცხი ხასიათი ან დედის დეპრესიული განწყობა მომდევნო თაობას გადაეცემა).

სკოლა

ადამიანები სკოლის წლებს სიამოვნებით ან ძრწოლით იხსენებენ, ზოგს კი შვებას ჰგვრის ის ფაქტი, რომ სკოლაში აღარ სწავლობს. გასაკვირი არც არის, რომ სკოლა შესანიშნავი თემაა ცუდი სიზზრებისა და კინოსცენარებისათვის. სახელმწიფო დაწყებითი და საშუალო სკოლები შეერთებულ შტატებში 1800-იან წლებში დაარსდა. მიუხედავა იმისა, რომ თავდაპირველად დასწრება დაბალი იყო, განათლების მესვეურებს სწამდათ, რომ სასკოლო განათლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დემოკრატიის შესანარჩუნებლად (თუმცა იმ დროისთვის შავკანიანებსა და ქალებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება) და მოქალაქეთა მომავალი თაობების ჩამოსაყალიბებლად. დროთა განმავლობაში სკოლამ თანდათან უფრო მეტი პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე, ვიდრე ამას მხოლოდ განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდა. ამჟამად სკოლა გვთავაზობს ფიზიკურ მომზადებას, კვებას, აღზრდასა და ბავშვის მოვლას – რაც წინათ სხვა სოციალური ინსტიტუტების პრივილეგიას წარმოადგენდა.

როდესაც ბავშვები სკოლაში სიარულს იწყებენ (მათ შორის საბავშვო ბაღებში), ეს შესაძლოა მათთვის სახლის გარეთ არსებული პირველი მნიშვნელოვანი გამოცდილება გახდეს. სკოლა მათ ეხმარება, გახდნენ ოჯახზე ნაკლებად დამოკიდებულები, რაც სხვა სოციალურ ჯგუფებთან დამაკავშირებელ ერთგვარ ხიდს წარმოადგენს. სკოლაში ბავშვები იგებენ, რომ მათი საქციელი და აკადემიური მოსწრება განსჯისა და შეაფასების საგანი გახდება. ისინი არა მხოლოდ ფორმალურ საგნებს სწავლობენ, არამედ **ფარულ საგანმანათლებლო პროგრამასაც** ითვისებენ (P. Jackson 1968), რომელიც გახლავთ ისეთი ქცევითი თვისებების ერთობლიობა, როგორიცაა პუნქტუალურობა, მოწესრიგებულობა, დისციპლინა, სიბეჯითე, მეტოქეობა და მორჩილება. მასწავლებლებისგან, სკოლის პერსონალისა და სხვა მოსწავლეების მხრიდან სოციალიზაცია მიმდინარეობს ოჯახში ცოდნის მიღების პარალელურად.

ბოლო პერიოდში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მასწავლებელთა როლს, განსაკუთრებით სახელმწიფო სკოლებში. რადგანაც მასწავლებლები მოსწავლეთათვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ, მშობლებს ადარდებთ მათი ზნეობრივი რეპუტაცია, ვინც სათავეში უდგას მათი შვილების განათლებას, წვრთნასა და შესაძლებლობების განვითარებას. სულ უფრო და უფრო მეტად აიძულებენ სკოლებს, იტვირთონ მეტი პასუხისმგებლობა, მათ შორის ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებსაც უწინ ოჯახში ან ეკლესიაში ასწავლიდნენ (მაგალითად: სექსი, ძალადობა, ნარკოტიკები, ალკოჰოლი, ზნეობრივი ქცევები და მოქალაქეობა).

თანატოლები

თანატოლთა ჯგუფი გახლავთ დაახლოებით ერთი და იმავე ასაკისა და მსგავსი სოციალური მახასიათებლების მქონე ადამიანთა ჯგუფი. თანატოლები შეიძლება იყვნენ სკოლის ან უბნის მეგობრები, სპორტული გუნდის წევრები ან საზაფხულო ბანაკის მონაწილეები. ასაკის მატებასთან ერთად, თანატოლები შესაძლოა იქცნენ სოციალიზაციის უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად, ვიდრე მშობლები. თანატოლთა გავლენის ზრდასთან ერთად მშობლების ზეგავლენა კლებულობს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს მაინც ყველაზე ხანგრძლივი გავლენა აქვს ინდივიდზე, სწორედ თანატოლები ახდენენ ერთმანეთზე ყველაზე ძლიერ და უშუალო ზემოქმედებას.

სიყმაწვილეში ახალგაზრდები უფრო მეტ დროს თავიანთ თანატოლებთან ატარებენ, ვიდრე მშობლებთან ან სხვა რომელიმე პირთან (Larson and Richards 1991). თანატოლთა ჯგუფის წევრობა ახალგაზრდებს ზრდასრულთა მხრიდან კონტროლისგან გათავისუფლების – და შესაძლოა ამ კონტროლის წინააღმდეგ მოქმედების საშუალებას აძლევს. თანატოლებთან ერთად ახალგაზრდებს სუბკულტურების ფორმირება სჩვევიათ, რომლებიც თითქმის მთლიანად მათ პირად ინტერესებზეა ორინეტირებული, როგორიცაა მაგალითად კომპიუტერული თამაშები, დისკ-გოლფი ან მოყვარულთა მუსიკალური ჯგუფი. ამ სუბკულტურებს აღნიშულ ინტერესებთან დაკავშირებული გამორჩეული ღირებულებები და ნორმები ახასიათებს.

თანატოლთა ჯგუფში „ადაპტირების“ საჭიროება უკიდურესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდისთვის. ზოგიერთი მათგანი ყველაფრისთვის მზადაა ამისათვის, თვით საკუთარ ღირებულებებზე უარის თქმაზეც კი: ბრედლიმ და უილდმანმა (Bradley and Wildman 2002) აღმოაჩინეს, რომ წნეხი თანატოლთა მხრიდან მოზარდებს უბიძგებდა, მონაწილეობა მიეღოთ ისეთ სარისკო ქმედებებში, როგორიცაა ავტომობილის გაუფრთხილებელი ტარება, დაუცველი სექსი, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება. გარდა მნიშვნელოვანი და სიხარულის მომტანი კავშირებისა, თანატოლთა ჯგუფი ახალგაზრდებისთვის ასევე შეიძლება გახდეს საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვების, დაცინვის ან უარყოფის მტკივნეული მაგალითების მიზეზი.

მასმედია

მასმედიის, როგორც სოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროს როლი შედარებით ახალი ფენომენია. ამერიკელთა ოჯახებში ტელევიზიამ 50 წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის წინ დაიწყო გამოჩენა, ხოლო ინტერნეტი მხოლოდ ბოლო დეკადაში გახდა ფართოდ ხელმისაწვდომი. თუმცა, ბევრი ჩვენთაგანისთვის თითქმის შეუძლებელია მასმედიის გარეშე ცხოვრების წარმოდგენა – იქნება ეს ბეჭდვითი, ელექტრონული თუ ციფრული ფორმით. ამ უზარმაზარ აფეთქებას, საინფორმაციო ეპოქის აისს, თავისთავად არსებულ მოვლენად მივიჩნევთ, მაგრამ ყოველთვის ვერ ვამჩნევთ, თუ რა მიმართულებით ცვლის იგი ჩვენს ცხოვრებას.

მრავალი სოციოლოგი სხვამს კითხვას: ჩაანაცვლა თუ არა მედიამ ოჯახის ზოგიერთი ფუნქცია, ძირითადი ნორმებისა და ღირებულებების სწავლასთან და ჩვეულ პრობლემებთან დაკავშირებით რჩევის მიცემასთან მიმართებით? მაგალითისთვის განვიხილოთ წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე კუნძულ ფიჯის მოსახლეობა, რომლისთვისაც ტელევიზია ხელმიუწვდომელი იყო 1995 წლამდე. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ჯგუფმა გამოიყენა ეს უნიკალური შესაძლებლობა, რათა შეესწავლა ადგილობრივ მოსახლეობაზე ტელევიზიის ზემოქმედება. კონკრეტულად, მათ აინტერესებდათ დასავლური პროგრამების გავლენა მოზარდი გოგონების კვებასთან დაკავშირებულ ჩვევებსა და სხეულის შესახებ წარმოდგენაზე – კულტურაში, სადაც „ტრადიციულად მიღებული იყო კარგი მადა და სხეულის სავსე ფორმები“ (A. Becker et al. 2002).

1995 წელს (ტელევიზიის დანერგვიდან რამდენიმე თვის შემდეგ) და განმეორებით 1998 წელს ახალგაზრდა ქალების (საშუალოდ 17 წლის) გამოკითხვისა და ჩატარებული კვლევების შედეგად მკვლევრებმა დაადგინეს, რომ დასავლურმა სატელევიზიო პროგრამებმა მართლაც იქონია გავლენა გოგონების სხეულის ფორმებსა და შესაბამის ქცევებზე. გასულ სამ წელიწადში გამოკითხულთა შორის კვებითი ქცევის მოშლის მაჩვენებელი 12,5%-დან 29,2%-მდე გაიზარდა, ხოლო იმ გოგონათა რიცხვი, ვინც წონის გაკონტროლების მიზნით თვითგამოწვეული პირღებინების ფორმას მიმართავდა, 0%-დან 11.3%-მდე შეიცვალა. განსაკუთრებით დომინირებდა დიეტაზე მყოფთა და საკუთარი წონით უკმაყოფილოთა კატეგორია: გამოკითხულ გოგონათა 83%-მა აღნიშნა, რომ, მათი აზრით, ტელევიზიამ „დიდი გავლენა იქონია მათზე და/ან მათ მეგობრებზე, რის შედეგადაც მათ შეიცვალეს წარმოდგენა ან უშუალოდ შეცვალეს თავიანთი სხეულის ფორმა ან წონა“ (A. Becker et al. 2002).

რატომ არის სატელევიზიო შოუ სოციალიზაციის ფაქტორი?
როგორ არის წარმოჩენილი მდიდართა სამყარო სერიალებში, როგორიცაა „ჭორიკანა“?

კუნძულ ფიჯის მობინადრე ქალების ცხოვრებაში სულ ცოტა ხნის წინ გაჩნდა მასმედია. რამდენს შეადგენს ამერიკულ საზოგადოებაში საყოველთაოდ შემოჭრილი მასმედიის კუმულაციური მოქმედება? ვის გზავნილებს ვისმენთ და რას გვიამბობენ ერთმანეთსა და საკუთარ თავზე? ამერიკელები დღეში საშუალოდ 2-7 საათს უყურებენ ტელევიზორს და უფრო მეტ დროს უთმობენ რადიოს, კომპაქტ-დისკებისა და აიპოდის მოსმენას, კითხვას, ფილმების ყურებას, ვიდეოთამაშებს, ინტერნეტს, ელფოსტისა და ტექსტური შეტყობინებების კითხვა-გაგზავნას. სკოლის დამთავრების ასაკში ახალგაზრდებს გაცილებით მეტი დრო ექნებათ გატარებული მასმედიასთან კონტაქტში, ვიდრე საკლასო ოთახში. თუკი ზოგიერთი შეშფოთებულია აღნიშნულის გამო და თვლის, რომ ბავშვები ფანტაზიის სამყაროში იკარგებიან, ჰოდჯი და ტრიპი (Hodge and Tripp 1986) გვარწმუნებენ, რომ ტელევიზორის ყურება სინამდვილეში ბავშვებს რეალობისა და ფანტაზიის ერთმანეთისგან გარჩევაში ეხმარება, რაც ბავშვის განვითარების მაჩვენებელს წარმოადგენს. გარდა გართობის შესაძლებლობისა, მედია ასევე ინფორმირებისა და განათლების უდიდესი საშუალებაა. ცხადია, რომ ჩვენ მედიაში წარმოდგენილ უამრავ ღირებულებას, შეხედულებასა და ნორმას შევითვისებთ, ხოლო ჩვენ ცხოვრებაზე მათი ძლიერი გავლენა თანდათანობით გაიზრდება, რაც უფრო შორს მივიწევთ საინფორმაციო ეპოქაში.

მასმედიისა და პოპულარული კულტურის ანალიზი

(მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების მიზნით გამართული ჯგუფური მეცადინეობა)

ტელევიზია, როგორც სოციალიზაციის ფაქტორი

ტელევიზია გახლავათ სოციალიზაციის ძლიერი და ფარული ფაქტორი. ის ყველგანაა და ჩვენ მას აქტიურად მოვიხმართ. ამდენად, მნიშვნელოვანია დავსვათ შეკითხვა: რა სახის გზავნილებს ვღებულობთ ტელევიზორის ყურებისას ჩვენი საზოგადოების შესახებ? როგორ ახდენს ტელევიზია ჩვენს სოციალიზაციას? წინამდებარე სავარჯიშო დაგეხმარებათ აღნიშულ კითხვაზე პასუხის გაცემაში.

აირჩიეთ ყველაზე პოპულარული ტელესერიალი. ამ მასალის შედგენისას ეთერშე გასულ ფილმებს შორისაა „დაკარგულები“ (Lost), „ექიმი ჰაუსი“ (House), „დანაშაულის ადგილი“ (CSI) ან „ოფისი“ (The Office). აირჩიეთ რიგითი დრამატული ან კომედიური სერიალი, ნაცვლად საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამისა, თოქ-შოუსი, სატელევიზიო თამაშისა ან რეალითი-შოუსი.

ახლა კი, აირჩიეთ სოციალური სტატუსის ან პიროვნული იდენტობის რომელიმე ასპექტი, რომელზეც გსურთ ყურადღების გამახვილება: მაგალითად, გენდერი (როგორ არიან წარმოჩენილი ქალები და მამაკაცები), რასა/ეთნიკური ჯგუფი (როგორ არის წარმოჩენილი ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი, მაგ.: აფრო-ამერიკელები ან ლათინო-ამერიკელები), სქესობრივი ორიენტაცია (ჰეტეროსექსუალები, გეი მამაკაცები ან ლესბოსელები), კლასი (ღარიბები, მდიდრები ან საშუალო კლასი). მაგალითად, შეგიძლიათ დააკვირდეთ, თუ როგორ არიან წარმოჩენილნი ქალები სერიალში „ჭორიკანა“ (Gossip Girl) ან მამაკაცები – სერიალში „ორ-ნახევარი მამაკაცი“ (Two and a Half Men); ლათინო-ამერიკელების როლი ფილმში „კანონი და წესრიგი“ (Law & Order) ან აფრო-ამერიკელები – „გრეის ანატომიაში“ (Grey's Anatomy); საშუალო კლასი სერიალში „ბალახი“ (Weeds) ან მდიდრები – „90210“

უყურეთ თქვენ მიერ შერჩეული ფილმის ერთ ეპიზოდს თავიდან ბოლომდე (უმჯობესია იქონიოთ ფილმის ჩანაწერი, რათა, საჭიროების შემთხვევაში, გადაახვიოთ სასურველ ადგილზე). ყურებისას ჩაიწერეთ შენიშვნები; ჩაინიშნეთ პროგრამის შინაარსი თქვენ მიერ არჩეული თემის კოტექსტში. აღნიშნული დავალების შესრულების მაგალითის საჩვენებლად ჩვენ მიერ შერჩეული თემა მოცემულია კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო განხილული იქნება ტელესერიალი „შეუხედავი ბეტი“ (Ugly Betty). ქვემოთ მოცემულ თითოეულ კითხვაში თქვენ უნდა შეცვალოთ თემა თქვენ მიერ არჩეული ფილმის შესაბამისად:

1. რამდენი პერსონაჟი ეკუთვნის [მუშათა კლასს] ფილმში? რამდენად განსხვავდება [მუშათა კლასის] პერსონაჟების რაოდენობა ფილმში წარმოდგენილი სხვა პერსონაჟების რიცხვისგან? [მუშათა კლასის] პერსონაჟები მთავარი თუ მეორეხარისხოვანი მოქმედი პირები არიან? რის მიხედვით ფიქრობთ ასე?

2. რა ტიპის როლებს თამაშობენ ფილმში [მუშათა კლასის] პერსონაჟები? როგორია მათი საქმიანობები, დამოკიდებულები და ურთერთქმედებები? რას აკეთებენ და ამბობენ ისინი, რის მიხედვითაც შეგიძლიათ მიხვდეთ, თუ ვინ და როგორები არიან ისინი?

3. როგორ არიან [მუშათა კლასის] პერსონაჟები წარმოჩენილნი? დადებითად თუ უარყოფითად? იუმორისტულად თუ სერიოზულად? ცალმხრივად თუ მრავალმხრივად? რის მიხედვით ფიქრობთ ასე?

4. [მუშათა კლასის] როგორ სახეს წარმოაჩენს ფილმი? ანუ სიტყვებით, გამოსახულებით, სიუჟეტური ხაზით და პერსონაჟების მეშვეობით, ზოგადად, რა გზავნილებია წარმოდგენილი მაყურებლისათვის?

აღნიშნული ფილმის შემთხვევაში („შეუხედავი ბეტი“), გარკვეულწილად ღია კონტრასტებია ნაჩვენები ბეტი სუარესის მუშათა კლასის ოჯახსა და მდიდარი მიდების ოჯახს შორის, რომლებიც ჟურნალ Mode-ის გამომცემლობას ფლობენ, სადაც ბეტი მუშაობს. სუარესების ოჯახის გარდა ფილმში კიდევ არის მუშათა კლასის წარმომადგენელი რამდენიმე პერსონაჟი, როგორიცაა მკერავი ქრისთინ მაკკინი ან სენდვიჩების ჯიხურის მეპატრონე ჯოვანი „ჯო“ რიზი. ფილმი წარმოგვიდგენს მუშათა კლასისა და მდიდართა სამყაროს, სადაც ჩვენ ვხედავთ განსხვავებულ სამუშაო გამოცდილებებს, საოჯახო ცხოვრებას, თავისუფალი დროის გატარების საშუალებებს და განსხვავებულ მისწრაფებებს. თუკი ერთ ჯგუფი მოდის იმპერიაზე კონტროლის მოსაპოვებლად იბრძვის, მეორე გაჭირვებით ცდილობს თავის გატანას, ოცნებობს „მწვანე ბარათის“ მოპოვებაზე ან ბავშვის ყოლაზე.

ახლა კი დროა, ნამდვილად მნიშვნელოვან კითხვებს გავცეთ პასუხი:

5. რა გზით უწყობს ეს ფილმი ჩვენი სოციალიზაციის პროცესს? რა შევიტყვეთ საზოგადოებაში [მუშათა კლასის] როლის შესახებ? ანალიზის დასრულების შემდეგ, რას ფიქრობთ ტელევიზიის ძალაზე სოციალიზაციასთან მიმართებაში?

არსებობს აღნიშული სამუშაოს შესრულების ორი ვარიანტი:

- **პირველი ვარიანტი (არაფორმალური):** მოამზადეთ წერილობითი შენიშვნები, რომლებსაც ჯგუფური განხილვისას გამოიყენებთ. განიხილეთ თქვენი რეაქციები და დასკვნები ჯგუფს სხვა მონაწილეებთან გამართული დისკუსიისას. ყურადღებით მოისმინეთ ერთმანეთის მოსაზრებებში გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი.

- **მეორე ვარიანტი (ფორმალური):** დაწერეთ 3-4-გვერდიანი ნარკვევი, რომელშიც პასუხს გასცემთ ზემოთ დასმულ შეკითხვებს. გამოიყენეთ ტელესერიალის კონკრეტული სეგმენტი, რომელიც ეხმიანება თქვენს ანალიზს.

სამყაროს შეცვლა

მოწყალების და პაულინ ქუინი და ძაღლების წვრთნა ციხეში

შეუძლია თუ არა ლეკვის აყვანას სამყაროს შეცვლა? დომინიკელი მონაზვნის პაულინ ქუინის თანახმად, ეს შესაძლებელია, თუკი ძაღლებს პატიმრები მოუვლიან და მათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასახმარებლად გაწვრთნიან. პაულინა პირადად იცნობდა დახურულ დაწესებულებაში არსებულ ცხოვრებას (და არა მხოლოდ მონასტერის მაგალითზე). იყო დრო, როდესაც ქეთი ქუინად დაბადებული, იგი მუდმივად გარბოდა შინიდან ოჯახში არასასურველი პირობების არსებობის გამო, რის შედეგადაც გოგონა საბოლოოდ ბავშვთა სახლში მოხვდა. უსახლკაროდ ყოფნისას იგი თავს მიტოვებულ შენობებს აფარებდა და ცდილობდა, პოლიციას არ ჩავარდნოდა ხელში. ქეთი შეიძლებოდა ლოს ანჯელესის ქუჩებში უპატრონოდ მომკვდარიყო, მაგრამ მისი ცხოვრება სხვაგვარად შემოტრიალდა მას შემდეგ, რაც მან გერმანული ნაგაზი ჯონი იპოვა.

გოგონამ იგრძნო, რომ ძაღლი მისი რესოციალიზაციის პროცესის დასაწყისს წარმოადგენდა, რომელიც მას საზოგადოების სრულფასოვან წევრად ხელახლა გახდომაში დაეხმარა. მას პირველად გაუჩნდა ნამდვილი მეგობარი, რომლის უპირობო სიყვარულმაც განუახლა ქეთის ერთ დროს დაკარგული საკუთარი თავის რწმენა. სხვადასხვა დაწესებულებებში გატარებულმა დღეებმა მისი „დეპერსონალიზაცია“ გამოიწვია, რამაც იგი პოზიტიური იდენტობის გარეშე დატოვა, რომლის დახმარებითაც გოგონა ცხოვრების მოთხოვნებს უნდა გამკლავებოდა. ჯონისგან მიღებულმა თანაგრძნობამ და სიყვარულმა ქეთის ახალგაზრდობაში გადატანილი ტრავმების განკურნებას შეუწყო ხელი. ჯონის წვრთნამ არა მხოლოდ ძაღლი შეცვალა, არამედ გოგონას პიროვნებაზეც იმოქმედა, რამაც მას სხვების დახმარებისთვის მიძღვნილი უფრო ბედნიერი და ნაყოფიერი ცხოვრება მოუტანა.

მოწყალების დას განსაკუთრებით ადარდებდა პატიმარ ქალთა რთული მდგომარეობა. მას ღმად სწამდა, რომ ძაღლებთან კონტაქტი მათაც მოუტანდა მსგავს სარგებელს. პაულინამა იცოდა, რომ ციხეში ცხოვრება უკიდურესად უწყობდა ხელს ქალებში ინდივიდუალურობის დაკარგვას და რომ რეაბილიტაციის კურსი (თუკი პატიმრებს საერთოდ სთავაზობდნენ ამ-გვარს) ძალიან ხშირად წარუმატებელი იყო. საბოლოო ჯამში ცხოვრების ხელახლა დაწყების შესაძლებლობის არმქონე მსჯავრდებულები კვლავ ქუჩას უბრუნდებოდნენ. 1981 წელს, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ვეტერინარული მეცნიერების პროფესორის დოქტორი ლეო ბუსტადის დახმარებით პაულინა ვაშინგტონის შტატის ქალთა გამოსასწორებელ ცენტრს დაუკავშირდა და წინადადებით მიმართა, რომლის მიხედვითაც მოხალისე პატიმრებს უნდა მოევლოთ ადგილობრივი თავშესაფრებიდან და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებიდან აყვანილი ლეკვებისათვის, რომლებსაც კომპანიონ და თერაპიული დანიშნულების ძაღლებად გაწვრთნიდნენ. ამის შედეგად და-

მოწყალების დამ პაულინ ქუინმა (გამოსახული სურათის მარცენა მხარეს) წამოიწყო ძაღლების წვრთნის პროგრამა 19 შტატის ციხეებში. მონაწილეთა შორის არიან მარჯვენა სურათზე გამოსახული პატიმრებიც.

არსდა ციხეებში ცხოველების წვრთნის პარტნიორობის პროგრამა (Prison Pet Partnership Program).

გარდა ძაღლების წვრთნისა, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული ქალები გაცილებით მეტს აღწევენ: მათ საშუალება ეძლევათ, გაიარონ საფუძვლიანი რესოციალიზაცია, რომელიც მათ ეხმარება ახალი, პოზიტიური იდენტობის განვითარებასა და სოციალური უნარების ათვისებაში, რაც გარე სამყაროსთან ურთიერთობას შეუწყობს ხელს. ძაღლების წვრთნის ინტენსიურად დატვირთული პროცესი იდეალურადაა მორგებული პატიმართა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, რომელთაც უამრავი თავისუფალი დრო აქვთ, რაც აუცილებლად მოითხოვს მის სასარგებლოდ გადანაწილებასა და გამოყენებას.

ძაღლების წვრთნის მკაცრი პირობები, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინირებულობისა და მორჩილების მიღწევას განმეორებადი ქმედებებისა და დადებითი მოტივაციის გაძლიერების მეშვეობით, მწვრთნელებისთვის ისეთ გაკვეთილს წარმოადგენს, რომელიც უკვალოდ არ იკარგება. წვრთნის პროცესის მიმდინარეობისას, რომელიც თვეობით გრძელდება, პატიმრებს ცხოველებთან ერთად დაძინების უფლებაც კი ეძლევათ, რასაც დამატებით ფსიქოლოგიური სარგებელი მოაქვს.

წვრთნის პროგრამის დასრულებისას პატიმრებში შეინიშნება მორალური მდგომარეობისა და ქცევების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ცხოველებისგან მიღებული უპირობო სიყვარული და პატიმრებისთვის მიცემული შესაძლებლობა, თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოების დახმარებაში, ზრდის იმის ალბათობას, რომ პატიმრები წარმატებით დაუბრუნდებიან ჩვეულ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა თავდაპირველად მონაზონ პაულინას მიერ პატიმართა ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის სურვილით იყო მოტივირებული, მისი საზრუნავი მხოლოდ მსჯავრდებულებს როდი მოიცავდა. პაულანას თქმით „ამგვარი ქმედება სასიკეთო რეაქციის ჯაჭვის მხოლოდ ერთი ნაწილია“. პროცესი იწყება უპატრონოდ მიტოვებული და სიკვდილისთვის განწირული ცხოველის გადარჩენით; პატიმრებს ეძლევათ ემოციური მხარდაჭერა და სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა; საბოლოოდ კი, ინვალიდები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან კომპანიონი ცხოველებით, რომლებიც მათ ცხოვრებას უადვილებენ.

კომპანიონი ძაღლის გაწვრთნა 10’000 დოლარი ჯდება. ამგვარად, უფრო მეტი გაწვრთნილი ცხოველის ყოლა მეტი ადამიანის ცხოვრებას შეცვლის. ვაშინგტონის სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული პროგრამის შედეგად უკვე 700-ზე მეტი ძაღლი გაიწვრთნა, რომლებიც კომპანიონი, ეპილეფსიით დაავადებულთა დამხმარე ან თერაპიული დანიშნულების ცხოველების რანგში მსახურობენ. თხუთმეტიდან მხოლოდ ერთ ძალღს აქვს დამხმარე ცხოველად მსახურობის უნარი, თუმცა დანარჩენები იდეა-

ლურ შინაურ ცხოველებად გამოდგებიან მათთვის ჩატარებული ინტენსიური წვრთნის წყალობით.

მსგავსი პროგრამები მინიმუმ 19 შტატის ციხეებში ხორციელდება. პროგრამების უმეტესობა შტატის ბიუჯეტიდან არ ფინანსდება და ისინი მხოლოდ დოტაციებზე არიან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარ თავს ძაღლების თავშესაფრებისა და მათი მოვლის სალონების ბიზნესით ინახავენ. სამხედრო საპატიმროებშიც დაიწყეს მსგავსი პროგრამების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ხეიბარი ვეტერანებისათვის კომპანიონ ძაღლებს წვრთნიან. მიუხედავად თითოეული პროგრამის კონკრეტული მისიისა, აღნიშნულმა ინიციატივამ ცხადყო, რომ სამყაროს შეცვლის მცდელობა ისეთივე წარმატებით ცვლის სიკეთის გამცემს, როგორც სიკეთის მიმღებს. 2001 წელს მოწყალების დის პაულინ ქუინისა და ციხეებში ძაღლების წვრთნის პროგრამის ამბავი საფუძვლად დაედო ტელეფილმს „კედლებს მიღმა“ (Within These Walls).

ზრდასრულთა სოციალიზაცია

რესოციალიზაცია: პროცესი, რომლის დროსაც ხდება წინათ შეძენილი ნორმებისა და ღირებულებების ახლით ჩანაცვლება; აღნიშნული პროცესი ერთი ცხოვრებისეული ეტაპიდან შემდეგზე გადასვლის ნაწილია.

დახურული დაწესებულება: დაწესებულება, სადაც ინდივიდები მოწყვეტილნი არიან დანარჩენ საზოგადოებას იმგვარად, რომ მათი ცხოვრება კონტროლირდებოდეს და იმართებოდეს, რაც ემსახურება ინდივიდების წინანდელი როლებისა და იდენტობის სისტემატურ და მათ ახლით ჩანაცვლებას.

სტატუსი: სოციალურ იერარქიაში არსებული პოზიცია, რომელიც კონკრეტულ მოლოდინთა ერთობლიობას შეიცავს.

„ზრდასრულად“ ყოფნა ერთგვარად ნიშნავს იმას, რომ უკვე საკმარისად ვისწავლეთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს საზოგადოების დამოუკიდებელი წევრი. მაგრამ ზრდასრულები სრულებითაც არ არიან ბოლომდე სოციალიზირებულები.

ცხოვრება მუდმივად გვაყენებს ჩვენთვის უცნობი ნორმებისა და ღირებულებების მქონე ახალი ვითარებებისა და როლების წინაშე. ცხოვრების მანძილზე ჩვენ გამუდმებით ვსწავლობთ და ვერგებით ახალ მდგომარეობებს და მაშასადამე ვმონაწილეობთ მეორადი სოციალიზაციის პროცესში.

მაგალითად, კოლეჯში განათლების მიღებისას ბევრს ისწავლით იმ ქცევების შესახებ, რასაც თქვენ მიერ არჩეული პროფესიისგან მოელიან (პასუხისმგებლობა და პუნქტუალურობა). მაგრამ კოლეჯის დამთავრებისა და სამსახურის მოძიების შემდეგ, შესაძლოა წააწყდეთ დამატებით, წინასწარგანუსაზღვრელ მოლოდინებს. როგორც მინიმუმი, თქვენ მოახდენთ ადგილობრივ კულტურასთან და კონკრეტულ სამუშაო ადგილთან სოციალიზაციას, სადაც ახალი წეს-ჩვეულებებია (მაგ.: გარიგების ნებისმიერ შემთხვევაში დადების პრინციპი უძრავი ქონების ბიუროში) გავრცელებული. კარიერულ ზრდასთან ერთად, სოციალიზაციის ამგვარი ეპიზოდები ხელახლა იჩენს თავს, განსხვავებული პასუხისმგებლობების აღებისა და სამსახურების ცვლის პარალელურად.

ცხოვრებისეული გარმოს შეცვლის სხვა მაგალითებს შორისაა დაქორწინება, განქორწინება ან დაქვრივება, ბავშვების გაზრდა, ახალ უბანში გადასახლება, უსამსახუროდ დარჩენა ან პენსიაზე გასვლა. ყოველი მათგანი მოითხოვს შეხედულებებისა და ქცევების შეცვლას. მაგალითად, ხანგრძლივ ქორწინებაში ყოფნის შემდეგ განქორწინება ან დაქვრივება ნიშნავს პაემნების ახალ გარემოში აღმოჩენას, რაც საკმაოდ განსხვავდება თქვენთვის ნაცნობი სიტუაციისგან. ურთიერთობის ახალი ფორმები, როგორიცაა „უსაფრთო სექსი“ ან „რესტორანში ანგარიშის გაყოფა“ შესაძლოა თქვენთვის, როგორც ძველი ტრადიციების მიმდევრისთვის, რთულად მისაღები აღმოჩნდეს. ზრდასრულთა სოციალიზაცია ხშირად მოითხოვს წინათ ათვისებული ნორმებისა და ღირებულებების ახლით ჩანაცვლებას, რასაც **რესოციალიზაცია** ეწოდება. სერიოზულ დაავადებასთან გამკლავება ან დაბერება ასევე ხშირად მოითხოვს ინტენსიურ რესოციალიზაციას. იმისათვის, რომ თავი გავართვათ ასაკ-

დახურული დაწესებულებები. ჯარი, საპატიმროები და სექტები გახლავთ დახურული დაწესებულებების ნიმუში, სადაც ხდება ინდივიდების წინა იდენტობის დათრგუნვა და მათი ხელახლა ჩამოყალიბება.

ში შესული ორგანიზმის ახალ შესაძლებლობებს, უარი უნდა ვთქვათ წინა ქცევებზე (მაგ.: აღარ უნდა ვივარჯიშოთ ყოველდღე).

რესოციალიზაციის კიდევ ერთი დრამატული მაგალითი შეგვიძლია ვიხილოთ **დახურულ დაწესებულებებში** (Goffman 1961), ისეთ ადგილებში, როგორიცაა ციხე, სექტა და ფსიქიატრიული საავადმყოფო; ზოგიერთ შემთხვევაში სკოლა-ინტერნატი, მოხუცებულთა სახლი, მონასტერი და ჯარი. დახურულ დაწესებულებებში მყოფი ადამიანები მოკვეთილნი არიან საზოგადოებას, ხოლო მათი ძველი იდენტობა სისტემატურად ნადგურდება და ხელახლა ყალიბდება. დახურულ დაწესებულებებს სხვადასხვა მიზნები აქვს, მაგალითად: კარგი ჯარისკაცების გაწვრთნა, დამნაშავეთა დასჯა ანდა სულიერი ავადმყოფობის მართვა, მაგრამ რესოციალიზაციის პროცესი ყველგან ერთნაირია – ხდება წინა იდენტობის ჩახშობა და სრულიად ახალი, დისციპლინირებული „მეს“ ჩამოყალიბება.

ზრდასრულთა შედარებით მცირე ნაწილი განიცდის დახურულ დაწესებულებაში არსებულ გარმოსთან რესოციალიზაციას. თუმცა, ყველა მათგანი განაგრძნობს ნორმებისა და ღირებულებების ათვისებასა და სინთეზირებას თავიანთი ცხოვრების განმავლობაში, მიმდინარეობს რა მათი გადაადგილება იმ განსხვავებული როლებისა და სოციალური გარემოსკენ, რომლებიც კიდევ ერთხელ სთავაზობენ ადამიანებს განუწყვეტელი სოციალიზაციის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

სტატუსები და როლები

სოციალიზაციის ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი ინდივიდუალური იდენტობის განვითარებაში. ასევე მოქმედებს ფართო საზოგადოებრივი სისტემაც. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ვირგებთ (ან გვარგებენ) სხვადასხვა სტატუსსა და როლს.

სტატუსი გახლავთ სოციალურ იერარქიაში არსებული პოზიცია, რომელსაც თან ახლავს მოლოდინების ერთობლიობა. ზოგჯერ ამ პოზიციებს ოფიციალური ფორმა ენიჭება – „პროფესორი“, „პრეზიდენტი“ ან თუნდაც „მშობელი“. მაგალითად, მშობლის ვალდებულებები გაწერილია კანონებში, რომლებიც კრძალავს ბავშვების უგულვებელყოფას და მათზე ძალადობას. ზოგიერთი სტატუსი

თანდაყოლილი სტატუსი: სტატუსი, რომელიც ადამიანს დაბადებიდან ახლავს; როგორც წესი, რთულია ან საერთოდ შეუძლებელი მისი შეცვლა.

განსხეულებული სტატუსი: სტატუსი, რომელსაც ფიზიკური მონაცემები წარმოქმნის.

მიღწეული სტატუსი: ინდივიდუალური ძალისხმევით მოპოვებული ან სხვების მიერ მიკუთვნებული სტატუსი.

ძირითადი (წამყვანი) სტატუსი: სტატუსი, რომელიც ყოველთვის შესაფერისია და გავლენას ახდენს ყველა დანარჩენ სტატუსზე.

სტერეოტიპის ფორმირება: სხვების განსჯა, რომელიც ეფუძნება ადამიანთა ჯგუფების ან კატეგორიების შესახებ არსებულ წინასწარფორმირებულ და განზოგადებულ წარმოდგენებს.

როლი: ქცევათა ერთობლიობა, რომელსაც ელიან ვინმესგან მისი სტატუსის გამო.

როლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ვირგებთ (ვიყენებთ) ურთიერთსაწინააღმდეგო მოლოდინების მქონე ორ ან მეტ როლს.

როლური დაძაბულობა: დაძაბულობა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც ერთ როლში მოქცეულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოლოდინები.

როლიდან გამოსვლა: პროცესი, რომლის დროსაც ვტოვებთ როლს, რომელსაც აღარასოდეს გამოვიყენებთ.

უფრო მეტად არაფორმალურია – მაგალითად, შეიძლება იყოთ „ კლასის მასხარა“ ანდა თქვენი სამეგობრო წრის „სინდისი“. ამ არაფორმალური სტატუსების კონტურები ნაკლებად გამოკვეთილი, თუმცა მაინც საკმაოდ შესამჩნევია. ყოველი ჩვენგანი ფლობს რამდენიმე სტატუსს, ისევე როგორც ერთდროულად ვიკავებთ პოზიციებს რამდენიმე სოციალურ იერარქიაში. ზოგიერთი სტატუსი იცვლება ცხოვრების განმავლობაში (მაგ.: ოჯახური ან მშობლის სტატუსი). არის ისეთი სტატუსებიც, რომლებიც, როგორც წესი, უცვლელია (მაგ.: სქესი).

არსებობს სტატუსების სხვადასხვა ტიპი. **თანდაყოლილი სტატუსი** გახლავთ ის, რომელთან ერთადაც ვიბადებით და რომელიც ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ შეიცვალოს (მაგ.: სქესი და რასა). **განსხეულებული სტატუსი** დაკავშირებულია ჩვენ ფიზიკურ სხეულთან (როგორიცაა სილამაზე ან შეზღუდული შესაძლებლობები). დაბოლოს, მიღწეული სტატუსი, რომელსაც მოვიპოვებთ საკუთარი ძალისხმევის შედეგად (როგორიცაა თანამდებობა, ჰობი, უნარ-ჩვევები) ან ის, რასაც სხვები გვაკუთვნებენ ამა თუ იმ გზით (მაგ.: კრიმინალური პიროვნება, ფსიქიკური აშლილობა ან წამალზე დამოკიდებულება). ყოველგვარი სტატუსი ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ აღგვიქვამენ სხვები და როგორ რეაგირებენ ჩვენზე. თუმცა, ზოგიერთი თანდაყოლილი, განსხეულებული თუ მიღწეული სტატუსი იძენს იმ ძალას, რომელსაც სოციოლოგები **ძირითად (წამყვან) სტატუსს** უწოდებენ – რომელსაც შეუძლია ჩვენ პიროვნებასთან დაკავშირებული ყველა სხვა სტატუსის გადაფარვა.

ძირითად სტატუსებს თან ახლავს მოლოდინები, რომლებსაც შეუძლია თვალი აუხვიოს ხალხს ჩვენი პიროვნული წახნაგების მიმართ. ადამიანებს სწრაფად შეუძლიათ მოსაზრებების გამოთქმა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება ქალი, აზიელი, ექიმი ან ალკოჰოლიკი. მათ შეუძლიათ ჩვენი შეფასება უფრო მეტად მოლოდინების, ვიდრე რეალური ნიშნების მიხედვით. ამგვარი შეფასება, რასაც ხშირად **სტერეოტიპის ფორმირებად** მოიხსენიებენ, ნეგატიურად და საზიანოდ ითვლება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ყველა ჩვენგანი იყენებს აღნიშულ მოლოდინებს ყოველდღიურ ცხოვრებაში; სტერეოტიპების ფორმირება, რამდენადაც პრობლემატური არ უნდა იყოს ეს, გარდაუვალი მოვლენაა.

როლი გახლავთ ქცევების ერთობლიობა, რომელსაც კონკრეტული სტატუსისგან ელიან. სოციოლოგები, როგორებიც არიან ირვინგ გოფმანი (Erving Goffman 1956) და რალფ ტერნერი (Ralph Turner 1978) განზრახ იყენებენ თეატრალურ ანალოგიას იმის აღსაწერად, თუ როგორ გვთავაზობს ესა თუ ის როლი ერთგვარ სცენარს, რომელშიც გადმოცემულია ყოველივე ის, რის თქმას ან გაკეთებასაც ელიან ჩვენგან სოციალურ სტრუქტურაში ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე. შესაბამისად, პროფესორების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი იქნებიან პასუხისმგებლობით აღსავსე მასწავლებლები და მკვლევრები. შრომითმა ხელშეკრულებამ და პროფესორ-მასწავლებელთა სახელმძღვანელომ შესაძლოა უფრო ფართოდ განსაზღვროს როლი: პროფესორს კვირაში უნდა ჰქონდეს გარკვეული რაოდენობის სამუშაო საათი; ლექციის გაცდენის შემთხვევაში მან უნივერსიტეტისგან უნდა მიიღოს საგანგებო ნებართვა. კლასის მასხარები არ აფორმებენ კონტრაქტს და მათ არ აძლევენ მითითებებს, თუმცა მიუხედავად ამისა, მათადმიც არსებობს გარკვეული როლური მოლოდინები: მათგან ელიან აუდიტორიაში მომხდარი რაიმე შემთხვევის ხუმრობად გადაქცევას და საკუთარი წარმატების საფრთხის წინაში დაყენებას სხვების მხრიდან სიცილის დამსახურების სანაცვლოდ.

ურთიერთობები

ფეხბურთის ეროვნული ლიგა თუ ოჯახი? კრის და სტეფანი შპილმანები

1998 წელს, „ბუფალო ბილზის“ ნახევარდამცველი კრის შპილმანი სერიოზული ტრავმის მოშუშების შემდეგ მინდორზე დასაბრუნებლად ემზადებოდა. იგი თავის მეუღლე სტეფანისთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად მშობლიური ოჰაიოდან ნიუ-იორკში გადადიოდა, რათა თავისი უსაყვარლესი სპორტული მატჩის მონაწილე გამხდარიყო. ბოლო ათი წლის განმავლობაში, სტეფანი – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით – კრისის გამამხნევებელი მხარდამჭერი იყო, რომელიც მეუღლის კარიერულ განვითარებას ერთგულად ემსახურებოდა. პროფესიული თასის ოთხგზის მფლობელს მეტსახელად „კაპიტან კრანჩს“ ეძახდნენ და ეს მისი მეტოქეებისთვის გასაგებიც იყო: შპილმანი ბრგე და ძლიერი კაცი გახლდათ, ხოლო ფეხბურთი მისი ცხოვრება იყო. ერთ დღესაც სტეფანის მკერდის კიბო დაუდგინეს, რის გამოც მათი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. სტეფანისთვის აუცილებელი გახდა ოჰაიოში დარჩენა, სადაც მას ქიმიოთერაპიის კურსი უნდა გაევლო. კრისი გადაწყვეტილების მიღების ურთულესი მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდა: გამგზავრებულიყო ნიუ-იორკში ფეხბურთის სათამაშოდ თუ დარჩენილიყო შინ თავის მეუღლესა და შვილებთან ერთად?

კრის შპილმანი როლებს შორის წარმოქნილ კონფლიქტს განიცდიდა. მისი პროფესიული როლი – პროფესიონალი სპორტსმენი – მოითხოვდა ისეთ ქმედებებს, რაც არათავსებადი იყო მეოჯახის, როგორც მეუღლისა და მამის როლთან. მის პროფესიულ როლთან დაკავშირებული მოლოდინები მოიცავდა საწვრთნელ ბაზებსა და გასვლით მატჩებზე ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობისათვის მზადყოფნას და სხვა ქალაქში დაფუძნებას. ხოლო, მეოჯახის როლთან დაკავშირებული მოლოდინები იყო ავადმყოფი მეუღლისა და ორი მცირეწლოვანი შვილის მოვლა და მათზე მზრუნველობა.

ეს მოლოდინები არა მხოლოდ ერთმანეთთან არათავსებადი იყო, არამედ მათ შესაძლოა მის სქესთან დაკავშირებული გარკვეული როლური დაძაბულობაც კი შეექმნათ: უფრო იოლია ახოვანი, ძლიერი მამაკაცის ენერგიული ნახევარდამცველის როლში წარმოდგენა, ვიდრე მეუღლისა და შვილების მომვლელის ამპლუაში დანახვა. მაგრამ კრისმა განაცხადა: „მე მსურდა, ვყოფილიყავი მეუღლის გვერდით და მჭეროდა მისი ხელი, როდესაც მას აღებინებდა. მე მსურდა მის გვერდში ყოფნა, როდესაც მას თავი გადაპარსეს. მე თავად მსურდა ქიმიოთერაპიის კურსებზე მისი წაყვანა“ (Cabot 1999). ყოველივე ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, თუკი კრისი ერთ კვირას დალასში, ხოლო მეორე

კრის შპილმანი, მისი მეუღლე სტეფანი და მათი ორი შვილი

კვირას – ტამპაში გაატარებდა. როლებს შორის წარმოქნილმა კონფლიქტმა იგი რთული არჩევანის წინაშე დააყენა: სამუშაო ან ოჯახი?

კრისმა ოჯახი აირჩა. როგორც მან 1999 წლის ინტერვიუში განაცხადა – „ჩემს ცხოვრებას ფეხბურთის გამო არ გავწირავდი, მაგრამ მზად ვიყავი, ცხოვრება ჩემი ოჯახისთვის დამეთმო. ამ ორი რამის ერთმანეთთან შედარებაც კი არ შეიძლება, რადგანაც ეს ორი ცნება აბსულუტურად განსხვავებულ განზომილებებს განეკუთვნება.

შესაძლოა მძიმედ ავადმყოფი მეუღლის გამო პროფეიონალი სპორტსმენი ვერ გახდეთ, მაგრამ ერთი რამ სრულიად ცხადია, რომ ისეთ ვითარებებში აღმოჩნდებით, სადაც თქვენი პროფესიული როლის მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოვა მეოჯახის როლთან. ვინ იცის, იქნებ უკვე გქონდათ კიდეც ამგვარი სიტუაცია. როგორ გადაჭრით ამგვარ როლურ კონფლიქტებს? ამჟამად სპორტული არხის ESPN-ის კომენტატორი კრის შპილმანი ამ საკითხს შემდეგნაირად აჯამებს – „წარსულის გახსენებისას ჩემი შვილები იტყვიან: „როდესაც მამას რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწია, მან სწორი არჩევანი გააკეთა“. მე მათთვის კარგი მაგალითის მიცემა მსურდა“ (Cabot 1999). ●

როლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი

ქცევის ზოგადი მოლოდინების დადგენით, როლები გვეხმარება ჩვენი ქცევების იმგვარ ჩამოყალიბებაში, რამაც შესაძლოა განსაზღვროს ჩვენი პიროვნება საკუთარი თავისა და სხვების თვალში. მაგალითად, ჩვენ ხშირად ვახასიათებთ საკუთარ თავს პიროვნული თვისებების მიხედვით: „მე პასუხისმგებლებით აღსავსე, მზრუნველი, კონკურენტუნარიანი ან ყოველთვის მხიარული პიროვნება ვარ“. აღნიშული თვისებები ხშირად იგივეა, რაც სხვადასხვა სტატუსთან (პროფესიონალი, მშობელი, სპორტსმენი ან მეგობარი) დაკავშირებული როლური მოლოდინები.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამდენიმე როლი ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირდება. ამგვარი ვითარება **როლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის** სახელით არის ცნობილი. შესაძლოა როლთა კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული მაგალითი პროფესიულ და ოჯახობრივ როლებს შორის წარმოქმნილ დაძაბულობას უკავშირდებოდეს. სამსახურში გამართული მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ გირეკავთ თქვენი შვილის სკოლის დამრიგებელი და გამცნობთ, რომ ბავშვი შეუძლოდაა. თქვენ ტოვებთ სამსახურს და მიემართებით შვილის სკოლიდან წამოსაყვანად, რითაც შესაბამისად აცდენთ შეხვედრას? თუ თქვენ ესწრებით შეხვედრას, რომლის მსვლელობისას ფიქრობთ მხოლოდ თქვენს შეუძლოდ მყოფ შვილზე? **როლური დაძაბულობა** თავს იჩენს მაშინ, როდესაც ერთ როლში ურთიერთსაწინააღმდეგო მოლოდინებია მოქცეული. მაგალითად, ბევრი მშობელი აღმოჩენილა დილემის წინაშე, წაეხალისებინა და გაეთამამებინა ბავშვი თუ დაესაჯა იგი. მშობელს შეუძლია მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტის არჩევა, რადგანაც ორივეს ერთდროულად განხორციელება არ არის შესაძებელი. ზოგჯერ ჩვენი ცხოვრება იმგვარად წარიმართება, რომ გვიწევს წინათ მორგებული როლის დატოვება. ამ პროცესს **როლიდან გამოსვლა** ეწოდება. მაგალითად, განქორწინების შემდეგ ჩვენ უკვე აღარ ვართ „ქმარი“ ან „ცოლი“.

სტატუსები და როლები გვეხმარება იდენტობის ჩამოყალიბებაში; ისინი გვთავაზობენ დირექტივებს (ხან ფორმალურს, ხანაც არაფორმალურს) ჩვენი საკუთარი ქცევებისთვის. ამავდროულად ისინი გვკარნახობენ მოდელებს, რომლის გამოყენებითაც სხვები ურთიერთობენ ჩვენთან. სტატუსები და როლები ჩვენი პირადი სოციალური კონსტრუქციის ნაწილია.

მარგარეტ ანდერსენი და ჰოვარდ ტეილორი

კულტურა და მედია *

დღეს ტექნოლოგიურად განვითარებულ თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანები – განსაკუთრებით ახალგაზრდები – ქუჩებში ყურსასმენებით დააბიჯებენ. ეს ყურსასმენები პლასტიკური გარსით იზოლირებული წვრილი სადენების მეშვეობით მცირე ზომის მოწყობილობას უკავშირდება, რომელიც ლითონისგან, პლასტიკატისგან, სილიციუმის მიკროჩიპებისგან და სხვა თანამედროვე კომპონენტებისგან შედგება. ბევრმა, ვინც ამ მოწყობილობებს იყენებს, არც კი იცის, თუ როგორ მზადდება ისინი. ამგვარი მოწყობილობების მეშვეობით ადამიანები მუსიკას უსმენენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, სურათებისა და ფილმების ნახვაც კი არის შესაძლებელი მასზე განთავსებული საფოსტო მარკის ზომის ეკრანზე. ზოგიერთს ვერც კი წარმოუდგენია ამგვარი მოწყობილობის გარეშე ქუჩაში გასვლა; თითქოს ის მათ კულტურის დანარჩენი ელემენტებისაგან გამიჯვნასა და იზოლირებაში ეხმარება.

იგივე ხალხს, ვინც აღნიშნულ მოწყობილობებს იყენებს, ასევე სხვა ჩვევებიც ახასიათებს, რაც ამგვარი კულტურისთვის უცხო ადამიანს შესაძლოა ძალზე უჩვეულო და რიტუალის მაგვარ ქმედებად მოიჩვენოს. ახალგაზრდები სკოლაში სხვადასხვა ტექნოლოგიურ ხელსაწყოს დაატარებენ. უახლოეს პერიოდში ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ერთ-ერთ ამგვარ ხელსაწყოს ძილის დროს მთელი ღამით ჩართულს ტოვებს. მას დიდი ბრტყელი კოლოფის ფორმა აქვს და ის ხმოვან გამოსახულებას უჩვენებს, როდესაც მომხმარებელი სხვა, მომცრო კოლოფზე განთავსებულ ღილაკებზე თითს აჭერს. დიდი კოლოფისგან განცალკევებული ამ მცირე ზომის კოლოფის გადატანა ოთახის ნებისმიერ ნაწილში შეიძლება. ამ პორტატულ მოწყობილობაზე განლაგებულ ღილაკებზე თითის დაჭერისას დიდ კოლოფში გამოსახულებისა და ხმის შეცვლა უამრავჯერ შეიძლება. აღნიშნული კოლოფის მიერ ნაჩვენები მრავალფეროვანი გამოსახულება ამ კულტურის წარმომადგენლების შეხედულებებზე და ქცევებზე დიდ გავლენას ახდენს. მათი თქმით, ოჯახების 40%-ს აღნიშნული ხელსაწყო დღე-ღამეში 24 საათი ჩართული აქვს (Gitlin 2002)!

ამ კულტურის წარმომადგენელი ახალგაზრდები გაღვიძებისთანავე ხელში კიდევ ერთ მოწყობილობას იღებენ, რათა თავიათნ მეგობრებს შეეხმიანონ (რომლებიც შესაძლოა სულაც არ ცხოვრობდნენ ახლოს). ტექსტის ასაკრეფად ისინი ეკრანიან, მცირე ზომის ხელსაწყოზე განთავსებულ ღილაკებს იყენებენ. მართლაც, ყველაფერს, რისი მეშვეობითაც ეს ახალგაზრდები კომუნიკაციას ამყარებენ, ეკრანი აქვს. სწორედ ამიტომაც წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა ამ თაობას „სკრინეიჯერები“[1] უწოდა.

აღნიშნული კულტურის ყველა წარმომადგენელს არ მიუწვდება ხელი ამ ხელსაწყოებზე, თუმცა, ბევრ მათგანს სურს მათი ქონა. ამგვარი მოწყობილებების მფლობელობა ერთგვარად სოციალურ სტატუსზე მიუთითებს, ანუ კულტურულ სივრცეში მათ მიხედვით ხდება ადამიანის შეფასება. თუმცა, ძალზე ცოტამ თუ იცის, სად ან რა გზით მზადდება ეს ხელსაწყოები, როგორ არის ისინი მოწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები ხშირად

---

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ერთი თავის თარგმანს წიგნისა: „სოციოლოგიის საფუძვლები“

1 Screenagers – ალუზია „თინეიჯერზე“. Screen – ინგლისურად ეკრანს ნიშნავს *(მთარგმნელის შენიშვნა).*

მასხრად იგდებენ უფროსი ასაკის ადამიანებს, ვინც არ იცის აღნიშნული მოწყობილობების გამოყენების წესები ანდა ვერ ხვდება, თუ რის გამოა ისინი ასე მნიშვნელოვანი.[2]

თუკი ამ კულტურას გარედან შევხედავთ, აღნიშნული განცდები და პრაქტიკა უცნაურად მოგვეჩვენება, თუმცა ამგვარ მოწყობილობებთან დაკავშირებულ ქცევებს ამ კულტურის ძალზე ცოტა წარმომადგენელი თუ მიიჩნევს უჩვეულოდ. ადამიანები უმეტესწილად საერთოდ არ ფიქრდებიან ამ ხელსაწყოებთან ასოცირებული ქცევების მნიშვნელობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, რაიმე მიზეზის გამო, რომელიმე მათგანი შეიძლება უცაბადად მწყობრიდან გამოვიდეს.

მისახვედრად ძნელი არაა, რომ ზემოაღწერილი მაგალითები ამერიკის კულტურიდან (და არამარტო ამ ქვეყნის კულტურიდან – რედაქტორის შენიშვნა) არის აღებული და ისეთ კომპონენტებს შეეხება, როგორიცაა აიპოდი/აიპედი, მულტიმედიური მუსიკალური პლეიერი, სმარტფონი, ვიდეო-მაგნიტოფონი და ტელევიზორი. აღნიშული კომპონენტები ყოველდღიურობის ნაწილია და ისინი თანამედროვე ამერიკულ კულტურას განსაზღვრავენ. ცალკეული შემთხვევების გარდა, ადამიანთა უმრავლესობა არ ფიქრობს, თუ რა გავლენა აქვს მათ საზოგადოებაზე, ადამიანურ ურთიერთობებსა და საკუთარი თავის აღქმაზე.

კონკრეტული კულტურისათვის დამახასიათებელი საყოველთაოდ მიღებული ჩვევები გარეშე თვალისთვის ხშირად საკმაოდ უცნაური ჩანს. ჩიკრინის ტომის ხალხი, რომელიც ბრაზილიის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულ ტროპიკულ ჯუგლებში ბინადრობს, ტანზე რთული დეტალებისაგან შემდგარ ორნამენტებს იხატავს. მოხატული სხეულების მეშვეობით ისინი კავშირს ამყარებენ თავიანთი საზოგადოების წევრებთან და სულების სამყაროსთან. ორნამენტების დიზანი და ფერები იმ ბალანსის სიმბოლოა, რომელიც, ჩიკრინის ტომის ხალხთა წარმოდგენით, ბიოლოგიურ ძალებსა და საზოგადოებრივ ჯგუფში ადამიანების ინტეგრაციას შორის არსებობს. ჩიკრინის ტომისათვის თმა სქესობრივ ძალასთან ასოცირდება. საყვარლებს შორის განსაკუთრებით ამაღელვებლად ითვლება კბილების მეშვეობით პარტნიორის წარბების ან წამწამების მოწიწკნა (Turner 1969). ამგვარი საქციელი მათთვის ისეთივე ჩვეულებრივი და არაეგზოტიკურია, როგორც ამერიკელებისათვის ყოველდღიური წეს-ჩვეულებები.

კულტურის შესასწავლად, გასაანალიზებლად და საზოგადოებაში მისი მნიშვნელოვნობის შესაფასებლად აუცილებლად უნდა დავივიწყოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა „უცნაური“ ან „ნორმალური“. კულტურას მისივე წარმომადგენლების თვალით უნდა შევხედოთ, მაგრამ ამავდროულად ამან სრულიად არ უნდა გადაფაროს საკუთარი შეხედულებები. მართებულია კულტურის შიგნიდან გაცნობა და მისი გარედან გააზრება და გაანალიზება.

გენდერთან დაკავშირებული დავალება

მსგავსია თუ არა მსოფლიოს ყველა კუთხის კულტურა? კითხვაზე პასუხის გასაცემად, კარგად დააკვირდით სიმბოლოებსა და რიტუალებს.

2 პუბლიკაციის ამ ნაწილის შთაგონების წყაროს წარმოადგენს ჰორას მაინერის (Horace Miner, 1956) კლასიკური სტატია „ნასირემა“ (Nacirema), რაც ინგლისური სიტყვის American-ის შებრუნებულ ვარიანტს წარმოადგენს. ის აგრეთვე ეფუძნება ნარკვევს, რომლიც დელავეას უნივერსიტეტის სტუნდენტებმა საინფორმაციო ბლოკადის თემას მიუძღვნეს. სტუდენტების თანახმად, მედიამოწყობილობების გარეშე ისინი თავს „პიროვნული შეგრძნებისგან განძარცვულად“ გრძნობენ, ხოლო საინფორმაციო ბლოკადის პერიოდს „საკუთარი ცხოვრების ყველაზე უარეს 48 საათად თვლიან“!

კულტურის განსაზღვრება

კულტურა არის მნიშვნელობისა და ქცევის კომპლექსური სიტემა, რომელიც მოცემულ ჯგუფში ან საზოგადოებაში ცხოვრების წესს განსაზღვრავს. სხვა კომპონენტებთან ერთად იგი მოიცავს რწმენა-წარმოდგენებს, ღირებულებებს, ცოდნას, ხელოვნებას, მორალს, კანონებს, წეს-ჩვეულებებს, ენას და ჩაცმულობას. კულტურის ნაწილს წარმოადგენს ასევე აზროვნების წესი, ისევე, როგორც ქცევის მოდელი. კულტურაზე დაკვირვება გულისხმობს ადამიანების შეხედულებების, ურთიერთქმედების ფორმებისა და მათ მიერ გამოყენებული ობიექტების შესწავლას.

ნებისმიერ საზოგადოებაში კულტურა განსაზღვრავს, თუ რა ითვლება ლამაზად ან მახინჯად, სწორად ან არასწორად, ავად ან კარგად. კულტურა საზოგადოების გამთლიანებას ეხმარება; მისი მეშვეობით ადამიანები საზოგადოებაში ერთობისა და სულიერი სიახლოვის შეგრძნებას იძენენ; კულტურა გვკარნახობს ქცევის წესებს და იმას, თუ როგორ უნდა ვიაზროვნოთ ამა თუ იმ ვითარებაში. კულტურა მნიშვნელობას სძენს საზოგადოებას.

კულტურა გახლავთ როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური. **მატერიალური კულტურა** შედგება მოცემულ საზოგადოებაში შექმნილი ობიექტებისგან, როგორიცაა შენობები, ხელოვნება, სამუშაო იარაღები, სათამაშოები, ბეჭდვითი და სამაუწყებლო მედია და სხვა იმგვარი ხელშესახები ობიექტები, რომლებიც პუბლიკაციის ამ ნაწილის დასაწყისში იყო განხილული. საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, ამ კატეგორიას განეკუთვნება მატერიალური კულტურის ნაშთები, რადგანაც შესაძლებელია მათი მუზეუმებსა თუ არქივებში თავმოყრა და გაანალიზება, თუ რისთვის გამოიყენებოდა ისინი. ეს ობიექტები მათთვის მინიჭებული მნიშვნელობის გამოა არსებითი. მაგალითად, ტაძარი არ გახლავთ მხოლოდ შენობა, ისევე როგორც ის არ წარმოადგენს მხოლოდ რელიგიური ცერემონიების ჩატარების ადგილს. მისი ფორმა და იდეა მორწმუნეთა რელიგიურ ღირებულებათა სისტემაზე მიუთითებს.

არამატერიალური კულტურა მოიცავს ადამიანთა ჯგუფის ნორმებს, კანონებს, წეს-ჩვეულებებს, იდეებსა და რწმენა-წარმოდგენებს. არამატერიალური კულტურა ნაკლებად ხელშესახებია, ვიდრე მატერიალური კულტურა, მაგრამ მისი არსებობა ძლიერად შეიგრძნობა სოციალურ ქცევებში. არამატერიალური კულტურის ნიმუშები უამრავია და ყოველდღიური ცხოვრების მოდელის მრავალ ასპექტში გვხვდება. ზოგიერთი კულტურის წარმომადგენლები საკვების მირთმევისას ჭურჭელს და დანა-ჩანგალს იყენებენ, ხოლო ზოგიერთნი – არა. ჭურჭელი და დანა-ჩანგალი მატერიალური კულტურის ნაწილია, ხოლო წარმოდგენა მათი გამოყენების ან არგამოყენების შესახებ – არამატერიალურ კულტურას განეკუთვნება.

სწორედ კულტურული მოდელი ხდის ადამიანს ასე საინტერესოს. განასხვავებს თუ არა კულტურა ადამიანს ცხოველისაგან? ცხოველის ზოგიერთი სახეობა განავითარებს იმას, რასაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთ. მაგალითად, შიმპანზეები ქცევას სხვებზე დაკვირვების და მიბაძვის შედეგად სწავლობენ. აღნიშულ ფაქტს ერთი და იმავე სახეობის შიმპანზეების ჭამის მანერაზე დაკვირვება ადასტურებს (Whiten et al. 1999). ზოგიერთმა მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ სპილოებს სჩვევიათ მკვდარი სპილოების ძვლების მოფერება, რაც შესაძლოა მწუხარების გამომხატველი ქცევა იყოს (Meredith 2003). ასევე ცნობილია, რომ დელფინებს რთული აკუსტიკური საკომუნიკაციო ენა აქვთ. გარდა ამისა, ბევრი ადამიანი თვლის, რომ მათი შინაური ცხოველები პატრონებს ესაუბრებიან. როგორც ჩანს, ადამიანი არ არის ის ერთადერთი არსება, ვისაც საკომუნიკაციო სისტემების შემუშავების უნარი შესწევს. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ზოგადად ასკვნის, რომ ცხოველებს არ აქვთ ის რთული, სიმბოლოებზე დაფუძნებული კულტურა, რაც ადამიანთა საზოგადოებებს ახასიათებს. შესაძლოა ისეც იყოს, როგორც ამას ჩარლზ დარვინი წერდა: „განსხვავება ადამიანისა და მაღალგანვითარებული ცხოველების ფსიქიკას შორის, რა მასშტაბისაც უნდა იყოს ის, უდავოდ მის ხარისხში – და არა სახეობაში – მდგომარეობს" (Darwin; Gould 1999).

ცხოველთა ჯგუფების შესწავლა კიდევ ერთხელ გვახსენებს ბიოლოგიასა და კულტურას შორის ურთიერთზეგავლენის არსებობის შესახებ. ადამიანის ბიოლოგია აწესებს საზღვრებს და გვთავაზობს გარკვეულ შესაძლებლობებს ადამიანის ცხოვრებასა და კულტურის განვითარებასთან მიმართებით. ანალოგიურად, გარემო, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ, ადამიანთა საზოგადოებებს შესაძლობლობებს სთავაზობს და შეზღუდვებს უწესებს. მაგალითად, კვებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო, რომელიც ამავდროულად ადამიანის სხეულის სიმაღლესა და წონაზე აისახება. ყველა როდი ისვრის ბურთს კალათში ლებრონ ჯეიმსის მსგავსად, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი ჩოგანს ვერ დაუხვედრებს ბურთს იმგვარად, როგორც ამას სერენა უილიამსი აკეთებს. თუმცა ვარჯიშისა და სათანადო პირობების შემთხვევაში, ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების გაძლიერება. არსებობს ბიოლოგიური საზღვრები, მაგრამ კულტურულ ფაქტორებს უზარმაზარი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრების განვითარებაზე.

სოციოლოგიურ ჭრილში დანახული სინამდვილე

დაბადების დღის აღნიშვნა!

დაბადების დღის ტორტი, სანთლები, მეგობრები, რომლებიც სადღესასწაულო სიმღერას ასრულებენ. წელიწადში ერთხელ თავს ისე ვგრძნობთ, თითქოს ეს ჩვენი დღეა, როდესაც მეგობრები და ოჯახის წევრები ერთად იკრიბებიან ამ დღის აღსანიშნად. გვიძღვნიან საჩუქრებს, გვიგზავნიან მისალოც ბარათებს; ზოგიერთ ასაკთან დაკავშირებით საგანგებო რიტუალებიც კი იმართება ალკოჰოლური სასმელების თანხლებით. თუკი შედარებით უფროსი ასაკის ხართ (მაგალითად, 40 ან 50 წლის), შესაძლოა მეგობრებმა იხუმრონ კიდეც და თქვენი სამუშაო კაბინეტი შავი გოფრირებული ქაღალდით მორთონ. ამგვარი გახლავთ აშშ-ში დაბადების დღესთან ასოცირებული კულტურული რიტუალები.

მაგრამ, როგორია ვითარება სხვა კულტურებში? ვიეტნამში, ტრადიციულად, ყველას დაბადების დღეს ყოველი წლის პირველ დღეს აღნიშავენ, სადაც ძალზე ცოტა თუ აცნობიერებს თავის ნამდვილ დაბადების დღეს. რუსეთში ამ დღეს ტორტის ნაცვლად სადღესასწაულო ღვეზელით ულოცავენ, ხოლო კეთილი სურვილები მის ქერქზეა ამოტვიფრული. ნიუნფაუნდლენდში იუბილარს უსაფრდებიან და გამოჩენისთანავე კარაქს უსვამენ ცხვირზე იღბლის ნიშნად, რადგანაც თვლიან, რომ ცხვირზე წასმული კარაქი საკმაოდ ცხიმიანია და ამის გამო უიღბლობას ხელის ჩავლება გაუჭირდება. მრავალი ამგვარი კულტურული ჩვეულება თანდათან იცვლება დასავლური კულტურის ზეგავლენის გამო, თუმცა ისინი გვიჩვენებს, თუ რა ძლიერი კულტურული ფესვების მქონეა ერთი შეხედვით ისეთი „ნორმალური“ მოვლენა, როგორიც დაბადების დღის აღნიშვნაა.

რა ტიპის ნორმები ასოცირდება დაბადების დღის დღესასწაულთან, რომლებსაც თქვენ დასწრებიხართ? რა სახის სოციალური ფაქტორები ახდენს ზემოქმედებას აღნიშნულ დღესასწაულებზე? როგორ აისახება მათში აშშ-ის კულტურული ღირებულებები? ●

კულტურის ნიშან-თვისებები

სხვადასხვა საზოგადოებებში კულტურის საერთო ნიშან-თვისებები არსებობს, მაშანაც კი, როდესაც ძირითადი მახასიათებლები განსხვავებულია. გთავაზობთ სხვადასხვა ნიშან-თვისებებს.

1. **კულტურა საზიაროა.** კულტურას არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუკი ადამიანებისთვის ის საერთო არ იქნებოდა. კულტურის განცდა და მის პრინციპებზე შეთანხმება კოლექტიურად ხდება. სწორედ კულტურის ამ თვისების გამო არის რეალური ადამიანთა საზოგადოების არსებობა. კულტურის საზიარო ბაზისის დანახვა შესაძლოა რთული

აღმოჩნდეს კომპლექსურ საზოგადოებებში, სადაც ჯგუფებს განსხვავებული ტრადიციები, თვალთახედვა და აზროვნებისა და ქცევის წესები აქვთ. მაგალითად, აშშ-ში განსხვავებულ რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს თავ-თავიანთი უნიკალური ისტორია, ენა და რწმენა-წარმოდგენები აქვთ, რაც განსხვავებულ კულტურებს გულისხმობს. თვით ამ ჯგუფების შიგნითაც კი განსხვავებული კულტურული ტრადიციებია მიღებული. მაგალითად, ლათინოამერიკელები განსხვავებული წარმოშობისა და კულტურის მრავალი ჯგუფისგან შედგებიან. მიუხედავად ამისა, არსებობს ლათინოამერიკული კულტურისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშან-თვისება, რომელიც ყველასათვის საზიაროა, მაგალითად, ესპანური ენა, ზოგიერთი ღირებულება და ტრადიცია. ლათინოამერიკელებისათვის ასევე საერთოა კულტურა, რომელიც აშშ-ში, როგორც უმცირესობისთვის საერთო გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბდა. ანალოგიურად, აფრო-ამერიკელებმა შექმნეს მდიდარი და განსხვავებული კულტურა, რომელიც აშშ-ში მათი უნიკალური გამოცდილების შედეგს წარმოადგენს. აფრო-ამერიკელთათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გახლავთ ის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც როგორც ამერიკული გამოცდილებიდან, ასევე აფრიკული და კარიბული ტრადიციებიდან მომდინარეობს. აფრიკელ ერის შემხედვარე აფრო-ამერიკელები დიდი ალბათობით ამოიცნობენ მათში თავიანთი კულტურის ელემენტებს, თუმცა ამავდროულად კულტურულ რანგში ისინი, როგორც ამერიკელები, თავს განსხვავებულად იგრძნობენ.

შეერთებულ შტატებში კულტურა ასაკის, რასის, რეგიონის, გენდერის, ეთნიკურობის, რელიგიის, კლასისა და სხვა სოციალური ფაქტორის მიხედვით განსხვავდება. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში გაზრდილ პიროვნებას განსხვავებული გემოვნობა, საუბრის მანერა და კულტურული ინტერესები უყალიბდება, ვიდრე ქვეყნის დასავლეთ რეგიონში გაზრდილს. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, არსებობს აშშ-ში ცხოვრებისთვის დამახასიათებელი საერთო კულტურული საფუძველი. გარკვეული სიმბოლოები, ენობრივი მოდელი, შეხედულებათა სისტემა და აზროვნების წესი გამორჩეულად ამერიკულია, რაც საერთო კულტურას აყალიბებს, მიუხედავად დიდი კულტურული მრავალფეროვნებისა.

2. **კულტურას ვსწავლობთ**. კულტურული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლა, როგორც წესი, ისე ზედმიწევნით ხდება, რომ ის აბსოლუტურად ბუნებრივ (თანდაყოლილ) მოვლენად გვეჩვენება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თვისებები ნამდვილად შეძენილია. რის გამო ვანიჭებთ რომელიმე საკვებს უპირატესობას? როგორ ყალიბდება მუსიკალური გემოვნების? კულტურის ათვისება შესაძლოა უშუალო სწავლების შედეგად მოხდეს, მაგალითად, როდესაც მშობელი ასწავლის ბავშვს სუფრის ვერცხლეულის გამოყენებას ანდა სკოლის მასწავლებელი უტარებს ბავშვებს გაკვეთილს სიმღერების, მითებისა და სხვა ტრადიციების შესახებ.

   კულტურის ათვისება ასევე არაპირდაპირი გზითაც ხდება დაკვირვებისა და იმიტაციის მეშვეობით. გაიხსენეთ, როგორ სწავლობს ადამიანი მამაკაცურ ან ქალურ საქციელს. შესაძლოა მამაკაცებისა და ქალების „შესაფერისი“ როლების სწავლება ღიად არ ხდეობოდეს, მაგრამ ადამიანები მოსალოდნელ თვისებებს დაკვირვების შედეგად იძენენ. პიროვნება კულტურის წევრი კულტურის ელემენტების ფორმალური და არაფორმალური გადაცემის შედეგად ხდება. კულტურის ყველა ელემენტის ათვისებამდე ადამიანი თავს გარიყულად იგრძნობს. კულტურის ათვისების პროცესს სოციოლოგები სოციალიზაციას უწოდებენ.

3. **კულტურა მოცემულობად მიიჩნევა**. რამდენადაც ადამიანები კულტურას ითვისებენ, კონკრეტული საზოგადების წევრები იშვიათად აყენებენ ეჭვქვეშ იმ კულტურას, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიმე მიზეზის გამო ადამიანი გარიყულად იქცევა ანდა დისტანცირდება მიღებულ კულტურულ მოლოდინებთან მიმართებით. ყოველდღიურად ადამიანები დაუფიქრებლად იზიარებენ ასობით კულტურულ თავისებურებას; კულტურა ამ თავისებურებებს „ნორმად“ აქცევს. თუკი ერთ დღეს უცაბედად შეწყვეტთ თქვენი კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გაზიარებას და თითოეულ რწმენა-წარმოდგენას და ქცევას ეჭვქვეშ

დააყენებთ, მაშინვე თავს გაუცხოებულად და დაბნეულად იგრძნობთ; ასევე შესაძლოა გაგიჭირდეთ საკუთარ ჯგუფში ნორმალურად ფუნქციონირება.

ამაში თავადვე დარწმუნდებით, თუკი საკუთარი კულტურის მიღმა იმოგზაურებთ, ანუ უცხო ქვეყანას ესტუმრებით. თვით ისეთი უმნიშვნელო რამ, როგორიცაა ჭამის მანერა ან ტუალეტით სარგებლობა შესაძლოა უცნაურად მოგეჩვენოთ და ამ ჩვევების სწავლა მოგინიოთ. შესაბამისად, ტურისტები მკვეთრად გამოირჩევიან უცხო კულტურაში. ისინი იშვიათად ფლობენ ცოდნას მონახულებული კულტურის შესახებ. მაშინაც კი, როდესაც ტურისტები კარგად არიან ინფორმირებულნი, ადგილობრივ საზოგადოებას ისინი საკუთარი კულტურული ორიენტაციის მიხედვით უდგებიან.

თუმცა აღნიშნულ საკითხზე დასაკვირვებლად სულაც არ არის საჭირო მშობლიური ქვეყნის დატოვება. ერთი საზოგადოების შიგნით არსებული კულტურული სხვაობები ასევე აყალიბებს სოციალურ ურთერთობებს. მაგალითად, მოსწავლეები, რომლებიც ისეთ კულტურულ ჯგუფში აღიზარდნენ, სადაც მიღებულია მშვიდად მოქცევა და საკუთარი აზრების საჯაროდ გამოხატვისგან თავშეკავება, შესაძლოა უტვინოდ ან „ჩამორჩენილად“ ჩათვალონ კლასში, სადაც მათგან საკუთარი თავის დამკვიდრებას და დებატებში აგრესიულად ჩართვას მოელიან. მაგალითად, ამერიკელი ინდიელები შესაძლოა ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდნენ და თუკი მასწავლებელს არ აქვს გააზრებული აღნიშნული კულტურული სხვაობები, ინდიელი მოსწავლეები შეიძლება დაისაჯონ კიდეც თავიანთი კულტურული ტრადიციების დაცვის გამო. ალბათ, მრავალი მაგალითი გახსენდებათ იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიწვიოს კულტურულმა გაუგებრობამ განსხვავებული შეხედულებების მქონე პირების იზოლაცია და ზოგიერთ შემთხვევაში დაუფარავი კონფლიქტიც კი. კულტურა გვაერთიანებს, მაგრამ კულტურებს შორის კომუნიკაციის არარსებობას შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოჰყვეს.

4. **კულტურას სიმბოლოები ახასიათებს**. კულტურის მნიშვნელობის არსი იმაში მდგომარეობს, თუ რა კონკრეტული მნიშვნელობებია მასში ჩადებული ადამიანებისათვის. **სიმბოლოები** გახლავთ ის საგნები ან ქცევები, რასაც ადამიანები მნიშვნელობას ანიჭებენ; ესა თუ ის სიმბოლო თავისთავად არ ატარებს რაიმე აზრს. მას მნიშვნელობას ადამიანები ანიჭებენ. მაგალითად, აშშ-ის დროშა, ერთი შეხედვით, ქსოვილის მორთულ ნაჭერს წარმოადგენს. მისი კულტურული მნიშვნელობა არანაირად არ უკავშირდება იმ ქსოვილს, რომლისგანაც ის არის შექმნილი, არამედ ის თავისუფლებისა და დემოკრატიის სიმბოლური მნიშვნელობიდან მომდინარეობს. სწორედ ამას მოწმობს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოფენილი დროშები.

   იმის გამო, რომ რაიმე საგანს ან მოვლენას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, სულაც არ ხდის მას ობიექტურ ფაქტებზე ნაკლები მნიშვნელობის ან გავლენის მატარებლად. სიმბოლოები ადამიანის კულტურის ძლიერი გამოხატულებაა. დაუკვირდით კონფედერაციის დროშას. ის, ვინც შენობებზე მის საჯაროდ გამოფენას ეწინააღმდეგება, ამ დროშას რასიზმისა და მონობის მემკვიდრეობის სიმბოლოდ მიიჩნევს. ხოლო ის, ვინც აღნიშნული დროშის გამოყენებას ემხრობა, მას სამხრეთული მემკვიდრეობის – ჯგუფური სიამაყისა და რეგიონული ლოიალურობის სიმბოლოდ აღიქვამს. ანალოგიურად, სპორტული გუნდების მიერ ამერიკელ ინდიელთა ავგაროზების გამოყენება ინდიელთა ექსპლუატაციის სიმბოლოდ ითვლება. ადგილობრივი ამერიკელი აქტივისტები და მათი მხარდამჭერები აღნიშნული ავგაროზების გამოყენებას ღირსების შემლახველად და უკიდურესად შეურაცხმყოფელად მიიჩნევენ, რაც, მათი აზრით, ინდიელთა ტრადიციების დამახინჯებულად წარმოჩენას უტოლდება (მაგალითისათვის, გაიხსენეთ ვაშინგტონის „რედსკინები“[3], კლივლენდის „ინდიელები“[4] ანდა ატლანტის „ბრეივზის“[5] „ტომაჰავკის ჟესტი“). აღნიშნული სიმბოლოების გარშემო განვითარებული საპროტესტო მოქმედებები კულტურული სიმბოლოების უდიდეს გავლენაზე მიუთითებს.

3 ამერიკული საფეხბურთო გუნდი; Redskins – *(ინგლ.)* წითელკანიანები. *(მთარგმნელის შენიშვნა)*
4 ბეისბოლის ამერიკული გუნდები *(მთარგმნელის შენიშვნა)*
5 ბეისბოლის ამერიკული გუნდი *(მთარგმნელის შენიშვნა)*

სიმბოლოებისადმი დამოკიდებულებამ შეიძლება ადამიანის ქცევაზე იქონის ზემოქმედება. მაგალითად, ეროვნული ჰიმნის შესრულებისას ადამიანები ფეხზე დგებიან; მათზე ემოციურად და ამაღელვებლად მოქმედებს ჯვრის ან დავითის ვარსკვლავის გამოსახულება. ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანები მასობრივ საპროტესტო მოძრაობებსაც კი აწყობენ მათთვის მნიშვნელოვანი სიმბოლოების შეურაცხყოფის გამო, როგორიცაა დროშის ან ჯვრის დაწვა. კულტურის სიმბოლური ღირებულების მნიშვნელოვნობა გადაჭარბებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. კულტურის შესწავლა ნიშნავს არამარტო კონკრეტული ქცევების გაზიარებას, არამედ კულტურის შიგნით არსებული სიმბოლური მნიშვნელობების ათვისებასაც.

საზოგადოებაში გავრცელებული მითების გაქარწყლება

მითი: სკოლების მიერ ამერიკელ ინდიელთა ავგაროზების გამოყენება მხოლოდ გართობის მიზნით ხდება და ამას არანაირი დატვირთვა არ აქვს.

სოციოლოგიური თვალთახედვა: ენა თავის თავში უამრავ მნიშვნელობას მოიცავს. მასში ასახულია მრავალფეროვანი ჯგუფების სოციალური ღირებულებები. კვლევა გვიჩვენებს, რომ სკოლებისა და სპორტული გუნდების თილისმებად ამერიკელ ინდიელთა სიმბოლოების ტრივიალური და დამამცირებელი გამოყენება უარყოფითად მოქმედებს ინდელთა შვილების თვითშეფასების გრძობაზე (Fryberg 2003). ●

5. **კულტურა განსხვავდება დროსა და სივრცეში**. ადამიანების მიერ სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან ადაპტაციასთან ერთად კულტურაც ვითარდება. კულტურა არც მუდმივია და არც უცველელი. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ადამიანური პრობლემების სამეცნიერო გზით მოგვარებასთან დაკავშირებით ძლიერი კულტურული რწმენა არსებობს. შესაბამისად, ბევრი ფიქრობს, რომ ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორიცაა საკვები პროდუქტების რესურსები და გარემოს მდგომარეობის გაუარესება, სამეცნიერო მიღწევების მეშვეობით არის შესაძლებელი; მაგალითად, გენური ინჟინერიის დახმარებით მაღალმოსავლიანი პამიდვრის გამოყვანა ან კლონირების შედეგად საქონლის ცოფით დაავადების აღმოფხვრა. სხვანაირ კულტურულ გარემოში განსხვავებულ საშუალებებს ენიჭება უპირატესობა. ზოგიერთი რელიგია მიიჩნევს, რომ გენური ინჟინერია ღვთის ფუნქციებში ჩარევას ნიშნავს.

   კულტურა ასევე იცვლება დროთა განმავლობაში. ახალი გარემოების წინაშე ადამიანების აღმოჩენით აღმოცენებული კულტურა წარსულისა და აწმყოს ნაზავია. აშშ-ში მცხოვრები იმიგრანტების მეორე თაობა თავიანთი წარმოშობის კულტურულ ტრადიციებზე არიან აღზრდილნი, ხოლო იმიგრანტთა შვილები, როგორც წესი, ორი ტრადიციულ-კულტურული მოლოდინის თანახმად იზრდებიან, რომელთაგან ერთი მათი მშობლების სამშობლოს უკავშირდება, ხოლო მეორე – ახალ საზოგადოებას. ახალ საზოგადოებასთან ადაპტაციამ შესაძლოა თაობათა შორის კონფლიქტი წარმოშვას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი უფროსი თაობის წარმომადგენლებს შთამომავლობისთვის თავიანთი კულტურული ტრადიციების გადაცემა აქვთ განზრახული. შვილები უფრო მეტად თანატოლთა გავლენას განიცდიან და შეიძლება ახალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობის, საუბრის და ქცევის მანერები შეითვისონ, რაც, თავის მხრივ, მიუღებელია მათი მშობლებისათვის.

შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ კულტურა თვალსაჩინოა, რადგანაც შესაძლებელია იმ კულტურულ ობიექტებსა და ადათ-წესებზე დაკვირვება, რომლებიც ადამიანის ყოფას განსაზღვრავს. ამავდროულად, კულტურა აბსტრაქტულია, რადგანაც ის გახლავთ აზროვნების, შეგრძნების, რწმენისა და ქცევის წესი. კულტურა ერთმანეთთან აკავშირებს წარსულსა და აწმყოს, რადგანაც ის იმ ცოდნას შეადგენს, რაც ჩვენ ადამიანთა ჯგუფების ნაწილად გვაქცევს. კულტურა ადამიანურ გამოცდილებას აყალიბებს.

სოციოლოგიური კვლევა

ტატუირება: სტატუსისათვის მიყენებული საფრთხე თუ სტატუსის სიმბოლო?

კვლევის საკითხი: სულ ცოტა ხნის წინ ტატუირება სოციალური გარიყულობის ნიშნად ითვლებოდა. ისინი ასოცირდებოდა ბანდის წევრებთან, მეზღვაურებთან და არასრულწლოვან დამნაშავეებთან. დღეს ტატუ უკვე მოდის ნაწილად იქცა, ანუ ის მოდურობასთან და დახვეწილ სტილთან არის გაიგივებული. რამ შეუწყო ხელი ერთ დროს სტიგმატიზირებული და მუშათა კლასთან ასოცირებული საქმიანობის საშუალო კლასის წარმომადგენელთა მოდურობის დამატასტურებელ ნიშნად გარდაქმნას?

კვლევის მეთოდი: სწორედ ამ საკითხის გარკვევა სურდა სოციოლოგ ქეთრინ ირვინს, როდესაც მან საშუალო კლასის წარმომადგენლებში ტატუირების მზარდი ტენდენცია შენიშნა. ტატუს კულტურას სოციოლოგი პირველად მაშინ გაეცნო, როდესაც იგი მეგობარს ტატუირების სალონ „ცისფერ მეჩეთში“ გაჰყვა. მას შემდეგ ქეთრინმა სისტემატურად დაიწყო იქ სიარული, რასაც ოთხწლიანი კვლევა მოჰყვა. კვლევა მონაწილეებზე დაკვირვებას და სალონის ახალბედა კლიენტებთან ინტერვიუებს მოიცავდა. გამოკითხულთა შორის იყვნენ აგრეთვე ტატუირებულთა და ტატუს გაკეთების მსურველთა მშობლები.

კვლევის შედეგები: ირვინმა დაადგინა, რომ საშუალო კლასის წარმომადგენლებს თავდაპირველად აშინებდათ საკუთარი სურვილი. მათი აზრით, ხალხი მათ დაბალი სტატუსის ჯგუფებთან გააიგივებდა. თუმცა შემდგომში ისინი დამორჩილდნენ თავიანთ სურვილს, რაშიც მათ ის დამოკიდებულება დაეხმარა, რომლის მიხედვითაც ტატუირება საშუალო კლასის ღირებულებეთან და ნორმებთან ასოცირდებოდა. ამგვარად, ტატუ მათ დამოუკიდებლობის, უკომპლექსობისა და თავისუფლების სიმბოლოდ აღიარეს. ქალების დიდი ნაწილისათვის ტატუ სიძლიერისა და სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა. მათი აზრით, ეს ის ღირებულებებია, რაც ქალურობის ჩვეულ იდეალებს უარყოფს.

ზოგიერთისთვის ტატუ ალტერნატიულ სოციალურ ჯგუფებთან დაახლოებისა და კუთვნილების გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს, რაც მარგინალურ სოციალურ წრეებში ერთგვარ საშვად აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ ჯგუფებში ტატუს სხვადასხვა კულტურული მნიშვნელობა ენიჭება, ტატუს მქონე ადამიანები სხვადასხვა ხერხს (რასაც ირვინი „ლეგიტიმაციის ტექნიკას“ უწოდებს) იყენებდნენ მასთან ასოცირებულ ნეგატიურ სტერეოტიპებთან გასამკლავებლად.

დასკვნები და მოსაზრებები: ირვინი ასკვნის, რომ ხალხი ცდილობს თავისი ქცევის მისაღებ კულტურული ღირებულებებისა და ნორმებისათვის მისადაგებას, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული ქცევა გაბატონებული სტანდარტების ფარგლებს თითქოსდა სცდება.

გასააზრებელი საკითხები

1. თქვენი აზრით, ტატუ მოდაა თუ ნორმიდან გადახრა? როგორ ფიქრობთ, რა ახდენს გავლენას ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენ მოსაზრებაზე? იქნებოდა თუ არა თქვენი მოსაზრება განსხვავებული, სხვა კულტურის, ასაკორბივი ჯგუფის ან ისტორიული პერიოდის წარმომადგენელი რომ ყოფილიყავით?

2. არსებობს თუ არა რომელიმე მოდური მორთულობა ან მოკაზმულობა, რომელსაც განსხვავებულ სოციალურ კლასს მიაკუთვნებთ? ჩამოთვალეთ ისინი. როგორ აფასებენ (დადებითად თუ უარყოფითად) მათ ადამიანები? საიდან მომდინარეობს ამგვარი შეფასებები და რატომ ასოცირდება ისინი სოციალურ კლასთან?

წყარო: ქეთრინ ირვინი (Irwin, Katherine. 2001). „პირველი ტატუს გამართლება: არაფორმალური ურთიერთობების მორალური მხარე“. (Symbolic Interaction 24 (March): 49-73) ●

ცხრილი 1. კულტურის ელემენტები

	განსაზღვრება	მაგალითი
ენა	სიმბოლოებისა და წესების ერთობლიობაა, რომელიც კომუნიკაციის კომპლექსურ სუსტემას წარმოადგენს	ინგლისური; ესპანური; იეროგლიფები
ნორმები	გახლავთ კონკრეტული კულტურული მოლოდინები მოცემულ ვითარებაში ქცევის წესთან მიმართებით	ქცევა, რომელიც პირადი სივრცის გამოყენებას მოიცავს; მანერები
ქცევითი სტანდარტები	ჯგუფის მიერ დაცული ქცევის ზოგადი სტანდარტები	ჩაცმულობის კულტურული ფორმები; კვების თავისებურებები
მორალური ნორმები	მორალური და ეთიკური ქცევის მაკონტროლებელი მკაცრი ნორმები	რელიგიური დოქტრინები; ფორმალური კანონი
ღირებულებები	საზოგადოებაში ან ჯგუფში არსებული იდეალური პრინციპების განმსაზღვრელი აბსტრაქტული სტანდარტები	თავისუფლება; დამოუკიდებლობა
რწმენა-წარმოდგენები	მოცემულ კულტურაში კოლექტიურად აღირებული და გაზიარებული იდეები ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით	რწმენა უმაღლესი არსების შესახებ

კულტურის ელემენტები

კულტურა მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომელიც მატერიალური და არამატერიალური კომპონენტებისგან შედგება, რომელთაგან ზოგიერთი ნაწილი აბსტრაქტულია და ზოგიც – კონკრეტული. კულტურის სხვადასხვა ელემენტები მოიცავს ენებს, ნორმებს, რწმენა-წარმოდგენებსა და ღირებულებებს (იხ. ცხრილი 1).

ენა

ენა სიმბოლოებისა და წესების ერთობლიობაა, რომელიც კომუნიკაციის კომპლექსურ სისტემას წარმოადგენს. ადამიანებში კულტურის ფორმირება ენის მეშვეობით მიმდინარეობს. კულტურისთვის დამახასიათებელი ენის შესწავლა საზოგადოების ნაწილად ქცევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ბავშვების მიერ ენის ელემენტარულ დონეზე ათვისებამდე თითქმის შეუძლებელია სხვა სოციალური უნარ-ჩვევების შეძენა. ენა იმდენად არსებითია ადამიანთა შორის ურთიერთობებისთვის, რომ ცხოვრება მის გარეშე რთულად წარმოსადგენია. როგორც ერთ-ერთი პუბლიცისტი აღნიშნავს, „ცხოვრება საუბრების მთელი რიგისაგან შედგება“ (Tannen 1990:13).

დაფიქრდით, როგორ ხდება ადამიანი საზოგადოების ნაწილი. თუკი თქვენ ახალ საზოგადოებასთან ან განსხვავებულ სოციალურ ჯგუფთან გიწევთ ურთიერთობა, აუცილებლად დაგჭირდებათ მისი ენის სწავლა, რათა ამ ჯფუფის ნაწილი გახდეთ. აღნიშნული პროცესი

მოიცავს ამ ჯგუფის მიერ გამოყენებულ ნებისმიერ სპეციალურ ტერმინს. მაგალითად, იურისტებს თავიანთი ლექსიკონი აქვთ, რომლის გამოყენებითაც ისინი თავისებურად აწყობენ წინადადებებს, რასაც ხშირად გაურკვეველ იურიდიულ ტერმინოლგიას უწოდებენ. ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წევრად გახდომა (მეგობართა წრე, ქალთა თუ მამაკაცთა საუნივერსიტეტო კლუბი და ა.შ.) მათ მიერ გამოყენებული ენის შესწავლას მოითხოვს. ის, ვინც არ იზიარებს მოცემული ჯგუფის ენას, ვერ გახდება მისი კულტურის სრულფასოვანი წევრი.

ცხრილი 2. ინტერნეტის ენა

საზოგადოებისა და კულტურის ცვლილებასთან ერთად ხშირად ენაც იცვლება. ამის ერთ-ერთი მაგალითია ტექსტური შეტყობინებები, რომელთა რამდენიმე ნიმუშს ქვემოთ გთავაზობთ.

AAS	ცოცხალი ვარ და მიხარია	MTFBWU	გფარავდეს ძალა!
B/F	ბოიფრენდი	OP	ტელეფონზე ვსაუბრობ. დაკავებული ვარ
BM&Y	ჩვენ შორის დარჩეს	POS	მშობლები თავზე მადგანან
BTDT	ეს უკვე გავიარეთ	SLAP	მშვენიერი აზრია!
CRBT	ცრემლებს ვღვრი	SNAG	მგრძნობიარე თანამედროვე ბიჭი
FYEO	მხოლოდ შენ გაგიმხელ	SUP	გაუმარჯოს! როგორ ხარ?
GFI	არ გაუშვა შანსი	TMB	დამიმესიჯე!
HAGO	წარმატებულ დღეს გისურვებ!	UCMU	შენ მე გამაგიჟებ!
KIR	ნუ დაკომპლექსდები!	WDYK	რას მელაპარაკები?!
KOTL	გკოცნი ტუჩებში	WOMBAT	იაფფასიანი ხრიკია
KWIM	მიხვდი, რასაც ვგულისხმობ?	WWJD	ღმერთმანი!
LD	დროებით!	YRYOCC	სულ გააფრინე!
		ZZ	მოვიწყინე

წყარო: „ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული აბრევიატურები“, 2007. www.webopedea.com; www.netlingo.com

ენა მუდმივად ცვლებადი და დინამიკური მოვლენაა, რომელიც სოციალური ცვლილების საპასუხოდ ვითარდება. გაიხსენეთ, თუ რა გავლენა იქონია ინგლისურ ენაზე კომპიუტერების გამოჩენამ. დღევანდელ პერიოდში, ადამიანები უკვე საუბრობენ ისეთ რამეზე, როგორიცაა „პროგრამის ჩამოტვირთვა“ და მონაცემების „შეყვანა“. სულ რამდენიმე წლის წინ რომ გეთქვათ – „მეგობარს „მესიჯი“ უნდა მივწერო“, ვერავინ მიხვდებოდა, თუ რისი თქმა გსურდათ. მოკლე ტექსტურმა შეტყობინებებმა ასევე ახალი ენა წარმოშო: BFF (მუდამ საუკეთესო მეგობრები), LOL (მოვკვდი სიცილით), GTG (უნდა წვიდე). ამგვარი ტერმინები

უცხო არ არის მათთვის, ვინც ტექსტური შეტყობინებების კულტურას მიეკუთვნება. ბოლო დროს უკვე ლექსიკონებიც კი შეიქმნა, სადაც აღნიშნული „სიტყვებია“ განმარტებული (იხ. ცხრილი 2).

ახდენს თუ არა ენა კულტურაზე გავლენას? ენა უდავოდ კულტურის უდიდესი ნაწილია. ედვარდ სეპირი (მოღვაწეობდა 1920-იან წლებში) და მისი მოსწავლე ბენჯამინ უორფი (მოღვაწეობდა 1950-იან წლებში) თვლიდნენ, რომ ენა გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური აზროვნების განსაზღვრისას. მათი თეორია, რომელიც **სეპირ-უორფის ჰიპოთეზის** სახელით არის ცნობილი, ამტკიცებს, რომ ენა კულტურის სხვა ასპექტებს განსაზღვრავს, რადგანაც ენა იმგვარ კატეგორიებს გვთავაზობს, რომლის მეშვეობითაც ხდება სოციალური რეალობის დადგენა. სეპირი და უორფი თვლიდნენ, რომ ენა განსაზღვრავს იმას, თუ რას ფიქრობენ ადამიანები, რადგანაც ენა ადამიანებს სამყაროს გარკვეული კუთხით აღქმას აიძულებს (Sapir 1921; Whorf 1956).

სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად, სხვადასხვა ენებზე მოსაუბრეები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ რეალობას. უორფმა დროის სოციალური მნიშვნელობის მაგალითი იმის სადემონსტრაციოდ გამოიყენა, თუ როგორ ახდენს გავლენას ენა რეალობის აღქმაზე განსხვავებულ კულტურებში. იგი აღნიშნავს, რომ ჰოპის ტომის ინდიელები დროს ნელი ტემპით მბრუნავ ცილინდრად აღიქვამენ, მაშინ როდესაც ინგლისურენოვანი საზოგადოების წარმოდგენით დრო წინ, ერთი მიმართულებით, მონოტონურად მოძრავ ფენომენს წარმოადგენს. დროის ლინგვისტური კონსტრუქციები გავლენას ახდენს ამ ორ განსხვავებულ კულტურაზე და მათ მიერ დროის აღქმაზე, რაც თავისთავად აყალიბებს რეალობის შესახებ მათეულ წარმოდგენას. ჰოპის ტომის კულტურაში მოვლენები არა დროის კონკრეტული მომენტების მიხედვითაა გადანაწილებული, არამედ ისინი „ყოფიერების კატეგორიებში“ არის განთავსებული, თითქოს ყველაფერი ჩამოყალიბების, გახდომის სტადიაში იმყოფება, ნაცვლად კონკრეტულ დროსა და ადგილზე ფიქსირებულად არსებობისა (Carroll 1956). ამისგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მოვლენები განსაზღვრულ დროსა და სივრცეში არის განთავსებული; მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზმნის დროის ფორმას, რომლის მიხედვითაც მოვლენები მკაფიოდ არის მოქცეული წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში.

თანამედროვე კრიტიკოსები არ ანიჭებენ ენას იმდენად დიდ როლს კულტურის განსაზღვრასთან მიმართებით, როგორც ამას სეპირი და უორფი აკეთებდნენ. ენა არ არის ერთადერთი მოვლენა, რომელიც გვკარნახობს რეალობის აღქმის წესებს, თუმცა ენას უდავოდ ძლიერი გავლენა აქვს კულტურაზე. ამჟამად, მეცნიერთა დიდი ნაწილი აღიარებს ენასა და კულტურას შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირს. შეკითხვის იმგვარად დასმა – ენა განსაზღვრავს კულტურას თუ პირიქით? – მსგავსია კითხვისა: ქათამი შეიქმნა პირველად თუ კვერცხი? ენა და კულტურა ერთმანეთთან განუყოფელად არის დაკავშირებული. ისინი ერთმანეთს აყალიბებენ.

კიდევ ერთხელ განვიხილოთ დროსთან დაკავშირებული მაგალითი. თანამედროვე ამერიკელები კვირას ორ ნაწილად – *სამუშაო დღეებად* და *უქმეებად (შაბათ-კვირად)* – დაყოფილად აღიქვამენ, რაც იმაზე მიუთითებს, თუ როგორ აღვიქვამთ დროს. როდის სრულდება კვირა? ენა, რომელშიც კვირის ბოლო (შაბათ-კვირა) დადგენილია, უქმეების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გვიქმნის. კვირის ეს ნაწილი ჩვენთვის დასვენებას, თამაშს, საოჯახო საქმეს და ოჯახს ნიშნავს. ამ მხრივ, ენა აყალიბებს ჩვენს წარმოდგენას დროის მსვლელობასთან დაკავშირებით – ჩვენ ველოდებით კვირის ბოლოს (შაბათ-კვირის) დადგომას, ვემზადებით სამუშაო დღეებისთვის. თუმცა თავად ენა (კვირის ბოლოს კონცეფცია) კულტურაში არსებული მოდელებიდან იღებს სათავეს. კერძოდ, ეს გახლავთ მოწინავე კაპიტალიზმის შრომის მოდელი. კაპიტალისტური შრომის ეთიკა მორალურად მიუღებლად თვლის „დროის უბრალოდ გაყვანას“, რადგანაც აუცილებელია დროის მართვა (დაგეგმვა). ინდუსტრიულამდელ, სოფლის მეურნეობის მიმდევარ საზოგადოებებში დროის კონცეფციის სხვაგვარი მოდელი არსებობს. სოფლის მეურნეობის მიმდევარ საზოგადოებებში დრო და კალენდარი სასოფლო-სამეურნეო და სეზონურ მოდელს ეფუძნება, სადაც წელი აღნიშნული რიტმის – და არა დროის აუცილებელი ერთეულების

(კვირა, თვე) – მიხედვით მიედინება. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ აყალიბებს ერთმანეთს ენა და კულტურა.

ენაში არსებული სოციალური უთანასწორობა. ნებისმიერ კულტურაში ენა საზოგადოების ბუნებას ასახავს. ამგვარად, საზოგადოებაში, სადაც უთანასწორობა სუფევს, საკომუნიკაციო ენაც უმეტესწილად განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებთან დაკავშირებულ მოსაზრებებსა და სტერეოტიპებს მოიცავს. ის, რასაც ხალხი ლაპარაკობს, ადამიანებისათვის შერქმეული სახელების ჩათვლით, საზოგადოებაში უთანასწორობის მოდელის გამყარებას უწყობს ხელს (Moore 1992). დავაკვირდეთ, რას უწოდებენ აშშ-ში მცხოვრებ განსხვავებულ ჯგუფებს. ვინმესთვის შერქმეული სახელი შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, რადგანაც ეს სახელი ამ პიროვნებას კუთვნილებას ანიჭებს. სწერედ ამ მიზეზით დაობენ ბევრს სხვადასხვა რასობრივი და ეთნიკური ჯგუფებისთვის შერქმეული სახელების გამო. წლების განმავლობაში, მკვიდრ ამერიკელებს „ინდიელებს“ უწოდებდნენ, რადგანაც ამ ტერმინს მათთან მიმართებაში თეთრკანიანი დამპყრობლები იყენებდნენ. აბორიგენული ფესვებისთვის ხაზგასასმელად შემოღებულ იქნა ტერმინი *მკვიდრი ამერიკელი*. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს რეალური წარმოშობის სახელით მოხსენიება ურჩევნია, მათ მიმართ, სხვა სახელებთან ერთად, კვლავ გამოიყენება *მკვიდრი ამერიკელი* და *ამერიკელი ინდიელი*. ანალოგიურად, აზიური წარმოშობის ამერიკელები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, როდესაც მათ „აღმოსავლელს“ უწოდებენ. ეს გამოთქმა აზიური ერებისადმი დასავლური (ანუ ევროპული და ამერიკული) შეხედულებებიდან მომდინარეობს.

ენა ასახავს განსხვავებული ჯგუფების მიმართ არსებულ სოციალურ ღირებულებას; მასში ასევე აირეკლება ძალაუფლებრივი ურთიერთობები, იმისდა მიხედვით, თუ ვინ ვის არქმევს სახელს. შეურაცხმყოფელი ტერმინები, როგორიცაა „გაუთლელი“, „ხეპრე“, „ ღატაკი თეთრკანიანი“ (გამოიყენება აშშ-ის სამხრეთი შტატების მაცხოვრებელთა მიმართ), ადამიანთა სტიგმატიზაციას ახდენს რეგიონული კუთვნილებისა და სოციალური კლასის მიხედვით. ამიტომაც არის ასე დამამცირებელი რასობრივ-ეთნიკური ჯგუფების მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება. მაგალითად, ამერიკის სამხრეთ შტატებში ჯიმ ქროუს სეგრეგაციის პერიოდში, შავკანიან მამაკაცებს, მიუხედავათ მათი ასაკისა, თეთრკანიანები „ბოის“ (ბიჭუნა, მსახური) სახელით მიმართავდნენ. ზრდასრული მამაკაცისთვის ამ ტერმინით მიმართვა შეურაცხმყოფელი იყო, რადგანაც ის მის სტატუსს ამცირებდა და კაცს ბავშვთან აიგივებდა. იგივე ეხება ქალისათვის „გოგონას“ დაძახებას. რატომ მიმართავენ ახალგაზრდა ქალებს „გოგონათი“, მაშინაც კი, როდესაც მათი ასაკი ოც წელს აღემატება? ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, ესეც ამცირებს ქალის სტატუსს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ტერმინები, როგორიცაა *გოგონა* და *ბიჭუნა* მხოლოდ ჯგუფში აღმატებულსა და დაქვემდებარებულს შორის ურთიერთობების კონტექსტშია მიუღებელი და გასაკიცხი. მაგალითისთვის, აფრო-ამერიკელი ქალები არაფორმალურ საუბარში ხშირად მიმართავენ ერთმანეთს „გოგონას“ ფორმით. ამ ტერმინის ერთნაირი სტატუსის მქონე პირთა მიერ გამოყენება არ ითვლება შეურაცხმყოფელად, მაგრამ თუკი ამ სახელს ზემოდგომ საფეხურზე მყოფი ადამიანი იყენებს (მაგ.: მამაკაცი უფროსი მდივანი ქალის მიმართ), ეს დამამცირებელია. ანალოგიურად, ჟარგონული ტერმინები, რომლებიც ლესბოსელს ან ჰომოსექსუალს აღნიშნავს, ხშირად იხმარება არადამამცირებელ კონტექსტში ერთმანეთის მიმართ თავად ლესბოსელებისა და გეების მიერ, ხოლო მათ მიმართ აღნიშული ტერმინების სხვების მიერ გამოყენება შეურაცხმყოფელად ითვლება. საკუთარ კულტურაში ამ სიტყვების პოზიტიური განწყობით გამოყენება ლესბოსელებსა და გეებში ერთიანობისა და სოლიდარობის შეგრძნების გამყარებას ემსახურება (Due 1995). ზემოჩამოთვლილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ჯგუფებს შორის ძალაუფლებრივი ურთიერთობები ენობრივ ნიუანსებს სოციალურ კონტექსტს სძენს.

შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ ენას შეუძლია იმ უთანასწორობის წარმოჩენა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებობს. ამავდროულად, ადამიანების მიერ გამოყენებულ ენაში ცვლილებების შეტანას გარკვეულწილად შესწევს უნარი, შეცვალოს სოციალური სტერეოტიპები და მაშასადამე ადამიანთა აზროვნების წესი.

საზოგადოებაში გავრცელებული მითების გაქარწყლება

მითი: ორენოვანი განათლება ხელს უშლის იმიგრანტ ბავშვებს ინგლისურის სწავლაში და შესაბამისად აფერხებს ამერიკულ კულტურაში მათ ასიმილაციას და ამცირებს სათანადო განათლების მიღების შესაძლებლობებს.

სოციოლოგიური თვალთახედვა: ორ ენაზე თავისუფლად მოლაპარაკე მოსწავლეებში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მათი მიღწევები აღემატება მხოლოდ ინგლისურენოვანი ან ორივე ენის შეზღუდულად მცოდნე მოსწავლეებისას. უფრო მეტიც, მშობლიური ენის შენარჩუნებამ და აქტიურად გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური ბილინგვური მუშაკების მიმართ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას (Portes 2002). ●

ნორმები

სოციალური ნორმები კულტურის კიდევ ერთ კომპონენტს წარმოადგენს. **ნორმები** გახლავთ კონკრეტული კულტურული მოლოდინები მოცემულ ვითარებაში ქცევის წესთან მიმართებით. ნორმების გარეშე საზოგადოებაში ქაოსი დაისადგურებდა. სათანადო ნორმების არსებობის პირობებში, ადამიანებმა იციან, თუ როგორ უნდა იმოქმედონ; სოციალური ურთიერთობები თანმიმდევრული, პროგნოზირებადი და ათვისებას დაქვემდებარებულია. ყველანაირ ვითარებას თავისი ნორმები შეესაბამება. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი აშკარად არ არის გამოხატული, ანუ აუცილებელია ადამიანებისთვის მათი დაკონკრეტება უკეთ აღქმის მიზნით. მაგალითად, რიგში ჩადგომისას მოქმედებს ნაგულისხმები ნორმა, რომ რიგში ბოლოს მდგომი პირის უკან უნდა დადგეთ და არ უნდა გაუსწროთ მათ, ვინც თქვენზე წინ არის. დაუწერელი ნორმები შეიძლება სულაც არ გულისხმობდეს ფორმალურ წესებს, მაგრამ მათი დარღვევა მკვეთრ რეაქციას გამოიწვევს. ამგვარი ნორმების დასწავლა ხდება სპეციალური მითითებების/სწავლების ან კულტურაზე დაკვირვების შედეგად. ისინი საზოგადოების თუ ჯგუფის ადათ-წესების ნაწილს შეადგენს. ღიად განსაზღვრული და დადგენილი ნორმები იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ქცევის წესებს განსაზღვრავს და შესაბამისად ფორმალურად არის დაწერილი ან ნაკარნახევი. როგორც წესი, ამგვარი ნორმების დარღვევისთვის სპეციალური სანქციებია დაწესებული.

თავად განსაჯეთ

გამოყავით ერთ-ერთი ნორმა, რომელსაც იცავთ. ჩაატარეთ ექსპერიმენტი, რომლის დროსაც, შესაძლოა სხვების დახმარებით, ამ ნორმას დაარღვევთ. ჩაინიშნეთ, როგორ რეაგირებენ ამაზე სხვები და ჩაიწერეთ, თუ რა სანქციები მოჰყვება აღნიშნულ ქმედებას. *შენიშვნა*: სიფრთხილით მოეკიდეთ ექსპერიმენტს და არ ჩაიდინოთ არაფერი, რაც საფრთხის შემცველი იქნება თქვენთვის ან სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის გარეშე პირებს. ●

სოციოლოგიის აღმოცენების ადრეულ წელებში, უილიამ გრემ სამნერმა (William Graham Sumner 1906) ორი ტიპის ნორმა გამოავლინა. ესენი გახლავთ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელი და მორალური ნორმები. გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელ ქცევით სტანდარტებს თავად ჯგუფი ადგენს. ისინი სხვადასხვა კულტურებში გავრცელებული წეს-ჩვეულებების რანგში შეგვიძლია განვიხილოთ. ჩაცმულობის სტილი აღნიშული კულტურული ნორმის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს. სხვა მაგალითებს შორისაა მისალმების, სახლის მორთულობისა და საკვების მომზადების წესები. სოციალური ჯგუფის ქცევის ნორმების დაწესება და დაცვა არ არის ჩარჩოებში მკაცრად მოქცეული. მიუხედავად ამისა, ისინი ჯგუფის ადათ-წესების განუყოფელი ნაწილია, რაც ირიბად განსაზღვრავს სოციალური ქცევების დიდ ნაწილს.

მორალური ნორმები გახლავთ მკაცრად განსაზღვრული ნორმები, რომლებიც მორალურ და ეთკურ ქცევებს აკონტროლებს. მათში გაწერილია ქცევის მკაცრი კოდექსი, როგორიცაა, მაგალითად, სხვათა მკვლელობისა და მეუღლის ღალატის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი თუ რელიგიური ხასიათის აკრძალვები. აღნიშნული ზნე-ჩვეულებები ხშირად **კანონის** ძალით არის დაცული, რაც წერილობითი ფორმით დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს, რომლებიც საზოგადოებაში ავისა და კარგის ცნებებს განსაზღვრავს. კანონები, ძირითადად, ფორმალურად მიღებულ ნორმებს გულისხმობს. აღნიშნული ნორმების დარღვევა სერიოზულ შედეგებს იწვევს, ანუ მათი დამრღვევი, როგორც წესი, ისჯება.

სოციალური სანქციები გახლავთ საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი, რომელიც ყველა ტიპის ნორმის დაცვას უზრუნველყოფს. სანქციების სიმკაცრე დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ ზედმიწევნით არის დაცული ნორმები და ზნე-ჩვეულებები. **ტაბუ** არის იმ კატეგორიის ქცევა, რომელსაც ყველაზე სერიოზული სანქციები ახლავს თან. ჩაცმულობის უჩვეულო სტილმა, რომელიც არღვევს ჯგუფში მიღებულ ჩაცმულობის ნორმებს, შესაძლოა დაცინვა გამოიწვიოს, მაგრამ ამის გამო, როგორც წესი, მკაცრად არ სჯიან. ზოგიერთ კულტურაში ჩაცმულობას ძალზე სერიოზულად აღიქვამენ. მაგალითად, ისლამისტი ფუნდამენტალისტები ქალებისგან, საზოგადოებაში გამოჩენის შემთხვევაში, სხეულისა და სახის დაფარვას მოითხოვენ. ქალისთვის ჩადრის გარეშე საჯაროდ გამოჩენა ამ კულტურაში ტაბუდ ითვლება. ამგვარი საქციელის მიმართ გატარებული სანქციები უკიდურესად მკაცრია და შესაძლოა ითვალისწინებდეს გაროზგვას, დადაღვას, განდევნას და სიკვდილით დასჯას.

სანქციები როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი არსებობს, რაც ჯილდოზე ან სასჯელზეა დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც ბავშვები სოციალურ ნორმებს სწავლობენ, სწორად მოქცევამ შესაძლოა დადებითი სანქციები გამოიწვიოს. ამგვარი საქციელის გამო ბავშვი შექებას, მოწონებას ან ჯილდოს იმსახურებს. მაგალითად, თუკი ბავშვი კარგად იმეცადინებს ან თავის ტანისამოსს მოაწესრიგებს, მან ამისათვის მშობლებისგან შეიძლება შექება დაიმსახუროს. მოგვიანებით, თავისი ოთახის დალაგების გამო შვილმა შეიძლება ჯიბის ფულიც მიიღოს. ცუდ საქციელს უარყოფითი სანქციები მოჰყვება, როგორიცაა მიტყეპა ან გარკვეული აკრძალვების დაწესება. საზოგადოებაში უარყოფითი სანქციები შეიძლება იყოს შემწყნარებულური ან მკაცრი – დაწყებული კონტროლის ნაკლებად თვალშისაცემი მექანიზმებიდან (როგორიცაა დაცინვა), სასჯელის ღია ფორმებით დამთავრებული (მაგ.: დაპატიმრება, ფიზიკური ძალის გამოყენება ან მოკვდინება).

სოციალური ნორმების შესწავლის ერთ-ერთი საშუალებაა, დავაკვირდეთ, თუ რა ხდება მათი დარღვევის შემთხვევაში. თუკი ნორმების მიერ სოციალური ვითარებების გაკონტროლების მექანიზმებს გაეცნობით, დარწმუნდებით, რამდენად იოლია იმგვარ სიტუაციებში არეულობის შეტანა, რომელშიც ნორმების ერთგულება საზოგადოებრივ წესრიგს წარმოქნის. **ეთნომეთოდოლოგია** გახლავთ თეორიული პრინციპი სოციოლოგიაში, რომლის იდეაც შემდეგში მდგომარეობს: ნორმებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესრიგის აღმოჩენა და შესწავლა მასში არეულობის შეტანის მეშვეობით არის შესაძლებელი. ეთნომეთოდოლოგიის მიმდევრები კვლევის ჩატარებისას ხშირად განგებ ახდენენ სოციალური ნორმების დარღვევას, რათა დააკვირდნენ ხალხის რეაქციას და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მცდელობის ხერხებს (Garfinkel 1967).

ცნობილი ეთნომეთოდოლოგიური ექპერიმენტების მსვლელობისას, კოლეჯის სტუდენტებს სთხოვეს, თხუთმეტი წუთიდან ერთ საათამდე პერიოდის განმავლობაში თავი საკუთარ ბინებში მცხოვრებ მდგმურებად წარმოედგინათ, რის შესახებაც ოჯახის წევრებს არაფერი არ უნდა სცოდნოდათ. სტუდენტები თავაზიანად, წინდახედულად და მიუკერძოებლად უნდა მოქცეულიყვნენ; ურთიერთობისას ფორმალურები უნდა ყოფილიყვნენ; მხოლოდ მაშინ უნდა ესაუბრათ, როდესაც კონკრეტულად მათ მიმართავდნენ. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ორმა მონაწილე სტუდენტმა განაცხადა, რომ აღნიშნული ქმედება მათი ოჯახის წევრებმა ხუმრობად აღიქვეს; ერთ-ერთმა ოჯახმა ჩათვალა, რომ მათი შვილის გადაჭარბებით ზრდილობიანი ქცევა მისი რომელიმე თხოვნის ასრულების სურვილს

უკავშირდებოდა. ერთ-ერთი სტუდენტის ოჯახის წევრებმა იფიქრეს, რომ მათი შვილი სერიოზული პრობლემის დაფარვას ცდილობდა. დანარჩენ შემთხვევებში კი მშობლების რეაქცია შოკს, გაოგნებასა და გაგულისებას მოიცავდა. ექსპერიმენტის მონაწილეებს ბრალი დასდეს სულმდაბლობაში, უზრდელობასა და არადელიკატურობაში. მშობლები თავიანთი შვილებისგან მათი საქციელის ახსნას მოიხოვდნენ (Garfinkel 1967). ამ ექსპერიმენტის შედეგად სტუდენტებმა დაადგინეს, რომ ქცევის განმსაზღვრელი არაფორმალური ნორმებიც კი ცალკეულ ოჯახშებში საგულდაგულოდ არის სტრუქტურირებული (Garfinkel 1967).

ეთნომეთოდოლოგიური კვლევა გვასწავლის, რომ საზოგადოება „თითქოსდას" პრინციპიდან გამომდინარე მოქმედებს, ანუ საზოგადოება არსებობს, რადგანაც, ადამიანების აზრით, თითქოსდა არ არსებობს სხვაგვარად მოქცევის არანაირი საშუალება. როგორც წესი, ადამიანები სწორედ ისე იქცევიან, როგორც ამას სხვები მოელიან მათგან.

სინამდვილეში, კულტურული ნორმების დაცვას სოციალური ნორმების დამრღვევთა მიმართ გამოყენებული სოციალური სანქციები უზრუნველყოფს. როგორც წესი, საჭიროება აღარ მოითხოვს გარკვეული სანქციების ამოქმედებას, რადგანაც ადამიანებმა უკვე აითვისეს ნორმატიული მოლოდინები. ნორმების დარღვევისას ცხადი ხდება მათი არსებობა.

რწმენა-წარმოდგენები

სოციალური ნორმების მსგავსად, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანების **რწმენა-წარმოდგენები**. ისინი გახლავთ მოცემულ კულტურაში ადამიანების მიერ კოლექტიურად გაზიარებული იდეები სიმართლის რაობასთან დაკავშირებით. ადამიანებს საზოგადოებაში სწორედ საერთო რწმენა-წარმოდგენები აერთიანებთ. მოცემული კულტურისათვის მიღებული მრავალი ნორმისა და ღირებულების საფუძველსაც რწმენა შეადგენს. შეერთებულ შტატებში რწმენის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საგანს ღმერთი და დემოკრატია წარმოადგენს.

ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენა ისე ღრმად არის გამჯდარი ხალხში, რომ მათთვის ძალზე რთულია საპირისპირო იდეებთან ან ცოდნასთან შეგუება. ზოგიერთი ადამიანისთვის, ვისაც თავგამოდებით სწამს ღმერთი, ათეიზმი სრულიად მიუღებელია; ადამიანთა ჯგუფი, ვისი აზრითაც სიცოცხლე სიკვდილისთანავე სრულდება, ირაციონალურად მიიჩნევს რეინკარნაციის იდეას. ანალოგიურად, საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვინც სამყაროს მეცნიერულად და რაციონალურად განიხილავს, ჯადოსნობა მხოლოდ და მხოლოდ ცრურწმენაა.

რა სახის რწმენა-წარმოდგენებიც არ უნდა ჰქონდეს ხალხს, ყოველი მათგანი სამყაროსკენ არის მიმართული. მათი დახმარებით ვცემთ პასუხს ცხოვრების არსთან დაკავშირებულ რთულ კითხვებს. რწმენა გვთავაზობს მნიშვნელობათა სისტემას, რომლის გარშემოც არის აგებული კულტურა. ადამიანის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის დასაშვები და სწორი, დამოკიდებულია მისი რწმენის საფუძველზე (რელიგია, მითი, ფოლკლორი თუ მეცნიერება). მიუხედავად იმისა, რომ მოცემული რწმენა-წარმოდგენა შესაძლოა სრულიად ალოგიკური იყოს, ის მაინც განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებისეულ მიმართულებას.

ღირებულებები

რწმენა-წარმოდგენებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურული ღირებულებები. **ღირებულებები** გახლავთ საზოგადოებაში ან ჯგუფში არსებული აბსტრაქტული სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავს იდეალის პრინციპებს. მათი მეშვეობით ხდება სასურველისა და მორალურად მართებულის დადგენა. ამგვარად, ღირებულებებით განისაზღვრება, თუ რა არის სწორი და არასწორი, ლამაზი და უშნო, ავი და კარგი. მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებები აბსტრაქტული ხასიათისაა, მათი მეშვეობით ხდება ქცევების ძირითადი პრინციპების დადგენა. მაგალითად, თავისუფლება, ისევე როგორც თანასწორობა, არის

ამერიკული კულტურისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულება. ღირებულებები გახლავთ ის იდეალები, რომლებიც ჯგუფში ქცევის *აბსტრაქტულ სტანდარტებს* აყალიბებს. თუმცა ისინი აგრეთვე ისეთ იდეალებს მიეკუთვნება, რომელთა განხორციელება შეუძლებელია ყველანაირ ვითარებაში.

ღირებულებები კულტურული ერთიანობის საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ამავდროულად ისინი შეიძლება კონფლიქტის წყაროდაც იქცეს. ყველაზე მეტად სადავო საკითხები შეიძლება ხშირად ღირებულებათა კონფლიქტიდან იღებდეს სათავეს. უნდა მონაწილეობდეს თუ არა მთავრობა ჯანდაცვის უზრუნველყოფაში? უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში სქესობრივი აღზრდა? დასაშვები უნდა იყოს თუ არა სახელმწიფო სკოლებში საჯარო ლოცვები? ეს და მრავალი სხვა მსგავსი მაგალითი დიდი დავის საკითხს წარმოადგენს. კამათს უფრო მეტად ამწვავებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებული ღირებულებათა კონფლიქტები.

ღირებულებები განსაზღვრავს ადამინთა ქცევას საზოგადოებაში. აგრეთვე მათი მეშვეობით ყალიბდება მოცემული კულტურის სოციალური ნორმები. განვიხილოთ მაგალითი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა გავლენა აქვს ღირებულებებს ადამიანთა ქცევაზე. ამერიკელ ინდიელთა საზოგადოება, რომელიც კვაკიუტალის სახელით არის ცნობილი, გახლავთ სამხრეთ ალასკის სანაპირო ზონაში, ვაშინგტონის შტატსა და ბრიტანულ კოლუმბიაში მობინადრე ჯგუფი. კვაკიუტალის ტომის ხალხს აქვს ერთი ჩვეულება (საჩუქრების საზეიმო გაცემის რიტუალი), რომლის მიხედვითაც მდიდარი ბელადები პერიოდულად აგროვებდნენ მათ საკუთრებაში არსებულ ნივთებს და ურიგებდნენ როგორც თავისიანებს, ასევე მეტოქეებს (Benedict 1934; Harris 1974; Wolcott 1996). აღნიშნული რიტუალის მიზანი იყო მოწინააღმდეგეზე მეტი საგნის გაცემა ან განადგურება. ამ ჩვეულებაში ასახულია ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა გაზიარება და ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა, საკვებისა და ქონების სრულად გამოყენება (ათვისება). იგი ასევე წარმოაჩენს კვაკიუტალის ტომის უმდიდრეს ბელადთა სოციალურ სტატუსს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვებისა და ქონების გაცემის შედეგად ბელადები არ კარგავდნენ თავიანთ სტატუსს, რადგანაც მათ მორიგი რიტუალისას ქონება უკან უბრუნდებოდათ. იყო შემთხვევები, როდესაც ბელადები საგნების დიდ ნაწილს წვავდნენ კიდეც, რადგანაც აცნობიერებდნენ, რომ ცოტა ხანში სხვებიც გაუზიარებდნენ მათ საკუთარ ქონებას).

შეადარეთ აღნიშნული ქმედება აშშ-ში არსებულ სამომხმარებლო პრაქტიკას. წარმოიდგინეთ რომელიმე მსხვილი კორპორაციის გენერალური დირექტორი, რომელიც რეგულარულად შეაგროვებს საკუთარ ქონებას მისი მუშაკებისათვის და კონკურენტი დირექტორებისთვის გასანაწილებლად. თანამედროვე ამერიკაში საკუთარი სახსრების ხარჯვა, რომელიც უმეტესწილად საკუთარი სოციალური სტატუსისა და ქონების დემონსტრირებას ემსახურება, ზემოაღწერილი რიტუალის ღირებულებებს მოგვაგონებს: მაღალი სტატუსის მქონე პირები თავიანთ მდგომარეობას გარშემომყოფების საკუთრებაში არსებულზე მეტი მატერიალური ქონების დაგროვების მეშვეობით წარმოაჩენენ (Veblen 1899).

ნორმები, რწმენა-წარმოდგენები და ღირებულებები მთლიანობაში საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის განმსაზღვრელად გვევლინება. თავდაპირველად აუცილებელია გავერკვეთ, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები ამა თუ იმ ვითარებაში, იმისათვის რათა შევიტყოთ, რატომ იქცევიან ისინი ამა თუ იმ წესით.

მრავალფეროვნების აღქმა
ენის სოციალური მნიშვნელობა

ენაში ასახულია კულტურაში გავრცელებული მოსაზრებები. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:

- **ენა ზემოქმედებას ახდენს ადამიანების მიერ რეალობის აღქმაზე.**

  მაგალითი: მკვლევრებმა დაადგინეს, რომ მამრობითი სქესის ნაცვალსახელების გამოყენება (გენდერულად ნეიტრალური მაგალითების შემთხვევაშიც კი) მკითხველში/მსმენელში მამაკაცთან ასოცირებულ წარმოდგენებსა და იდეებს აღძრავს. კვლევებმა ასევე გვიჩვენა: სამუშაო აღწერილობის გაცნობისას, რომელშიც მამრობითი სქესის ნაცვალსახელებია გამოყენებული, კოლეჯის სტუდენტები თვლიან, რომ აღნიშნული სამსახური არ არის გათვალისწინებული ქალებისათვის (Gastil 1990; Hamilton 1988; Switzer 1990).

- **ენაში ასახულია საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ჯგუფების სოციალური და პოლიტიკური სტატუსი.**

  მაგალითი: ტერმინი, როგორიცაა ქალი ექიმი გულისხმობს, რომ ამ პროფესიაში სტანდარტად მამაკაცები ითვლებიან, ხოლო ქალები გამონაკლისს წარმოადგენენ. ტერმინი „მომუშავე ქალი“ (რომელიც დასაქმებული ქალის მიმართ გამოიყენება) ასევე გულისხმობს იმას, რომ ქალები, რომლებიც ანაზღაურებად სამუშაოზე არ არიან დასაქმებულნი, არ მუშაობენ. ჰკითხეთ საკუთარ თავს: რასთან ასოცირდება თქვენთვის ტერმინი „მომუშავე მამაკაცი“ და რით განსხვავდება ის „მომუშავე ქალისგან“?

- **ჯგუფები, რომლებიც მათ მიმართ გამოყენებულ ენაში ცვლილებების შეტანას მოითხოვენ, ჯგუფის პოზიტიური იდენტობის განმტკიცებას ცდილობენ.**

  მაგალითი: ინვალიდების მხარდამჭერები ეწინააღმდეგებიან ტერმინის გამოყენებას, რომელიც მათ შეზღუდული შესაძლებლობების პირებად მოიხსენიებს, რადგანაც, მათი აზრით, ის იმ ადამიანების სოციალურ-ფსიქოლოგიურ დისკრიმინაციას ახდენს, ვისაც შესაძლოა მრავალი შესაძლებლობა და უნარი ჰქონდეს, მიუხედავად მათი ფიზიკური განსხვავებულობისა. გარდა ამისა, შესაძლოა ვინმეს რაიმე სახის შეზღუდულობა აღენიშნებოდეს, მაგრამ სხვა მხრივ მას შესანიშნავი შესაძლებლობა და უნარები ჰქონდეს.

- **ენაში არსებული ფარული მინიშნებები კონკრეტული ისტორიული და კულტურული კონტექსტიდან იღებს სათავეს.**

  მაგალითი: სხვადასხვა რასებთან დაკავშირებული სახელწოდებები იმ სოციალური და ისტორიული პროცესებიდან მომიდინარეობს, რომლებიც განსხვავებულ ჯგუფებს მაღალ ან დაბალ საფეხურზე მყოფებად განსაზღვრავს. რასობრივი ნიშნით სახელდება მხოლოდ ფიზიკურ, ეროვნულ ან კულტურულ სხვაობებს არ უკავშირდება. მაგალითად, ტერმინი „თეთრკანიანი“ ანუ „ევროპეიდული“ (Caucasian) მეჩვიდმეტე საუკუნეში შეიქმნა, როდესაც რასისტულად მოაზროვნე პირებმა კლასიფიკაციის საეჭვო სამეცნიერო სისტემები შეიმუშავეს, რომელიც ადამიანთა განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებად დაყოფას ემსახურებოდა. ალფრედ ბლუმენბახი (Alfred Blumenbach) აღნიშნულ ტერმინს კავკასიის მაცხოვრებელთა მიმართ იყენებდა, რომლებსაც, მსოფლიოში არსებულ სხვა ჯგუფებთან შედარებით, უფრო ლამაზებად და გონიერებად მიიჩნდევდა.

- **ენას შეუძლია რომელიმე ჯგუფის რეალური სახის არასწორად წარმოჩენა.**

  მაგალითი: განსხვავებული რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების აღმნიშვნელი ტერმინები ერთსახოვანს ხდის მათთვის დამახასიათებელ უნიკალურ თვისებებს. მაშასა-

დამე, ტერმინი „ლათინოამერიკელი“ ერთანეთთან აიგივებს მექსიკელ ამერიკელებს, კუნძნულ პუერტო-რიკოს მკვიდრებს, აშშ-ში დაბადებულ პუერტო-რიკოელებს, ასევე ჰონდურასის, პანამის, სალვადორის და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სხვა სახელმწიფოების მაცხოვრებლებს. „ლათინოამერიკელი“ რომანული კულტურების ყოფის საერთო ნიშნებზე მიუთითებს, თუმცა, როგორც „მკვიდრი ამერიკელის“ და „ამერიკელი ინდიელის“ შემთხვევაში, ისიც ჩრდილავს ისეთი უნიკალური ჯგუფების ყოფის ამსახველ ფაქტებს, როგორებიცაა სიუ, ნანტიკოკი, ჩეროკი, იავაპაი ან ნავაჰო.

- **ენა აყალიბებს ადამიანთა წარმოდგენებს საზოგადოებაში არსებული ჯგუფებისა და მოვლენების შესახებ.**

  მაგალითი: ქარიშხალ „კატრინას“ მიზეზით ნიუ-ორლეანში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფის შემდეგ, მიტოვებული მაღაზიებიდან აფრო-ამერიკელების მიერ საკვები პროდუქტების გამოტანას ხალხმა „მოროდიორობა“ უწოდა, ხოლო თეთკანიანების მიერ ჩადენილ იგივე ფაქტს – „საკვების მოპოვება“. მეცხრამეტე საუკუნეში მკვიდრი ამერიკელების მიერ მოპოვებულ გამარჯვებას, როგორც წესი, „მასობრივი ხოცვა-ჟლეტის“ სახელით მოიხსენიებენ, ხოლო თეთრკანიანი კოლონისტების გამარჯვებას გმირული ეპითეტებით აღწერენ (Moore 1992).

- **განსხვავებული ჯგუფების განმსაზღვრელი ტერმინები იცვლება დროთა განმავლობაში; ისინი შეიძლება იმ მოძრაობებიდან იღებდეს სათავეს, რომლებიც პოზიტიური იდენტობის დამკვიდრებას ემსახურება.**

  მაგალითი: 1960-იან წლებში, ტერმინი „ზანგი“ (Negro) „შავკანიანი ამერიკელით“ (Black American) შეიცვალა, რადგანაც „შავკანიანთა ძალაუფლების“ მოძრაობამ წინ წამოწია საკუთარი ღირსებისა და სახელდების მნიშვნელობა (Smith et al. 1992). ადრეულ პერიოდში აფრო-ემრიკელთა მიმართ „ზანგი“ და „ფერადი“ (colored) გამოიყენებოდა. ამჟამად, ეგრეთ წოდებული რასობრივი ჯგუფების აღსანიშნად საკმაოდ პოპულარული ტერმინი „ფერადკანიანი ხალხი“ (people of color) არის მიღებული, რომელიც აფრო-ამერიკელი, ლათინოამერიკელი, აზიური წარმოშობის ამერიკელი და ამერიკელი ინდიელი ფემინისტების მიერ შემოღებული ფრაზიდან („ფერადკანიანი ქალები“ (women of color)) მომდინარეობს. აღნიშნული ფრაზა მათ თავიანთი ყოფის საერთო ნიშნების აღსაწერად შექმნეს. ზოგიერთი ამ ტერმინს შეურაცხმყოფელად მიიჩნევს, რადგანაც მასში „ფერი“ ფიგურირებს და ის უწინ გამოყენებულ ფრაზას („ფერად ადამიანებს“) მოგვაგონებს, რომელიც, ძირითადად, პატერნალისტურ და რასისტულ ფორმად ითვლება იმ მიზეზით, რომ მას, სამოქალაქო უფლებების დამცველთა მოძრაობამდე, დომინანტური ჯგუფები აფრო-ამერიკელთა მისამართით იყენებდნენ. დღეისათვის, ტერმინი „ფერადკანიანი ქალები“ უფრო პოზიტიურ კონტექსტს შეიცავს, რადგანაც, უწინდელ ტერმინთან შედარებით, ის ყოფის ამსახველ საერთო ნიშნებს უსვამს ხაზს და არა მხოლოდ კანის ფერს.

ავტორები შევეცადეთ, რომ განსხვავებული ჯგუფების აღწერისას გამოყენებული ენა მაქსიმალურად კორექტულად ყოფილიყო შერჩეული. ვაღიარებთ, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ენობრივი სტილი სავსეა კულტურული და პოლიტიკური ნიუანსებით და ის, რაც დღეს მისაღებია, ხვალ შესაძლოა შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს. ალბათ, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ურიგო არ იქნებოდა, თუკი განსხვავებული ჯგუფები უფრო მეტს შეიტყობდნენ ერთმანეთის შესახებ, უფრო მეტად გაეცნობოდნენ სახელდებისა და ენის ასპექტებს და მეტი ყურადღებით მოეკიდებოდნენ რასებთან ასოცირებულ ჰიპოთეზებს, რომლებიც ენაშია ფესვგადგმული. განსხვავებული ჯგუფების ყოფის ამსახველი ფაქტების აღწერისას ენობრივი სტილისადმი მაქსიმალურად ფრთხილი დამოკიდებულება ძალზე მნიშვნელოვანია ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესების ხელშესაწყობად. ●

კულტურული მრავალფეროვნება

საზოგადოებაში კულტურა ძალზე იშვიათად არის ერთგვაროვანი. საზოგადოების განვითარებისა და მისი კომპლექსურობის ზრდის პარალელურად ჩნდება ახალი, განსხვავებული კულტურული ტრადიციები. რაც უფრო მეტად კომპლექსურია საზოგადოება, მით უფრო განსვავებული და მრავალფეროვანია მისი კულტურა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში უკიდურესად მრავალფეროვანი კულტურაა, რაც რელიგიურ, ეთნიკურ და რასობრივ სხვაობებს უკავშირდება. დღეისათვის, აშშ-ის მოსახლეობის 12,8% უცხოეთშია დაბადებული. ერთ წელიწადში იქ 100-ზე მეტი ქვეყნიდან გამომგზავრებული იმიგრანტი ჩადის (აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო, 2010a). თუკი ადრეულ პერიოდში იმიგრანტთა უმრავლესობა ევროპიდან იყო, დღეისათვის მათი დიდი ნაწილი ლათინური ამირიკიდან და აზიიდან არის წამოსული. აღნიშნული მოვლენის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა აშშ-ის მაცხოვრებელთა რიცხვი, ვისთვისაც ინგლისური მეორე ენად ითვლება. თანამედროვე ამერიკული საზოგადოება კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ამერიკული კულტურის მრავალფეროვნების საფუძველს ის ტრადიციები წარმოადგენს, რომლებიც აღნიშნულ საზოგადოებაში იმიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფებმა დანერგეს; გარდა ამისა, მის გამდიდრებას ამერიკის შიგნით კულტურული ფორმების წარმოქმნამაც შეუწყო ხელი. მაგალითად, ჯაზი შეერთებულ შტატებში ადგილობრივად წარმოშობილ ერთ-ერთ მუსიკალურ ფორმას წარმოადგენს. ხელოვნების ადგილობრივი ფორმა გულისხმობს იმას, რაც კონკრეტული რეგიონიდან ან კულტურიდან იღებს სათავეს. თუმცა, ჯაზის ფესვები ასევე მონათა გაერთიანებებისა და აფრიკული კულტურების მუსიკალურ ტრადიციებში უნდა ვეძებოთ. ჯაზის დაბადებიდან მოყოლებული, კულტურის გიგანტებმა, როგორებიც არიან ელა ფიცჯერალდი, ქაუნთ ბეისი, დიუკ ელინგტონი, ბილი ჰოლიდეი და სხვა მრავალი, არა მხოლოდ ჯაზის ტრადიცია გაამდიდრეს, არამედ გავლენა იქონიეს სხვა მუსიკალურ ფორმებზე, მათ შორის როკ-ენ-როლზე.

იმიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფების გარდა, ადგილობრივი კულტურის გამდიდრებაში ასევე უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი მკვიდრ ამერიკელებს. ამგვარი კულტურული მრავალფეროვნების ფონზე, როგორ შეგვიძლია იმის თქმა, რომ შეერთებული შტატები მხოლოდ ერთ კულტურას წარმოადგენს? აშშ-ის კულტურა – რომელიც მოიცავს ენას, ხელოვნებას, საკვებთან დაკავშირებულ ადათ-წესებს, რელიგიასა და ჩაცმულობის წესს – განიხილება, როგორც მისი საზოგადოების შემადგენელი მრავალფეროვანი კულტურების ერთობლიობა.

დომინანტური კულტურა

მოცემულ საზოგადოებაში არსებული კულტურის კომპლექსურობის უკეთ გაგებაში ორი სოციოლოგიური კონცეფცია გვეხმარება. ესენი გახლავთ დომინანტური კულტურა და სუბკულტურა. დომინანტურია კულტურა, რომელიც საზოგადოების ყველაზე გავლენიან ჯგუფს უკავშირდება. ეს არის კულტურული ფორმა, რომელსაც ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს ძირითადი ინსტიტუტების მხრიდან და რომელიც შეადგენს რწმენა-წარმოდგენათა უმთავრეს სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ დომინანტური კულტურა არ არის საზოგადოებაში არსებული ერთადერთი კულტურა, ის, როგორც წესი, მაინც საზოგადოების განმსაზღვრელ ფორმად არის მიჩნეული. სოციალური ინსტიტუტები უკვდავყოფენ დომინანტურ კულტურას და მას ისეთი ხარისხის ლეგიტიმაციას ანიჭებენ, რომლითაც არცერთი სხვა კულტურა არ სარგებლობს. ძალიან ხშირად, დომინანტური კულტურა სტანდარტად მკვიდრდება, რომლის მიხედვითაც ხდება საზოგადოებაში არსებული სხვა კულტურების განსჯა და შეფასება.

რუკა 1

ამერიკის მრავალფეროვნების ამსახველი რუკა

აშშ-ში მზარდი იმიგრაციისა და დიდი მრავალფეროვნების ფონზე, მრავალ ოჯახში შეგვიძლია ვიხილოთ კულტურული მრავალფეროვნების დამადასტურებელი ნიშანი, რომელთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს ენა წარმოადგენს. ამ რუკაზე ნაჩვენებია 5 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი (სხვადასხვა რეგიონების მიხედვით), ვინც შინ ოჯახის წევრებს არა ინგლისურად, არამედ მშობლიურ ენაზე ესაუბრება. ამ კატეგორიას აშშ-ის მოსახლეობის 17.9% (თითქმის მეხუთედი) მიუკუთვნება. მოსახლეობის 8% აცხადებს, რომ ინგლისურს საშუალო დონეზე ფლობს. რას უნდა ნიშნავდეს ეს იმ რეგიონებისათვის, რომლებსაც ეს საკითხი ყველაზე მეტად ეხება? რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამან ოჯახის სხვადასხვა თაობის წევრებს შორის ურთიერთობაზე?

წყარო: აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო. 2010. “American FactFinder.” www.census.gov



არ არის აუცილებელი, რომ დომინანტური კულტურა ადამიანთა უმრავლესობის კულტურას წარმოადგენდეს. ის გახლავთ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის კულტურა, რომელიც საკმარის ძალაუფლებას ფლობს იმისათვის, რათა კულტურის ძირითადი პრინციპები დაამკვიდროს. მაგალითისათვის, გაიხსენეთ კოლეჯი ან უნივერსიტეტი, რომელსაც ქალთა ან მამაკაცთა კლუბების ძლიერი სისტემა აქვს. სტუდენტურ ქალაქში მცხოვრებ პირებს შორის, აღნიშნული კლუბის წევრთა რაოდენობა შესაძლოა სტუდენტთა საერთო რიცხვის უმცირესობას წარმოადგენდეს, მაგრამ ბერძნების მიერ დაარსებული კულტურული სისტემა, მიუხედავად ყველაფრისა, მთელ კამპუსში დომინირებს. ისეთ კომპლექსურ საზოგადოებაში, როგორიც შეერთებულ შტატებშია, საკმაოდ რთულია ცალკეული დომინანტური კულტურის გამოყოფა, თუმცა არსებობს ფართოდ აღიარებული „ამერიკული“ კულტურა, რომელიც დომინანტურად ითვლება. აღნიშნული კულტურა საშუალო კლასის ღირებულებებს, ჩვეულებებსა და ეკონომიკურ რესურსებს ეფუძნება; მასზე ძლიერ გავლენას ახდენს კულტურის ინსტრუმენტები, როგორიცაა ტელევიზია, მოდის ინდუსტრია და ანგლო-ევროპული ტრადიციები; მასში გაერთიანებულია სხვადასხვა ელემენტები, მათ შორის სწ-

რაფი მომსახურების კვების ობიექტები, საშობაო საყიდლებზე სიარული და პროფესიული სპორტი. გარდა ამისა, კულტურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მიღწევებს და ინდივიდუალურ ძალისხმევას. ეს გახლავთ კულტურული ტრადიცია, რომელსაც უზარმაზარი გავლენა აქვს ამერიკელთა დიდი ნაწილის შეხედულებებზე უთანასწორობასთან მიმართებით.

სუბკულტურები

სუბკულტურები გახლავთ კულტურაში არსებული ჯგუფები, რომელთა ღირებულებები და ქცევის ნორმები გარკვეულწილად განსხვავდება დომინანტური კულტურისგან. სუბკულტურების წევრები, როგორც წესი, ხშირად ურთიერთობენ ერთმანეთთან და საერთო მსოფლმხედველობასაც იზიარებენ. ისინი გამორჩეული გარეგნობით (ჩაცმულობისა და მოკაზმულობის სტილი) ხასიათდებიან; ასევე განსხვავებულია მათი ენა, დიალექტი და სხვა კულტურული ნიშან-თვისებები. ისინი საკმაოდ კარგად არიან ინტეგრირებულნი დომინანტურ კულტურასთან. როგორც წესი, სუბკულტურები დომინანტური კულტურის ზოგიერთ ელემეტს იყენებენ და უპრობლემოდ თანაცხოვრობენ მასთან ერთად, თუმცა ზოგიერთი მათგანი შესაძლოა სრულიად ემიჯნებოდეს დომინანტურს. გამოყოფა ხდება მაშინ, როდესაც სუბკულტურებს არ სურთ ან არ შეუძლიათ დომინანტურთან ასიმილირება, რაც მისი ღირებულებების, ნორმებისა და რწმენა-წარმოდგენების გაზიარებას გულისხმობს (Dowd & Dowd 2003).

რეპი და ჰიპ-ჰოპი პირველად სუბკულტურის სახით წარმოიშვა, როდესაც ახალგაზრდა აფრო-ამერიკელებმა ჩაცმულობისა და მუსიკის თავიანთი სტილი ჩამოაყალიბეს, რომლითაც ისინი თეთკანიანთა დომინანტური კულტურის მიმართ წინააღმდეგობას გამოხატავდნენ. დღეისათვის, რეპი და ჰიპ-ჰოპი უკვე ახალგაზრდული კულტურის ძირითად მიმართულებასთან არის შერწყმული. ამჟამად ისინი მსოფლიო მასშტაბის მოვლენას წარმოადგენენ, რადგანაც კულტურულმა ინდუსტრიამ ჰიპ-ჰოპი და რეპი საკმაოდ შემოსავლიან პროდუქტად აქცია. მიუხედავად ყველაფრისა, რეპი დღესაც იმ შავკანიანი და თეთრკანიანი ახალგაზრდების და სხვა ჯგუფების გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს, ვინც თავს დომინანტური კულტურისგან გამიჯნულად მიიჩნევს (Watkins 1999).

ზოგიერთი სუბკულტურა სრულიად იზოლირდება დომინანტური კულტურისგან, რის მაგალითსაც ამანიტები, ზოგიერთი რელიგიური კულტი და კომუნა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება ისეთ სუბკულტურას, რომელიც, გამოყოფილი კომუნის სახით, დომინანტური კულტურისგან რაც შეიძლება დამოუკიდებლად არსებობს. სუბკულტურების ნაწილი თავისუფლად თანაარსებობს დომინანტურთან, რომელთა წევრებიც როგორც სუბკულტურის, ასევე დომინანტური კულტურის ყოფაში არიან ჩართულნი.

სუბკულტურის წარმოქმნას ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში ახალი ჯგუფების გამოჩენა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში პუერტო-რიკოელი იმიგრანტების დასახლებამ ბევრ საქალაქო ზონაში გამორჩეული სუბკულტურები წარმოქმნა. ისინი ჩართულნი არიან დომინანტურ კულტურაში, თუმცა მათი სუბკულტურული ყოფის ნაწილს პუერტო-რიკოელთა უნიკალური მემკვიდრეობა შეადგენს. აღნიშნული კულტურის ფრაგმენტები სულ უფრო მეტად შემოდის დომინანტურ კულტურაში. სალსა (მუსიკალური სტილი), რომელიც ამჟამად წამყვანი მიმართულების რადიოსადგურებიდან ჟღერს, 1960-იან წლებში პუერტო-რიკოელი მუსიკოსების მიერ შეიქმნა, რომლებიც ამ მუსიკის საშუალებით მუშათა კლასის კულტურის განწყობას გამოხატავდნენ (Sanchez 1999; Boggs 1992). სალსას თემატიკა დიდი ქალაქის გარეუბნების მკვიდრი ხალხის ყოფას ასახავს. მასში გაერთიანებულია სხვა მუსიკალური ტრადიციები, როგორიცაა რუმბა, მამბო და ჩა-ჩა. რაც შეეხება სხვა სუბკულტურებს, მათსა და დომინანტურ კულტურას შორის ზღვარი შედარებით არამყარია, რაც, საზოგადოებაში ახალი ჯგუფების გამოჩენისას, კულტურის ცვალებადობას უწყობს ხელს.

სოციოლოგიურ ჭრილში დანახული სინამდვილე

გამოავლინეთ რომელიმე სუბკულტურა თქვენს სტუდენტურ ქალაქში. რა გამორჩეული ნორმები ახასიათებს ამ ჯგუფს? ამ ჯგუფზე თქვენ მიერ ჩატარებულ დაკვირვებაზე დაყრდნობით, როგორ აღწერდით კამპუსის შიგნით არსებულ დომინანტურ კულტურასთან მის ურთიერთობას? ●

კონტრკულტურები

კონტრკულტურა გახლავთ იმ ტიპის სუბკულტურა, რომელიც დომინანტური კულტურის ღირებულებებთან დასაპირისპირებლად შეიქმნა. კონტრკულტურის წევრები უარყოფენ დომინანტური კულტურის ღირებულებებს (ხშირად პოლიტიკური ან მორალური მოსაზრებებით) და იმგვარ კულტურულ ნორმებს შეიმუშავებენ, რომლებიც ღიად უგულებელყოფს დომინანტური ჯგუფისათვის მისაღებ ნორმებსა და ღირებულებებს. დომინანტური კულტურისადმი დაუმორჩილებლობა ხშირად წარმოადგენს კონტრკულტურის განმასხვავებელ თვისებას. რატომ ხდება ასე? ნაწილობრივ, ამის მიზეზია უფროსი თაობის კულტურისადმი წინააღმდეგობა; ამავდროულად ხდება საკუთარი დამოუკიდებლობისა და იდენტობის განმტკიცება. ზოგიერთის აზრით, ახალგაზრდები იმიტომ აყალიბებენ კონტრკულტურებს, რადგანაც მათ საზოგადოებაში საკმაოდ მცირე ძალაუფლება აქვთ, რის გამოც უწევთ საკუთარი კულტურის შექმნა. ამით ისინი ერთგვარ სტატუსს, ანუ სოციალურ რეპუტაციას იმკვიდრებენ, რომელიც სულ მცირე თავიანთი თანატოლებისთვის მაინც იქნება ანგარიშგასაწევი (Milner 2004). ამრიგად, ახალგაზრდული კონტრკულტურებისათვის (ისევე როგორც სხვა კონტრკულტურებისათვის) დამახასიათებელია ჩაცმულობის უნიკალური სტილი, სპეციფიკური ენა და შესაძლოა განსხვავებული ღირებულებები და რიტუალები.

ზოგიერთი კონტრკულტურა ღიად უპირისპირდება დომინანტურ საზოგადოებას. ამის ნათელი მაგალითია თეთრკანიანი რასის უპირატესობის იდეის მომხრეთა მოძრაობა. მასში გაერთიანებულ ადამიანებს რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვთ, რომელიც უშუალოდ ეწინააღმდეგება დომინანტურ ღირებულებებს. აღნიშნულ მოძრაობაში გაერთიანებულ ჯგუფებს საერთო შეხედულებები აქვს, რომლებიც რასობრივი უმცირესობების, გეების, ლესბოსელებისა და ფემინისტებისადმი უკიდურესად მტრულ განწყობას ეფუძნება. სიძულვილზე ორიენტირებული მათი იზოლირებული კულტურა საკმაოდ სახიფათოა გარშემომყოფთათვის (Ferber 1998; Stern 1996).

კონტრკულტურები აგრეთვე შესაძლოა პოლიტიკური დევნის პირობებში წარმოიშვას, როდესაც ზოგერთი ჯგუფი იძულებული ხდება, „იატაკქვეშეთში“ გადაინაცვლოს. მაგალითად, დიქტატორულ გარემოში ზოგიერთ ჯგუფს შესაძლოა აეკრძალოს რელიგიური რიტუალების დაცვა ან საკუთარ ენაზე საუბარი. ესპანეთში, დიქტატორი ფრანცისკო ფრანკოს მმართველობისას, კატალანურ ენაზე (რეგიონი, რომელშიც ქ. ბარსელონა მდებარეობს) საუბარი იკრძალებოდა. 1975 წელს, ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ესპანეთი უფრო დემოკრატიული გახდა, კატალანურ ენასთან დაკავშირებული შეზღვუდვები მოიხსნა და ხალხმა თავისუფლად განაგრძო მისი გამოყენება როგორც საზოგადოებაში, ასევე პრესაში.

ეთნოცენტრიზმი და კულტურული რელატივიზმი

რადგანაც ადამიანებისათვის კულტურა მოცემულობად აღიქმება, ამა თუ იმ საზოგადოების წარმომადგენელთათვის რთულია საკუთარი კულტურის სხვა კუთხით დანახვა, რომელიც განსხვავებული იქნებოდა კონცეფციისგან – „ყველაფერი ისეა, როგორც არის“. შესაბამისად, რთულია სხვა კულტურების შეფასება საკუთარი კულტურული შეხედულებების გათვალისწინების გარეშე. **ეთნოცენტრიზმი** გახლავთ ჩვეულება, რომელიც გულისხმობს მოვლენების საკუთარი ჯგუფის თვალთახედვით დანახვას. ერთ-ერთი კულტურის მეორე კულტურის სტანდარტების მიხედვით შეფასება ეთნოცენტრული მოვლენაა. ეთნოცენტ-

რული თვალთახედვა ხელს უშლის სამყაროს ისეთ რაკურსში დანახვას, რომელშიც მას სხვები აღიქვამენ. ყოველივე ამას კი კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ არასწორ დასკვნებამდე მივყავართ.

ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია იყოს ეთნოცენტრული. ასევე, ეთნოცენტრიზმი შესაძლოა გამომჟღავნდეს ფარულად ან რადიკალურად, როგორც ეს იმ სოციალურ ჯგუფებში ხდება, რომლებიც საკუთარი ცხოვრების წესს სხვებისაზე უკეთესად მიიჩნევენ. არსებობს თქვენს თემში არსებულ ჯგუფებს შორის ამგვარი იერარქიული გადანაწილება? მამაკაცთა და ქალთა საუნივერსიტეტო კლუბები ჯგუფურ რიტუალებს სწორედ ამ პრინციპით ადგენენ; ახალგაზრდების ჯგუფებს ჰგონიათ, რომ მათი ცხოვრების წესი ზრდასრულებისაზე უკეთესია; ქალაქელები თავიანთ კულტურულ წეს-ჩვეულებებს უფრო დახვეწილად მიიჩნევენ, ვიდრე სოფლელებისას და მათ პროვინციელებს უწოდებენ. ეთნოცენტრიზმი ძლევამოსილი ფაქტორია, რომელიც ერთმანეთში აერთიანებს ჯგუფური სოლიდარობის ძლიერ შეგრძნებას და ჯგუფური აღმატებულობის იდეას.

ეთნოცენტრიზმს შეუძლია ჯგუფური სოლიდარობის წარმოქმნა, თუმცა ის ასევე ხელს უშლის ჯგუფებს შორის ურთიერთგაგებას. ეთნოცენტრიზმის არსის გაგება ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა უკეთ შევიცნოთ დღევანდელი ისტორიის განმსაზღვრელი ფართომასშტაბიანი კონფლიქტები. თუკი ეთნოცენტრიზმი ექსტრემალურ სახეს მიიღებს, მას შეუძლია ღია პოლიტიკური დაპირისპირების, ომის, ტერორიზმის და თვით *გენოციდის* გამოწვევა, რომელიც გარკვეული ჯგუფისადმი კუთვლების გამო ადამიანთა მასობრივ მკვლელობას გულისხმობს. ეთნოცენტრიზმის შესწავლამ შესაძლოა ნათელი მოჰფინოს ისეთი ჯგუფების ღრმა რწმენას, როგორიცაა ალ-ქაიდა, რომლის თანახმადაც ტერორიზმი რელიგიური „ჯიჰადით“ არის გამართლებული, რაც ისლამური სარწმუნოების დასაცავად გამოცხადებულ რელიგიურ ბრძოლას ნიშნავს. ზოგიერთში შეიძლება გაოცება გამოიწვიოს იმან, თუ როგორ არიან ადამიანები თავიანთი სარწმუნოების უტყუარობაში ისე დარწმუნებულები, რომ ამის გამო ისინი ხალხის მოკვლისთვისაც კი მზად არიან. ამ კითხვაზე პასუხი სწორედ ეთნოცენტრიზმი გახლავთ. ამ მოვლენის არსის გაგება სულაც არ ამართლებს ამგვარ ქცევას, მაგრამ ეს დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რამდენად სასტიკი და ულმობელი შეიძლება იყოს ქმედება. თუმცა, ძალზე ზედაპირული იქნება მიმდინარე პოლიტიკური კონფლიქტების მხოლოდ ეთნოცენტრიზმის ჭრილში განხილვა.

ეთნოცენტრიზმს ასევე შეუძლია დაგვეხმაროს, უკეთ გავიგოთ აშშ-ის მიმართ მრავალი ერის დამოკიდებულება (იხ. დიაგრამა 1). ეს ის საკითხია, რომლის გაგებაც უჭირთ აშშ-ში მაცხოვრებელ ადამიანებს, რადგანაც საკუთარი კულტურის შესახებ ამერიკელებს ეთნოცენტრული შეხედულებები აქვთ და მათი აზრით ის სხვებისას აღემატება. მრავალი ქვეყანა პოზიტიურად არ აღიქვამს ამერიკულ კულტურას, ისე, როგორც ეს ამერიკელებს სურთ. როგორც ამას დიაგრამა გვიჩვენებს, ისლამური სამყაროს კულტურული ღირებულებები ეწინააღმდეგება დასავლურს. სწორედ ეს შეადგენს აღნიშულ კულტურებთან შეერთებული შტატების ურთიერთობის სირთულეს.

ეთნოცენტრიზმისგან სრულიად განსვავებული მოვლენაა **კულტურული რელატივიზმი**, რომელიც შემდეგ იდეას ეფუძნება: რაიმე მოვლენის გაგება და შეფასება მხოლოდ იმ კულტურის კონტექსტთან შეფარდებით არის შესაძლებელი, რომელშიც ის იჩენს თავს. ამგვარი ხედვა არ გულისხმობს, რომ ნებისმიერი კულტურული ნორმა მორალურად მისაღები უნდა იყოს, თუმცა იგი გვკარნახობს, რომ კულტურული კონტექსტის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ადამიანების ამა თუ იმ ქცევის მიზეზების დადგენა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში მიცვალებულების დაკრძალვა ან კრემაცია კულტურულ ნორმას წარმოადგენს. ამ კულტურის ზოგერთი წარმომადგენლისთვის რთული გასაგებია, რომ ტიბეტის უკიდურესად ცივი კლიმატის მქონე რაიონებში, სადაც შეუძლებელია მიწის ამოთხრა, მიცვალებულებს ანაწევრებენ და სვავების საკვებად ტოვებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ქმედება ამერიკელებისთვის სრულიად მიუღებელია (და ამავდროულად უკონონოა), ტიბეტური კულტურისთვის ეს კანონზომიერებას წარმოადგენს.



დიაგრამა 1. მაჰმადიანთა შეხედულებები დასავლეთთან დაკავშირებით

წყარო: რიჩარდ ბურკჰოლდერი (Burkholder, Richard. 2003). „ერაყი და დასავლეთი: რამდენად დიდია მორალურ შეხედულებათა სხვადასხვაობა?“ მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა. პრინსტონი, ნიუ-ჯერსი. www.gallup.com

კულტურული რელატივიზმის შესწავლა ზოგიერთი საკამათო საკითხის არსში უკეთ ჩაწვდომის საშუალებას იძლევა, როგორიცაა საერთაშორისო დავა კლიტოროდექტომიის (სასქესო ორგანოების დასახიჩრების ერთ-ერთი ფორმა) თაობაზე. კლიტოროდექტომიისას (ზოგჯერ მას ქალების წინადაცვეთას უწოდებენ) ახალგაზრდა ქალის კლიტორის სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა ხდება, რაც, როგორც წესი, სამედიცინო პერსონალის მიერ არ ხორციელდება. აღნიშნული პროცედურა ხშირად ანტისანიტარიულ პირობებში მიმდინარეობს, რომლის დროსაც არანაირი ტკივილგამაყუჩებელი არ გამოიყენება. ზოგჯერ სასირცხვო ბაგეების ამოკერვაც კი ხდება. ადამიანის უფლებადამცველმა და ფემინისტურმა ორგანიზაციებმა ამგვარი ფაქტები აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ზოგიერთ ქვეყანაში აღრიცხეს. წინასწარი მონაცემების თანახმად, მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიონი გოგონა დგას ამ საშიშროების წინაშე. ხსენებული რიტუალი ყველაზე ხშირად ისეთ კულტურებში გვხვდება, სადაც ქალიშვილობა საკმაოდ ძვირად ფასობს და სადაც პატარძლის გამოსასყიდის გაცემა ქალწულობის მტკიცებულებაზეა დამოკიდებული.

დასავლური კულტურის თვალსაზრისით, კლიტოროდექტომია სასქესო ორგანოების დასახიჩრებას და ქალების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას ნიშნავს. ბევრმა აღიმაღლა ხმა საერთაშორისო რეაგირებისათვის, რათა აღმოფხვრილიყო ზემოხსენებული პრაქტიკა, თუმცა დღემდე ბევრს დაობენ იმის თაობაზე, უნდა მოხდეს თუ არა აღნიშნული ნორმისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად დასავლური კულტურის სხვა საზოგადოებებისათვის თავზე მოხვევის მცდელობისგან თავშეკავება. უნდა მიეცეს კულტურებს თვითგამორკვევის უფლება თუ ნორმები, რომელთა განხორციელების შედეგად ხალხი სახიჩრდება, ადამიანის უფლებების დარღვევად უნდა ჩაითვალოს? როგორც ჩანს, ეს სადავო საკითხი გადაუჭრელი რჩება. მთავარია, გვახსოვდეს, რომ კულტურული ნორმის უკეთ გაგება იმ კულტურული ღირებულებების შესწავლას მოითხოვს, რომელსაც ის ეფუძნება.

კულტურის გლობალიზაცია

დასავლური კულტურის მთელ მსოფლიოში გავრცელების ტემპი, როგორც ჩანს, მატულობს, რასაც მოწმობს შეერთებული შტატების გაკომერციულებული კულტურის გლობალური ყოვლისმომცველობა. შესაძლოა ესტუმროთ მსოფლიოს შორეულ რეგიონებს და იქ წააწყდეთ ამერიკული კულტურის კარგან ნაცნობ ელემენტებს, იქნება ეს „მაკდონალდსი“ ჰონგ-კონგში, „გეპი“ სამხრეთ აფრიკაში თუ „დისნეის“ ნაწარმი დასავლეთ ევროპაში. მხატვრული ფილმებიდან დაწყებული და სწრაფი მომსახურების კვების ობიექტებით დამთავრებული, აშშ დომინირებს საერთაშორისო მასკულტურაში. ამ მოვლენას კონფლიქტის თეორეტიკოსები უმთავრესად კაპიტალისტური ბაზრის დიდი გავლენით ხსნიან. ცალკეული კულტურის მთელ მსოფლიოში გავრცელებას **გლობალურ კულტურას** უწოდებენ. მიუხედავად მსოფლიოში არსებული კულტურის უკიდეგანო მრავალფეროვნებისა, მოდა, საკვები, გართობა და სხვა კულტურული ღირებულებები აშშ-ის ბაზრების მიერ იმართება, რის შედეგადაც უფრო მეტად ერთგვაროვანი მსოფლიო კულტურა წარმოიქმნება. გლობალურ კულტურას უფრო და უფრო მეტად ეტყობა კაპიტალისტური ინტერესები, რაც ნელ-ნელა განდევნის შედარებით მრავალფეროვან სახალხო კულტურებს, რომლებიც მთელი მსოფლიოსათვის იყო დამახასიათებელი (Steger 2009).

ცვლის თუ არა ტრადიციულ კულტურულ ღირებულებებს კულტურის მზარდი გლობალიზაცია? ზოგიერთს ადარდებს ის, რომ გლობალიზაციის შედეგად არადასავლურ კულტურებზე დასავლური ღირებულებების თავს მოხვევა ხდება, რაც თანდათანობით არყევს ძირძველ კულტურულ ტრადიციებს. თუმცა, გლობალური ეკონომიკური ცვლილება ასევე უფრო ტოლერანტულ ღირებულებებს გვთავაზობს იმ კულტურებთან მიმართებით, რომლებსაც წარსულში შესაძლოა უფრო ვიწრო მსოფლმხედველობა ჰქონოდა. გლობალიზაციის პროცესის პარალელურად, *როგორც* ეკონომიკური ცვლილებები, *ასევე* ტრადიციული კულტურული ღირებულებები ერთობლივად აყალიბებს განსხვავებული საზოგადოებების ახლადაღმოცენებულ ეროვნულ კულტურას (Inglehart & Baker 2000).

დღეისათვის, ტრადიციულ და შედარებით კომერციულ ღირებულებებს შორის კონფ-ლიქტი თანდათან დასასრულს უახლოვდება საერთაშორისო ურთიერთობებში. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ირწმუნება, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული კონფლიქტის ფესვები, გარკვეულწილად, მომხმარებლურ, დასავლურ-კაპიტალისტურ ღირებულებებსა და ადგილობრივ საზოგადოებათა ტრადიციულ ღირებულებებს შორის გამართულ ბრძოლაში უნდა ვეძებოთ. აღნიშნულ მოვლენას ბენჯამინ ბარბერი (Benjamin Barber 1995) აღწერს, როგორც ბრძოლას „მაკდონალდსის სამყაროსა“ და „ჯიჰადს“ შორის, რაც გლობალურ სავაჭრო ურთიერთობებსა და ვიწრო, ადგილობრივი მასშტაბის ღირებუ-ლებებს შორის დაძაბულობას გულისხმობს. საბაზრო ღირებულებებისადმი წინააღმდეგო-ბის გაწევასთან ერთად, შესაძლოა გაძლიერდეს ეთნიკური და კულტურული იდენტობის შენარჩუნების მომხრეთა მოძრაობები. შესაბამისად, შესაძლოა ვიხილოთ კულტურული საფუძვლების მქონე მოძრაობების გავრცელება, რომელთა შორისაც იქნება ძლიერი ნა-ციონალისტური გრძნობებით გაჯერებული ჯგუფები (როგორებიცა ახლო აღმოსავლეთში არსებული ექსტრემისტული დაჯგუფებები). თუმცა, მათ შორის ასევე იქნება ახლოაღმო-სავლური პროდემოკრატიული მოძრაობებიც.

ჯონ მასიონისი და კენ პლამერი

რელიგია და რწმენა *

1989 წელს სალმან რუშდიმ დიდ ბრიტანეთში გამოაქვეყნა სკანდალური რომანი „სატანური ლექსები“ (The Satanic Verses). წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი, წინასწარმეტყველი მაჰუნდი, წარმოდგენილია, როგორც ავხორცობის, ბილწსიტყვაობისა და თავაშვებულობის სიმბოლო. რომანის მიმართ ბრიტანელმა მუსლიმებმა თავიანთი აღშფოთება გამოხატეს და ავტორისგან ისლამის შეურაცხყოფის გამო ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. მათი აზრით, წიგნში შეფარვით ჩანდა მუჰამედისა და ისლამური სარწმუნოებისადმი მკრეხელური დამოკიდებულება. ვითარება მალევე გამწვავდა: წიგნი საჯაროდ დაწვეს ბოლტონსა და ბრედფორში; მედიამ მუსლიმები არატოლერანტულობაში დაადანაშაულა; რუშდი დაგმობილ იქნა ინდოეთსა და პაკისტანში. 1989 წელს, წმ. ვალენტინის დღეს, ირანელთა ლიდერმა აიათოლა ჰომეინიმ გამოსცა ფათვა – რუშდის დასჯისაკენ ოფიციალური მოწოდება. თავდაპირველად, ბრიტანეთში განვითარებულმა შემთხვევამ – რომანით გამოწვეულმა სკანდალმა, საერთაშორისო ხასიათი მიიღო და რელიგიურ ინსტიტუტებსა და სეკულარულ კოლტურებს შორის დაპირისპირების სიმბოლოდ იქცა, რასაც თან ახლდა დასავლეთში გაღვივებული ანტიისლამური განწყობა. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად რუშდიმ მიმალვა ამჯობინა და დაახლოებით ათი წლის განმავლობაში საზოგადოებაში არ გამოჩენილა. 2007 წელს იგი დიდ ბრიტანეთში რაინდად აკურთხეს, რის გამოც მასთან დაკავშირებული სკანდალი – თუმცა, წინანდელთან შედარებით ნაკლები მასშტაბით – კვლავ განახლდა.

1995 წლის მარტში, ტერორისტთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ტოკიოს მეტროში მომწამლავი აირი გაუშვა, რის გამოც 12 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო გაცილებით მეტმა მხედველობა დაკარგა. ფაქტმა სრული ქაოსი გამოიწვია. ეს არ გახლდათ ტერორიზმის ჩვეული შემთხვევა. აღნიშნული აქტი იაპონურმა რელიგიურმა სექტამ „აუმ სინრიკომ“ განახორციელა, რომელშიც, მათი მტკიცებით, იაპონიაში 10 ათასი, ხოლო რუსეთში – 20 ათასი წევრი იყო გაერთიანებული. სექტის ლიდერმა შოკო ასაჰარამ იარაღის უზარმაზარი მარაგის შეგროვება მოახერხა, რომლითაც დაახლოებით 10 მილიონი ადამიანის განადგურებას გეგმავდა.

1997 წლის მარტში, მარშალ ეფლუაითმა თავისი სექტის (სამოთხის კარიბჭე) 39 წევრს თვითმკვლელობისკენ უბიძგა. მათი ცხედრები რანჩო სანტა-ფეში (კალიფორნიის შტატი), ორ-იარუსიან საწოლებში, მოწესრიგებულ მდგომარეობაში იქნა ნაპოვნი. აღნიშნული სექტა გამორჩეულად თანამედროვე ჯგუფს წარმოადგენდა. მის წევრებს სპორტული ფეხსაცმელი ეცვა და ყოველი მათგანი „კომპიუტერის ჭია“ იყო. ისინი კომპიუტერს რელიგიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათი ინტერესი მიმართული იყო ჰეილ-ბოპის კომეტსაკენ, რომლის გამოჩენაც, მათი წარმოდგენით, ზეცად გამგზავრების ნიშანი უნდა ყოფილიყო. როდესაც კომეტა გამოჩნდა, თავიანთი ლიდერის ხელმძღვანელობით, სექტის წევრებმა საკმაოდ უცნაური არყისა და ბარბიტურატების ნაზავი დალიეს, რათა მათ „მიწიერ ჭურჭელს“ ზეცად ამაღლება შესძლებოდა.

2001 წლის 11 სექტემბერს, ისტორიაში დღემდე არსებული ყველაზე დამანგრეველი ტერორისტული აქტი განხორციელდა. ოთხი სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს თვითმკვლელმა ტერორისტებმა. მათ სამიზნეს აშშ-ს ყველაზე ცნობილი შენობები წარმოადგენდა. ორმა მათგანმა ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპი ცათამბჯენები გაანადგურა, მესამემ – პენტაგონის შენობის ნაწილი ვაშნგტონში, ხოლო მეოთხე – პენსილვანიაში ჩამოვარდა. აღნიშნული მოვლენა მაშინვე ტერორისტულ აქტად გამოცხადდა, რომელიც უსამა ბინ ლადენთან და მის მიერ მართულ საერთაშორისო ტერორისტული ქსელ „ალ-ქაიდასთან“ იყო დაკავშირებული. არსებობს ბინ ლადენის ჩანაწერი, სადაც იგი ამერიკას რელიგიურ ომს – ისლამურ ჯიჰადს უცხადებს.

---

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ერთი თავის თარგმანს წიგნისა: „სოციოლოგია: შესავალი კურსი“

„წინასწარმეტყველ მუჰამედის ზეცად ამაღლება.“ ავტორი: აყა მირაკი (XVI საუკუნის სპარსული ხელნაწერი)

ხშირად ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სამყაროში რელიგია დაღმასვლას განიცდის რაციონალიზმისა და მეცნიერების აღმასვლის ფონზე. რეალობაა ის ფაქტიც, რომ ევროპული ქვეყნების დიდ ნაწილში ეკლესიაში მოსიარულეთა და თვით ქრისტიანული შეხედულებების მატარებელთა რიცხვი დღითიდღე იკლებს. თუმცა ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში რელიგიას უწინდებურად ძალუძს ძლიერი, გავლენიანი როლის შესრულება.

წყაროები: აპინიანეზი და მაიტლანდი (Appignanesi and Maitland, 1989); ფარეხი (Parekh, 1989); გალანტერი (Galanter, 1999).

არსებობს მხოლოდ ერთი რელიგია, თუმცა არსებობს მისი ასობით ნაირსახეობა.

ჯორჯ ბერნარდ შოუ:
„სასიამოვნო და უსიამოვნო პიესები“ (1898), ტ. II, შესავალი.

ღმერთი რომ არ არსებობდეს, აუცილებელი იქნებოდა მისი გამოგონება.

ვოლტერი

მთავარი თემები:

- რელიგიის აღქმის გზები
- რელიგიური ორგანიზაციები
- მსოფლიო რელიგიების ნაირსახეობები
- რელიგია თანამედროვე საზოგადოებაში და სეკულარიზაციის პრობლემა
- ახალი ცვლილებებლი რელიგიაში

კითხვა განსჯისთვის:

აყა მირაკი გახლდათ მეთექვსმეტე საუკუნის სპარსელი მხატვარი. გაიაზრეთ, თუ როგორ ახდენს რელიგიური ხელოვნების ფორმირებას ისტორია და კულტურა.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რელიგია კვლავ დაბრუნდა სოციოლოგიის დღის წესრიგში, როგორც ანალიზის ძირითადი სფერო. მეოცე საუკუნეში, სოციოლოგები უმეტესწილად დაობდნენ იმის შესახებ, რომ რელიგია დაღმასვლის გზაზე იყო და რომ საზოგადოებები უფრო მეტად სეკულარიზებულები ხდებოდნენ. თუმცა დღეისათვის ცხადი გახდა, რომ მთელ მსოფლიოში რელიგია კვლავაც მრავალმხრივ განამტკიცებს საკუთარ პოზიციებს. პუბლიკაციის ამ ნაწილში განვიხილავთ – რას წარმოადგენს რელიგია; როგორ სახეიცვლება რელიგიური შეხედულებები როგორც ისტორიის მანძილზე, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში; და რელიგიის ადგილს დღევანდელ, თანამედროვე, სამეცნიერო და გლობალიზაციის პირობებში მყოფ კულტურებში.

რას წარმოადგენს რელიგია?

კაცობრიობის არსებობის მანძილზე, მცირე საზოგადოებებში მცხოვრები ადამიანები დაბადებას, სიკვდილს და ყველაფერს, რაც ცხოვრების განმავლობაში ხდებოდა, ზებუნებრივ ძალებს მიაწერდნენ. ბოლო რამდენიმე ასეული წლის მანძილზე მეცნიერება მოგვევლინა, როგორც ბუნებრივი სამყაროს შეცნობის ალტერნატიული გზა. ხოლო, სამეცნიერო სოციოლოგია გვთავაზობს სხვადასხვა ახსნას, თუ როგორ და რატომ მოქმედებენ საზოგადოებები ამა თუ იმ გზით.

და მაინც, რელიგია **მრწამსთან** არის დაკავშირებული – *რწმენა სათავეს იღებს ურყევი შეხედულებებისაგან, ვიდრე სამეცნიერო მტკიცებულებებისაგან.* მაგალითად, ბიბლიის ახალი აღთქმა მრწამსს შემდეგნაირად განმარტავს: „ხოლო რწმენა არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით, და წვდომა უხილავისა“ (ებრ. 11:1) და მოუწოდებს ქრისტიანებს „მიჰყვნენ რწმენას და არა ხედვას“ (რადგანაც რწმენით ვიარებით და არა ხედვით; 2 კორ. 5:7). ძლიერი რწმენის მქონე ზოგიერთი ადამიანი შესაძლოა შეშფოთდეს იმის გამო, რომ სოციოლოგები თავიანთ სამეცნიერო ხედვას მორწმუნეთათვის წმინდა, ხელშეუხებელი საკითხებისადმი მიმართავენ. რადგანაც მსოფლიო რელიგიები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება და ყოველი მათგანი განსხვავებულ სიწმინდეებს აღიარებს, ეს ფაქტი მკვეთრად ამწვავებს *ფარდობითობის პრობლემას* და წარმოშობს შეკითხვას: როგორ ახერხებს დედამიწის მკვიდრი მილიარდობით ადამიანი თავისი ცხოვრების ორგანიზებულად წარმართვას რადიკალურად განსხვავებული სარწმუნოებრივ მოძღვრებათა პირობებში, როდესაც თითოეული მათგანი საკუთარ ღმერთს ან ღვთაებებს აღიარებს? სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ რელიგიას დედამიწაზე არსებულ ყველა კულტურაში უმთავრესი ადგილი უკავია. მეცნიერებს სურთ გამოიკვლიონ, თუ რატომ ენიჭება ასეთი მნიშვნელობა რელიგიურ მრწამსსა და რიტუალებს და რა როლს ასრულებენ ისინი. რადგანაც რელიგია ისეთ იდეებს უკავშირდება, რაც ყოველდღიურ საქმიანობას სცდება, ვერც საღი აზრი და ვერც მეცნიერების ვერცერთი დარგი ვერ დაადასტურებს ან უარყოფს რელიგიურ დოქტრინებს.

არამიწიერი და მიწიერი

დიურკემი ამტკიცემდა, რომ რელიგია ორიენტირებულია ისეთ „თემებზე, რაც აღემატება ჩვენი ცოდნის ფარგლებს“ (Durkheim, 1965: 62; orig. 1915). მისივე განმარტებით, ჩვენ გარემოში არსებული საგნების, მოვლენებისა და საქმიანობის უმეტეს ნაწილს განვსაზღვრავთ, როგორც **მიწიერს** (ლათნური სიტყვიდან პროფანუს, რაც ნიშნავს „ტაძრის მიღმა მყოფს“) – *ყოველივე ის, რაც ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულ შემადგენელს წარმოადგენს.* მაგრამ, ზოგიერთ რამეს ცალკე გამოვყოფთ და მას **არამიწიერს** ვუწოდებთ – ანუ *ყველაფერს იმას, რაც არაჩვეულებრივია და მოწიწების, რიდის ან თუნდაც შიშის შეგრძნებას აღძრავს ჩვენში.* მიწიერის არამიწიერისგან გამიჯვნა ყველა რელიგიური მოძღვრების არსს შეადგენს. მაშასადამე, **რელიგია** არის *სოციალური ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს არამიწიერის კონცეფციაზე დაფუძნებულ შეხედულებებსა და წეს-ჩვეულებებს.*

მსოფლიოში რწმენის საკითხები ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან და არ არსებობს ერთი რამ, რაც ყველასთვის წმინდა (არამიწიერი) იქნებოდა ერთდროულად. მიუხედავად

იმისა, რომ ადამიანები წიგნების უდიდეს ნაწილს მიწიერ მოვლენად მიიჩნევენ, ებრაელებისთვის თორა (ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი, ანუ ძველი აღთქმა) სიწმინდეს წარმოადგენს, ისევე როგორც ქრისტიანები ბიბლიას (ძველ და ახალ აღთქმას), ხოლო მუსლიმები – ყურანს განადიდებენ.

დიურკემის თქმით, მორწმუნეთა საზოგადოება რელიგიურ ზღვარს ავლებს (1965; orig. 1915: 62). მიწიერ მოვლენად ადამიანი ყოველდღიური დანიშნულების ელემენტებს მიიჩნევს: ჩვენ ვსხდებით საკუთარ კომპიუტერებთან ან ავტომობილში სხვადასხვა მიზნის განსახორციელებლად. ხოლო, ის, რაც არამიწიერია (წმინდაა), ვმიჯნავთ ჩვენი ყოველდღიურობისაგან და მას მოწიწებით ვეპყრობით.

ყველა რელიგიას ცხოვრების თავისი მოდელი აქვს, რომლის მიხედვითაც ადამიანებს შეუძლიათ მათი საქმიანობების ორგანიზება. როგორც წესი, აღნიშნული მოდელები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა **კოსმოგონია** – *ამბავი სამყაროს შექმნის შესახებ*; **თეოდიცეა** – ამბავი სამყაროში ბორეტებისა და ტანჯვის არსებობის ახსნის შესახებ; დაბოლოს, **ეთიკური ცხოვრების** ფართო ხედვა – თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ადამიანები. გარდა ამისა, ეს მოდელები დაკავშირებულია მრავალ რიტუალთან, როგორიცაა მედიტაციები და მანტრების კითხვა, თაყვანისცემის ცერემონია, დღესასწაულები, ჰიგიენის, დიეტისა და სქესობრივი ცხოვრების ნორმების დაცვა. მიწიერსა და არამიწიერს შორის არსებული ზღვრის უკეთ წარმოსაჩენად, მუსლიმები მეჩეთში შესვლის წინ ფეხსაცმელს იხდიან, რათა არ შებილწონ მათთვის წმინდა ადგილი ფეხსაცმლის ლანჩით, რომელიც მეჩეთის გარეთ მდებარე უწმინდურ მიწას ეხებოდა. ამის მსგავსად, ინდუიზმის ყოველი მიმდევარი ვალდებულია ჩაატაროს განბანვის რიტუალი, ხოლო ებრაელებისთვის დაწესებულია ინიციაციის წეს-ჩვეულებები, როგორიცაა ბარ მიცვა ბიჭებისთვის და ბატ მიცვა – გოგონებისთვის (Kurtz, 1995: 25). არამიწიერი (წმინდა) უკავშირდება **რიტუალს**, რომელიც *ფორმალურ, ცერემონიულ ქცევას წარმოადგენს*. წმინდა ზიარება ქრისტიანობის უმთავრესი რიტუალია; ზიარებისას მიღებული სეფისკვერი და ღვინო ქრისტეს სისხლსა და ხორცს განასახიერებს და ისინი არასდროს არ ითვლება ჩვეულებრივ საკვებად.

რელიგიურობა

რელიგიურობა ნიშნავს რელიგიის მნიშვნელოვნობას ადამიანის ცხოვრებაში. წლების წინ, ჩარლზ გლოკმა (Charles Glock 1959, 1962) რელიგიურობის ხუთი გამორჩეული შრე გამოკვეთა. *ემპირიული* რელიგიურობა გულისხმობს პიროვნების ემოციურ კავშირს რელიგიასთან. *რიტუალური* რელიგიურობა უკავშირდება რიტუალების დაცვის (ლოცვა, ეკლესიაში სიარული) სიხშირეს. *იდეოლოგიური* რელიგიურობა ეხება ინდივიდის რწმენის ხარისხს რელიგიური დოქტრინების მიმართ. *შედეგობრივი* რელიგიურობა გვიჩვენებს, თუ რაოდენ აქტიურად ფიგურირებს რელიგიური მრწამსი ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში. დაბოლოს, *ინტელექტუალური* რელიგიურობა გულისხმობს პიროვნების ცოდნას რომელიმე კონკრეტული რელიგიის ისტორიისა და დოქტრინების შესახებ. უმეტესწილად, ადამიანების რელიგიურობის ხარისხი მეტნაკლებად განსხვავებულია ზემოჩამოთვლილი შრეების შესაბამისად და ამიტომაც რთულია რელიგიურობის კონცეფციის შეფასება და დადგენა.

რელიგიის არსის გაგება

სოციოლოგები, როგორც ინდივიდები, შესაძლოა რამდენიმე (ან საერთოდ არცერთ) რელიგიურ მრწამსს იზიარებდნენ. თუმცა, ყველა მათგანი თანხმდება, რომ რელიგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ფუნქციონირებაში. თეორიულ შეხედულებათა თითოეული სისტემა განმარტავს, თუ რა გზით ახდენს რელიგია გავლენას სოციალურ ცხოვრებაზე.

რელიგიის ფუნქციები: რელიგია, როგორც რიტუალი

ემილ დიურკემი (Emile Durkheim, 1965; orig. 1915) გვარწმუნებდა, რომ ჩვენ ყოველდღიურად ვუპირისპირდებით საზოგადოებრივ ძალას. მისი თქმით, საზოგადოება თავად ფლობს ყოველგვარ ძალაუფლებას ნებისმიერი ინდივიდის სიცოცხლის მიღმა. ამგვარად, საზოგადოება თავადაა „ღმერთის დარი", რომელიც განაგრძობს არსებობას მისი წევრების გარდაცვალების შემდეგ, ვისი ცხოვრების ფორმირებასაც თავად ახორციელებს. დიურკემი თვლიდა, რომ რელიგიურ ცხოვრებაში ადამიანები თავიანთი საზოგადოების უდიდეს ძალას განადიდებენ. ამგვარი ხედვის თანახმად აიხსნება, თუ როგორ ხდება საზოგადოებებში ყოველდღიური ობიექტების კოლექტიური ცხოვრების წმინდა (არამიწიერ) სიმბოლოებად გარდაქმნა. დიურკემი განმარტავს, რომ ტექნოლოგიურად მარტივი საზოგადოების წევრები ამას **ტოტემის** მეშვეობით ახდენენ, რომელიც *ბუნების სამყაროში, კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე, წმინდა ობიექტად ითვლება*. ტოტემი – რომელიმე ცხოველი ან თუნდაც საგულდაგულოდ შექმნილი ხელოვნების ნიმუში – რიტუალის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს და ასახიერებს საზოგადოებრივ ძალას, რომელსაც ძალუძს ინდივიდების ძლევამოსილ კოლექტივად ტრანსფორმირება.

საზოგადოების ფუნქციონირებისათვის დიურკემი რელიგიის სამ ძირითად დანიშნულებას გამოყოფს:

1. **სოციალური ერთიანობა და დარაზმულობა.** რელიგია აერთიანებს ადამიანებს საერთო სიმბოლოების, ღირებულებებისა და ნორმების მეშვეობით. რელიგიური დოქტრინა და რიტუალი ადგენს „თამაშის სამართლიან" წესებს, რაც შესაძლებელს ხდის ორგანიზებული სოციალური ცხოვრების არსებობას. რელიგია ასევე მჭერმეტყველებს კაცობრიობის ისეთი სასიცოცხლო ძალის შესახებ, როგორიცაა *სიყვარული*. ამგვარად, რელიგიური ცხოვრება ხაზს უსვამს სხვების მიმართ არსებულ ჩვენს მორალურ და ემოციურ კავშირებს.

2. **სოციალური კონტროლი.** ყოველი საზოგადოება იყენებს რელიგიური ხასიათის სიმბოლოებს, გამოსახულებებსა და რიტორიკას მორჩილების გასაღვივებლად. საზოგადოებები მრავალ კულტურულ ნორმას წარმოქმნიან, განსაკუთრებით ქორწინებასთან და რეპროდუქციასთან დაკავშირებით, რასაც საფუძვლად რელიგიური მტკიცებულება უდევს. ქცევითი ნორმების მიღმა, რელიგია პოლიტიკურ სისტემაზეც ახდენს გავლენას. შუა საუკუნეების ევროპაში მონარქები ირწმუნებოდნენ, რომ ისინი ღვთის ნებით მართავდნენ ქვეყანას. დღევანდელი ეპოქის რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი რელიგიით ძალზე ღიად აპელირებს, ხოლო ბევრი მათგანი თავის ქმედებას ღვთისგან კურთხევას უკავშირებს, რითაც არწმუნებს საზოგადოებას, რომ მათი ძალისხმევა სწორი და სამართლიანია.

3. **აზრისა და მიზნის მინიჭება.** რელიგიური მრწამსი გვთავაზობს ერთგვარ დამამშვიდებელ შეგრძნებას, რომ ადამიანის გაჭირვებული მდგომარეობა რომელიმე დიად მიზანს ემსახურება. ამგვარი მოსაზრებებით გაძლიერებული ხალხი, ცხოვრებისეული განსაცდელის ჟამს, ნაკლებად ექცევა სასოწარკვეთილებისა და უიმედობის მდგომარეობაში. ამ მიზნით, სიცოცხლის მანძილზე არსებულ მნიშვნელოვან გარდატეხებს (დაბადება, ქორწინება, სკივდილი) თან ახლავს რელიგიური რიტუალები, რაც აფართოებს ჩვენს სულიერ (რელიგიურ) ცნობიერებას.

კრიტიკული კომენტარი

დიურკემის ანალიზის თანახმად, რელიგია საზოგადოების კოლექტიურ ცხოვრებას წარმოაჩენს. აღნიშნული მიდგომის ყველაზე დიდი სისუსტე გახლავთ ის ტენდენცია, რომელიც არასასაკმარისად აფასებს რელიგის დისფუნქციას, განსაკუთრებით მყარი დოგმების ნიადაგზე წარმოქმნილ სოციალურ კონფლიქტებს. მაგალითად, შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდში, რელიგიური რწმენა გახდა ჯვაროსნული ლაშქრობების მთავარი მამოძრავებე-

ლი ძალა, რომლის დროსაც ევროპელ ქრისტიანებს სურდათ მუსლიმებისთვის მათ მიერ კონტროლირებადი მიწების წართმევა, რომლებიც ორივე რელიგიის მიმდევართათვის სიწმინდეს წარმოადგენდა. მუსლიმებს, ებრაელებსა და ქრიტიანებს შორის კონფლიქტი დღესაც გრძელდება, რაც ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური არასტაბილურობის წყაროდ იქცა. ჩრდილოეთ ირლანდიაში არსებული სოციალური გახლეჩილობის მიზეზიც, ნაწილობრივ, რელიგიური კონფლიქტია პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის; ჰოლანდიური კალვინიზმი ისტორიულად მხარს უჭერდა აპარტეიდს სამხრეთ აფრიკაში; განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობები დღემდე უწყობს ხელს ალჟირის, ბოსნიის, ინდოეთის, შრი-ლანკასა და სხვა ქვეყნებში არსებულ უთანხმოებებს. ერთი სიტყვით, უკვე დიდი ხანია, რაც ერები ომებში ებმებიან თავიანთი ღმერთის დროშის ქვეშ. რწმენის სხვადასხვაობამ უფრო მეტი ძალადობა წარმოშვა მსოფლიოში, ვიდრე სოციალურ კლასთა განსხვავებულობამ. და მართლაც, მსოფლიოს ისტორიას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს რელიგიური ომებისა და კონფლიქტების ისტორია.

სიწმინდის კონსტრუირება: რელიგია, როგორც მოქმედება

მაქს ვებერის თეორია, როგორც წესი, მოქმედების თეორიის უმთავრეს მაგალითად განიხილება. თუმცა ასევე არსებობს სხვა მრავალი თეორიაც. კათოლიკე სოციოლოგის პიტერ ბერგერის (Peter Berger 1967: 3) თქმით, – „საზოგადოება არაფერია სხვა, ვიდრე ადამიანის ნაყოფი, რომელიც გამუდმებით მის შემქმნელზე ახდენს ზემოქმედებას“. მოქმედების პერსპექტივიდან, რელიგია (როგორც მთლიანად საზოგადოება) სოციალურად (თუმცა, შესაძლოა ღვთაებრივ შთაგონების შედეგად!) არის კონსტრუირებული. იგი გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება აზრი (მნიშვნელობა), ხოლო ადამიანები ახდენენ თავიანთი ცხოვრების გააზრებას. რელიგია აგრეთვე წარმოადგენს ცხოვრების იმ სფეროს, რომელიც ყველაზე მეტადაა გაჯერებული სიმბოლიზმითა და რიტუალებით. ამგვარად, სხვადასხვა რიტუალის მეშვეობით – დაწყებული საკვების მიღების წინ ყოველდღიურად წარმოთქმული სამადლობელი ლოცვიდან და დამთავრებული ყოველწლიური რელიგიური დღესასწაულებით, როგორიცაა აღდგომა და პასექი – ინდივიდები ერთმანეთისგან მიჯნავენ არამიწიერსა და მიწიერს. გარდა ამისა, ბერგერი განმარტავს, რომ ყოველდღიური მოვლენების „კოსმიურ შეხედულებათა სისტემაში“ მოქცევით ადამიანები თავიანთ არასრულფასოვან, არამდგრად, ეფემერულ და წარმავალ არსებებს „უკიდურესი დაცულობისა და მუდმივობის“ შეგრძნებას სძენენ (1967: 35-36).

ქორწინება შესანიშნავ მაგალითად გამოგვადგება. თუკი მას მხოლოდ ორ ადამიანს შორის გაფორმებული კონტრაქტის თვალით შევხედავთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია მისი შეწყვეტა, ხოლო თუკი პარტნიორები თავიანთ კავშირს წმინდა კავშირად განიხილავენ, ქორწინებას გაცილებით ძლიერი გავლენა ექნება მათზე. აღნიშნული ფაქტით უდაოდ აიხსნება, თუ რატომ არის განქორწინების მაჩვენებელი უფრო დაბალი რელიგიის მიმდევრებში.

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანები გაურკვეველი და სიცოცხლისათვის საშიში სიტუაციების (მაგ.: ავადმყოფობა, ომი ან ბუნებრივი კატასტროფა) პირისპირ აღმოჩნდებიან, ისინი წმინდა სიმბოლოებს მიმართავენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერ ვითარებაში არამიწიერი მნიშვნელობის დანახვა ცხოვრებისეულ სირთულეებზე მაღლა გვაყენებს და ამის დახმარებით ზოგჯერ სიკვდილსაც კი სიძლიერითა და სიმამაცით ვუსწორებთ თვალს. ინტერაქციონისტებმა შეისწავლეს ის გზები, რომლითაც ახლადწარმოქმნილი რელიგიები (როგორიცაა ერთობის და საიენტოლოგიის ეკლესიები) ადამიანებს სიცოცხლის აზრს ანიჭებს სტრესებით აღსავსე თანამედროვე სამყაროს ფონზე (Lofland, 1977; Barker, 1984).

კრიტიკული კომენტარი

მოქმედების თეორიის მიდგომა რელიგიას სოციალურ კონსტრუქციად განიხილავს, სადაც ყოველდღიური ცხოვრება „სიწმინდის საფარქვეშ“ არის მოქცეული (Berger, 1967). რა თქმა უნდა, ბერგერის განმარტებით, არამიწიერის უნარი, მოახდინოს საზოგადოების ლეგიტიმაცია და სტაბილიზაცია, დამოკიდებულია მის არაღიარებულ კონსტრუირებულობაზე. და მაინც, ჩვენ შევძლებდით სიწმინდეების მიმართ რწმენისგან მცირე სარგებელის მიღებას, თუკი მათ მხოლოდ ტრაგედიებთან გამკლავების იარაღად აღვიქვამდით. ამ შემთხვევაში, მიკროდონეზე არსებული ამგვარი შეხედულება მცირეოდენ ყურადღებას მიმართავდა რელიგიისა და სოციალურ უთანასწორობას შორის კავშირისაკენ, რასაც ამჯერად მივუბრუნდებით.

უთანასწორობა, კონფლიქტი და რელიგია: რელიგია, როგორც ძალაუფლება

რელიგიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სოციოლოგიური შეხედულება ეკუთვნის მარქსს, რომელიც ამტკიცებდა, რომ რელიგია მმართველ ელიტებს ემსახურება, რაც სტატუს-კვოს ლეგიტიმაციისა და საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობიდან ხალხის ყურადღების გადატანის გზით ვლინდება. რელიგიათა უმეტესობა სტრატიფიკაციის სისტემებს ქმნის ან ამყარებს. მაგალითად, კასტების სისტემა გახლავთ ინდუიზმის ძირითადი თვისება, რომელიც საზოგადოებას მღვდელმთავრების, მმართველების, ვაჭრებისა და მოსამსახურეების ფენებად ყოფს. მათ მიღმა რჩება „გარიყულთა“ დიდი ჯგუფი (ხელშეუხებელთა კასტა), რომლებიც არანაირ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან. მსგავსად ამისა, ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურა ხშირად ქმნიდა მნიშვნელოვან სიმდიდრეს თავისი რელიგიური ლიდერებისათვის. ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი აქვს, რაც რელიგიურ და პოლიტიკურ ელიტებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირებზე მიუთითებს.

გენდერისა და ეთნიკურობის საკითხიც ხშირად ფიგურირებს რელიგიასა და სოციალურ უთანასწორობას შორის არსებულ კავშირში. მსოფლიოს თითქმის ყველა ძირითადი რელიგია ასახავდა და ხელს უწყობდა სოციალურ ცხოვრებაში მამაკაცთა უპირატესობას. მრავალი რელიგია დომინირებს კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონსა თუ საზოგადოებაში. ისლამს აღიარებს ახლო აღმოსავლეთის არაბული სამყაროს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი; ინდუიზმი მჭიდროდაა დაკავშრებული ინდოეთის კულტურასთან, ისევე როგორც კონფუციანელობა – ჩინელების ცხოვრების წესთან. მარქსის სიცოცხლის პერიოდში, დასავლეთ ევროპის ძლევამოსილი ქრისტიანული სახელმწიფოები აფრიკის, ამერიკისა და აზიის კოლონიზაციას წარმართების მოქცევის საბაბით ამართლებდნენ. პრაქტიკული მოსაზრებით, პოლიტიკური ცვლილებების მიმართულებით მუშაობა შესაძლოა ეკლესიასთან და ირიბად ღმეთთან დაპირისპირებას გულისხმობდეს. რელიგია ასევე ამხნევებს ადამიანებს, რათა მათ „უკეთეს სამყაროში“ ცხოვრების იმედი ჰქოდენთ, რითაც ამქვეყნიური სოციალური პრობლემების მინიმუმამდე დაყვანა ხდება. მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გამონათქვამში მარქსი გესლიანად აკრიტიკებს რელიგიას, სადაც იგი მას უწოდებს „დაჩაგრული არსების ამოსუნთქვას, უგულო სამყაროს გრძნობას და უსიცოცხლო ვითარების სულს. ეს არის ოპიუმი ხალხისთვის“ (1964: 27; orig. 1848).

კრიტიკული კომენტარი

სოციალური კონფლიქტის ანალიზი წარმოაჩენს რელიგიის ძალაუფლებას სოციალური უთანასწორობის ლეგიტიმაციასთან მიმართებით. თუმცა, რელიგიის კონსერვატიული მხარის კრიტიკოსებს, მათ შორის მარქსს, მინიმუმამდე დაყავთ რელიგიის მიერ ცვლილებებისა და თანასწორობის ხელშეწყობის მცდელობის ფაქტები. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის დიდ ბრიტანეთში არსებული რელიგიური ჯგუფები მონობის გაუქმებისათვის მებრძოლი მოძრაობის ავანგარდში იმყოფებოდნენ. შეერთებულ შტატებში რელიგიური

ორგანიზაციები და მათი ლიდერები (მათ შორის ღირსი მამა მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი) სამოქალაქო უფლებების დამცველთა მოძრაობის ბირთვს წარმოადგენდნენ, რომლებიც ამჟამად ლათინური ამერიკიდან წამოსული ღარიბი იმიგრანტების უფლებების მთავარი ლობისტები არიან. აგრეთვე მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა „რადიკალ“ კათოლიკეთა მოძრაობა, რომელიც მხარს უჭერდა რევოლუციურ ცვლილებებს ლათინურ ამერიკაში და მის ფარგლებს გარეთ.

ახალი პერსპექტივები: რელიგია, როგორც მეხსიერების რგოლი

თანამედროვე ფრანგი სოციოლოგი დანიელ ერვიო-ლეჟე (Danièle Hervieu- Leger 2000) რელიგიას განიხილავს, როგორს ერთგვარ მეხსიერებას, რომელიც გვთავაზობს დამაკავშირებელ რგოლს მორწმუნე ინდივიდებსა და მათ თემებს შორის. რელიგიური მრწამსის მუდამ ცვალებადი როლების უკეთ გასაგებად საჭიროა ისტორიული მეხსიერების რგოლების მოძებნა და დადგენა, თუ როგორ ხდება მნიშვნელოვანი მოვლენების (მაგ.: რეფორმაციის) მიერ მათი დანაწევრება. განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორ „განიცდის მეხსიერება მუტაციას“. ტრადიციულ საზოგადოებებში ამგვარი მეხსიერება ძალზე ძლიერია. მას ამყარებს ყველა სახის რიტუალი და მდგრადი საზოგადოებები და ის თაობიდან თაობებს გადაეცემა. მაგრამ, თანამედროვე საზოგადოებაში მეხსიერება შედარებით სუსტდება. ერვიო-ლეჟე საუბრობს „თანამედროვე საზოგადოებების დაშლის, დანამცეცების სტადიაში მყოფ მეხსიერებაზე“ და მათ „ამნეზირებულ, მეხსიერებადაკარგულ“ საზოგადოებებად მიიჩნევს, რადგანაც ამ საზოგადოებებს საკუთარი ტრადიციებისა და წარსულის დავიწყება სჩვევია (იხ. Davie, 2000).

რელიგიური ორგანიზაციების ნიშან-თვისებები

მსოფლიოში არსებული ასობით სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის კატეგორიებად დასაყოფად სოციოლოგებმა ყოვლისმომცველი სქემა შეიმუშავეს. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოდელი სპექტრულ ფორმას იყენებს, სადაც ეკლესიები ერთ, ხოლო სექტები მეორე ნახევარსფეროშია მოქცეული.

ეკლესია

ერნსტ ტრელჩი (Ernst Troeltsch 1931), მისი მასწავლებლის მაქს ვებერის იდეებზე დაყრდნობით, **ეკლესიას** შემდეგნაირად განსაზღვრავს: *რელიგიური ორგანიზაციის სახეობა, რომელიც კარგად არის ინტეგრირებული ფართო საზოგადოებაში.*

ეკლესიის ტიპის ორგანიზაციები, როგორც წესი, საუკუნეების მანძილზე არსებობს და ისინი თავს ერთი ოჯახის წარმომადგენლებად თვლიან. ეკლესიები მკაცრად დადგენილი წესებითა და ოფიციალური დირექტივებით ხელმძღვანელობენ, ხოლო მათ ლიდერებს, სასულიერო პირად კურთხევამდე, გარვეული მომზადების გავლა უწევთ. ეკლესიებს მრავალი წევრი ყავს და მათი სტრუქტურა ერთგვარად ბიუროკრატიულია.

არამიწიერი, წმინდა საკითხების გარდა ეკლესიისათვის ამქვეყნიური სამყაროც მისაღებია, რაც მას ხალხისთვის საკმაოდ მიმზიდველს ხდის. საეკლესიო დოქტრინა ღმერთს უაღრესად ინტელექტუალურ ჭრილში განიხილავს (მაგ.: როგორც სიკეთის მქნელი ძალა). ის ასევე ხელს უწყობს აბსტრაქტული ხასიათის მორალური სტანდარტების დამკვიდრებას („მოექეცი სხვებს ისე, როგორც თავად გსურს, რომ გექცეოდნენ“) ყოველდღიურ ცხოვრებაში შესასრულებელი გარკვეული განკარგულებებისა და მოთხოვნების გამოყენებით. აბსტრაქტული მეთოდებით მორალურობის სწავლების მეშვეობით ეკლესია ახერხებს საზოგადოებრივი პოლემიკის თავიდან აცილებას. მაგალითად, მრავალი ეკლესია, რომელიც, პრინციპში, ხალხთა ერთობას განადიდებს, გამორჩეულად თეთრკანიანი წევრებისგან

შედგება. ამგვარ დუალურობას მინიმუმამდე დაჰყავს კონფლიქტის ალბათობა ეკლესიასა და გარშემო არსებულ პოლიტიკურ ლანდშფატს შორის (Troeltsch, 1931).

ეკლესია, ძირითადად, ორი ფორმიდან ერთ-ერთს იყენებს. მაროკოში ისლამი **ეკლესიას (ecclesia)** – *სახელწიფოსთან ფორმალურად გაერთიანებულ ორგანოს* – წარმოადგენს. ისტორიის მანძილზე ეკლესიების ამგვარი სახეობა საკმაოდ გავრცელებული იყო. რომაული კათოლიციზმი საუკუნეების განმავლობაში ჰბერავდა სულს რომის იმპერიას; მეოცე საუკუნის ადრეულ პერიოდამდე კონფუციანელობა ჩინეთში სახლემწიფო რელიგია იყო; ანგლიკანური ეკლესია დღემდე ინგლისის ოფიციალურ ეკლესიად რჩება, ისევე როგორც ისლამია პაკისტანისა და ირანის ოფიციალური რელიგია. სახელმწიფო ეკლესია, როგორც წესი, მთელ საზოგადოებას საკუთარ წევრად მიიჩნევს. შესაბამისად, რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტულობა მკვეთრად შეზღუდულია. სრულიად განსხვავებული მოვლენაა **დენომინაცია**, რომელიც გახლავთ *სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი რელიგიური ორგანიზაცია, რომლისთვისაც მისაღებია რელიგიური პლურალიზმი*. დენომინაციები ისეთ სექტებს წარმოადგენენ, რომლებმაც საზოგადოების ძირითად ნაწილთან შერწყმა მოახერხეს. ქრისტიანულ დენომინაციებს განეკუთვნებიან ბაპტისტები, მეთოდისტები და ლუთერანები.

სექტა

ჩვენი სპექტრის ერთ ბოლოში მოქცეულია **სექტა** – რელიგიური ორგანიზაციის ისეთი ტიპი, რომელიც განზე დგას ფართო საზოგადოებისაგან. სექტის წევრები ურყევად იცავენ თავიანთ რელიგიურ შეხედულებებს და უგელებელყოფენ მათ გარშემო მყოფ ადამიანთა მიერ მიჩნეულ ჭეშმარიტებას. უკიდურეს შემთხვევაში, სექტის წევრებს შეუძლიათ მთლიანად ჩამოშორდნენ საზოგადოებას და მისდიონ თავიანთ რელიგიას გარეშე პირთა ჩაურევლად. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურები რელიგიურ შემწყნარებლობას ღირსებად მიიჩნევენ, სექტების წევრებს ზოგჯერ დოგმატურობაში სდებენ ბრალს, რადგანაც, სექტანტების მტკიცებით, მხოლოდ ისინი ემსახურებიან ჭეშმარიტ რელიგიას (Stark & Bainbridge, 1979).

საორგანიზაციო თვალსაზრისით, სექტები, ეკლესიებთან შედარებით, ნაკლებად ფორმალურები არიან. ამდენად, სექტის წევრები ხშირად მიმართავენ სპონტანურ და ემოციურ ქმედებებს რელიგიური ცერემონიების შესრულებისას, მაშინ როდესაც ეკლესიის წევრები, ძირითადად, პასიური ყურადღებით გამოირჩევიან თავიანთი ლიდერების მიმართ. სექტები აგრეთვე უარყოფენ ეკლესიებში მიღებულ ინტელექტუალური ხასიათის რელიგიას და მის ნაცვლად ღვთაებრივი ძალის პერსონალურ გამოცდილებას უსვამენ ხაზს. ეკლესიასა და სექტას შორის კიდევ ერთი გამასხვავებელი ნიშანი მმართველობის მეთოდს უკავშირდება. რაც უფრო მეტად ახლოსაა რელიგიური ორგანიზაცია ეკლესიის ტიპთან, მით უფრო მაღალია მისი ლიდერების ფორმალურად გაწვრთნისა და ხელდასმის ფაქტორი. რამდენადაც სექტის ტიპის ორგანიზაციები ღმერთის პიროვნულ გამოვლინებას განადიდებენ, მათი წევრები თავიანთი ლიდერებისგან ღვთაებრივი შთაგონების გამოსხივებასა და გამოხატვას ელიან **ქარიზმის** ფორმით (ბერძნული სიტყვა, რომელიც „ღვთის წყალობას“ ნიშნავს), რაც გულისხმობს უჩვეულო პიროვნულ თვისებებს, *რომელსაც შეუძლია დამსწრე საზოგადოება მიმდევრებად გარდასახოს*. აუდიტორიის ემოციური შეგრძნებებით გამსჭვალვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სექტებში.

სექტები, ძირითადად, ტრადიციული ეკლესიების ან სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან გამოყოფილ, თვითაღიარებულ ჯგუფებად ყალიბდებიან (Stark & Bainbridge, 1979). ფსიქიკური ინტენსივობა და არაფორმალური სტრუქტურა მათ, ეკლესიებთან შედარებით, ნაკლებად სტაბილურს ხდის და ბევრი მათგანი მხოლოდ იმისთვის იქმნება, რომ მოკლე ხანში დასუსტდეს და საერთოდ გაქრეს. ის სექტები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე განაგრძობენ არსებობას, როგორც წესი, ეკლესიის ტიპის ორგანიზაციებად ფორმირდებიან, რომლის დროსაც ისინი კარგავენ ენთუზიაზმს და უფრო მეტად ბიუროკრატიულები და ტრადიციულები ხდებიან.

წევრების რიცხვის შესანარჩუნებლად, მრავალი სექტა მიმართავს ახალი წევრების გადაბირებას და თავიანთ იდეოლოგიაზე მოქცევას. სექტები ძლიერ აფასებენ **მოქცევის** პრაქტიკას, ანუ *პიროვნულ ტრანსფორმაციას, რელიგიურ გარდასახვას.* მაგალითად, იეჰოვას მოწმეები, ახალი წევრების მოზიდვის იმედით, ენერგიულად უზიარებენ სხვებს თავიანთ მრწამსს. დაბოლოს, ეკლესიებსა და სექტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს სოციალური შემადგენლობა. რადგანაც ტრადიციული ეკლესიები უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სეკულარულ სამყაროსთან, ისინი უფრო მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანებს მოიცავენ. სექტები კი პირიქით, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მიიზიდავენ. ახალი წევრებისადმი სექტის გახსნილობა და გადარჩენისა და თვითრეალიზების პერსპექტივა განსაკუთრებით მიმზიდველია იმათთვის, ვინც საკუთარ თავს სოციალურად გარიყულად მიიჩნევს. ბოლო პერიოდში, ტრადიციული ეკლესიების დიდი ნაწილი კარგავს თავიანთ წევრებს. ამასობაში, რამდენიმე სექტა, ხშირ შემთხვევაში გლობალური მასშტაბის ორგანიზაცია, სულ უფრო და უფრო მეტ წევრს იზიდავს.

კულტი

კულტი გახლავთ *რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც სრულიად იზოლირებულია საზოგადოების კულტურული ტრადიციებისაგან.* თუკი სექტა ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციის წიაღიდან წარმოიქმნება, კულტი სრულიად განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს. როგორც წესი, ის ძლიერი ქარიზმატული ლიდერის გარშემო ფორმირდება, რომელიც ცხოვრების ახალი გზის შესახებ დამაჯერებელ განცხადებებს აკეთებს. ზოგიერთი კულტის პრინციპები ან მიდგომები შესაძლოა უჩვეულოდ მოგვეჩვენოს. მათ შესახებ არსებული ყველაზე გავრცელებული შეხედულების თანახმად, კულტი ნორმიდან გადახრასთან და ზოგჯერ ბოროტებასთანაც კი ასოცირდება. ზოგიერთ კულტთან მიმართებით უარყოფითმა საჯარო გამოხმაურებამ გაზარდა ეჭვი და უნდობლობა ნებისმიერი უცხო რელიგიური დაჯგუფების მიმართ. ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, ამგვარი შეცდომაში შემყვანი ქმედების შედეგად, რომელიმე რელიგიური ორგანიზაციისათვის „კულტის“ წოდება მის უღირსად და მიუღებლად გამოცხადებას უტოლდება (Richardson, 1990).

მრავალი უძველესი რელიგია, როგორიცაა ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი, თავიდან კულტის სახით მოევლინა ქვეყანას. რა თქმა უნდა, კულტების უდიდესი ნაწილი დიდხანს ვერ ძლებს. ისინი უფრო მეტად უპირისპირდებიან ფართო საზოგადოებას, ვიდრე სექტები. ბევრი მათგანის წევრებს მოეთხოვება არა მარტო დაწესებული დოქტრინების აღიარება, არამედ ცხოვრების რადიკალურად ახალი წესის დაცვა. შედეგად, ადამიანები კულტებს ხშირად ადანაშაულებენ ახალი წევრების იდეოლოგიურ დამუშავებაში, თუმცა კვლევა გვიჩვენებს, რომ კულტში გაწევრიანებულთა უმრავლესობას არ მიუღია არანაირი ფსიქოლოგიური ზიანი (E. Barker, 1981; Kilbourne, 1983).

მსოფლიო რელიგიები და პატრიარქატი:
სწყალობენ თუ არა ღმერთები მამაკაცებს?

პატრიარქატი ყველა მსოფლიო რელიგიას ახასიათებს. მათი კოსმოლოგიის ცენტრში არსებული ღმერთები მამრობითი სქესის არიან; დედამიწაზე საკუთარ წარგზავნილებად მამაკაცებს ირჩევენ; რელიგიები ხშირად იგონებენ ეკლესიიდან და საზოგადოებიდან ქალთა განდევნის ან არშეშვების გზებს. ბოლო პერიოდში წარმოშობილი სექტებისა და კულტების დიდი ნაწილიც, როგორც ჩანს, პატრიარქალურ წყობას მისდევს.

უამრავი ქრისტიანი განადიდებს წმ. მარიამს, იესოს დედას, თუმცა, ამავე დროს, ახალი აღთქმა განასხვავებს ერთმანეთისგან მამაკაცს (რომელიც „ხატია და დიდება ღვთისა“) და ქალს (ვინც „ქმრის დიდებაა“). მასში ნათქვამია: „რადგანაც კაცი კი არ არის ქალისაგან, არამედ ქალი – კაცისაგან. და კაცი კი არ შეიქმნა ქალისთვის, არამედ ქალი – კაცისთვის“ (1 კორ. 11:7-9). კიდევ ერთი ფრაგმენტი მოგვიწოდებს – „ცოლე-

ბო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს. რადგანაც ქმარია ცოლის თავი, ისევე, როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა“ (ეფეს. 5:22-24); ხოლო ტიმოთეს მიმართ ეპოსტოლეში ვკითხულობთ – „მე არა ვრთავ ქალს სწავლების ნებას, და არც ქმარზე მბრძანებლობისას, არამედ რათა იყოს მდუმარედ. ვინაიდან პირველად ადამი შეიქმნა და მერე ევა. ადამი კი არ შემცდარა, არამედ ქალი შეცდა და სცოდა. თუმცაღა მაინც ცხონდება, რადგანაც შვილებს გააჩენს, თუკი რწმენაში, სიყვარულსა და სიწმიდეში დარჩება კდემით“ (1 ტიმ. 2:11-15). მსგავსად ამისა, ისლამის წმინდა ტექსტი – ყურანი აცხადებს, რომ „კაცები დგანან ქალთა ზემოთ“ (Kaufman, 1976: 163). ორთოდოქსი ებრაელი მამაკაცები თავიანთ ყოველდღიურ ლოცვაში ასეთ სიტყვებს წარმოთქვამენ: „კუთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო ჩვენო, მეუფეო ყოველთაო, რათა არ ვიშვი წარმართად. კუთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო ჩვენო, მეუფეო ყოველთაო, რათა არ ვიშვი მონად. კუთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო ჩვენო, მეუფეო ყოველთაო, რათა არ ვიშვი ქალად“. ისტორიულად, მსოფლიოს ძირითადი რელიგიების მიერ ქალებისთვის იკრძალებოდა მღვდელმსახურება. ისლამური ჯგუფების, ორთოდოქსი ებრაელებისა და რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ დღემდე დაუშვებელია რელიგიურ იერარქიებში ქალების ჩართვა. თუმცა, პროტესტანტულმა დენომინაციებმა (რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს), მათ შორის ანგლიკანურმა ეკლესიამ და მეთოდისტებმა, შეცვალეს ისტორიული პოლიტიკა და უკვე დაუშვეს ქალების სასულიერო პირად კურთხევა. 1992 წელს, ანგლიკანურმა ეკლესიამ მხარი დაუჭირა ქალებისთვის მღვდელმსახურების დაშვებას, მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა. რეფორმისტულ იუდაიზში უკვე დიდი ხანია, რაც ნებადართულია ქალებისთვის რაბინობა (ეს გახლავთ ყველაზე მსხვილი დენომინაცია, სადაც დასაშვებია გეებისა და ლესბოსელების სასულიერო პირებად კურთხევა). 1985 წელს, იუდაიზმის კონსერვატორულ დენომინაციაში ქალი პირველად გახდა რაბინი. ორგანიზებული რელიგიის პატრიარქატული სტრუქტურის წინაშე არსებული გამოწვევები – ქალი მღვდლების კურთხევიდან დაწყებული, ფსალმუნებსა და ლოცვებში გენდერულად არადიფერენცირებული ენის გამოყენებით დამთავრებული – აზრთა მწვავე სხვადასხვაობის წყაროდ იქცა. აღნიშული ფაქტი ახარებს პროგრესისტებს, თუმცა ტრადიციონალისტებში შეშფოთებას იწვევს. მოვლენების ამგვარი განვითარების წახალისება მრავალ რელიგიურ სათვისტომოში ფემინისტების არსებობას უკავშირდება. ფემინისტი ქრისტიანები გვარწმუნებენ, რომ ბევრ ეკლესიაში გამეფებული მკაცრი პატრიარქატული ტრადიციები მკვეთრად ეწინააღმდეგება იესო ქრისტეს ბიბლიურ სახეს, რომელიც „არააგრესიული, არამეტოქეობრივი, მოკრძალებული, თავმდაბალი, გლახაკთა დამცველი და გარიყულთა მეგობარია. ხოლო, ყველა ეს ადამიანური თვისება პატრიარქატის მიერ ქალურ ბუნებასთან ასოცირდება“ (შანდრა შცჰნეიდერს; ჭოოდწარდ, 1989: 61). ფემინისტების განცხადებით, თუკი გენდერის ტრადიციული წარმოდგენა არ იქნება ამოღებული ღმერთის ჩვენეული აღქმიდან, ქალები ვერსდროს ვერ მიაღწევან მამაკაცთან თანასწორობას ეკლესიაში. თეოლოგი მერი დეილი (Mary Daly) საკითხს პირდაპირ სვამს: „თუკი ღმერთი მამაკაცია, მაშინ მამაკაცი ღმერთია“. შესაძლოა, მერი დეილი ყველაზე პირდაპირი ფემინისტი კრიტიკოსია (თავდაპირველად იგი კათოლიკე იყო). დეილი ქრისტიანობას პატრიარქატულ მითად განიხილავს. მისი აზრით, ქრისტიანობა ადრეული პერიოდის იმ რელიგიების აღმოფხვრას ემსახურებოდა, რომელშიც ქალღმერთები და ქალები ფიგურირებდნენ: „ამ ცალსქესიან მამაკაცურ თვითშობაში ქალი არ ფიგურირებს“. დეილი თვლის, რომ ქრისტიანობის ფესვები მამაკაცური „სადო-რიტუალებიდან“ იღებს სათავეს, სადაც „ჯვარი წამების სიმბოლოა“ და რომ ის ქალთმოძულეობას განასახიერებს. ამ იდეით დეილიმ სრულმასშტაბიანი კრიტიკული კამპანია გააჩაღა მამაკაცური რელიგიების წინააღმდეგ (Daly, 1973, 1978). ●

გლობალური რელიგიების სოციალური კონტურები

როგორც უკვე ვნახეთ, რელიგია თითქმის ყველანაირ საზოგადოებაში გვხვდება, ხოლო რელიგიური გრძნობების გამოხატვის ნაირსახეობა ისევე მრავალფეროვანია, როგორც თავად კულტურა. პუბლიკაციის ამ ნაწილში თვალს გადავავლებთ ტრადიციულ რელიგიებს და ყურადღებას გავამახვილებთ მათ ზოგიერთ ძრითად თავისებურებასა და ამ რელი-



რუკა 1

რელიგია გლობალურ პერსპექტივაში

წყარო: ადაპტირებულია ნინა სმარტის „მსოფლიოს რელიგიათა ატლასის“ (1999: 12-13) მიხედვით

გიების გამზიარებელ საზოგადოებებზე. ქვემოთ წარმოდგენილ რუკაზე (1) გამოსახულია მსოფლიო რელიგიების გავრცელების ფორმა და არეალი.

რელიგია წინ უსწრებს წერილობით დიკუმენტებში ასახულ ისტორიას. არქეოლოგიური ნიმუშები მიგვითითებს, რომ დაახლოებით 40 ათასი წლის წინ ჩვენი წინაპრები რეგულარულად ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს. უძველესი პერიოდის მონადირეები და ზოგიერთი არადასავლელი ერი **ანიმიზმს** აღიარებდა (ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ცხოვრების სუნთქვას“). ეს გახლავთ *რწმენა, რომ ბუნების სამყაროს ყველა ელემენტი ცნობიერ სასიცოცხლო ფორმას წარმოადგენს და გავლენას ახდენს ადამიანზე*. ანიმიზმის მიმდევარები ტყეს, ოკეანეს, მთებსა და ქარს სულიერ ძალებად განიხილავენ. მონადირეები და შემგროვებლები თავიანთ რელიგიურ ცხოვრებას მთლიანად ოჯახში ეწევიან. ამგვარი საზოგადოების წევრები შესაძლოა *შამანს*, ანუ რელიგიურ ლიდერს ემორჩილებოდნენ, თუმცა მათ არ ჰყავთ გამორჩეული რელიგიური წინამძღოლები. რომელიმე ცალკეული ღვთაებრივი ძალის რწმენამ, რომელიც პასუხისმგებელია სამყაროს შექმნაზე, საფუძველი ჩაუყარა მეცხოველეთა და მებაღეთა საზოგადოებების განვითარებას. ქრისტიანული შეხედულებით, ღმერთის, როგორც „მწყემსის“ წარმოდგენა შესაძლოა უკავშირდებოდეს ადრეული ხანის რელიგიებს, რომელთა ყველა მიმდევარი მეცხოველე იყო.

საზოგადოებების პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად რელიგიური ცხოვრებაც სცდება ოჯახის საზღვრებს და მღვდელმსახურები უკვე სხვა პროფილის მშრომელებს შორისაც გვხვდებიან. რელიგიური ინსტიტუტები აგრარულ საზოგადოებებში ძლიერდება, რაც შუა საუკუნეების ევროპაში ეკლესიის ცენტრალურ პოზიციაში მოქცევით გამოიხატა. აღნიშული დომინირება ქალაქების ფიზიკურ იერსახეშიც აისახა, სადაც საკათედრო ტაძარი ყველა დანარჩენ შენობას ზემოდან გადმოჰყურებდა.

მსოფლიოში არსებობს ლოკალურ ტერიტორიაზე მოქმედი ათასობით რელიგია, რომელთაც მიმდევართა მცირერიცხოვანი ჯგუფები ჰყავს. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე გლო-



დიაგრამა 1 მსოფლიოს ძირითადი რელიგიები. დახარისხებულია პროცენტული მაჩვენებლებისა და მიმდევართა რაოდენობის მიხედვით

წყარო: www.adherents.com/Religions_By_Adherents.html

ბალური რელიგია. სხვებისაგან განსხვავებით, ისინი ვრცელ ტერიტორიებზე მოქმედებენ და მათ უმეტესწილად მილიონობით მიმდევარი ჰყავს. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ მსოფლიოს ექვს ძირითად რელიგიას. მათ მთლიანობაში დაახლოებით 4 მილიარდი ადამიანი მისდევს, რაც დედამიწის მაცხოვრებელთა თითქმის სამ მეოთხედს შეადგენს.

1. ქრისტიანობა

ქრისტიანობა ყველაზე გავრცელებული რელიგიაა, რომელსაც 2 მილიარდამდე მიმდევარი ჰყავს, რაც დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენს. ქრისტიანთა უმეტესობა ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე ცხოვრობს. შეერთებული შტატებისა და კანადის მოსახლეობის 85%-ზე მეტი თავს ქრისტიანად თვლის. გარდა ამისა, ადამიანები, რომლებიც თავს რაიმე ნიშნით ქრისტიანებად მიიჩნევენ, მსოფლიოს მრავალი რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, გარდა ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიისა. რელიგიის ამგვარი გავრცელება უკავშირდება ბოლო 500 წლის მანძილზე ევროპელთა მიერ მსოფლიოს დიდ ნაწილში წარმოებულ კოლონიზაციას. დასავლეთის პრაქტიკაში ქრისტიანობის დომინირება კალენდარში წელთაღრიცხვის ქრისტეს შობიდან ათვლაში შეინიშნება.

ქრისტიანობა თავდაპირველად კულტის სახით წარმოიშვა, რომელიც თავის თავში მისი გაცილებით ძველი წინამორბედის – იუდაიზმის ელემენტებს აერთიანებდა. სხვა მრავალი კულტის მსგავსად, ქრისტიანობას სტიმულს მისი ლიდერის – იესო ნაზარეველის პიროვნული ქარიზმა აძლევდა. იესო ღიად არ უპირისპირდებოდა იმდროინდელ პოლიტიკურ ხელისუფლებას. იგი მოუწოდებდა თავის მიმდევრებს – „მიაგეთ კეისარს კეისრისა“ (მთ, 22:21). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მთავარი გზავნილი რევოლუციური გახლდათ, რომლის თანახმადაც რწმენა და სიყვარული საბოლოოდ გაიმაჯვებდა ცოდვასა და სიკვდილზე.

ქრისტიანობა **მონოთეიზმის** ერთ-ერთი მაგალითია, რომელიც გახლავთ *ერთადერთი ღვთაებრივი ძალის რწმენა*. ეს ახალი რელიგია რომის იმპერიის ტრადიციულ **პოლითეიზმს** ეწინააღმდეგებოდა, რომელსაც *მრავალღმერთიანობა სწამდა*. თუმცა, ქრისტიანობა უზენაეს არსებას უნიკალურად აღიქვამს: იგი წმინდა სამების სახით არის წარმოდგენილი,

რომელიც მოიცავს შემოქმედ (მამა) ღმერთს, იესო ქრისტეს (ძე ღვთისა და მხსნელი) და სულიწმინდას (ქრისტიანის მიერ ღმერთის ყველგანმყოფობის პიროვნული განცდა). მტკიცება იესოს ღვთაებრიობის შესახებ უკავშირდება მის მიერ დედამიწაზე გატარებულ უკანასკნელ დღეებს. იერუსალიმში გასამართლებულ და სიკვდილმისჯილ იესოს, რომელსაც ბრალი ედებოდა პოლიტიკური ლიდერებისათვის საფრთხის შექმნის გამო, ულმობელი და მტანჯველი სასჯელი ერგო ჯვარცმის სახით, რის შედეგადაც ჯვარი წმინდა ქრისტიანულ სიმბოლოდ იქცა. ქრისტიანული რწმენის თანახმად, იესო მკვდრეთით აღსდგა, რაც ადასტურებს, რომ იგი ძეა ღვთისა.

ქრისტეს მოციქულებმა ქრისტიანობა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში გაავრცელეს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად რომის იმპერია ქრისტიანებს სდევნიდა, მეოთხე საუკუნისთვის იგი ეკლესიად, ანუ ოფიციალურ რელიგიად დამკვიდრდა, რომელიც მოგვიანებით რომის წმინდა იმპერიის სახელით გახდა ცნობილი. ის, რაც ოთხი საუკუნის წინ კულტის სახით წარმოიშვა, აღნიშული დროისთვის უკვე ტრადიციულ ეკლესიას წარმოადგენდა.

ქრისტიანობამ სხვადასხვა ფორმა მიიღო, რომელთა შორისაა რომაული კათოლიკური და მართმადიდებელი ეკლესიები, რომლის ცენტრიც კონსტანტინეპოლი (დღევანდელი სტამბოლი) იყო. რელიგიის შემდგომი დაყოფა შუა საუკუნეების პერიოდის ბოლოს მოხდა, როდესაც ევროპაში მიმდინარე პროტესტანტულმა რეფორმაციამ ასობით დენომინაციის წარმოქმნა გამოიწვია. დღეისათვის ბრიტანეთში ათეულობით ზემოხსენებული დენომინაცია განაგრძობს არსებობას, რომელთაც საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს.

2. ისლამი

ისლამს დაახლოებით 1,1 მილიარდი მიმდევარი ჰყავს (დედამიწის მოსახლეობის 19%), რომლებსაც მუსლიმები ეწოდებათ. ყველა რელიგიის მსგავსად, არც ისლამია ერთგვაროვანი და ის მრავალი სქიზმისაგან შედგება. მაგალითად, სუნიზმი ისლამის ყველაზე მეტად მისტიკური განშტოებაა. ახლო აღმოსავლეთის ხალხთა უმრავლესობა მუსლიმია. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ისლამს მსოფლიოს ამ რეგიონში, ძირითადად, არაბებთან ვაიგივებთ. თუმცა, ყველა არაბი *არ არის* მუსლიმი. ქვემოთ წარმოდგენილ რუკაზე (1) ნაჩვენებია, რომ ჩრდილოეთ აფრიკისა და აღმოსავლეთ აზიის მკვიდრთა უმრავლესობა ასევე მუსლიმია. გარდა ამისა, მაჰმადიანთა დიდი ნაწილია თავმოყრილი პაკისტანში, ინდოეთში, ინდონეზიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ რესპუბლიკებში.

ევროპაში ისლამი სიდიდით რიგით მეორე სარწმუნოებაა, რომელსაც დაახლოებით 6 მილიონი (დასავლეთ ევროპის მოსახლეობის 3%) ადამიანი მისდევს. თუკი ამ რეგიონს აღმოსავლეთ ევროპასაც მივუმატებთ, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. საშუალო გათვლებით, ბრიტანეთში მილიონ ორასიათასი მუსლიმი ცხოვრობს, რომლებიც უმეტესწილად ინგლისის ცენტრალურ საგრაფოებში, ბრედფორდში, სტრათკლაიდში, იორკშირსა და ლანკაშირში არიან კონცენტრირებულნი. ბრიტანელი მუსლიმები უპირატესად სუნიტები არიან, რომელთაგან მხოლოდ 25 ათასამდეა შიიტი (Storry & Childs, 1997).

როგორც უკვე ითქვა, ისლამი წინასწარმეტყველი მუჰამედსადმი განდობილი ღვთის სიტყვაა. მუჰამედი დაახლოებით ჩვ. წ. 570 წელს დაიბადა ქ. მექაში (დღევანდელ საუდის არაბეთში). მუსლიმთათვის მუჰამედი, ისევე როგორც იესო, წინასწარმეტყველია, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ღვთაებრივ (უზენაეს) არსებას (როგორც იესოა მიჩნეული ქრისტიანობაში). მუსლიმთათვის წმინდა ყურანი ღვთის (არაბულად „ალაჰის“) სიტყვას განასახიერებს, რომელიც მათ მუჰამედის – ღმერთის მოციქულის მეშვეობით გადმოეცათ. სიტყვა „ისლამი“ არაბულად მორჩილებას და ამავდროულად „სიმშვიდეს“ ნიშნავს, ხოლო ყურანი მოგვიწოდებს ალაჰისადმი მორჩილებას, რომელსაც *შინაგანი სიმშვიდისაკენ* მივყავართ. მუსლიმები თავიანთ პიროვნულ ერთგულებას ყოველდღიური რიტუალით – ხუთგზის ლოცვით გამოხატავენ.

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ისლამი სწრაფად გავრცელდა. ამის პარალელურად კი განშტოებებიც წარმოიშვა. მიუხედავად ამისა, ყველა მუსულმანი აღიარებს ისლამის ხუთ ბურჯს. ქრისტიანობის მსგავსად, ისლამიც აკისრებს ადამიანს ღვთის წინაშე პასუხისმგებლობას დედამიწაზე ჩადენილი საქციელის გამო. მას, ვინც მორჩილებაში იცხოვრებს, სამოთხეში მოხვდება; ხოლო, ბოროტების მქნელს სამუდამო სასჯელი ელის. მუსლიმებს ასევე ევალებათ თავიანთი სარწმუნოების დაცვა. ზოგჯერ ამ პრინციპით ხდებოდა ურწმუნოთა წინააღმდეგ გაჩაღებული წმინდა ომების გამართლება (თითქმის ისევე, როგორც შუა საუკუნეების ქრისტიანები უერთდებოდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებს მუსლიმებისგან წმინდა მიწის გასათავისუფლებლად). დღეისათვის, მსოფლიოში ყველაზე დიდი კონფლიქტები „დასავლურ კულტურებსა“ და ფუნდამენტალისტურ ისლამს შორის სუფევს (Ahmed, 2007).

დასავლეთის სამყაროს ბევრი წარმომადგენელი მუსლიმ ქალს დედამიწაზე ყველაზე დაჩაგრულ არსებად მიიჩნევს. მუსლიმი ქალები მოკლებულნი არიან პიროვნული თავისუფლების ისეთ გამოვლინებებს, რითაც თავისუფლად სარგებლობენ მუსლიმი მამაკაცები. თუმცა, მათ დიდი ნაწილი აღიარებს თავიანთი რელიგიის მითითებებსა და მოთხოვნებს. გარდა ამისა, პატრიარქატი უკვე დამკვიდრებული იყო ახლო აღმოსავლეთში მუჰამედის დაბადებამდე. ისლამის მიერ ქალთა მიმართ მოპყრობის დამცველები ირწმუნებიან, რომ ისლამი, სინამდვილეში, აუმჯობესებს ქალთა სოციალურ მდგომარეობას, რადგანაც ის ქმრებს ცოლების მიმართ სამართლიანად მოქცევას ავალდებულებს. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი მამაკაცს რთავს ნებას, იყოლიოს ოთხამდე ცოლი, იგი მოუწოდებს კაცს, იყოლიოს მხოლოდ ერთი მეუღლე, თუკი ერთზე მეტი ცოლის ყოლა ქალებისადმი უსამართლო დამოკიდებულებას გამოიწვევს (ყურანი, III:3).

3. იუდაიზმი

წმინდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, იუდაიზმი მსოფლიოს ყველაზე მცირერიცხოვან რელიგიათაგანია თავისი 15-მილიონიანი მიმდევრებით. ებრაელები ეროვნულ უმრავლესობას მხოლოდ ისრაელში წარმოადგენენ. თუმცა, იუდაიზმი ბევრ ქვეყანაში ძალზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. აშშ-ში ებრაელები ყველაზე მეტად არიან თავმოყრილნი (6 მილონი ადამიანი), ხოლო ევროპაში იუდეველთა ყველაზე დიდი რაოდენობა საფრანგეთსა (500-600 ათასი) და ბრიტანეთში (300 ათასი) ბინადრობს (Davie, 1994: 225).

წარსულს ებრაელები აწმყოსა და მომავლში სამოქმედო მეგზურად აღიქვამენ. იუდაიზმს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, რომელსაც ქრისტეშობამდე ოთხი ათასი წლის წინ, მესოპოტამიის კულტურებამდე მივყავართ. იმ პერიოდში ებრაელები ანიმიზმს მისდევდნენ, რაც მოგვიანებით შეიცვალა, მას შემდეგ, რაც იაკობმა, უძველესი დიდი წინაპრის – აბრაამის შვილიშვილმა მისი ხალხი ეგვიპტეში მიიყვანა. ეგვიპტელთა მმართველობისას ებრაელებმა მრავალსაუკუნოვანი მონობა გამოიარეს. ძველი წელთაღრიცხვით XII საუკუნეში დადგა გარდამტეხი მომენტი, როდესაც ეგვიპტის მეფის ქალიშვილის მიერ ნაშვილებ მოსეს ღმერთმა ებრაელი ხალხის მონობიდან დახსნისაკენ მოუწოდა. ეგვიპტიდან გამოსვლას ებრაელები დღემდე ყოველწლიურად პასექის დღესასწაულით აღნიშნავენ. მონობიდან ებრაელთა გათავისუფლების შედეგად, იუდაიზმი მონოთეისტური გახდა, რომელიც ერთადერთ და ყოვლადძლიერ ღმერთს აღიარებს. იუდაიზმის განმასხვავებელი კონცეფცია გახლავთ *აღთქმა* – ღმერთთან არსებული განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომლის თანახმადაც ებრაელები „რჩეულ ერად“ იქცნენ. აღთქმა ასევე გულისხმობს ღვთის კანონის, განსაკუთრებით ათი მცნების დაცვის ვალდებულებას, რომელიც მოსეს სინას მთაზე მიეცა. ებრაელები ბიბლიას (ანუ ქრისტიანული წესის თანახმად – ძველ აღთქმას) მათი ისტორიის აღმწერ და ებრაელი ერის ვალდებულებების ამსახველ წიგნად მიიჩნევენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიის პირველ ხუთ წიგნს (დაბადება, გამოსვლა, ლევიანნი, რიცხვნი და მეორე რჯული), რომელთა ერთობლიობას თორა (მიახლოებით ნიშნავს „სწავლებას“ და „კანონს“) ეწოდება. ქრისტიანობისაგან განსხვავებით, რომელიც სულის ცხონებაზე ზრუნავს, იუდაიზმი ხაზს უსვამს ამქვეყნიურ ცხოვრებაში მორალურ ქცევას.

იუდაიზმი სამი ძირითადი დენომინაციისაგან შედგება. ორთოდოქსი ებრაელები მკაცრად იცავენ ტრადიციულ შეხედულებებსა და ადათ-წესებს. ისინი იყენებენ ისტორიულ სამოსს, მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე ეწევიან ღვთისმსახურებას და მოიხმარენ მხოლოდ ქაშერულ საკვებს. ტრადიციების ამგვარი დაცვის გამო ორთოდოქსი ებრაელები ყველაზე მეტად მოგვაგონებენ სექტის მიმდევრებს. ჰასიდიზმი უმეტესწილად მესიანურია და ხელს უწყობს იუდაიზმის მიმართ სულიერ ერთგულებას. მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში მრავალი ებრაელი ცხოვრობდა მრავალრიცხოვან საზოგადოებებში, რამაც გამოიწვია ეკლესიის ტიპის რეფორმისტული იუდაიზმის ჩამოყალიბება. შედარებით ცოტა ხნის წინ შექმნილმა მესამე სეგმენტმა – კონსერვატიულმა იუდაიზმმა აღნიშნულ ორ დენომინაციას შორის არსებული სივრცე დაიკავა.

მიუხედავად ყველაფრისა, ყველა ებრაელს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი კულტურული ისტორია, რომელიც მოიცავს ცრუ შეხედულებებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. საუკუნეების მანძილზე ეგვიპტეში გატარებული მონობის, რომის იმპერიის მიერ დაპყრობისა და ევროპაში დევნის შესახებ კოლექტიურმა მეხსიერებამ ჩამოაყალიბა ებრაული იდენტობა. მებრძოლმა კათოლიკურმა ეკლესიამ ჯვაროსნული ომების პერიოდში ქრისტიანებისა და ებრალების ერთმანეთისგან განცალკევება გამოიწვია. აღსანიშავია, რომ ურბანული გეტო (ნაწარმოებია იტალიური სიტყვიდან *ბორგჰეტტო*, რაც „ქალაქის გალავანს მიღმა დასახლებას“ ნიშნავს) იტალიაში ებრაელთა პირველ ბინად იქცა და საცხოვრებელი მიდამოს ამგვარი სეგრეგაციის ფორმა ცოტა ხანში ევროპის სხვა მიდამოებსაც მოედო (Sowell, 1996: Chapter 6). შუა საუკუნეებიდან ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთ ევროპაში ცხოვრობს, ხოლო პოლონეთი ხშირად მათ „ცენტრად“ ითვლებოდა.

1875-1914 წლებში, რუსეთში ორგანიზებული დარბევების შედეგად ინგლისში დაახლოებით 120 ათასი ებრაელი დევნილი ჩავიდა. ბევრი მათგანი აღმოსავლეთ ლონდონში დასახლდა (Castles & Miller, 1993: 55). XIX საუკუნის ბოლო დეკადებში, ქვეყანაში დევნილთა რიცხვის ზრდასთან ერთად, ანტისემიტიზმაც იმატა. მეორე მსოფლიო ომის დროს ანტისემიტიზმმა პიკს მიაღწია, როდესაც ებრაელებმა ისტორიის უახლოეს პერიოდში ყველაზე საშინელი დევნა განიცადეს გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის მხრიდან. სისტემატურმა აგრესიამ 6 მილიონამდე ებრაელი შეიწირა. იუდაიზმის ისტორია გახლავთ კაცობრიობის ტრაგიკული გამოცდილების შემზარავი შეხსენება, რომელიც გვიჩვენებს, როგორ ხდებოდა რელიგიური უმცირესობები სიძულვილისა და ხოცვა-ჟლეტის ობიექტი. მიუხედავად ყველაფრისა, ანტისემიტიზმი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული (ხოლო ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ იბადება ანტისემიტიზმის ახალი ტალღა, რომლის სამიზნესაც სიონიზმი და ისრაელი წარმოადგენს. თუმცა, ეს სულ სხვა მწვავე კამათის თემაა!) (Iganski and Komin, 2003).

4. ინდუიზმი

ინდუიზმი ყველაზე ძველი მსოფლიო რელიგია გახლავთ, რომელიც დაახლოებით 4500 წლის წინ წარმოიშვა მდინარე ინდის ხეობაში. ინდუიზმს 775 მილიონამდე მიმდევარი ჰყავს (დედამიწის მოსახლეობის 14%). რუკა (1) გვიჩვენებს, რომ ინდუიზმი აღმოსავლურ რელიგიად რჩება. დღეისათვის ის ინდოეთში ყველაზე ფართოდ გავრცელებული სარწმუნოებაა, თუმცა მას ასევე ბევრი მიმდევარი ჰყავს სამხრეთ აფრიკასა და ინდონეზიაში.

იდუიზმი განსხვავდება დანარჩენი რელიგიების დიდი ნაწილისაგან, რადგანაც მისი წარმოშობა არ უკავშირდება რომელიმე ცალკეული პიროვნების ცხოვრებას. მას აგრეთვე არ აქვს არანაირი წმინდა ტექსტი, როგორიცაა ბიბლია ან ყურანი. მისთვის არც ღმერთი არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ არსებას. ამი გამო, ინდუიზმი – როგორც სხვა აღმოსავლური რელიგიები – გარკვეულწილად „ეთნიკურ რელიგიად“ მოიაზრება. ინდუიზმის მიმდევართა მრწამსი და ადათ-წესები საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისგან, თუმცა ყოველი მათგანი აღიარებს სამყაროში არსებულ მორალურ ძალას, რომელიც ყველას აკისრებს პასუხისმგებლობას, ანუ *დჰარმას*. დჰარმის ერთ-ერთი ტრადიციული მაგალითია ის,

რომ ყველა მორწმუნეს მართებს ტრადიციული კასტური სისტემის თანახმად მოქმედება. ეს საკითხი წიგნის მერვე თავშია განხილული.

ინდუიზმის მიმდევართა მეორე პრინციპი გახლავთ *კარმა*, რომელიც უკავშირდება ადამიანის სულიერი განვითარების (სრულყოფის) რწმენას. ინდუიზმის მიმდევართათვის, ყველა ქმედებას აქვს სულიერი შედეგი და წესების შესაბამისად ცხოვრება ხელს უწყობს მორალურ განვითარებას. კარმა *რეინკარნაციის* მეშვეობით მოქმედებს, რომელიც სიკვდილის შემდეგ ხელახლა დაბადების ციკლს გულიხმობს, რომლის დროსაც ადამიანის ახალ სულიერ მდგომარეობაში გარდასახვა მისი წინა ცხოვრების ზნეობრივ მდგომარეობას შეესაბამება. ქრისტიანობისა და ისლამისგან განსხვავებით, ინდუიზმის მიხედვით, უზენაესი ღმერთი არ განსჯის ადამიანებს. თუმცა, რეინკარნაციის ციკლში, თითოელი ადამიანი ზუსტად იმას მოიმკის, რაც დათესა. უმაღლესი მდგომარეობა – *ნირვანა* სულიერ სრულყოფას განასახიერებს: როდესაც სული ამ ურთულეს მწვერვალს აღწევს, იგი ტოვებს სულის გარდასხეულების ციკლს.

ინდუიზმის განხილვისას ვრწმუნდებით, რომ შეუძლებელია ყველა რელიგიის მონოთეისტურად ან პოლითეისტურად შეფასება. შეგვიძლია ინდუიზმს მონოთეისტური ვუწოდოთ, რადგანაც ის სამყაროს ერთ მთლიან მორალურ სისტემად აღიქვამს, თუმცა ამ რელიგიის მიმდევრები მორალურ წესრიგს ბუნების ყოველ ელემენტში ხედავენ. ინდუიზმის მიმდევრებისთვის უმთავრესი მნიშვნელობის მქონე რიტუალები სხვადასხვაგვარად სრულდება. მათი უმეტესი ნაწილი ღვთისმოსაობას პერსონალურად გამოხატავს, მაგალითად სარიტუალო განბანვით, რომელიც უფრო დაბალი კასტის წარმომადგენელთან კონტაქტის შემდეგ სრულდება. მორწმუნეთა დიდი ნაწილი ასევე მონაწილეობს საჯარო რიტუალებში, როგორიცაა კუმბჰ-მელა, რომლის დროსაც მომლოცველები ჯგუფურად შედიან მდინარე განგში, რათა განიბანონ მის წმინდა წყალში. ამ რიტუალში, რომელიც 12 წელიწადში ერთხელ იმართება, 15-20 მილიონამდე ადამიანი იღებს მონაწილეობას (Pitt, 1955, Sen, 1961; Kaufman, 1976; Schmidt, 1980)

5. ბუდიზმი

დაახლოებით 2500 წლის წინ, მდიდარმა ინდურმა კულტურამ ბუდიზმსაც მისცა დასაბამი. დღეისათვის 350 მილიონ ადამიანზე მეტი (დედამიწის მოსახლეობის 6%) მისდევს ბუდიზმს, რომელთაგან უმრავლესობა აზიელია. როგორც რუკაზეა (1) ნაჩვენები, ბუდისტები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნაწილებში არიან კონცენტრირებულნი – მეტწილად მიანმაში (ბირმა), ტაილანდში, კამბოჯასა და იაპონიაში. ბუდიზმი ასევე ფართოდაა გავრცელებული ინდოეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მსოფლიო რელიგიებიდან ბუდიზმი, დოქტრინების მიხედვით, ყველაზე მეტად ინდუიზმს მოგვაგონებს. თუმცა, ქრისტიანობის მსგავსად, მისი შთაგონების წყარო ერთი ინდივიდის ცხოვრება იქცა.

სიდჰართჰა გაუტამა ნეპალში, მაღალი კასტის ოჯახში ძველი წელთაღრიცხვით 563 წელს დაიბადა. ახალგაზრდობაში იგი გატაცებული იყო სულიერების საკითხებით. 29 წლის ასაკში, მოგზაურობისა და მედიტაციის შედეგად, მან რადიკალური პიროვნული ტრანსფორმაცია განიცადა. მისი განვითარების გზა სრულდება მაშინ, როდესაც სიდჰართჰამ *ბოდჰის* მიაღწია (რასაც ბუდისტები გასხივოსნებას უწოდებენ). ცხოვრების არსში ჩაწვდომის შემდეგ, გაუტამა ბუდა გახდა. ძველი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნის განმავლობაში, იდნოეთის მმართველი ბუდისტთა რიგებს შეურთდა, რის შედეგადაც მან მისიონერები გაგზავნა მთელი აზიაში, რამაც ბუდიზმს მსოფლიო რელიგიის სტატუსი შესძინა.

ბუდას პიროვნული ქარიზმით შთაგონებულმა მიმდევრებმა მისი სწავლებები (*დჰომა*) მთელ ინდოეთში გაავრცელეს. ბუდიზმის ეთიკა ხუთ მცნებაშია ასახული: არ მოკლა; არ მოიპარო; არ იცრუო; იყავი უმანკო და თავშეკავებული; არ მიიღო ალკოჰოლიანი სასმელი. ბუდისტური მრწამსის უმთავრესი წარმოდგენის თანახმად, ადამიანის არსებობას თან ახლავს ტანჯვა. რა თქმა უნდა, არსებობს ამქვეყნიური სიამენიც, მაგრამ ბუდისტებისთვის ისინი წუთიერ განცდებს წარმოადგენს. ამ დოქტრინის ფესვები უკავშირდება ბუდას პირად

მოგზაურობებს, რომლის დროსაც მან იხილა სიღარიბეში მცხოვრები საზოგადოება. ბუდა არ აღიარებდა სიმდიდრეს, როგორც ტანჯვის გამქარვებელ საშუალებას. პირიქით, იგი აფრთხილებდა თავის მიმდევრებს, რომ მატერიალიზმი აბრკოლებს სულიერ განვითარებას. მსოფლიოში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ბუდიზმის თანახმად, ადამიანმა უნდა მისდიოს პიროვნულ, სულიერ ტრანსფორმაციას.

ბუდიზმი ძალზე წააგავს ინდუიზმს იმაში, რომ ის არ აღიარებს მსაჯულ ღმერთს. ნაცვლად ამისა, იგი ცხოვრებაში განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში სულიერი მდგომარეობის შედეგებს ხედავს. კიდევ ერთი მსგავსება რეინკარნაციის რწმენაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ სრული გასხივოსნების შედეგად სრულდება სიკვდილისა და ხელახლა დაბადების ციკლი, რის შედეგადაც პიროვნება ამქვეყნიური ტანჯვისაგან თავისუფლდება (Schumann, 1974).

6. ჩინური რელიგიები და „კონფუციანელობა“

ძველი წელთაღრიცხვით 200 წლიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, კონფუციანელობა ჩინეთში ოფიციალურ რელიგიას წარმოადგენდა. 1949 წლის რევოლუციის შემდეგ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტურმა მთავრობამ რელიგია აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება არ იძლევა სრულფასოვან მონაცემებს ზუსტი რიცხვის დასადგენად, ასობით მილიონი ჩინელი დღემდე იმყოფება კონფუციანელობის გავლენის ქვეშ. ამ რელიგიის მიმდევართა თითქმის სრული ნაწილი ჩინეთში ცხოვრობს, თუმცა იმიგრაციამ იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებშიც გაავრცელა.

კონფუცი, ანუ კუნგ ფუძი ჩვენი წელთაღრიცხვით 551-479 წლებში ცხოვრობდა. ბუდასთან ერთად მასაც დიდად ადარდებდა ამქვეყნიური პრობლემები და ტანჯვა. თუკი ბუდამ საპასუხოდ სამყაროდან სექტისმაგვარი გარიდება ამჯობინა, კონფუცი არიგებდა თავის მიმდევრებს, ჩართულიყვნენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მკაცრი მორალური კოდექსის გათვალისწინებით. ამგვარად მოხდა კონფუციანელობაში ტრადიციული ჩინური კულტურის გაერთიანება. სწორედ ეს გვაძლევს იმის მაგალითს, რის გამოც მას შეიძლება ეწოდოს „სახელმწიფო რელიგია“. ისევე როგორც ინდუიზმი დარჩა ინდური კულტურის სინონიმი, ასევე ინახავს ჩინური ყოფის წესი თავის თავში კონფუციანელობას.

კონფუციანელობის უმთავრესი პრინციპი გახლავთ *ჟენი,* რაც ადამიანურობას ნიშნავს. პრაქტიკულ ცხოვრებაში, ამის თანახმად, ადამიანი ყოველთვის უნდა უქვემდებარებდეს პირად ინტერესებს მორალურ პრინციპებს. ოჯახში ინდივიდმა უნდა გამოიჩინოს ლოიალურობა და ანგარიში გაუწიოს სხვებს. მსგავსად ამისა, ოჯახებმაც უნდა გამოიჩნონ კეთილგონიერება ფართო საზოგადოების მიმართ. ამგვარად, მორალურ ვალდებულებათა ერთობლიობა საზოგადოებას ერთ მთლიანად აერთიანებს. კონფუციანელობას ყველაზე მეტად სიწმინდის შეგრძნების არარსებობა გამოარჩევს. დურკემის ანალიზს თუ გავიხსენებთ, კონფუციანელობა იმ რელიგიად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც სიწმინდედ თავად საზოგადოებას აღიარებს. ასევე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კონფუციანელობა უფრო მეტად დისციპლინირებული ცხოვრების მოდელს წარმოადგენს, ვიდრე რელიგიას. ისტორიის მანძილზე კონფუციანელობის დომინირება იოლად ხსნის, თუ რატომ არის ჩინური კულტურა სკეპტიკურად განწყობილი ზებუნებრივის ცნების მიმართ. თუკი საბოლოოდ შევთანხმდებით, რომ უმჯობესია კონფუციანელობის დისციპლინირებული ცხოვრების მოდელად განხილვა, ამავდროულად ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მას რელიგიასთან აიგივებს ისეთი ფაქტორები, რომელთა მიზანია სიკეთის ქმნა, სხვებზე ზრუნვა და საზოგადოებრივი ჰარმონიის წახალისება (Kaufman, 1976; Schmidt, 1980).

7. ურწმუნოები: სკეპტიკოსები, აგნოსტიკოსები, „სეკულარები“, ათეისტები და ჰუმანისტები

ტექნიკური კუთხით, ამ მრწამსის მიმდევრები აქ არ უნდა ფიგურირებდნენ. დუნკემისა და სხვათა თანახმად, რელიგია „წმინდა, არამიწიერის“, „აკრძალულისა და განყენებულის“ მეშვეობით განისაზღვრება. მაგრამ, დღევანდელ მსოფლიოში, ისევე როგორც ადრე, არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც ეჭვით უყურებენ ან უარყოფენ მსოფლიოში გაბატონებულ ტრადიციულ რელიგიებს. დედამიწაზე მცხოვრებ ურწმუნოთა რიცხვი დაახლოებით 1 მილიარდს უტოლდება (დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეექვსედი). ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ყოფილი საბჭოთა კავშირი, ათეიზმი ოფიციალურად იყო აღიარებული. ზოგიერთ ქვეყანაში კი (მაგ.: ჩინეთი) რელიგია, როგორც წესი, ნაკლებად არის ორგანიზებული. ევროპაში ყველაზე მეტი თვითაღიარებული ათეისტია (დაახლოებით 41 მილიონი). ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ასევე შედარებით ყველაზე მაღალია ურწმუნოთა რაოდენობა. მათი განხილვა ორ ფართო ჯგუფად არის შესაძლებელი: ისინი, ვინც სკეპტიკურად უყურებს ღმერთის არსებობას (სკეპტიკოსები და აგნოსტიკოსები) და ისინი, ვისაც ღრმად სწამს, რომ ღმერთის არსებობა ვერასდროს ვერ იქნება დამტკიცებული. ურწმუნოები ყველა ქვეყანაში გვხვდებიან.

დიდ ბრიტანეთში არსებული ბრიტანელ ჰუმანისტთა ასოციაცია ირწმუნება, რომ „ჰუმანიზმის მრწამსის მიხედვით შესაძლებელია რელიგიური და ზებუნებრივი რწმენის გარეშე სასარგებლო და მართებული ცხოვრებით ცხოვრება. ჰუმანისტებისთვის ცხოვრების აზრი გონიერებაში, გამოცდილებასა და საერთო ადამიანურ ღირებულებებში დევს“ (BHA News, July 2007: 1). ამგვარი განმარტების პრობლემა იმაში გახლავთ, რომ ისტორიას ჰუმანიზმის სხვადასხვა გზით გამოვლინების მრავალი მაგალითი აქვს, რომელთაგან ბევრი ღმერთის რწმენასთან არის დაკავშირებული. ისევე როგორც რელიგიური მრწამსის დიდი ნაწილი, ასევე ურწმუნოთა შეხედულებები მრავალგვარი და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა (Zuckerman, 2005; Dawkins, 2006; McGrath, 2004).

დიაგრამა 2 მსოფლიოს რელიგიები იუმორისტულ ჭრილში

წყარო: ბარბარა შულრის (Barbara Shoolery) ორიგინალური დიზაინი

© Game Plan Design.

რელიგია: აღმოსავლეთი და დასავლეთი

მსოფლიო რელიგიების ეს მოკლე მიმოხილვა გამოყოფს აღმოსავლურ და დასავლურ საზოგადოებებში გაბატონეულ სარწმუნეობრივ მოძღვრებებს შორის არსებულ ორ ძირითად განსხვავებას. პირველი – დასავლური რელიგიები (ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი), როგორც წესი, ღვთაებაზეა დაფუძნებული, სადაც აქცენტირება გამოკვეთილად ხდება ღმერთზე. აღმოსავლური რელიგიები (ინდუიზმი, ბუდიზმი და კონფუციანელობა) უფრო მეტად ეთიკურ კოდექსს მოგვაგონებს, რომლებშიც ნაკლებადაა გამოკვეთილი სხვაობა არამიწიერსა და მიწიერს შორის. მეორე – დასავლური რელიგიური ორგანიზაციების შემსრულებელი მექანიზმი გახლავთ მრევლი. კერძოდ, ადამიანები სხვებთან ერთად იკრიბებიან ღვთისმსახურებისთვის გამოყოფილ კონკრეტულ სივრცეში, რომელთაგან უმრავლესობა ერთი სამწყსოს წევრია. ამისგან განსხვავებით, აღმოსავლური რელიგიური ორგანიზაციები მეტწილად დაკავშირებულია თავად კულტურასთან. ამიტომაც, ტაილანდში ან ჰონგ-კონგში მდებარე ტაძარში თანაბრად ნახავთ ტურისტებსაც და მრევლსაც, რომლებიც არაგეგმაზომიერად სტუმრობენ სამლოცველოებს და თითქმის არანაირ ყურადღებას არ აქცევენ გარშემომყოფთ.

ამ ორი განსხვავების მიუხედავად, ყველა რელიგიას აქვს ერთი გამოკვეთილი საერთო ნიშან-თვისება: უზენაესი მორალური ძალის კონცეფცია, ანუ დანიშნულება, რომელიც სცდება ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საზრუნავს. ყველა აღნიშნულ რელიგიურ მოძღვრებაში მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ადამიანი პოულობს მისთვის სწორ მიმართულებას და ცხოვრების მიზანს.

რელიგია ევროპაში

ქრისტიანობა ევროპული საზოგადოებების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. გასული ორი ათასწლეულის განმავლობაში, სწორედ ის განსაზღვრავს ცხოვრებას ევროპაში და მჭიდროდაა დაკავშირებული უმთავრეს მოვლენებთან, როგორიცაა დაბადება, ნათლობა, ქორწინება, სიკვდილი და დაკრძალვა. ქრისიტანობამ ჩაუნერგა ადამიანებს „სულის ცხო-ნების“ იმედი. რეფორმაციამდელ ფეოდალურ საზოგადოებაში ეკლესია ერთიანი იყო, რომელსაც მხარს უჭერდა სამეფო ოჯახი და მთლიანად საზოგადოება. ჰამილტონი ამბობს:

> შუა საუკუნეების მსოფლიო ქრისტიანული იყო იმ გაგებით, რომ ყველას ერთნაირი აზრი ჰქონდა იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც თავად ცხოვრობდა და რომელიც ქრისტიანულ შეხედულებებზე იყო დაფუძნებული. მხოლოდ სწავლულებმა იცოდნენ სრულად და დაწვრილებით მსოფლიოს შესახებ, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას სამყაროზე მხოლოდ ნაწილობრივი წარმოდგენა ჰქონდა. (Hamilton, 1996: 87)

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ყველა ქვეყანა თავს ქრისტიანულად და ქრისტიანული ღირებულებების მატარებლად მიიჩნევს, არსებობს მნიშვნელოვანი რელიგიური წყალგამყოფები როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. გთავაზობთ მოკლე ისტორიულ ფაქტებს:

- იუდაიზმთან გამართული ადრეული ბრძოლები რელიგიის დომინირების დასამყარებლად.
- მეოთხე საუკუნეში, ევროპული ქრისტიანული ეკლესიის გაყოფა, რის შედეგადაც წარმოიშვა რომაული კათოლიციზმი დასავლეთში და ბერძნული მართმადიდებლობა – აღმოსავლეთში. თუკი რომაული კათოლიციზმი ამერიკის კონტინტენზე გავრცელდა, XI საუკუნეში აღმოსავლურმა მართმადიდებლობამ დათმო პოზიციები ცენტრალურ ევროპასა და აზიაში ისლამის სასარგებლოდ.
- იმპერიებს შორის ხანგრძლივი ბრძოლა პაპის მმართველობის გამო. საბოლოოდ, პაპმა ინოკენტი III-მ (1198-1216) პაპის სახელმწიფოდ ცენტრალური იტალია გამოაცხადა.

- ეკლესიის შიგნით გაღვივებული კონფლიქტები: იერარქიული ბრძოლები, ალქაჯებზე ნადირობა ა.შ. ამას დამატებული სამღვდელოების გარყვნილება და სიმდიდრის მოხვეჭის სურვილი.

- გაუთავებელი კონფლიქტები სხვა რელიგიებთან, რასაც პერიოდულად თან ახლდა დიდი ძალადობა (ესპანური ინკვიზიცია, ჯვაროსნული ლაშქრობები და ნაცისტების მიერ მოწყობილი გენოციდი).

- რეფორმაცია: ის გერმანიაში მარტინ ლუთერმა (1483-1546) წამოიწყო, როდესაც 1520 წელს რეფორმისტებმა უარი თქვეს რომის მიმართ ერთგულებაზე. 1570 წლისთვის, პროტესტანტები უკვე ბევრგან იყვნენ დამკვიდრებულნი, განსაკუთრებით სკანდინავიაში, ბრიტანეთსა და ბალტიისპირეთში. მოგვიანებით მათ ნიდერლანდებში, საფრანგეთში, ესპანეთსა და თვით იტალიაშიც კი გადაინაცვლეს. ჟან კალვინის (1509-64) მიერ დაარსებული კალვინიზმი საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და შოტლანდიაში გავრცელდა.

- მისიონერთა მიგრაცია ამერიკასა და აფრიკაში არსებულ კოლონიებში.

- განმანათლებლობისა და ინდუსტრიული რევოლუციის ხანაში მიმდინარე მეცნიერების აღორძინება, რომელიც რაციონალურობას ემხრობოდა, სერიოზულ გამოწვევად იქცა ქრისტიანობისათვის.

- კომუნიზმის ეპოქისდროინდელ აღმოსავლეთ ევროპაში რელიგიის უარყოფა, რასაც თან ახლდა შიდა ბრძოლები (ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა პოლონეთი, რელიგია ცვლილების უმთავრეს წამქეზებლად იქცა). შედგომში დიდი ცვლილებები იქნა განხორციელებული: მაგალითად, მოსკოვში მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა 50-დან (1988 წ.) 250-მდე (1993 წ.) გაიზარდა.

დღევანდელ ევროპაში კვლავ გრძელდება განხეთქილებები და სქიზმები, რაც, ხშირ შემთხვევაში, წარსულის კონფლიქტებსა და პრობლემებს ეფუძნება. იუგოსლავიამ, რომელიც ქრისტიანებს შორის შიდა და ისლამისტებთან გარე უთანხმოების შედეგად დაიყო, გამუდმებული კონფლიქტების უფრო მკვეთრად გამოხატული კონტურები გამოავლინა. აგრეთვე სახეზეა ღრმა ფესვების მქონე უთანხმოებები პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის (მაგ.: ჩრდილოეთ ირლანდიაში), ანდა რელიგიის მიმდევართა და ჰუმანისტებს შორის (მაგ.: ნიდერლანდებში).

ევროპის მრავალი ქვეყნის მთავრობაში შემავალი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიები თავიანთ პლატფორმებს ნაწილობრივ ქრისტიანულ პრინციპებზე აგებენ. დიდ ბრიტანეთში დედოფალი გახლავთ როგორც ეკლესიის, ასევე სახელმწიფოს მეთაური, სადაც ეს ორი მხარე ურთიერთდაკავშირებულია. გერმანიაში მთავრობა კრებს საეკლესიო გადასახადებს (Kirchensteuer) და აღნიშულ თანხებს სოციალური მომსახურებებისთვის იყენებს. აბორტთან დაკავშირებული სადაო საკითხები მწვავედ აწუხებს იმ ქვეყნებს, სადაც კათოლიციზმს ძლიერი პოზიციები უკავია.

აზრთა სხვადასხვაობა უფრო აშკარაა სამხრეთევროპულ კათოლიკურ ქვეყნებსა (იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი და პორტუგალია) და ნაკლებად რელიგიურ, პროტესტანტულ ჩრდილოეთს შორის. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არსებობს განსხვავებები: საფრანგეთი და ირლანდია უმეტესწილად კათოლიკურია; ბელგია, ნიდერლანდები, ბრიტანეთი და ჩრდილოეთის ქვეყნები, ძირითადად, ნაკლებრელიგიურია.

ევროპაში სამი ძირითადი რელიგიური უმცირესობა არსებობს. ამჟამად ისლამი ევროპაში სიდიდით მეორეა, რომელსაც 6 მილიონი მიმდევარი ჰყავს (ევროპის მოსახლეობის 3%). თუკი მას აღმოსავლეთ ევროპასაც მივუმატებათ, მიმდევართა რაოდენობა მნიშვნელოვნად მოიმატებს. ბრიტანელ მუსულმანთა დაახლოებითი რიცხვი მილიონ ორასიათასს შეადგენს.

ებრაელთა გენოციდის შემდეგ დასავლეთ ევროპაში მათი რიცხვი ერთ მილიონს აღწევს, რომლებიც, ძირითადად, საფრანგეთსა (500.000-600.000) და დიდ ბრიტანეთში (300.000) არიან კონცენტრირებულნი.

მნიშვნელოვნად მოიმატა ახალი რელიგიური მოძრაობების რაოდენობამ, რაზეც შემდგომში ვისაუბრებთ (Clarke, 1988; Davie, 2000: 13-14).

რელიგია დიდ ბრიტანეთში

შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, სადაც ზრდასრული მოსახლეობის 90% რელიგიურია (NORC, 1994: 114), ბრიტანეთი, ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილის მსგავსად, შედარებით არარელიგიურად ითვლება: მისი მოსახლეობის 66% აცხადებს, რომ მათ არანაირი კავშირი არ აქვთ რელიგიასთან ან ეკლესიასთან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მოსახლეობის სტრუქტურის რელიგიური კუთვნილების მიხედვით დაყოფა – როგორც ეს ცხრილშია (1) ნაჩვენები – კვლევა ზოგადად გვიჩვენებს, რომ მცირეა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც რაიმე რელიგიურ საქმიანობაშია ჩართული ან ვისაც რომელიმე ღმერთი სწამს. 2000 წელს, დაახლოებით 60% თვლიდა თავს რელიგიურად, ხოლო 50% – ქრისტიანად. 2006 წლისთვის, მხოლოდ მესამედს სწამდა ღმერთი; დაახლოებით 6% დადიოდა ეკლესიაში; ხოლო დაახლოებით ორი მესამედი თავს არარელიგიურად მიიჩნევდა. ცხრილში (2) ნაჩვენებია, თუ რამდენი ადამიანი მისდევდა რელიგიას ბრიტანეთში 2005 წელს. ცხრილში მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგიაა წარმოდგენილი, თუმცა, ქრისტიანობის გარდა, მაჩვენებლები შედარებით დაბალია: 6-7%. დაახლოებით 40%-მა აღიარა, რომ ისინი არანაირ კონკრეტულ რელიგიას არ ეკუთვნიან. ქრისტიანთა შორისაც ბევრია ისეთ ადამიანი, ვინც ზედმიწევნით არ ასრულებს რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ანუ მათ, ვინც აღიარებს რელიგიურობას, მაგრამ არ ანიჭებს მას ძალზე სერიოზულ მნიშვნელობას ცხოვრებაში.

ბრიტანეთში, ინგლისისა და უელსის ეკლესიები ფორმალურადაა დაკავშირებული პარლამენტთან და მონარქიასთან, თუმცა ანგლიკანურმა ეკლესიამ დაიმკვიდრა „მლოცველი კონსერვატიული პარტიის“ სახელი. და მართლაც, 1979-1997 წლებში, კოსერვატიული მთავრობის მმართველობის ხანგრძლივ პერიოდში ანგლიკანური ეკლესია პერიოდულად აქვეყნებდა ანგარიშებს, სადაც ის ირიბად აკრიტიკებდა მთავრობის პოლიტიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია „რწმენა ქალაქში“ (ACUPA, 1985), სადაც ხაზგასმულია ღარიბთა რთული მდგომარეობა, რომელსაც არავითარი სარგებელი არ უნახავს ტეტჩერის მმართველობისას შემუშავებული კონსერვატიული ეკონომიკური პოლიტიკის (თავისუფალი ბაზრის) შედეგად.

ასევე შემცირდა ტრადიციული ეკლესიების წევრთა რიცხვი. მეოცე საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად იკლო ანგლიკანური, რომაული კათოლიკური, პრესბიტერიანული და ბაპტისტური ეკლესიების მხარდაჭერამ, რაც დღესაც გრძელდება. სიტყვიერი განცხადების თანახმად, ბრიტანეთში 27 მილიონი ანგლიკანელია (თითქმის ორი მესამედი თავს ანგლიკანურ ეკლესიას მიაკუთვნებს), მაგრამ მათგან მხოლოდ 2 მილიონია ოფიციალურად დარეგისტრირებული. გარდა ამისა, 5 მილიონი კათოლიკეა, ვინც მეტ-ნაკლებად დადის ეკლესიაში (ლივერპული ბრიტანეთის ერთადერთი ქალაქია, სადაც უმეტესწილად კათოლიკეები ცხოვრობენ). კვლევის შედეგად ასევე ჩანს, რომ არარელიგიური მშობლები შვილებს თავიანთ ურწმუნოებას გადასცემენ. ორ მორწმუნე მშობელს დაახლოებით 50-50%-პროცენტიანი ალბათობით შეუძლია თავისი რწმენის მომდევნო თაობისთვის გადაცემა (Voas & Crockett, 2005: 11-2).

მუხედავად ყველაფრისა, ეკლესიები დღემდე განაგრძობენ ბრიტანეთის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობას, რასაც ისეთი ღონისძიებებით ახერხებენ, როგორიცაა საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე საბავშვო ბაღები, საქველმოქმედო ბაზრობები, ახალგაზრდული კლუბები, მოხუცებულთა მოვლა-პატრონობა და სათემო ცენტრები. დღევანდელ პერიოდში ქრისტიანობა უფრო მეტად კუტურულ ძალას წარმოადგენს, ვიდრე, სულიერს.

ტრადიციული ქრისტიანული ეკლესიების წევრთა კლების პარალელურად ხდება სხვა რელიგიური ორგანიზაციების აღმოცენება, რომლებიც გასაოცარ სიძლიერეს ამჟღავნებენ. ბრიტანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ მუსლიმები, სიქჰები, ინდუიზმის მიმდევრები და ებრაელები, რომელთა რაოდენობაც, ქრისტიანებისგან განსხვავებით, ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. თავდაპირველად, იმიგრაციამ ხელი შეუწყო მუსლიმთა, სიქჰებისა და ინდუიზმის მიმდევართა რიცხვის ზრდას, მაგრამ ამჟამად მილიონ ორასიათასი მუსლიმის დიდი ნაწილი – რომელთა მრავალრიცხოვანი სათვისტომოები განთავსებულია ლონდონში, ინგლისის ცენტრალურ საგრაფოებში, აღმოსავლეთ იორკშირსა და სტრატკლაიდში – ბრიტანეთშია დაბადებული. აქვე ცხოვრობს ევროპაში სიდიდით მეორე ებრაელთა სათვისტომო.

ამ ზოგადი დაკვირვებების მიუხედავად, ნებისმიერ ქვეყანაში არსებული რელიგიური ჩართულობის შეფასება ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენს. პიტერ ბრაიერლი (Peter Brierley, 2000), რომელიც დიდ ბრიტანეთში აღნიშნულ საკითხს სწავლობდა, აცხადებს, რომ ამ ფაქტორის შეფასების სამი ძირითადი საშუალება არსებობს: პირველი, *რელიგიურ სათვისტომოებში ჩართულობა*: ეს პუნქტი მოიცავს ყველას, ვინც რელიგიასთან არის დაკავშრებული – მაგალითად, ვინც მონათლულია. მეორე, *რელიგიური ორგანიზაციის წევრობა*: ისინი, ვინც გაერთიანებულნი არიან რელიგიურ ორგანიზაციებში. დაბოლოს, *რელიგიურ ღვთისმსახურებაზე დასწრება* – ანუ ისინი, ვინც რეალურად ესწრება რელიგიურ ღონისძიებებს. კვლევის თანახმად, XXI საუკუნეში ძალზე ცოტა ადამიანი დადის ეკლესიაში; იკლებს რელიგიური ორგანიზაციების წევრთა რიცხვი, მაგრამ, ამავდროულად, საკმაოდ ბევრი ადამიანი შეიძლება უერთდებოდეს რელიგიას ცალკეულ შემთხვევებში.

ცხრილი 1.

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა რელიგიური იდენტობის მიხედვით

	ათასობით	%
ქრისტიანი	42.079	71,6
ბუდისტი	152	0,3
ინდუზიმის მიმდევარი	559	1
ებრაელი	267	0,5
მუსლიმი	1.591	2,7
სიქჰი	336	0,6
სხვა რელიგია	179	0,3
ყველა რელიგია	45163	76,8
არცერთი რელიგია	9104	15,5
არ დაუფიქსირებია აზრი	1289	7,3
არცერთი რელიგია/არ დაუფიქსირებია აზრი	13626	23,2
ბაზა	58789	100

წყარო: სოციალური ტენდენციები, 2004 წ.

ცხრილი 2.

	რელიგიური კუთვნილება, 2005 წ.[1]
დიდი ბრიტანეთი	**%**
ქრისტიანი	
ანგლიკანური ეკლესია	26,6
ქრისტიანი - დენომინაციის გარეშე	9,6
კათოლიკე	9,2
პრესბიტერიანელი/თავისუფალი პრესბიტერიანელი / შოტლანდიური ეკლესია	3,3
ბაპტისტი/მეთოდისტი	3,3
გაერთიანებული რეფორმირებული ეკლესია / კონგრეგაციონალისტები	0,4
სხვა პროტესტანტი/სხვა ქრისტიანი	1,5
არაქრისტიანი	
ისლამი/მუსლიმი	2,6
ინდუიზმის მიმდევარი	1,2
ებრაელი	0,8
სიქჰი	0,8
ბუდისტი	0,3
სხვა არაქრისტიანი	0,6
არცერთი რელიგია	39,9

[1] რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა: „მიაკუთვნებთ თუ არა საკუთარ თავს რომელიმე რელიგიას?“ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, მათ დამატებით ჰკითხეს: „რომელ რელიგიას?“ ცხრილი არ მოიცავს მათ, ვინც არ გასცა პასუხი ან უპასუხა „არ ვიცი“.

წყარო: ბრიტანეთის სოციალური ორიენტაციების კვლევა, სოციალური კვლევების სახელმწიფო ცენტრი.

რელიგია XI საუკუნეში

მეოცე საუკუნე, პროგნოზის თანახმად, უნდა ყოფილიყო „ღმერთის სიკვდილის“ გამოცხადების ხანა. თუმცა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ეს შეხედულება აშკარად არ გამართლდა. ზოგიერთი მიმოხილველის აზრით, ჩვენ შევდივართ ახალ ერაში, სადაც რელიგია ცოცხალია და მთელ მსოფლიოში განაგრძობს არსებობას, მაშინაც კი, როდესაც ის რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის.

პუბლიკაციის ამ ნაწილში გამოვყოფთ ოთხ ძირითად ტენდენციას. ესენი გახლავთ:

1. შეზღუდული, ნაწილობრივი სეკულარიზაცია.

2. „ცივილიზაციათა შეჯახების“ ფონზე მიმდინარე ფუნდამენტალიზმის გაძლიერება.

3. ახალი რელიგიური მოძრაობების აღმოცენება და „ახალი ერა“ (New Age).

4. რელიგიის ახალი ინსტიტუციონალური (შესაძლოა პოსტ-მოდერნული?) ფორმების განთვითარება, როგორიცაა კიბერ-ეკლესიები და მეგა-ეკლესიები.

შეზღუდული და ნაწილობრივი სეკულარიზაცია

სოციოლოგების მიერ მუდმივი განხილვის საგანს **სეკულარიზაცია** წარმოადგენს, რაც გულისხმობს *ზებუნებრივისა და არამიწიერის მნიშვნელობის ისტორიულ დაკნინებას.* ფართო საზოგადოებაზე სეკულარიზაცია ყოველდღიურ ცხოვრებაზე რელიიგიის გავლენის შესუსტების სახით აისახება: აღნიშნული ფაქტი უკვე ვიხილეთ დიდ ბრიტანეთში რელიგიის მდგომარეობის მაგალითზე. რაც უფრო მეტად სეკულარული ხდება რელიგიური ორგანიზაციები, მათი ყურადღება მით უფრი ნაკლებადაა მიმართული არაამქვეყნიური საკითხებისადმი (მაგ.: ცხოვრება სიკვდილის შემდეგ) და აქცენტი უფრო მეტად ამქვეყნიურ პრობლემებზე კეთდება (მაგ.: უსახლკაროთა თავშესაფრები, მშიერთა დაპურება და ფონდების მოძიება). გარდა ამისა, სეკულარიზაცია იმაშიც მჟღავნდება, რომ ერთ დროს ეკლესიის საზრუნავი (მაგ.: ქველმოქმედება) დღეისათვის, ძირითადად, ბიზნესისა და მთავრობის პასუხისმგებლობას შეადგენს. უფრო მეტიც, ხალხი სამყაროს უფრო ნაკლებად აღიქვამს სულიერების ჭრილში და მისთვის ცხოვრების მატერიალური და მომხმარებლური მხარე უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ეს სწორედ ის ტენდენციაა, რაც წიგნის მეთხუთმეტე თავში იყო აღწერილი.

სეკულარიცაზია, თავისი ლათინური ფესვებით, ნიშნავს „ამჟამინდელ ეპოქას“ და ჩვეულებრივ ასოცირდება თანამედროვე, ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადობებთან (Cox, 1971). ხოსე კაზანოვას მოსაზრებით, ამ ტერმინმა შესაძლოა დაგვაბნიოს, რადგანაც ის სამ განსხვავებულ სტანდარტს მოიცავს, რომელთაც განმარტება ესაჭიროება. პირველი გახლავთ „სეკულარიცაზია, როგორც რელიგიური მრწამსის და ადათ-წესების დაკნინება“. ეს, ალბათ, ტერმინის ყველაზე პოპულარული განმარტებაა, მაგრამ ის ბოლომდე არ გამოხატავს სხვა, დაფარულ და უფრო სიღრმისეულ მნიშვნელობებს. მეორე სტანდარტის თანახმად, „სეკულარიცაზია არის სეკულარული სფეროებისა და რელიგიური ინსტიტუტების ერთმანეთისგან გამიჯვნა“. ევროპაში ყველაზე ნაკლებად შეიმჩნევა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ზღვარი. დაბოლოს, სეკულარიზაცია შეიძლება აღვიქვათ, როგორც „რელიგიის მარგინალიზაცია კერძო სფეროსაგან“ (Casanova, 1994: 211). მიუხედავად იმისა, რომ რელიგია დღემდე საზოგადოების მხრიდან პატივით სარგებლობს, მას ინდივიდის პირად ცხოვრებაში ნაკლები როლი ენიჭება.

სეკულარიზაცია ხშირად აღიქმება, როგორც კაცობრიობის ცხოვრებაში მეცნიერების მნიშვნელობის ზრდის ერთ-ერთი შედეგი. მეცნიერებამ ზოგიერთი მიმართულებით რელიგიის ჩანაცვლება მოახდინა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანები დაბადებას, ავადმყოფობასა და სიკვდილს ნაკლებად მიაწერენ ღვთაებრივი ძალის მოქმედებას და მათ სიცოცხლის ბუნებრივ შემადგენელ ეტაპებად მოიაზრებენ. დღეისათვის, ამგვარი მოვლენები უფრო მეტად ექიმების (სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლების) და არა – სულიერი მოძღვრების (რომელთა ცოდნაც რწმენას ემყარება) თანდასწრებით ხდება. მეცნიერების აღზევებასთან ერთად შემცირდა რელიგიის გავლენის სფერო. თეოლოგი ჰარვი კოქსი (Harvey Cox) განმარტავს:

> მსოფლიო უფრო და უფრო ნაკლებად მიმართავს რელიგიურ წესებსა და რიტუალებს მორალურობისა და მოვლენათა მნიშვნელობის დასადგენად. ზოგიერთისთვის რელიგია ჰობია; ნაწილისთვის – ეროვნული ნიშნის ან ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელი; ხოლო დანარჩენისთვის – ესთეტიკური სიამოვნება. თანდათანობით უფრო მცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვისთვისაც რელიგია წარმოადგენს პიროვნული და კოსმიური

ღირებულებებისა და მნიშვნელობების ყოვლისმომცველ და უპირატეს სისტემას (Cox, 1971: 3).

თუკი კოქსი არ ცდება, რამდენად მოსალოდნელია, რომ ერთ დღესაც რელიგია სრულიად გაქრება ჩვენი ცხოვრებიდან? მართლა განიცდის რელიგია დაკნინებას? სოციოლოგები ერთხმად თანხმდებიან, რომ ეს ასე არ არის (Hammond, 1985; Berger, 1999), რასაც სამი მიზეზით ხსნიან. პირველ რიგში, თუკი მსოფლიოს გლობალურად შევხედავთ, მაშინ დავინახავთ, რომ რელიგია კვლავაც ყოვლისმომცველ და დომინანტურ ძალას წარმოადგენს. მართალია, რომ მას ნაკლები გავლენა აქვს ევროპაში (განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებში). ისიც მართალია, რომ სეკულარულ შეხედულებებს იზიარებს ის საზოგადოება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სწავლულთა შორის არსებულ ჰუმანისტთა საერთაშორისო სუბკულტურა, რომლის აზრებსაც მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მაგრამ, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში, რელიგიური მგზნებარება აშკარად ძლიერდება. პიტერ ბერგერის (Peter Berger) თქმით: „ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დღევანდელი მსოფლიო ისევე მძაფრად რელიგიურია, როგორც ის ადრე იყო, ხოლო ზოგან, იმაზე მეტად, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა“ (1997: 32).

მეორე რიგში, ზოგიერთი ირწმუნება, რომ ქრისტიანობა, სინამდვილეში, ფართოვდება და ერთგვარად გლობალურ ხასიათს იძენს (Jenkins, 2005). სოციოლოგებმა ბევრჯერ შენიშნეს ქრისტიანობის ექსპანსიის შემთხვევები სამხრეთის მიმართულებით: აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. ჯენკინსს სწამს, რომ 2050 წლისთვის ხუთი ქრისტიანიდან მხოლოდ ერთი იქნება არალათინოამერიკელი თეთრკანიანი. აფრიკაში ქრისტიანთა რიცხვი 10 მილიონიდან (1900 წ.) 360 მილიონამდე (2000 წ.) გაიზარდა. მაგრამ, რაც ყველაზე მეტად განმაცვიფრებელია, ის ქვეყნები, სადაც ქრისტიანობის ექსპანსია შეინიშნება, ყველაზე მეტად ფუნდამენტალისტურია, რაც ტრადიციულობაში, მორალურ კონსერვატივიზმსა და თავისი რელიგიისადმი ერგულებაში გამოიხატება. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა რწმენითა და ლოცვით მკურნალობა, ეგზორციზმი და მისტიციზმი. ისინი ხშირად აგროვებენ დიდძალ თანხებს შედარებით ღარიბი მოსახლეობისაგან. XXI საუკუნეში, ახალი ქრისტიანული სამყარო მსოფლიოს შედარებით ღარიბი ნაწილისაკენ მიემართება, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანოს.

დაბოლოს, რელიგიის ტრადიციული ფორმების აღორძინებისა და გაფართოების პარალელურად, თანამედროვეობა და პოსტმოდერნიზმი – რომელსაც სამყაროსადმი მზარდი იმედგაცრუება ახასიათებს – წარმოშობს თანმხლებ მოთხოვნას, რათა გაჩნდეს ხილული სამყაროს მიღმა არსებულ მოვლენათა განსაზღვრებები. ცნობილია, რომ ადამიანი მნიშვნელობებისაგან დაცლილ საყაროში აზრის პოვნისაკენ ისწრაფვის, რასაც ის ახალ რელიგიებში პოულობს (Davie, 1998). ეს მოვლენა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც რელიგიური აღმავლობის სამი ფორმის წარმოქმნა: (1) ფუნდამენტალიზმი; (2) ახალი რელიგიური მოძრაობების წარმოშობა; (3) რელიგიის ახალი ფორმები, მათ შორის სამოქალაქო რელიგია. თითოეულ მათგანს ქვემოთ განვიხილავთ.

ცხოვრება XXI საუკუნეში

ღმერთის შესახებ მცდარი წარმოდგენები თუ ათეიზმის დაისი?

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში წარმოშობას იწყებს კონფლიქტი დასავლეთსა და (ფუნდამენტალისტურ) მუსულმანურ სარწმუნოებას შორის. ეს გახლავთ ღრმა ისტორიული ფესვების მქონე დაპირისპირება, რომელიც კიდევ ერთი სქიზმის მიზეზად გვევლინება.

არსებობს რამდენიმე ქვეყანა, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი ურწმუნოდ ითვლება. მათ შორისაა შვედეთი, დანია, ნორვეგია, იაპონია და ევროპის დიდი ნაწილი. *ადამიანის განვითარების პროგრამის* 2004 წლის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე განვი-

თარებული ქვეყნების ხუთეულში მოხვდა ნორვეგია, შვედეთი, ავსტრალია, კანადა და ნიდერლანდები. ყველა ამ ქვეყანაში ათეიზმის მაჩვენებელი ძალზე მაღალია.

ურწმუნოებას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. შეგვიძლია გავიხსენოთ სოკრატე, რომელიც არ აღიარებდა ბერძნულ ღმერთებს; ასევე კოპერნიკი, თავისი ერეტიკული იდეით, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს; დარვინის ევოლუციის თეორია ადამიანის პრიმატისაგან წარმოშობის შესახებ; ანდა ფროიდისეული განმარტება ქვეცნობიერისა. თანამედროვე სამყარო შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ხანგრძლივი ბრძოლა მეცნიერებასა და რელიგიას შორის. ბოლო პერიოდში, ასპარეზზე გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, ვინც თავს ურწმუნოდ თვლის და აკრიტიკებს რელიგიას. მათმა თეორიებმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო, „ბესთსელერები“ გახდა და არცთუ ისე ცოტა „მიმდევარიც“ გაუჩნდა. აშშ-ში სემ ჰარისმა (Sam Harris) გამოსცა წიგნი „რწმენის დასასრული. წერილი ქრისტიანებს“, ხოლო დენიელ დენეტმა (Daniel C. Dennett) დაწერა წიგნი, სახელწოდებით „მაგიური წრის გარღვევა“. დიდ ბრიტანეთში გამოირჩეოდა მეცნიერი რიჩარდ დოკინსი (Richard Dawkins) თავისი წიგნით „ღმერთის შესახებ მცდარი წარმოდგენები“. ასევე აღსანიშნავია კრისტოფერ ჰიტჩენსის (Christopher Hitchens) „ღმერთი არ არის ყოვლისშემძლე“.

ყველა ამ წიგნში ღმერთი წარმოჩენილია, როგორც ცრურწმენა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს უკვე აღარ შეეფერება. პროგრესისათვის საჭიროა მტკიცებულებების ძიება. ჩვენ უნდა გავუყვეთ სამეცნიერო გზას. დოკინსისთვის, უმაღლესი იმპულსები, როგორიცაა თანაგრძნობა და ქველმოქმედება, ბუნებრივ გადარჩევაში უნდა ვეძებოთ. ჩვენი ინსტინქტები მიმართულია ადამიანური სიკეთისა და კეთილშობილების ქმნისკენ, რაც საკუთარი ინტერესებიდანაც გამომდინარეობს.

ათეიზმი, როგორც სოციალური მოძრაობა, ზოგადად, საკმაოდ მცირერიცხოვანია, რომელიც უამრავი სახელით მოქმედებს. მაგალითად, ამერიკელ ათეისტებს მხოლოდ 2500 წევრი ჰყავთ, რომელთა ბიუჯეტი მილიონ დოლარზე ნაკლებს შეადგენს. დიდ ბრიტანეთში, ბრიტანელ ჰუმანისტთა ასოციაცია და სეკულართა სახელმწიფო საზოგადოება ასევე საკმაოდ მცირერიცხოვანია. ალისტერ მაკგრატი თვლის: მიუხედავად იმისა, რომ ათეიზმის მასშტაბური ზრდა ჯერ კიდევ შორსაა, XXI საუკუნის დასაწყისი შეიძლება მის დაისად ჩაითვალოს (McGrath, 2004).

კულტურათა უმრავლესობისათვის ათეისტები თავიანთი დამკვიდრებული წეს-ჩვეულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. მაგრამ ზოგიერთისთვის, როგორიცაა ჯონ გრეი (John Gray), ჰუმანიზმი სინამდვილეში „მონოთეიზმის სარკისებური გამოსახულებაა“. მართლაც, გრეისათვის იგი ქრისტიანობის დაღმასვლის ერთ-ერთ მონაკვეთს შეადგენს. ათეიზმსაც რელიგიათა უმრავლესობის მსგავსი ძირითადი ნიშან-თვისებები ახასიათებს: რწმენის დოგმატიზმი. თუმცა, ამ შემთხვევაში დოგმატიზმი ურწმუნოებასთან არის დაკავშირებული.

ჩვენი დროის ძირითადი მოვლენები, რაც რელიგიასთან წინააღმდეგობაში მოდის

- ქალთა როლი
- ჰომოსექსულიაზმი და ერთსქესიანთა ქორწინება
- აბორტი და რეპროდუქციასთან დაკავშირებული უფლებები
- ევთანაზია
- ოჯახი
- კონტრაცეპტივები
- ღეროვანი უჯრედების კვლევა
- ჩაცმულობის ფორმა
- დასჯა

ასევე უფრო დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებით ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა კონფლიქტი მეცნიერებასა და რელიგიას შორის, თანამედროვეობა და ტრადიცია. ათეისტებს ლიბერალური შეხედულებები აქვთ ყველა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

იხ.: „კემბრიჯის გზამკვლევი ათეიზმისათვის“ (Phil Zuckerman, 2005; M. Martin). „ღმერთების წინაამღდეგ“ (A.C. Grayling, 2007) ●

რელიგიური ფუნდამენტალიზმი და „ცივილიზაციათა შეჯახება“

ზემოხსენებული ცვლილების ყველაზე ექტრემალური მხარე გახლავთ **ფუნდამენტალიზმის** აშკარა ზრდა, რაც გულისხმობს *კონსერვატიულ რელიგიურ დოქტრინას, რომელიც ეწინააღმდეგება ინტელექტუალიზმს და ცხოვრებისეულ რეალობასთან შეგუებას და მხარს უჭერს ტრადიციული, არაამქვეყნიური სულიერების აღორძინებას.* შესაძლოა, ეს ტერმინი მრავალნარად იქნეს გაგებული. ის ზოგდად მოიაზრებს იმ მარადიული და აბსოლუტური ღირებულების რწმენას, რომელიც ჩადებული წმინდა წერილებში და რაც დროისა და სივრცის ფარგლებს სცდება. ფუნდამენტალიზმი თავს იჩენს გასხვავებულ ჯგუფებში, როგორიცაა აშშ-ში არსებული „მორალური უმრავლესობა“, ორთოდოქსი ებრაელები ისრაელში და ირანის ისლამური მთავრობა. მეცნიერების მზარდი გავლენისა და ტრადიციული ოჯახის რღვევის საპასუხოდ, რელიგიური ფუნდამენტალისტები იცავენ მათთვის საყოველთაოდ აღიარებულ ტრადიციულ ღირებულებებს. ამ თვალსაზრისით, ლიბერალური ეკლესიები, მარტივად რომ ვთქვათ, ძალზე შემწყნარებლები არიან რელიგიური პლურალიზმისადმი და ღიად ხვდებიან ცვლილებებს. ფუნდამენტალიზმის მტერს „თანამედროვეობის ძლევამოსილი სატანა“ წარმოადგენს (Bruce, 2000). რელიგიურ ფუნდამენტალიზმს რამდენიმე ნიშან-თვისება ახასიათებს:

1. **ისინი წმინდა წერილებს უტყუარად მიიჩნევენ და მათ სიტყვასიტყვით მისდევენ.** ფუნდამენტალისტები წმინდა წერილებს ცხოვრების უტყუარ სახელმძღვანელოდ მიიჩნევენ. მათი მტკიცებით, ეს ტექსტები ზედმიწევნით უნდა იქნეს აღქმული, რისი საშუალებითაც წინ უნდა აღუდგნენ, მათი აზრით, ლიბერალურ და რევიზიონისტულ ორგანიზაციებში გამეფებულ გადაჭარბებულ ინტელექტუალიზმს.

2. **ისინი უარყოფენ რელიგიურ პლურალიზმს.** ფუნდამენტალისტები თვლიან, რომ ტოლერანტობა და რელატივიზმი აუფერულებს რწმენას. თანამედროვე რელიგიური შეხედულებები მათთვის მკაცრი განსჯის საგანს წარმოადგენს და მიუღებლად, არაკანონიერად მიიჩნევა.

3. **ისინი ღმერთის გამოვლინებას პირად განცდად აღიქვამენ.** ფუნდამენტალისტები სულიერ აღორძინებას ქადაგებენ. მათთვის სიცოცხლის ნებისმიერი ეტაპი და სფერო სიწმინდეს უკავშირდება. მაგალითად, ფუნდამენტალისტი ქრისტიანები მიილტვიან „ხელახალი დაბადებისაკენ“ იესოსთან პირადი ურთიერთობის დასამყარებლად, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას აყალიბებს.

4. **ფუნდამენტალისტები ეწინააღმდეგებიან სეკულარიზაციასა და თანამედროვეობას.** მათ სწამთ, რომ თანამედროვეობა საფრთხეს უქმნის რელიგიურ შეხედულებებს. სეკულარულ ჰუმანიზმს მორალურ დეგრადაციამდე მიჰყავს ადამიანი.

5. **ისინი მხარს უჭერენ კონსერვატიულ შეხედულებებს, მათ შორის პატრიარქატს.** ფუნდამენტალისტები ირწმუნებიან, რომ ღვთის განგებით ადამიანებმა ჰეტეროსექსუალური ოჯახები უნდა შექმნან, რომლებიც მამაკაცის მიერ უნდა იქნეს მართული. ისინი ფემინისტებისა და ჰომოსექსუალების უფლებათა დამცველ მოძრაობებს მორალური დაცემის ხელშეწყობაში სდებენ ბრალს. კერძოდ, ფუნდამენტალისტები კიცხავენ აბორტის გაკეთებას და გმობენ ჰომოსექსუალთა ურთერთობებს (Viguerie, 1981; Hunter, 1983; Speer, 1984; Ellison & Sherkat, 1993; Green, 1993).

6. **ისინი რეაგირებენ სოციალურ უთანასწორობასა და საზოგადოებრივ კრიზისზე.** გამოუვალ და სასოწრკვეთილ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ფუნდამენტალისტები პრობლემის გადაჭრის გზებს სთავაზობენ, რითაც ისინი ახალ წევრებს იზიდავენ.

ამ თვისებათა გამო ფუნდამენტალიზმს ჩამორჩენილობისა და თვითდაჯერებულობის რეპუტაცია შეექმნა. ამავე დროს, ეს მოკლე მიმოხილვა გვეხმარება, უკეთ გავიგოთ ის მიზეზები, თუ რის გამო ირჩევს ზოგიერთი ადამიანი ფუნდამენტალიზმს და ამჯობინებს მას უფრო ინტელექტუალურ, ტოლერანტულ და მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ დენომინაციებს.

ბოლო პერიოდში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ფუნდამენტალისტური რელიგიები გაძლიერდა, თუმცა ამ ტერმინის გამოყენებისას სიფრთხილე გვმართებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რელიგიური კონსერვატიული განშტოება გარდაიქმნა ფუნდამენტალისტურად, ეს ტერმინი ხშირად უარყოფით კონტექსტში გამოიყენება იმ რელიგიური მოძრაობების გასამიჯნად, ვინც ეჭვქვეშ აყენებს სტატუს-კვოს. კერძოდ, დასავლეთში განვითარდა „ისლამოფობია“, სადაც „ფუნდამენტალიზმის“ იარლიყი ხშირად გამოიყენება ისლამისტური მოძრაობების განსხვავებული შეხედულებების ერთმანეთისაგან გასამიჯნად. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ისლამი ექსტერემისტულ ფორმას იღებს, ფუნდამენტალისტური ექსტრემიზმი ხშირად იჩენს თავს თანამედროევეობის კაპიტალისტური გამოვლინების საპასუხოდ, რომელიც დამახასიათებელია დასავლეთისათვის, მაშინ როდესაც მსოფლიოს სხვა ნაწილებში უკიდურესი სიღარიბეა (Esposito, 1992: 14). ფუნდამენტალიზმის პრობლემა XXI საუკუნეში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდება. გარდა ამისა, ფუნდამენტალიზმი არ უნდა აღვიქვათ რაიმე სიახლედ. სტივენ ბრიუსი (Steven Bruce) თვლის, რომ:

> არაფერია იმაში უჩვეულო, რომ ადამიანები რელიგიას ძალზე სერიოზულად აღიქვამენ. ის, რასაც დღეს ჩვენ რელიგიურ „ექსტრემიზმს“ ვუწოდებთ, დასავლურ სამყაროში 200 წლის წინ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და რაც დღესაც მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში ჩვეულებრივი რამაა. ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ წმინდა წერილები ღვთიური შთაგონების შედეგსა და უტყუარ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ვინც ცდილობს, რომ საკუთარი ცხოვრება ამ წმინდა წერილების მოთხოვნების მიხედვით წარმართოს და სურს, აღნიშნული მოთხოვნები მისთვის განსხვავებულ საზოგადოებაში გაავრცელოს, სულაც არ არის დოგმატურად მოაზროვნე მორწმუნე. ლიბერალი, რომელიც თვლის, რომ წმინდა წერილები სინამდვილეში ადამიანის მიერ არის შექმნილი და მათ განსხვავებული მორალური ღირებულებები ახასიათებს, ვისთვისაც რელიგია მცირე გავლენას ახდენს ცხოვრებაზე და ვინც სულაც არ თვლის, რომ ის, რასაც მისი ღმერთი მისგან ითხოვს, საჭიროა საზოგადოების სხვა წევრებსაც მოახვიოს თავს. სწორედ ეს გახლავთ უცნაური და გამორჩეული მოვლენა (Bruce, 2000: 116-117).

ცივილიზაციათა შეჯახება

სწორედ ხსენებული რელიგიური მრწამსი იდგა მრავალი ისტორიული ომის უკან. თუმცა, ფუნდამენტალიზმის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საშიშროება შესაძლოა უკავშირდებოდეს რელიგიური ნიადაგის მქონე მასშტაბური საერთაშორისო კონფლიქტების მზარდ რისკს. მაგალითად, სემუელ ჰანთინგტონი (Samuel P. Huntington) საყოველთაო კონფლიქტის წარმოქმნის ახალ მიზეზად მსოფლიოს ყველა სარწმუნოებაში რელიგიური სულისკვეთების ხელახალ მოზღვავებას მიიჩნევს: „მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი მოვლენა მსოფლიოში სეკულარიზაციის შესუსტება გახლავთ“ (Huntington, 1996: 96; George Wigel). იგი მთელ მსოფლიოში ლოკალური ხასიათის „ცივილიზაციათაშორისი“ ომის წარმოშობის ნიშნებს ხედავს, განსაკუთრებით მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის. ამავე დროს, შეიმჩნევა „ბირთვ სახელმწიფოებს“ (ცივილიზაციათა ძირითად სახელმწიფოებს) შორის კონფლიქტების წარმოქმნაც. ამ შემთხვევაში, უმთავრესი პრობლემა ეხება ქრისტიანულ დასავლეთსა და მუსლიმურ სამყაროს. ასეა თუ ისე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ცივი ომის მინელების მომენტიდან

ძირითადმა კონფლიქტურმა საკითხებმა კვლავ ყველა იმ რელიგიური განხეთქილებისაკენ გადაინაცვლა, რომელიც ისტორიის ადრეულ პერიოდში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა.

ახალი რელიგიური მოძრაობების აღმოცენება და „ახალი ერა“

თუკი ტრადიციული ეკლესიების წევრების რაოდენობა იკლებს, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებში (მაგ.: მეშვიდე დღის ადვენტისტები და ქრისტიანული სექტები) გაერთიანების ფაქტებმა მკვეთრად იმატა. მართლაც, სეკულარიზაცია თავისთავად შესაძლოა თვითშემზღუდველი იყოს. რადგანაც ეკლესიის ტიპის ორგანიზაციები უფრო და უფრო ამქვეყნიური ხასიათის ხდება, რელიგიურ „სივრცეში“ მყოფი მეტი ადამიანი ტოვებს მათ სექტის მაგვარი რელიგიური საზოგადოებების სასარგებლოდ, რომლებიც უკეთ ახერხებენ ხალხის სულიერი პრობლემების მოგვარებას და ვისი წევრებიც უფრო მეტ მიზანმიმართულებასა და რელიგიური შეხედულებებისადმი ერთგულებას ამჟღავნებენ (Stark & Bainbridge, 1981; Roof & McKinney, 1987; Jacquet & Jones, 1991; Warner, 1993; Iannaccone, 1994). ამგვარად, სეკულარიცაზიისა და რელიგიის გარეგნული დაღმასვლის ფონზე, მრავალი ეგრეთ წოდებული ახალი რელიგიური მოძრაობა გამოჩნდა. ბოლო პერიოდში მართლაც შეიმნჩნევა ამგვარი მოძრაობების სწრაფი გამრავლება. წინასწარი მონაცემების თანახმად, მხოლოდ ევროპაში დაახლოებით 20 ათასამდე ახალი რელიგიური დაჯგუფება არსებობს. ერთი შეხედვით, შესაძლოა დავინახოთ ამ მოძრაობების მსგავსება ზემოაღწერილ ტრადიციულ რელიგიებთან. ამგვარად, ზოგიერთი მათგანი დაკავშირებულია ინდუიზმთან (ჰარი კრიშნა და ბჰაგვან რაჯნიშის მიმდევრები); ზოგიც ბუდიზმს მოგვაგონებს (ძენის სხვადასხვა ჯგუფები); ზოგი კი – ქრისტიანობას (ღვთის შვილები). ახალი რელიგიური მოძრაობების ნაწილი ეკელქტიკურია (ერთობის ეკლესია), ნაწილიც ადამიანის პოტენციალის განვითარების მხარდამჭერ მოძრაობასთანაა დაკავშირებული (რომელიც პროპაგანდას უწევს ადამიანის პოტენციალის გამოსათავისუფლებელ თერაპიას, როგორიცაა ტრანსცენდენტული მედიტაცია). როი უოლისმა (Roy Wallis, 1976) შემოგვთავაზა აღნიშნული მზარდი ჯგუფების ტიპოლოგია, რომლის თანახმადაც ახალი რელიგიური მოძრაობების სამი ძირითადი სახეობა არსებობს: არსებული საზოგადოებრივი წყობილების ამღიარებელი, არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას შეგუებული და არსებული საზოგადოებრივი წყობილების უარმყოფელი ტიპები.

საზოგადოებრივი წყობილების ამღიარებელი ჯგუფები, როგორც წესი, ინდივიდუალისტური და სიცოცხლისმოყვარულნი არიან. მათი მიზანია „ადამიანის პოტენციალის“ გამოთავისუფლება. ისინი ემხრობიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას. კვლევის თანახმად, ამ ჯგუფში უფრო მეტად საშუალო კლასის შუახნის ადამიანები არიან გაერთიანებულნი, რომლებსაც იმედი გაუცრუვდათ მატერიალური ღირებულებების მიმართ და ახალი, პოზიტიური აზრის ძიებაში იმყოფებიან. ამგვარი ჯგუფები, ზოგადად, არ არის დაკავშირებული ეკლესიასთან, სარიტუალო ცერემონიებთან და ეთიკურ სისტემასთან. ისინი უფრო მეტად „თერაპიულ ჯგუფებს“ ენათესავება, ვიდრე ტრადიციულ რელიგიებს.

აღნიშნული ტიპის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ რონ ჰაბარდის (L. Ron Hubbard) მიერ დაარსებული საინტოლოგიის ეკლესია. ჰაბარდმა შეიმუშავა „დიანეტიკის“ ფილოსოფია, რომელიც ხაზს უსვამს „გონების გახსნასა და გასუფთავებას“. ჰაბარდს სწამდა ხელახლა დაბადების. მისი ეკლესია მთელს მსოფლიოშია გავრცელებული (დაფუძნებულია კალიფორნიაში). იგი უამრავი (საკმაოდ ძვირადღირებული) კურსისა და წიგნის ავტორია (Wallis, 1976).

მეორე მაგალითი გახლავთ ტრანსცენდენტული მედიტაცია. ეს მიმდინარეობა დასავლეთში ინდუიზმის მიმდევარმა მაჰარეში მაჰეშ იოგიმ 1950-იან წლებში გაავრცელა. იგი ეფუძნება პერსონალური მანტრის შექმნას და მის ყოველდღიურად გამეორებას. აღნიშნული მიმდინარეობაც სიკეთეს ემყარება და მის მიზანს პოზიტიური აზროვნების მეშვეობით „საკუთარი თავის პოვნა“ წარმოადგენს. აზროვნების ამ მოდელმა შეუწყო ხელი ამ მოძრაობასთან დაკავშირებული ახალი ძირითადი მოძრაობის წარმოშობას, რომელსაც „ახალი ერა“ ეწოდება.

„ახალი ერა“ გახლავთ რელიგიების, თერაპიებისა და ასტროლოგიის ჰიბრიდული ნაზავი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა 1970-იან წლებში მოიპოვა. ეს არის თანამედროვე რელიგიათა ერთგვარი გლობალიზაციის ნაწილი, რომელშიც შეზავებულია აღმოსავლური და დასავლური ტრადიციების ელემენტები, რასაც თან ერთვის გარემოსა და ეკოლოგიაზე ზრუნვა. ბრიუსი (Bruce 1996: 197) თვლის, რომ აღნიშნული მიმდინარეობა ძირითადად ჰაბარდისა და დიანეტიკის მიმდევრებისაგან შედგება. ჰაბარდის ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა „თვითდახმარების თერაპიის“ თემაზე შექმნილი წიგნების დიდ ბაზარს, ხოლო დიანეტიკის კულტმა გამოიწვია ახალი (ასტროლოგიური თუ ფერთა) „თერაპევტების“ წარმოშობას. ყოველივე ამან მომხმარებელსა და გამყიდველს შორის ახალი ურთიერთობები ჩამოაყალიბა. თერაპევტების მიერ გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა ტაროს კარტზე და კრისტალებზე მკითხაობა, რეფლექსოლოგია, მედიუმიზმი და ი-ძინი. დღეისათვის, ბევრ მაღაზიაში შეხვდებით ამგვარ წიგნებს, სადაც მათი რიცხვი აღემატება ქრისტიანულ ლიტერატურას. ისეთი სატელევიზიო პროგრამებით გატაცება, როგორიცაა „საიდუმლო მასალები“ (The X Files), აღნიშნული ტენდენციის ნაწილად შეიძლება იქნეს განხილული. მას შემოაქვს ახალი მეცნიერება, ახალი ეკოლოგია, ახალი ფსიქოლოგია და ახალი სულიერება. „ახალი ერის“ მიმდევრების მონიზმური მოსაზრების თანახმად, „საკუთარი მე“ წმინდა, არამიწიერ ელემენტს წარმოადგენს (Heelas, 1996: 140).

არსებული საზოგადოებრივი წყობის უარმყოფელი ჯგუფები ზემოაღწერილ სექტებს წააგავს. გარკვეულწილად, ისინი ტრადიციულ რელიგიებს მოგვაგონებს, რაც ლოცვების წარმოთქმაში, რელიგიური ტექსტების შესწავლასა და მყარი ეთიკური კოდექსის არსებობაში გამოიხატება. ისინი ყოველთვის უაღრესად კრიტიკულნი არიან გარე (ბოროტების მატერიალური) სამყაროს მიმართ და მკაცრი შიდა წესების დაცვით თავიანთი წევრების შეცვლას მოითხოვენ. ამგვარი ჯგუფები ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან, საერთო ნივთებს იყენებენ და საკუთარი იდენტობის ერთ დიდ მთლიანში გაერთიანებასაკენ ისწრაფვიან. ხშირ შემთხვევაში, ისინი სამყაროს შესაცვლელად ღმერთის ჩარევას მოელიან და თავიანთი ქმედებებით ცდილობენ, ხელი შეუწყონ ქრისტეს ათასწლიანი მეფობის დადგომას.

მკვლევრების აზრით, ამგვარი ჯგუფები იმ ადამიანებს იზიდავს, ვინც საზოგადოებისგან გარიყულად ცხოვრობს.

შესაძლოა, ყველაზე ცნობილ მაგალითს ერთობის ეკლესია წარმოადგენდეს (ასევე ცნობილია მუნიზმის სახელით), რომელიც 1954 წელს კორეაში სუნ მიონ მუნმა დააარსა. ეს მიმდინარეობა კალიფორნიაში 1960-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა, სადაც ის სოციოლოგმა ჯონ ლოფლანდმა გამოიკვლია თავის წიგნში „განკითხვის დღის კულტი“ (Doomsday Cult, John Lofland, 1977). მოგვიანებით, ეილინ ბარკერმა (Eileen Barker, 1981, 1984) ის ინგლისში შეისწავლა. ერთობის ეკლესია უარყოფს ამქვეყნიურ სეკულარულ სამყაროს, როგორც ბოროტებას და მას მორალის მკაცრი წესები აქვს: მონოგამური ჰეტეროსექსუალური კავშირები, თამბაქოსა და ალკოჰოლზე უარის თქმა და ა.შ.

კიდევ ერთი მაგალითი გახლავთ ჰარე კრიშნა (ღვთის შვილები, ანუ კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება). მისი წევრები გადაპარსული თავით, ნაწნავითა და თავისუფალი, ხალათისმაგვარი სამოსით გამოირჩევიან. ჰარე კრიშნას მიმდევრები მანტრას დღეში 16-ჯერ იმეორებენ.

აღნიშნული სექტები საზოგადოების ყურადღების ქვეშ რამდენიმე წლის წინ მოექცა. ამის ძირიდათი მიზეზი გახლავთ შეხედულებებისა და პრინციპების თავსმოხვევის შიში, მკაცრი კონტროლით გამოწვეული პრობლემები და მასობრივი თვითმკვლელობები. წარმოგიდგენთ უკიდურესი გამოვლინების მაგალითების მზარდ სიას: ჯიმ ჯონსის ხალხთა ტაძრის წევრთა მასობრივი თვითმკვლელობა გაიანას ქალაქ ჯონზთაუნში (Hall, 1987); აუმის უზენაესი ჭეშმარიტება (შოკო ასაჰარას ლიდერობით), რომლის წევრებმაც 1995 წელს ტოკიოს მეტროში მომწამლავი გაზი გაუშვეს, რის შედეგადაც 12 ადამიანი დაიღუპა და 5.000 მოიწამლა; კალიფორნიაში სამოთხის კარიბჭის 36 წევრის თვითმკვლელობა, რომელიც ჰეილ-ბოპის კომეტაზე დაკვირვებისას იქნა ჩადენილი. ამ სექტის პროგრამისტება საკუთარ ვებ-გვერდზე ამგვარი შეტყობინება გამოაქვეყნეს: „ბედნიერებით აღსავსენი, მზად ვართ

ამ ქვეყნიერების დასატოვებლად“. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ ახალ რელიგიურ მიმდინარეობებში სარკისებრად არის ასახული ის საშუალებები და წეს-ჩვეულებები, რომელთა გამოყენებასაც დღემდე განაგრძობენ სხვა რელიგიები, მათ პრესა და საზოგადოება ნორმიდან გადახრად მიიჩნევს. ამიტომაც იქცევენ ისინი უფრო მეტ ყურადღებას.

არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას შეგუებული ჯგუფები უმეტესწილად ორთოდოქსულია. ისინი ინარჩუნებენ კავშირს ძირითად რელიგიებთან, მაგრამ უმთავრეს მნიშვნელობას შიდა რელიგიურ ცხოვრებას ანიჭებენ. ინგლისში ამის საუკეთესო მაგალითს ნეო-ორმოცდაათიანელები წარმოადგენენ. მათი მეშვეობით სულიწმინდა საუბრობს, რაც „ენებით მეტყველების“ ფორმით გამოიხატება. ამგვარი რელიგიები შეშფოთებას იწვევს როგორც სახელმწიფოების, ასევე ორგანიზებული, ძირითადი რელიგიების მხრიდან. ისინი ილტვიან ძველი წეს-ჩვეულებებისა და რწმენის გამყარებისაკენ, თუმცა, ამავდროულად, მათთვის ახალი სასიცოცხლო ელფერის მიცემასაც ცდილობენ.

რელიგიის ახალი ფორმები და ორგანიზაციები

სეკულარიზაციის ერთ-ერთი ფაქტორია **სამოქალაქო რელიგიის** (Robert Bellah, 1975) აღზევება. ეს გახლავთ *კვაზირელიგიური დაჯგუფება, რომელიც ინდივიდებს, ძირითადად, სეკულარულ საზოგადოებაში აერთიანებს.* ანუ, მაშინაც კი, როდესაც რელიგიურობის ტრადიციული სფეროები სუსტდება, ახალი რელიგიური ნიშან-თვისებები შეინიშნება ისეთ ასპექტებში, როგორიცაა პატრიოტიზმი, ასოციაციების წევრობა, სოლიდარიზმი და თვით სპორტული შეკრებებიც კი. რობერტ ბელამ აშშ-ში კვლევა ჩაატარა, რომლის თანახმადაც რელიგიური ნიშან-თვისებები მთელ რიგ რიტუალებში მჟღავნდება, მაგალითად, სპორტულ ღონისძიებებზე აშშ-ს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას ფეხზე წამოდგომა, პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიები ანდა წელიწადში რამდენჯერმე გამართული საჯარო აღლუმების სატელევიზიო ტრანსლაციების ყურება. ინგლისის სამეფო ოჯახთან დაკავშირებული ცერემონიები (კორონაცია, სამეფო ქორწილები და ა.შ.), ასევე სასოფლო დღესასწაულები, საქალაქო აღლუმები და მსგავსი თავყრილობები ამავე კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

უელსის პრინცესა დიანას გარდაცვალების გამო უზომო მწუხარების გამოვლენა სამოქალაქო რელიგიის ერთ-ერთ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. 1997 წლის 31 აგვისტოს, პარიზში მისი დაღუპვიდან რამდენიმე საათში ასობოთ ათასმა ადამიანმა საჯაროდ გამოხატა მწუხარება, რომლებიც ყვავილებს აგზავნიდნენ, პანაშვიდს ესწრებოდნენ და მოსახსენიებელ ლოცვებს კითხულობდნენ. ამ ადამიანებს შორის იყვნენ სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლები და განსხვავებული ცხოვრებისეული წეს-ჩვეულების მატარებლები, მაგრამ მათ მიერ ერთობლივად გაზიარებული მწუხარება სახელმწიფო და მეტიც – საერთაშორისო მასშტაბს აღწევდა.

ქრისტიანობის მასშტაბების ზრდა: ორმოცდაათიანელები

თუკი ორთოდოქსული რელიგიების მრავალ მიმდინარეობაში (მაგ.: აშშ-ს პროტესტანტული ეკლესია) დასუსტება შეინიშნება, გასაოცრად გაფართოვდა ქრისტიანობის ზოგიერთი ფორმა. აშშ-ში სამხრეთელი ბაპტისტებისა და ორმოცდაათიანელთა მოძრაობები გამოჩნდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში უილიამ სეიმურის (William J. Seymour) მიერ ჩამოყალიბებული ორმოცდაათიანელთა მიმართულება აღიარებს, რომ მისი წევრები მოესწრებიან იესოს დაბრუნებას. მათ სწამთ, რომ ღმერთი კვლავ დაუშვებს სულთმოფეონობას, თუკი ამას ხალხი საკმარისად იწამებს. ორმოცდაათიანელები ევანგელისტებისაგან და სხვათაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათი აზრით, სულიწმინდა ნებისმიერ ადამიანში შეიძლება ჩასახლდეს, რის შედეგადაც მას არაჩვეულებრივი უნარები მიეცემა. ღრმა რწმენის წყალობით ადამიანებს შეუძლიათ ენებით მეტყველება, ჰაერში აწევა და ტრანსში გადასვლა. მორწმუნეთა 80%-ს სწამს, რომ ისინი ზეცაში გამეგზავრებიან. დღეისათვის „სულიერი აღორძინების“ მიმდევართა რიცხვი დაახლოებით 500 მილიონს აღწევს და მათი მიმდინა-

რეობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ რელიგიად ითვლება. მართლაც, მათი რიცხვი მსოფლიოს ქრისტიანული მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს (მსოფლიოს ქრისტიანთა მონაცემთა ბაზა). ისინი მთელ მსოფლიოში დიდ სტადიონებზე, შენობებში, სავაჭრო ცენტრებსა და „ხსნის ბანაკებში" იკრიბებიან. ორმაცდაათიანელების მიმართულება ყველაზე მეტად აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აშშ-შია გავრცელებული.

ფორმალური ქრისტიანული ეკლესიისაგან განსხვავებით, ორმოცდაათიანელთა შეკრებები ნაკლებად დოგმატური და იერარქიულია. ისინი უფრო მეტად ექსპრესიულები არიან; მასები ექსტაზში შედიან, რაც ემოციურად ვლინდება. თავდაპირველად ამ მოძრაობაში უმეტესწილად ამერიკელი ღარიბები და შავკანიანები იყვნენ გაერთიანებულნი, თუმცა დღეს ეს რელიგია უკვე მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. იგი პოპულისტური (ნებისმიერს შეუძლია ეკლესიის დაარსება), ინოვაციური და ემოციურად ძლიერ დამუხტულია. სოციოლოგ პიტერ ბერგერის თქმით, – „მაქს ვებერი ცოცხალია და თავს შესანიშნავად გრძნობს. იგი გვატემალაში ცხოვრობს" (Economist: 2006 წ. 23 დეკემბერი: 86). ამ მიმდინარეობაში რელიგია ერთდროულად თანამედროვეობამდელი და პოსტმოდერნისტულია. ეს გახლავთ „ფიესტა", „ჯგუფური თერაპია" და „დიდი ბიზნესი".

ელექტრონული, „კიბერ" და „მეგა-ეკლესია"

წლების წინ სოფლად არსებული მცირე სამწყსოებისაგან განსხვავებით, ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია (განსაკუთრებით ფუნდამენტალისტური ხასიათისა) ელექტრონულ ეკლესიებად იქცა, რომლებშიც „სატელევიზიო მქადაგებლები" ჭარბობენ (Hadden & Swain, 1981). ელექტრონული რელიგია განსაკუთრებით აშშ-ში გაძლიერდა და ისეთი ქარიზმატული მქადაგებლები წარმოშვა, როგორებიც არიან ორალ რობერტსი (Oral Roberts), პეტ რობერტსონი (Pat Robertson), რობერ შულერი (Robert Schuller) და სხვები. მათ ისეთ პოპულარობას მიაღწიეს ხალხში, როგორიც მხოლოდ რამდენიმე სასულიერო პირს თუ მოუპოვებია წარსულში. აშშ-ის ტელეაუდიტორიის დაახლოებით 5% (10 მილიონი ადამიანი) რეგულარულად უყურებს რელიგიურ არხებს, ხოლო დაახლოებით 20% (40 მილიონი ადამიანი) ყოველკვირეულად თვალს ადევნებს ზოგიერთ რელიგიურ გადაცემას (Martin, 1981; Gallup, 1982; NORC, 1994).

1980-იან წლებში, შემოწირულობების გაღებისაკენ რეგულარულმა მოწოდებამ ზოგიერთ რელიგიურ ორგანიზაციაში ფინანსების მოზღვავება გამოიწვია. მაგალითად, ჯიმი სვოგარტი (Jimmy Swaggart), რომლის ქადაგებებს ქვეყნის 3.200 არხი გადასცემდა, წლიურად 180 მილიონ დოლარს იღებდა შემოწირულობების სახით. მაგრამ, მედიაზე დამყარებული მიმდინარეობების ზოგიერთი სასულიერო პირი გაირყვნა ფულის გამო. 1989 წელს, ჯიმ ბაკერი (Jim Bakker) (რომელმაც თავისი სატელევიზიო კარიერა 1965 წელს თავის მეუღლესთან ერთად საბავშვო შოუს წამყვანობით დაიწყო) დაპატიმრებულ იქნა შესაწირის გამოძალვის ბრალდებით. ამგვარმა ფაქტებმა (მიუხედავად ერთეული შემთხვევებისა) საერთაშორისო მასშტაბით უდიდესი ყურადღება მიიპყრო და საზოგადოებრივ მხარდაჭერას საფრთხე შეუქმნა, რადგანაც ადამიანებს ეჭვი გაუჩნდათ იმის თაობაზე, თუ რა უფრო მეტად ადარდებდათ სატელევიზიო მქადაგებლებს: მორალური სტანდარტების ამაღლება თუ საკუთარი ფინანსური კეთილდღეობა?

ელექტრონული ეკლესიის გარდა ასევე შესამჩნევია „კიბერ-" და „მეგა-ეკლესიის" ზრდა. „კიბერეკლესია" შეგვლიძლია ვიხილოთ ვებ-გვერდზე (მსოფლიოს ყველა ძირითად ეკლესიას აქვს დღეისათვის ვებ-გვერდები). თუმცა, იგივე ხერხს მიმართავს უამრავი მცირე ზომის რელიგიური მოძრაობაც. ეს გახლავთ ინფორმაციის გავრცელების უმთავრესი საშუალება. მაგრამ, ამავდროულად, ახალი წევრების მოზიდვაც ხდება.

„მეგა-ეკლესიები" გახლავთ ძალზე მასშტაბური რელიგიური თავყრილობის ცენტრები, რომლებსაც, როგორც წესი, მხოლოდ ზედაპირული კავშირები აქვს არსებულ დენომინაციებთან და რომლებიც უფრო მეტად „ხელახლა დაბადებულ" რელიგიებთან ან ქარიზმატულ ქრისტიანებთან ასოცირდება. აშშ-სა და მთელ მსოფლიოში მათი ნახვა სავაჭრო

ცენტრებსა და ავტოსადგომებზე არის შესაძლებელი. თვისობრივად ისინი საკმაოდ მასშტაბურები არიან. ამგვარ „ეკლესიებში“ ერთდროულად 1.000-3.000-მდე ან მეტი ადამიანი იკრიბება. სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში არსებული იოიდოს სრული სახარების ეკლესია ყოველდღიურად ექვს წირვას მართავს შენობაში, რომელიც 13 ათას ადამიანს იტევს! მასში 700.000 წევრია გაერთიანებული, ხოლო საკაბელო ტელევიზიის მეშვეობით დამატებით 30.000 თაყვანისმცემელს მოიცავს. ეკლესიას 11 გუნდი და 24-წევრიანი ორკესტრი ჰყავს. აშშ-ში ყველაზე დიდი მეგა-ეკლესია ჰიუსტონში არსებული ლეიკვუდის ეკლესია გახლავთ, რომელსაც 2003 წელს შაბათ-კვირის განმავლობაში საერთო ჯამში 25.060 ადამიანი სტუმრობდა. 1970 წელს ამ ტიპის მხოლოდ 10 ეკლესია არსებობდა, ხოლო 2003 წლისთვის მათი რიცხვი 740-მდე გაიზარდა. ბევრ მათგანს საკუთარი მულტიმედიური ტექნოლოგიების (თანამედროვე მუსიკა, ტელევიზია) ბიზნესი აქვს, რომელთა ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდურია (12 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი).

შედეგების შეჯამება და მომავლის განჭვრეტა

სოციალური ცვლილების ტემპი თანდათან იზრდება. სამყარო სულ უფრო და უფრო რთული და კომპლექსური ხდება, ხოლო სწრაფი ცვლილებები ხშირად აღემატება ჩვენ მიერ ყველაფრის აღქმის უნარს. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი საფრთხეს უქმნის ზოგიერთი ადამიანის რელიგიურობას, სარწმუნოებრივი შეგონებები და რელიგიური საზოგადოებები ხშირად აღნიშნულ ცვლილებასთან გამკლავების ძირითად საშუალებებს გვთავაზობს. მხოლოდ მეცნიერებას არ ძალუძს ადამიანის უმთავრესი მოთხოვნებისა და შეკითხვების დიდი ნაწილის დაკმაყოფილება. გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიები მორალური დილემების წინაშე გვაყენებს. გამართლებულია თუ არა გენეტიკურად მოდიფიცირებული ცხოველების ორგანოების ან აბორტირებული ნაყოფის ქსოვილის გამოყენება ტრანსპლანტოლოგიაში? რამდენად ეთიკურია კლონერება და სხვა მრავალი.

როგორც უკვე ითქვა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ორი ურთერთსაპირისპირო პროცესი მიმდინარეობს. ერთი მხრივ, „სეკულარიზაცია“, რომელიც გულისხმობს სულიერი და ზებუნებრივი ძალების მიმართ მზარდ უნდობლობას, ნაწილისთვის კი – რაციონალურობისა და მეცნიერებისკენ შემობრუნებას. აღნიშნული მოვლენა ევროპის დიდ ნაწილში და სხვა დასავლურ კულტურებში გავრცელდა. ამ მხრივ, აშშ ნაწილობრივ გამონაკლისს წარმოადგენს. თუმცა, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში ეს პროცესი შედარებით სუსტია, სადაც ტრადიციული რელიგიები სიმყარეს ინარჩუნებენ. მეორე მხრივ, რელიგიური ფუნდამენტალიზმის აღზევება, ტრადიციული რელიგიების მილიარდობით მიმდევრის რაოდენობის ზრდა, ცივილიზაციათა განუწყვეტელი ურთიერთდაპირისპირება თავიანთი სარწმუნოებისადმი თავგამოდებული ერთგულების მოტივით (მაგ.: ომი ავღანეთში), „ახალი რელიგიების“ მუდმივი აღმოცენება. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა რელიგიები, რომელთაც თან ახლავს კონფლიქტების, ომებისა და ადამიანთა ტანჯვის გამოწვევის უნარი, მომავალშიც თანამედროვე საზოგადოების ცენტრალურ ელემენტად შენარჩუნდება.

მარგარეტ ანდერსენი და ჰოვარდ ტეილორი

გენდერი *

წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რისი შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით – ტანისამოსს, ვარცხნილობას და შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა აგრეთვე ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ. გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, მამაკაცები უფრო მეტს და უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ, ვიდრე ქალები; მათ უფრო მეტად სჩვევიათ მოსაუბრისთვის სიტყვის შეწყვეტინება და საუბრისას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვებს. ქალები უფრო მეტს იცინიან, ყოყმანობენ და უფრო თავაზიანები არიან. სქესთა შორის სხვაობები ვერბალური კომუნიკაციის დროსაც ვლინდება. ქალები ნაკლებ პირად სივრცეს იკავებენ და უფრო იშვიათად ეხებიან მოსაუბრეს არაემოციურ, ნეიტრალურ გარემოში (თუმცა უფრო მეტად გვევლინებიან შეხების ობიექტად); მეტს იცინიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროს აუცილებლად ბედნიერები არიან (Mast & Hall 2004; LaFrance 2002; Lombardo et al. 2001; Robinson & Smith-Lovin 2001). მკვლევრები იმასაც აღნიშნავენ, რომ მამაკაცები და ქალები ელ.ფოსტასაც განსხვავებული სტილით წერენ. ქალი თავის ნაწერში შედარებით ნაკლებად თავდაჯერებულია, ვიდრე მამაკაცი და ელექტრონულ მიმოწერას მეგობრული ურთიერთობებისა და სიახლოვის შესანარჩუნებლად იყენებენ (Colley & Todd 2002; Sussman & Tyson 2000). დაბოლოს, თქვენ მრავალი დამოკიდებულების შეცვლა მოგიწევთ, რადგანაც ქალსა და მამაკაცს მნიშვნელოვნად განსხვავებული შეხედულებები აქვთ სოციალური და პოლიტიკური საკითხების უმეტესი ნაწილის მიმართ (იხ. დიაგრამა 1). თუ თქვენ ქალი ხართ, რომელიც კაცი გახდა, შესაძლოა ეს ცვლილება გამართლებული აღმოჩნდეს. სავარაუდოდ, თქვენი ხელფასი გაიზრდება (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი თეთრკანიანი მამაკაცად იქეცით). თქვენ მეტი ძალაუფლება გექნებათ თითქმის ყველანაირ სოციალურ გარემოში. დიდია ალბათობა იმისა, რომ მსხვილი კორპორაციის ხელმძღვანელი გახდეთ, მართოთ საკუთარი ბიზნესი ან სულაც პოლიტიკურ თანამდებობაზე აგირჩიონ – აქაც თეთრკანიანი მამაკაცის შემთხვევაში. ღირს თუ არა ამად აღნიშნული ცვლილება? მამაკაცის ამპლუაში, მეტად შესაძლებელია, რომ ძალადობრივი სიკვდილის მსხვერპლი გახდეთ და შესაძლოა ისე ხანგრძლივად ვერ იცოცხლოთ, როგორც ქალმა (Kung et al. 2008).

თუკი თქვენ ის მამაკაცი ბრძანდებით, რომელიც ქალი გახდა, სავარაუდოდ თქვენი ხელფასი მნიშვნელოვნად შემცირდება. 1963 წელს თანაბარი ანაზღაურების შესახებ კანონის მიღებიდან 45 წელზე მეტი გავიდა, თუმცა მამაკაცები დღემდე 23%-ით მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე ქალები – იმ შემთხვევებშიც კი, თუკი ისინი მთელი წლის განმავლობაში სრული განაკვეთით არიან დასაქმებულნი (DeNavas-Walt et al. 2010). თქვენ, ალბათ, მრავალი რამის გამო განაწყენდებით, რადგანაც გამოკითხვის შედეგების თანახმად, ქალებს უფრო მეტად აშფოთებთ ისეთი მოვლენები, როგორიცაა საარსებოდ მათთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა, მათი ახლობლების მიერ აღმოჩენილი დახმარება, ბავშვის გაზრდაში მამაკაცის წილი და მათი გარეგნობა. კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ ქუჩაში ქალები უფრო მეტად განიცდიან შიშს, ვიდრე მამაკაცები. თუმცა მშობლის ამპლუაში, ქალები უფრო მეტად არიან კმაყოფილნი თავიანთი როლით. იგივე ეხება მეგობრობის განცდას ცოლ-ქმრული ურთერთობების მიღმა გარემოში.

როგორც ქალისთვის, ასევე მამაკაცისთვის არსებობს გენდერთან ასოცირებული სოციალური განსაზღვრებებიდან გამომდინარე უპირატესობები, საზღაური და შედეგები. აღნიშნული ექსპერიმენტის წარმოდგენისას, შესაძლოა გაგიჭირდათ თქვენს ბიოლოგიურ იდენტობაში წარმოქმნილი არსებითი ცვლილებების დანახვა: ნუთუ ეს არის ქალად ან მამაკაცად ყოფნის უმნიშვნელოვანესი ნაწილი? თქვენს მამაკაცობას ან ქალობას ბუნება განსაზღვრავს, თუმცა სქესებს შორის არსებულ სხვაობას საზოგადოება ანიჭებს მნიშვნელობას. სოციოლოგები გენდერს სოციალურ ფაქტად განიხილავენ, რადგანაც იმაზე,

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ერთი თავის თარგმანს წიგნისა: „სოციოლოგიის საფუძვლები“

თუ ვინ გავხდებით ქალის ან მამაკაცის რანგში, მნიშვნელოვანწილად კულტურული და სოციალური მოლოდინები ახდენს გავლენას.

გენდერთან დაკავშირებული დავალება

რას ფიქრობთ გენდერის, გენდერული როლებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ? თქვენი წარმოდგენები სხვების წარმოდგენებს შეადარეთ. ამის დასადგენად, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

გენდერის სოციალური კონსტრუქცია

დაბადების მომენტიდანვე ბიჭებისა და გოგონების მიმართ ქცევაზე გენდერული მოლოდინები ახდენს გავლენას. ახლა, როდესაც უკვე შესაძლებელია მუცლადყოფნის პერიოდში ბავშვის სქესის დადგენა, გენდერული მოლოდინები დაბადებამდე ყალიბდება. მშობლები გოგონასთვის ვარდისფერ ტანისამოსს და თოჯინებს არჩევენ, ხოლო ბიჭისთვის – სპორტული სტილის ღია ფერის სამოსს. მაშინაც კი, თუკი მშობლები სხვაგვარად მოინდომებენ, მათთვის ეს რთული აღმოჩნდება, რადგანაც ბავშვებისთვის განკუთვნილი პროდუქცია სქესის მიხედვითაა დაყოფილი. კვლევების დიდი ნაწილი გვიჩვენებს, თუ რამდენად სტერეოტიპულია მშობლებისა და გარემოს ქცევა ბავშვების მიმართ. გოგონების მიმართ უფროსები უფრო მეტად თბილები და ყურადღებიანები არიან, ხოლო ბიჭებს შედარებით მკაცრად, უხეშად ეპყრობიან და მეტ დამოუკიდებლობას აძლევენ.

თავად განსაჯეთ

სქესის შეცვლა

ჩაატარეთ ექსპერიმენტი ამ ნაწილის დასაწყისში მოყვანილი ტექსტის მაგალითზე.

1. პირველ რიგში, ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც, თქვენი აზრით, დაგჭირდებოდათ იმისათვის, რათა შეგეცვალათ თქვენი საქციელი, თუკი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი გახდებოდით. დაყავით სია პუნქტებად ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა გარეგნობა, დამოკიდებულება ან ქცევა.

2. 24 საათის განმავლობაში, შეეცადეთ შეცვალოთ ის, რისი შეცვლაც გსურთ. აწარმოეთ დღიური, სადაც მოინიშნავთ, თუ როგორ რეაგირებენ სხვები თქვენს საქციელზე ამ პერიოდის განმავლობაში და თუ როგორ იგრძნობთ თავს აღნიშნული ცვლილების განხორციელებისას.

3. ექსპერიმენტის დასრულებისთანავე მოამზადეთ წერილობითი ანგარიში, სადაც აღნიშნული იქნება, თუ რა გასწავლათ თქვენმა ხანმოკლე ექსპერიმენტმა საპირისპირო სქესის ამპლუაში ყოფნის შესახებ და თუ როგორ ხდება (ან არ ხდება) გენდერული იდენტობის მხარდაჭერა სოციალური ურთერთქმედებისას. ●



დიაგრამა 1. გენდერი განწყობებს შორის სხვაობა

მონაცემები: Saad, Lydia. 2003.
„ქალების პრობლემების განხილვა, ნაწილი II". მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა. პრინსტონი, ნიუ-ჯერსი: The Gallup Organization.
www.gallup.com

სქესისა და გენდერის განსაზღვრა

სოციოლოგები ტერმინებს *სქესი* და *გენდერი* იყენებენ იმისათვის, რათა ერთმანეთისგან გამიჯნონ ბიოლგიური სქესობრივი იდენტობა და შეძენილი, ათვისებული გენდერული როლები. **სქესი** გულისხმობს ბიოლოგიურ იდენტობას, ქალად ან მამაკაცად ყოფნას. სოციოლოგებისათვის უფრო მნიშვნელოვანი კონცეფცია **გენდერი** გახლავთ. ეს არის სოციალურად ათვისებული მოლოდინები და ქცევები, რომლებიც თითეული სქესის წარმომადგენლთან ასოცირდება. ამგვარი სხვაობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გენდერთან ასოცირებული ქცევა კულტურულ სივრცეშია ათვისებული.

გენდერის კულტურული საფუძველი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც ჩვენ სხვა კულტურებს განვიხილავთ. სხვადასხვა კულტურებში, მამაკაცურობასთან და ქალურობასთან ასოცირებული გენდერული როლები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. დასავლეთის ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებებში ქალურობა და მამაკაცურობა ადამიანიების მიერ დიქოტომიურ ჭრილში განიხილება, სადაც ქალი და მამაკაცი ხშირად „საპირისპირო სქესებადაა" წარმოდგენილი. სხვა კულტურების წარმოდგენები სადავოს ხდის აღნიშნულ მოსაზრებას. ისტორიულად, ნავაჰოს საზოგადოებაში არსებული *ბერდაშები* ანატომიურად ჩვეულებრივ მამაკაცებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც მესამე (მამ-

რობითსა და მდედრობითს შორის) სქესს მიაკუთვნებდნენ. ბერდაშები სხვა, ჩვეულებრივ მამაკაცებზე ქორწინდებოდნენ, რომელებიც არ ითვლებოდნენ ბერდაშებად. გარდა ამისა, არც ბერდაშები და არც ის მამაკაცები, რომლებზეც ისინი ქორწინდებოდნენ, არ ითვლებოდნენ ჰომოსექსუალებად, როგორც ეს დღევანდელი დასავლეთის მრავალი კულტურის მიერ აღიქმებოდა (Nanda 1998; Lorber 1994).

ასევე შესაძლოა მნიშვნელოვნი განსხვავებები შეინიშნებოდეს სხვადასხვა სოციალურ კლასში ან მოცემული კულტურის შიგნით განთავსებულ სუბკულტურებში არსებულ გენდერულ კონსტრუქციაშიც. შეერთებულ შტატებში, როგორც ამას შემდგომში ვიხილავთ, განსხვავებულ რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფებში გენდერი სხვადასხვაგვარად აღიქმება (Andersen & Collins 2010; Baca Zinn et al. 2010). უფრო მეტიც, თვით მოცემულ კულტურაში ცალკეული გენდერის წარმომადგენლებს შორის უფრო დიდი სხვაობა შეიძლება შეინიშნებოდეს, ვიდრე განსხვავებული გენდერის ადამიანებში (იხ. დიაგრამა 2). გენდერის სოციოლოგიური კუთხით განხილვისას უმალ თავს იჩენს იმ ფაქტორის სოციალური და კულტურული განზომილებები, რასაც პოპულარულ ენაზე ხშირად ბიოლოგიურად განსაზღვრულს უწოდებენ.

სქესობრივი განსხვავებულობა: ბუნება თუ აღზრდა?

მიუხედავად სოციალური მოლოდინების კარგად ნაცნობი ძალისა, ბევრს დღემდე სწამს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული განსხვავებები ბიოლოგიურადაა განსაზღვრული. თუმცა ბიოლოგია აღნიშნული განსხვავებების მხოლოდ ერთი კომპონენტია. რა უფრო მნიშვნელოვანია ქალისა და მამაკაცის ფორმირებაში – ბიოლოგია თუ კულტურა? ამ კითხვაზე მეტად სოციოლოგიას აინტერესებს ის, თუ როგორ წარმოქმნის კულტურა პიროვნების გენდერულ იდენტობას.

ბიოლოგიური დეტერმინიზმი გულისხმობს იმ განმარტებებს, რასაც კომპლექსური სოციალური მოვლენები ფიზიკურ თავისებურებებს მიაწერენ. მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მამაკაცი უფრო აგრესიულია განსხვავებული ჰორმონის (კერძოდ, ტესტოსტერონის) გამო, გახლავთ ბიოლოგიურად განსაზღვრული არგუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ხალხში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტესტოსტერონი მამაკაცებში აგრესიულ ქცევას იწვევს, კვლევებმა მხოლოდ ძალზე მცირე ურთიერთდამოკიდებულება გამოავლინა აგრესიულ ქცევასა და ტესტოსტერონის დონეს შორის. უფრო მეტიც, ტესტოსტერონის დონის ცვალებადობა არ განსაზღვრავს მამაკაცის აგრესიულობის დონეს (მაგ.: „ქიმიური კასტრაცია“ – ისეთი წამლების დანიშვნა, რომლებიც ამცირებს ორგანიზმში ტესტოსტერონის წარმოქმნას ან ცირკულაციას). გარდა ამისა, გოგონებში და ბიჭებში, ბავშვობის ადრეულ ასაკში სქესობრივი ჰორმონების დონეებს შორის სხვაობა მინიმალურია, თუმცა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბიჭებისა და გოგონების (ბავშვობის პერიოდში) მიერ გამოვლენილი აგრესიის დონე ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან (Fausto-Sterling 2000, 1992).

ადამიანის სქესობრივი იდენტობა მისი ჩასახვის მომენტიდან განისაზღვრება, როდესაც მამის სპერმა კვერცხუჯრედის განაყოფიერებისას X ან ♀ ქრომოსომას გადასცემს. ემბრიონს დედისგან X ქრომოსომა გადაეცემა. ორი X ქრომოსომის კომბინაცია წარმოქმნის მდედრობით სქესს, ხოლო X და ♀ ქრომოსომების ერთობლიობა – მამრობითს. ნორმალურ პირობებში, სქესის განმსაზღვრელ ქრომოსომებში განთავსებული გენების მიერ მართული ქიმიური პოცესები ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ფორმირებას უწყობს ხელს.

ინტერსექსუალობა (ანუ **ჰერმოფროდიტიზმი**) გახლავთ მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ქრომოსომის ფორმირების, ანუ ჩანასახის სქესობრივი დიფერენციაციის პროცესში მომხდარი ნორმიდან გადახრით. ამის შედეგად პიროვნებას შერეული ბიოლოგიური სქესის ნიშან-თვისებები უყალიბდება. ინტერსექსუალი ჩვილი შეიძლება დაიბადოს საკვერცხეებით ან სათესლე ჯირკვლებით, მაგრამ გაურკვეველი, ანუ შერეული გენიტალიებით. ინტერსექსუალი ადამიანი შეიძლება იყოს ქრომოსების მიხედვით მამაკაცი, მაგრამ ჰქონდეს არასრულფასოვანი პენისი შარდსადენი მილის გარეშე.

ინტერსექსუალთა ცხოვრების შესწავლამ მათი პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე სოციალური ფაქტორების უჩვეულო ზემოქმედება გამოავლინა (Preves 2003). ინტერსექსუალი ბავშვების მშობლებს, როგორც წესი, ურჩევენ, ქირურგიული ჩარევის შედეგად მოხდეს ერთ-ერთი სქესის განსაზღვრა, რის შემდეგაც ბავშვს უმჯობესია მიეცეს ახალი სახელი, განსხვავებული ვარცხნილობა და შესაბამისი ტანისამოსი – ყოველივე ის, რაც ბავშვისთვის ერთი კონკრეტული გენდერული იდენტობის სოციალური მანიშნებელი იქნება. ერთ-ერთი ექიმი, რომელიც მსგავს შემთხვევებზე მუშაობდა, მშობლებს ამგვარ მითითებას აძლევს: „ბავშვის აღზრდისას, მშობლების ქმედება ძალზე მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, ბიჭთან ურთიერთობენ თუ გოგოსთან“ (Kessler 1999: 9).

ტრანსგენდერი გახლავთ ადამიანი, რომელიც მისთვის დაბადებიდან მიკუთვნებული სქესისაგან განსხვავებული გენდერით ცხოვრობს (Schilt 2011; Schilt & Westbrook 2009). მიუხედავად იმისა, რომ ტრანსგენდერი ინდივიდები ჩვეული მოლოდინების ფარგლებში მოქცევის წნეხს განიცდიან, ისინი უპირისპირდებიან (უარყოფენ) გენდერის შესახებ არსებულ მოსაზრებებს („ან ერთი ან მეორე“), რომელიც გამეფებულ გენდერულ ნორმებს ახასიათებს. ანალუგიურია ვითარება იმ პირების მიმართ, ვინც ზრდასრულ ასაკში იცვლის სქესს: ისინი უზომო წნეხის ქვეშ ექცევიან სხვების მხრიდან, რომლებიც მათგან ერთ-ერთი სქესის თანახმად ცხოვრებას მოითხოვენ. ამგვარ იდენტობასთან გამკლავება დიდ სტრესთან არის დაკავშირებული, რისი მიზეზიც უმეტესწილად გახლავთ საზოგადოების მოლოდინები გენდერული იდენტობის სათანადო კატეგორიებთან მიმართებით. ნებისმიერი ადამიანი, ვინც გაბატონებული მოლოდინების ფარგლებს გასცდება ან რაიმე გზით განსხვავებულ სახეს წარმოაჩენს, ხშირად გაირიყება და დაცინვის ობიექტად იქცევა, რაც გენდერთან დაკავშირებული მოლოდინების სიმტკიცეზე მიუთითებს (Stryker & Whittle 2006; Gagne & Tewksbury 1998).

სოციოლოგია მიიჩნევს, რომ მხოლოდ ბიოლოგია არ განსაზღვრავს გენდერულ იდენტობას. ადამიანები უნდა მოერგონ სხვების მოლოდინებს და იმ სოციალურ შეხედულებებს, რომლებიც განმარტავს, თუ რას ნიშნავს იყო ქალი ან მამაკაცი. პიროვნება გენეტიკურად



ცხრილი 2. გენდერული განსხვავებები: აგრესია

მაშინაც კი, როდესაც მამაკაცები და ქალები მთლიანობაში განსხვავდებიან მოცემულ ნიშან-თვისებასთან მიმართებით, შიდაგენდერული განსხვავებები, შესაძლოა, ისევე დიდი იყოს, როგორც სხვადასხვა გენდერის შემთხვევაში. ზოგიერთი მამაკაცი, მაგალითად, ნაკლებად აგრესიულია, ვიდრე ზოგიერთი ქალი.

შეიძლება ინარჩუნებდეს ერთ სქესს, ხოლო სოციალურად სხვა სქესს (ანდა სულაც რაღაც შუალედურს) მიეკუთვნებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიოლოგიურ და სოციალურ შედეგებს შორის არ არსებობს რაიმე ფიქსირებული ურთიერთკავშირი. თუკი თქვენ ქალსა და მამაკაცს მხოლოდ ბიოლოგიურად „ბუნებრივ“ მდგომარეობად აღიქვამთ, მაშინ გამოგრჩებათ ის საინტერესო ფაქტორები, რაც საზოგადოებაში გენდერის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

რა თქმა უნდა, არსებობს სქესთა შორის ფიზიკური სხვაობები. ანატომიური განსხვავებების გარდა, დაბადებისას ბიჭები ოდნავ მაღლები არიან და გოგონებზე მეტს იწონიან. ზრდასრულობაში, მამაკაცს, როგორც წესი, გულისცემის უფრო ნაკლები სიხშირე, სისხლის მაღალი წნევა და კუნთის მეტი მასა და სიმკვრივე აქვთ. ფიზიკური სხვაობა წარმოქმნის ტენდენციურ აღქმას იმის შესახებ, რომ მამაკაცები ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ქალები. თუმცა შესაძლებელია ამგვარი მოსაზრების შეცვლა ფიზიკური აქტივობის დონიდან გამომდინარე. დღეისათვის, საზოგადოება ხშირად ხდება ქალების ათლეტურობის გამოვლენის მოწმე და ძალის გამოვლენას ორივე სქესის წარმომადგენლებისგან მოითხოვს მსოფლიო რანგის ისეთ ღონისძიებებზე, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები. ქალებს შეუძლიათ კუნთის მაღალი მასისა და სიმკვრივის მიღწევა კულტურიზმის მეშვეობით და კაცებზე მეტი წარმატების მოპოვება ისეთ აქტივობებში, რომლებიც გამძლეობის მაღალ დონეს მოითხოვს. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ოთხი ქალბატონი, რომლებიც ძაღლებზე შებმული ციგებით რბოლის გამარჯვებული გახდა. ალასკაში ყოველწლიურად გამართული ეს შეჯიბრი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე რთულად და დამქანცველად ითვლება. აქედან გამომდინარე, სანამ ქალები და მამაკაცები თანაბარ პირობებში რეალურად არ შეეჯიბრებიან ერთმანეთს იმ ტურნირებში, სადაც ისტორიულად ქალი არ დაიშვებოდა, მანამდე ვერ დავადგენთ ქალისა და მამაკაცის ფიზიკურ შესაძლებლობებს შორის არსებული სხვაობის ნამდვილ სურათს.

ბიოლოგიურ დეტერმინიზმზე დაფუძნებული არგუმენტები გულისხმობს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება „ბუნებრივია“ და სავარაუდოდ ცვლილებას არ ექვემდებარება. რასებს შორის არსებული განსხვავებების მსგავსად, ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებულობის ბიოლოგიურ ახსნას გასაქანი მიეცა სწრაფად მიმდინარე სოციალური ცვლილების პერიოდში. ამგვარი თეორია იცავს სტატუს-კვოს (არსებული სოციალური კლასიფიკაციის მიმართ), რომლის მიხედვითაც ცხადი ხდება, რომ ქალებისა და სხვა რასების წარმომადგენელთა სტატუსი „ბუნებრივია“ და შესაბამისად უცვლელი უნდა დარჩეს. თუკი ქალსა და მამაკაცს შორის სოციალური სხვაობა ბიოლოგიურადაა დადგენილი, მაშინ ვერ ვიხილავდით სხვადასხვა კულტურაში გენდერისადმი არსებული დამოკიდებულებების ვარიაციებს, რაც საკმაოდ კარგად არის დოკუმენტირებული. უფრო მეტიც, თვით ერთსა და იმავე კულტურაშიც შეიძლება შეგვხვდეს საკმაოდ დიდი *შიდაგენდერული* განსხვავებები. მაგალითად, რომელიმე დამახასიათებელი თვისება (მაგ.: აგრესიულობა ან მეტოქეობა) შეიძლება ერთი გენდერული ჯგუფის შიგნით უფრო მეტად განსხვავდებოდეს, ვიდრე სხვადასხვა გენდერის წარმომადგენლებში. ამრიგად, ზოგიერთი ქალი უფრო მეტად აგრესიულია, ვიდრე ზოგი მამაკაცი, ხოლო ზოგიერთ მამაკაცს მეტოქეობის ნაკლები განცდა აქვს, ვიდრე ზოგ ქალს (იხ. დიაგრამა 2). ჩვენ ვერ ვიარსებებდით საკუთარი ბიოლოგიური ნიღბის გარეშე, მაგრამ ჩვენ ვერ ვიქნებოდით ის, ვინც ვართ საზოგადოებისა და კულტურის გარეშე.

მაშ ასე, სოციოლოგებისთვის მნიშვნელოვანია როგორც სქესის, ასევე გენდერის სოციალური საფუძვლები. სოციოლოგების თვალთახედვით, ადამიანის სქესობრივი და გენდერულ იდენტობაზე საზოგადოება ახდენს გავლენას. კულტურა გარკვეულ სქესობრივ ქცევას მისაღებად ან მიუღებლად თვლის და ქალებისა და მამაკაცებისთვის კონკრეტულ მოლოდინებს აწესებს. ყოველივე ამის ათვისება *გენდერული სოციალიზაციის* პროცესის მეშვეობით ხდება.

მედიის სოციოლოგიური მეთვალყურეობა

კულტურის გუშაგები და ქალურობის იერსახის შექმნა

ბევრს შეუნიშნავს მედიაში არასწორად ასახული ქალების სახე. ყველაზე ხშირად გავრცელებულია მედიაში წარმოჩენილ ქალთა არარეალისტური იმიჯი, რაც მათ თვიშეფასებაზე ახდენს გავლენას და ზღუდავს გარეგნობის, ურთერთობების, კარიერის და სხვა საკითხებისადმი საკუთარი პერსპექტივების შეგრძნებას. მედიაში ქალურობის პარამეტრებს კულტურის გუშაგები განსაზღვრავენ – ისინი, ვინც გადაწყვეტილებებს იღებენ იმის შესახებ, თუ როგორი იმიჯი უნდა შეიქმნას. კულტურის გუშაგებს ასევე აუდიტორიის კრიტიკაზე რეაგირებაც უწევთ. ის, თუ როგორ რეაგირებენ ისინი, იმ ინსტიტუციური პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რომლის მეშვეობითაც ხდება მედიაში ასახული იმიჯის შენარჩუნება.

სოციოლოგ მელისა მილკის (Melissa Milkie) სურდა შეესწავლა, თუ როგორ იქმნება ქალურობის იერსახე მედიაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროდიუსერები თავიანთი აუდიტორიის მხრიდან კრიტიკას აწყდებიან. ჟურნალების მკითხველმა გოგონებმა გააპროტესტეს მედიაში ნაჩვენები ვიწრო და შეზღუდული სახეები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც გოგონების სხეულებს ასახავდა.

მილკიმ წამყვანი ჟურნალების ათი მთავარი რედაქტორი გამოკითხა, რათა დაედგინა, თუ როგორ რეაგირებდნენ ისინი (როგორც კულტურის გუშაგები) გოგონების მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე, რომლის თანახმადაც მოზარდი გოგონებისათვის განკუთვნილ ჟურნალებში ასახული იმიჯი არ შეესაბამებოდა „რეალური გოგონების“ სახეს.

მილკიმ დაადგინა, რომ თვით მთავარი რედაქტორების აზრით, არსებობს ინსტიტუციური შეზღუდვები გოგონების მხრიდან კრიტიკაზე რეაგირებასთან მიმართებით. რედაქტორებმა, რომლებიც გულისხმიერად ეკიდებოდნენ მათ მიმართ კრიტიკას, განაცხადეს, რომ ბევრს ვერაფერს შეცვლიდნენ ანდა არ აპირებდნენ გოგონების პრეტენზიებზე პასუხის გაცემას, რადგანაც მათ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად თვლიდნენ. რედაქტორების თქმით, ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები მათ კონტროლს არ ექვემდებარეობდა, რის მიზეზადაც მხატვრული პროცესის ფარგლები, რეკლამის მიმწოდებელთა მოთხოვნები ან თავად დღევანდელი კულტურა დასახელდა. ამგვარად, მიუხედავად მათ მიერ დაკავებული სახელმძღვანელო პოზიციებისა, თავიანთივე წარმოდგენით, რედაქტორები არ ფლობენ გამოქვეყნებულ მასალებზე სრულ კონტროლს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მილკის კვლევა გვიჩვენებს, თუ რაოდენ ზღუდავს მედია-ინსტიტუტების საორგანიზაციო კომპლექსურობა ქალურობის ხატის შექმნის პროცესში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას. ბაზარზე მოქმედი ძალები, რეკლამის მიმწოდებლები, პროდიუსერებისა და საზოგადოების ღირებულებები ერთობლივად ახდენს გავლენას კულტურის გუშაგების მიერ მიღებულ განდაწყვეტილებებზე. თუმცა მილკი ასევე გვიჩვენებს, რომ ადამიანები არ არიან პასიურნი იმის მიმართ, რასაც მედია წარმოგვიდგენს. შესაბამისად, ის, თუ როგორ რეაგირებს ხალხი მედიის მიერ შექმნილ წარმოდგენებზე, საზოგადოებაში ამგვარი წარმოდგენების ზეგავლენის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

წყარო: მელისა მილკი. „ქალურობის სადავო იერსახეები: „რეალური გოგონების“ მიერ გამოთქმული კრიტიკა და მასთან კულტურის გუშაგების ბრძოლის ანალიზი“ (Milkie, Melissa A. 2002). „გენდერი და საზოგადოება“ (Gender & Society 16 (December): 839-859)

გენდერული სოციალიზაცია

სოციალიზაცია გახლავთ პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება სოციალური მოლოდინების დასწავლა და ათვისება. გენდერული სოციალიზაციის გზით, ქალები და მამაკაცები

თავიანთ სქესთან ასოცირებულ მოლოდინებს ითვისებენ. გენდერთან დაკავშირებული წესები ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოების ყველა ასპექტზე ვრცელდება. გენდერული სოციალიზაცია გავლენას ახდენს ქალებისა და მამაკაცების თვითშეფასებაზე, მათ სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებზე, მათ მიერ სხვების აღქმაზე და სხვებისადმი დამოკიდებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არ გახლავთ სრულყოფილად სოციალიზირებული, რათა შეესაბამებოდეს გენდერთან ასოცირებულ მოლოდინებს, სოციალიზაცია იმ ძლიერ ძალას წარმოადგენს, რომელიც გენდერის შესაბამისი ტიპური გზის თანახმად წარმართავს ქალებისა და მამაკაცების ქცევას. ის ადამიანებიც კი, რომლებიც უპირისპირდებიან ტრადიციულ მოლოდინებს, ხშირად ექცევიან სოციალიზაციის ძლევამოსილი გავლენის ქვეშ. ქალები, რომლებიც გაცნობიერებულად უარყოფენ ქალთა ტრადიციულ როლებს, ჯგუფურ გარემოში შესაძლოა მაინც მოქმოდებდნენ მასპინძელი დიასახლისის ან მდივნის ამპლუაში. ანალოგიურად, მამაკაცმა შეიძლება გადაწყვიტოს საშინაო საქმეებში თანაბარი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, თუმცა მაინც ვერ შეამჩნიოს, რომ მაცივარში საკვები აღარ არის ანდა ბავშვი დასაბანია. მამაკაცისთვის ეს ის საქმიანობებია, რომლებიც, მის მეხსიერებაში, სხვის კომპეტენციაში შედიოდა (DeVault 1991). ამგვარი მოლოდინები იმდენად ღრმადაა გამჯდარი, რომ ინდივიდუალურად მათი შეცვლა საკმაოდ რთულია. თუკი ამ მოსაზრებაში ეჭვი გეპარებათ, სცადეთ ბავშვისთვის ისეთი ტანსაცმლის ან სათამაშოს ყიდვა, რომელიც არ იქნება გენდერულ ტიპთან ასოცირებული; ანდა გაესაუბრეთ მშობელებს, რომლებმაც გადაწყვიტეს შვილების გენდერული სტერეოტიპების გარეშე გაზრდა და მოუსმინეთ, რას გეტყვიან ისინი მათი ბავშვების თანატოლებისა და მედიის მხრიდან გავლენის შესახებ.

გენდერული იდენტობის წარმოქმნა

გენდერული სოციალიზაციის ერთ-ერთი შედეგი გახლავთ **გენდერული იდენტობის** წარმოქმნა, რომელის მეშვეობით ადამიანი საკუთარ თავს ქალად ან მამაკაცად მიიჩნევს. გენდერული იდენტობა საკუთარ თავზე წარმოდგენის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის აყალიბებს ჩვენს მოლოდინებს საკუთარ თავთან, შესაძლებლობებთან და ინტერესებთან მიმართებით; აგრეთვე განსაზღვრავს იმას, თუ როგორ ვურთიერთობთ სხვებთან. გენდერული ინდენტობა აყალიბებს არა მხოლოდ საკუთარი თავის ან სხვის მიმართ წარმოდგენას, არამედ გავლენას ახდენს უამრავ ქცევაზე, მათ შორის ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების, ძალმომრეობითი ქცევის, დეპრესიის ანდა მანქანის აგრესიული მანერით მართვის ალბათობას (Andersen 2011).

გენდერული იდენტობის ერთ-ერთი სფერო, რომელსაც განსაკუთრებით ძლიერი ზემოქმედება აქვს, გახლავთ ის, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ გარეგნობას. კვლევები გვიჩვენებს გენდერული იდენტობის ძლიერ გავლენას სხეულის იერსახეზე. ადამიანს საკუთარი სხეულის მიმართ ინტერესი უმეტესწილად სიყმაწვილეში უჩნდება. ამრიგად, უმცროსი ასაკის (სკოლამდელი ასაკის) ბავშვების გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მათში არ შეიმჩნევა გენდერული სხვაობები გოგონებისა და ბიჭების მიერ საკუთარი სხეულების აღქმასთან დაკავშირებით (Hendy et al. 2001), თუმცა სიყმაწვილის ადრეულ წლებში განსხვავებები უკვე მკვეთრად იკვეთება. ამ პერიოდში, გოგონები უფრო ხშირად ახდენენ საკუთარი სხეულის სხვებთან (იმავე სქესის წარმომადგენლებთან) შედარებას, ვიდრე ბიჭები. სიყმაწვილის ადრეულ ასაკში გოგონებს უფრო დაბალი თვითშეფასება (ანუ საკუთარ თავზე წარმოდგენა) აქვთ, ვიდრე ბიჭებს; ისინი აგრეთვე უფრო ნეგატიურად აფასებენ საკუთარი სხეულის იერსახეს, ვიდრე ბიჭები. გოგონების ამგვარი აზროვნება მათ დაბალ თვითშეფასებასთან არის დაკავშირებული (Jones 2001; Polce-Lynch et al. 2001). კოლეჯის სტუდენტებს შორის, ქალები ასევე უფრო მეტად არიან უკმაყოფილონი თავიანთი გარეგნობით, ვიდრე მამაკაცები (Hoyt & Kogan 2001). აღნიშნული კვლევები მიუთითებს, რომ მედიაში წარმოჩენილი ქალის სხეულის იდეალიზირებულ იერსახესა და თანატოლთა მხრიდან ზეწოლას უდიდესი გავლენა აქვს ახალგაზრდა გოგონებისა და ქალების გენდერულ იდენტობაზე და საკუთარი გარეგნობის აღქმაზე.

სოციოლოგი დებრა გიმლინი (Debra Gimlin) გვარწმუნებს, რომ სხეული არის „ზედაპირი, რომელზეც კონკრეტულ კულტურაში უპირატესად მიღებული წესებია აღბეჭდილი“ (Gimlin 2006: 6). ეს განსაკუთრებით გენდერთან მიმართებაში შეიმჩნევა. ქალებიცა და მამაკაცებიც საგულდაგულოდ შემუშავებულ რიტუალებს ასრულებენ გამორჩეული გენდერული იდეალების მისაღწევად. ეს იდეალები გაბატონებული კულტურის მიერ არის დადგენილი.

სოციოლოგიურ ჭრილში დანახული სინამდვილე

საკუთარი თავის მოვლისათვის (გარეგნობაზე ზრუნვისათვის), ქალისა და მამაკაცისათვის განკუთვნილ განსხვავებულ საგნებში რა სახის გენდერული იდენტობებია ასახული? როგორ არის ქალისა და მამაკაცისათვის განკუთვნილი ნაწარმი შეფუთული? მარკირებული? რა ფერისაა ისინი? რა ჰქვია მათ? ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ხსენებული საგნები როგორ ასახავს გენდერთან დაკავშირებულ ნორმებს? ●

გენდერული სოციალიზაციის წყაროები

სოციალიზაციის სხვა ფორმების ანალოგიურად, გენდერული სოციალიზაციის სხვადასხვა ფაქტორი არსებობს, როგორიცაა ოჯახი, თანატოლები, საბავშვო თამაშები, სკოლა, რელიგიური აღზრდა, მასმედია და პოპკოლუტურა. გენდერული სოციალიზაციის განმტკიცება ხდება გენდერთან დაკავშირებული ქცევის მოწონებისას ან გაკიცხვისას.

გენდერული სოციალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს *მშობლები* წარმოადგენენ. მშობლებს შეუძლიათ ბავშვებს არ მისცენ იმ სათამაშოებით თამაშის საშუალება, რომლებიც საპირისპირო სქესთან არის გაიგივებული, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ბიჭები გოგონებისათვის განკუთვნილი სათამაშოებით ერთობიან. კვლევა გვიჩვენებს, რომ მშობლები გოგონების მიმართ ნაკლებად კატეგორიულები არიან, ვიდრე ბიჭებთან, როდესაც საქმე გენდერულ როლებთან შეუსაბამობას ეხება (Kane 2006). მამები განსაკუთრებით უშლიან ბიჭებს გენდერული ნორმების დარღვევას (Martin 2005). მიუხედავად იმისა, რომ წარსულთან შედარებით, დღეისათვის მამები უფრო მეტად არიან ჩართულნი ბავშვის მოვლაში, ისინი უფრო მეტ ინტერესს დისციპლინური აღზრდის მიმართ იჩენენ, ვიდრე ზრუნვის სხვა ასპექტებისადმი (LaFlamme et al. 2002).

გენდერის მიმართ არსებული მოლოდინები თანდათან იცვლება. მკვლევრების აზრით, გენდერთან დაკავშირებული კულტურული მოლოდინები უფრო მეტადაა შეცვლილი, ვიდრე თვით ადამიანთა ქცევა. დღევანდელ პერიოდში, დედები და მამები თვლიან, რომ ისინი თანაბრად უნდა იყვენენ ჩართულნი ბავშვის აღზრდაში, თუმცა რეალობა სხვაგვარია. დედები დღემდე უფრო მეტ დროს უთმობენ ბავშვთან დაკავშირებულ საქმიანობებს და მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული ბავშვების მიმართ. უფრო მეტიც, ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ბავშვის მოვლის პროცესში მამების ჩართულობასთან დაკავშირებულ იდეალურ წარმოდგენებსა და არსებულ რეალობას შორის, დედებში სტრესის გამომწვევ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს (Milkie et al. 2002).

გენდერული სოციალიზაციის მოდელი ასევე განსხვავებულია სხვადასხვა რასობრივ-ეთნიკულ ოჯახებში. მაგალითად, ლათინოამერიკელი ქალები უფრო ტრადიციულებად მიიჩნევიან თავიანთ გენდერულ როლებთან მიმართებით, თუმცა ეს მაჩვენებლი განსხვავდება თაობების და დასაქმებული ოჯახის წევრების გამოცდილების მიხედვით. ოჯახებში ახალგაზრდა ქალები და მამაკაცები სწავლობენ საკუთარ გენდერულ, რასობრივ და ეთნიკურ მოლოდინებთან დაკავშირებული იდენტობების ფორმულირებას.

თანატოლები ძლიერ გავლენას ახდენენ გენდერულ სოციალიზაციაზე – ზოგჯერ უფრო მეტად, ვიდრე ოჯახის წევრები. თანატოლთა უერთოერთობები ბავშვებში სოციალური ურთერთქმედების მოდელს აყალიბებს. თამაშები, რომლებშიც ისინი ებმებიან (თანატო-

ლებთან და სხვებთან), ასევე აყალიბებს ანალიტიკურ უნარებს და მათ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს. კვლევები გვიჩვენებს, რომ გოგონები და ბიჭები ხშირად ისეთი ფორმით ახდენენ თამაშების ორგანიზებას, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ გენდერული, არამედ რასობრივი და ასაკობრივი ნორმების განმტკიცებას (Moore 2001). თანატოლთა ურთიერთობები, ბევრჯერ, კულტურაში მიღებულ გენდერულ ნორმებს ამყარებს – იმ ნორმებს, რომლებიც, როგორც წესი, უმეტესწილად ბიჭებს ეხება, ვიდრე გოგონებს. ამგვარად, ბიჭები, რომლებიც გოგონებთან ასოცირებულ ქცევებს ამჟღავნებენ, ხშირად მეგობრების მხრიდან დაცინვის ობიექტები ხდებიან, რაც ნაკლებად ვლინდება იმ გოგონებთან მიმართებით, რომლებიც ბიჭებისათვის დამახასიათებელი მანერით მოქმედებენ ან თამაშობენ (Sandnabba & Ahlberg 1999). მაშასადამე, ჰომოფობიური დამოკიდებულება, რომელსაც თანატოლები რეგულარულად გამოხატავენ, ამყარებს ფართოდ გავრცელებულ განწყობას იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს „მამაკაცობა“ (Pascoe 2007). გოგონებს შეიძლება „ქალაბიჭა“ უწოდონ, ხოლო ბიჭებს, რომლებსაც „ქალაჩუნას“ შეარქმევენ, უფრო უხეშად და დაუნდობლად ეპყრობიან. აქვე აღსანიშნავია, რომ „ქალაბიჭური“ ქცევის გამო, გარკვეული ასაკის შემდეგ, გოგოს შესაძოლოა „ლესბოსელის“ სახელი შეერქვას.

საბავშვო თამაშები გენდერული სოციალიზაციის კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს. შეგიძლიათ გაიხსენოთ, რა სახის თამაშებს თამაშობდით ბავშვობაში და როგორი გავლენა იქონია ამან თქვენ გენდერულ როლებზე. როგორც წესი, მაგრამ არა ყოველთვის, ბიჭები გარეთ თამაშობენ, ხოლო გოგონები – შინ. ბიჭების სათამაშოები უმეტესწილად მექანიკურია და ხშრად ხელს უწყობს მილიტარისტული ღირებულებების ფორმირებას; ისინი უფრო მეტად აგრესიისაკენ, ძალადობისა და მტრის სტერეოტიპის ჩამოყალიბებისაკენაა მიმართული. ეს ის ღირებულებები გახლავთ, რაც იშვიათადაა ასოცირებული გოგონების სათამაშოებთან. მიუხედავად გამომცემელთა დირექტივებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება სტერეოტიპების შექმნას, სახელმძღვანელოები მამაკაცებს დღემდე აგრესიულ, კონფლიქტურ და მეტოქეობრივი გრძნობით აღსავსე პიროვნებებად წარმოაჩენენ. მამაკაცები და ბიჭები ასევე შედარებით მეტად არიან წარმოდგენილნი საბავშვო წიგნებში. თუმცა საბავშვო წიგნების სისტემატური ანალიზის შედეგად ერთი საინტერესო ფაქტი ირკვევა: მამები ძალზე იშვიათად ფიგურირებენ წიგნებში და თუკი ფიგურირებენ, უმეტესწილად მათ სუსტ და წარუმატებელ არსებებად ხატავენ (Anderson & Hamilton 2005).

თავად განსაჯეთ

ეწვიეთ სათამაშოების მაღაზიას და სცადეთ მცირეწლოვანი ბავშვისთვის ისეთი სათამაშოს ყიდვა, რომელიც არ იქნება ასოცირებული რომელიმე გენდერულ ტიპთან. რას შეიძენთ? რას ვერ შეიძენთ? რას გასწავლით აღნიშნული ექსპერიმენტი გენდერული როლის სოციალიზაციის შესახებ? თუკი მაღაზიაში ბავშვს თან წაიყვანთ, მიაქციეთ ყურადღება, რომელი სათამაშო მოუნდება მას? რას გეუბნებათ თქვენ ეს ფაქტი გენდერული სოციალიზაციის ეფექტიანობის შესახებ? •

სკოლა განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს გენდერულ სოციალიზაციაზე, რადგანაც იქ ბავშვები საკმაოდ დიდ დროს ატარებენ. მასწავლებლებს ხშირად განსხვავებული მოლოდინები აქვთ ბიჭებისა და გოგონების მიმართ. სკოლაში ბიჭებს მეტ ყურადღებას უთმობენ, მაშინაც კი, როდესაც ეს ყურადღება შეიძლება ნეგატიური იყოს. როდესაც ნებისმიერი სქესის მასწავლებელი უფრო მეტად ბიჭებზე რეაგირებს (პოზიტიურად თუ ნეგატიურად), ამით ის ბიჭების უპირატესობის გრძნობას ამაღლებს (American Association of University Women 1992, 1998; Sadker & Sadker 1994). მას შემდეგ, რაც 1972 წელს განათლების შესახებ კანონში შეტანილ იქნა შესწორება (Title IX), სკოლებს კანონით ეკრძალება მოსწავლეთა გენდერული დისკრიმინაცია. თუმცა უთანასწორობა კვლავ ფართოდაა გავრცელებული სკოლებში, რაც ისეთ ასპექტებში აისახება, როგორიცაა სასწავლო გეგმაში არსებული ცოდნის ათვისების მეთოდები, მასწავლებელთა ურთერთქმედება მოსწავლეებთან და მოსწავლეებს შორის ურთიერთობები.

რელიგიის ფაქტორს ხშირად არასაკმარის ყურადღებას უთმობენ, თუმცა ის გენდერული სოციალიზაციის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს. აშშ-ში ფართოდ გავრცელებულ იუდაურ-ქრისტიანულ რელიგიებში მკვეთრად არის ხაზგასმული გენდერული სხვაობები, სადაც გამოკვეთილია მამაკაცის ავტორიტეტი და გავლენა ქალებთან მიმართებაში. ორთოდოქსულ იუდაიზმში, მამაკაცები აღავლენენ ლოცვას, რომელშიც ისინი ღმერთს მადლობას სწირავენ იმის გამო, რომ ღმერთმა ისინი ქალად, ანუ მონად არ გააჩინა. დასავლური რელიგიების პატრიარქალური ენა და ზოგიერთი სარწმუნოების მიერ რელიგიური წინამძღვრების რიგებში ქალთა არდაშვება რელიგიურ ინსტიტუტებში ქალების დაბალ სტატუსზე მიუთითებს. ნებისმიერი რელიგიის ფუნდამენტალისტური მიმართულება შეიძლება ქალების მიმართ სასტიკი და დამთრგუნველი გახდეს. ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელი ყველაზე თავგამოდებით მორწმუნეები ქალებისა და მამაკაცების როლების შესახებ უკიდურესად ტრადიციულ შეხედულებებს იზიარებენ. თუმცა გენდერთან დაკავშირებულ განწყობებზე რელიგიის გავლენა არ შეიძლება იქნეს სხვა ფაქტორებისგან გამიჯნულად განხილული. რელიგიური მრწამსი ბევრ ადამიანში ქალისა და მამაკაცის როლთა თანასწორობის რწმენას აღძრავს. ქრისტიანი და მუსლიმი ქალები უკვე დაირაზმნენ ფუნდამენტალიზმისა და სექსისტური გამოვლინებების წინააღმდეგ საბრძოლველად (Gerami & Lehnerer 2001).

მედია, თავისი სხვადასხვა ფორმით (ტელევიზია, ფილმები, ჟურნალები, მუსიკა და ა.შ.) ძლიერ, შეიძლება ითქვას – კარიკატურულ გენდერულ სტერეოტიპებს ქმნის. ბოლო წლებში გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, ტელევიზია და კინო განაგრძობს ქალებისა და მამაკაცების საკმაოდ სტერეოტიპული როლების წარმოჩენას. ტელეეკრანზე კაცები საგრძნობლად ჭარბობენ ქალებს, ხოლო ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი კინოფილმების მთავარ როლებში (Eschholz et al. 2002). მამაკაცები არა მხოლოდ ხშირად ჩანან ეკრანებზე, არამედ ისინი აგრეთვე უფრო მნიშვნელოვან, სტერეოტიპულად ძლიერ და დამოუკიდებელ პერსონაჟებს განასახიერებენ. დღეისათვის, ქალები უმეტესწილად უკვე ოჯახის გარეთ დასაქმებულ, პროფესიონალ პიროვნებებად არიან წარმოჩენილნი, მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია მათი სექსუალური ობიექტის რანგში წარმოდგენა. ფაქტობრივად, ქალების სექსუალიზაცია იმდენად გავრცელებულია მედიაში, რომ ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაციის დასკვნის თანახმად, „მასობრივად ხდება ქალებისა და გოგონების ისეთ კონტექსტში წარმოჩენა, რაც ხაზს უსვამს მათ სექსუალურობას. ყოველივე ეს კი გოგონებს ასწავლის, რომ ქალი სექსუალურ ობიექტს წარმოადგენს“ (American Psychological Association 2007:5).

თავად განსაჯეთ

გენდერი და საყოველთაოდ გავრცელებული დღესასწაულები

> სცადეთ მეგობრის დაბადების დღისთვის მისალოცი ბარათის შეძენა, რომელიც არ იქნება ქალთან ან მამაკაცთან სტერეოტიპულად ასოცირებული. გარდა ამისა, სცადეთ მამის ან დედის დღისთვის ბარათის ყიდვა. იშოვით თუ არა ისეთ მისალოცს, რომელიც გენდერულ სტერეოტიპს არ შეესაბამება? რა პარალელებს ხედავთ ბარათებზე გამოსახულ გენდერულ იერსახეებსა და ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა ასაკი, ოჯახი და სილამაზე? აღნიშნული ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ, ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა გავლენას ახდენს მედიის მიერ წარმოდგენილი პროდუქტები გენდერთან დაკავშირებულ იდეებზე? ●

სოციოლოგები დაობენ იმის თაობაზე, თუ რეალურად რამდენად სჯერათ ადამიანებს იმის, რასაც მათ ტელევიზიით უჩვენებენ. თუმცა ბავშვებში ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ისინი ცხოვრებაში ნანახ პერსონაჟებს ტელევიზიასთან აიგივებენ. ბიჭებიც და გოგონებიც სატელევიზიო რეკლამებში ნანახ აგრესიული ტიპის სათამაშოებს ყველაზე სასურველად მიიჩნევენ. აგრეთვე, ბავშვები ამგვარ სათამაშოებს უფრო მეტად ბიჭებისთვის შესაფერისად თვლიან. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ერთი შეხედვით უწყინარი რეკლამა ამყარებს

დამოკიდებულებას გენდერისა და ძალადობის მიმართ (Klinger et al. 2001). ზრდასრულებში ჩატარებული კვლევა მოწმობს, რომ არსებობს კავშირი სექსისტური სიუჟეტების ნახვასა და იმგვარ განწყობებს შორის, რომელიც ხელს უწყობს სქესობრივ აგრესიას, ანტიფემინიზმსა და ქალების მიმართ არსებულ შედარებით ტრადიციულ შეხედულებებს (ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაცია, 2007). თუკი მედიას კრიტიკული თვალით შევხედავთ, იოლად დავინახავთ ამგვარი იერსახეების მასშტაბურობას. რეკლამებში ქალები ძალზე ხშირად ისეთ პოზებში არიან ნაჩვენები, რომ მამაკაცის ამგვარად წარმოჩენა შოკს მოგვრიდა აუდიტორიას. დაფიქრდით, რამდენად ხშირად გინახავთ რეკლამებში ქალები, რომლებიც ტანისამოსს იხდიან ანდა საწოლზე პოზირებენ? რამდენ რეკლამაში გინახავთ მამაკაცი ამგვარ მდგომარეობაში? მამაკაცებსაც უჩვენებენ სექსუალური ობიექტის რანგში, მაგრამ ეს ისე ხშირად არ ხდება, როგორც ქალების შემთხვევაში. რეკლამებში გამოსახული ქალების ქცევის მანერა – იქნება ეს წინა თუ უკანა ფონზე – მათ კაცებისადმი დამორჩილებულ და ხელმისაწვდომ არსებებად წარმოაჩენს.

კონფორმიზმის საფასური

სტერეოტიპული გენდერული მოლოდინების მიმართ შესატყვისობის მაღალი ხარისხი უარყოფითად აისახება ორივე სქესის წარმომადგენლებზე. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ქალების მიმართ ძალადობის ძალზე მაღალი მაჩვენებელი – როგორც აშშ-ში, ასევე მთელ მსოფლიოში. ძალიან ხშირად, საზოგადოებაში მამაკაცის ძალაუფლება ფიზიკური და ემოციური ძალადობის სახით ვლინდება. ძალადობა მრავალგვარ ფორმას იძენს, მათ შორისაა გაუპატიურება, სქესობრივი ექსპლუატაცია, სქესობრივ პარტნიორზე განხორციელებული ძალადობა, შემაწუხებელი დევნა, სასქესო ორგანოების დასახიჩრება და „ოჯახის ღირსების დაცვის“ მიზნით განხორციელებული მკვლელობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთელ მსოფლიოში მუშაობს ქალების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად. ორგანიზაციის ინიციატივით, მისი წარმომადგენლები ეხმარებიან მამაკაცებს იმ კულტურული თავისებურებების შესწავლასა და უკეთ გააზრებაში, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობრივ ქმედებებს. დღეისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის შემეცნება, რომ ქალების მიმართ ძალადობა ძალაუფლებისა და კონტროლის იმგვარი განწყობებიდან წარმოიქმნება, რომელთაც გენდერული მოლოდინები წარმოშობს, ხოლო მათი მიზეზით *ზოგიერთი* მამაკაცი ქალების მიმართ (ისევე როგორც სხვა მამაკაცებისადმი) ძალადობრივ ქცევას მიმართავს.

მამაკაცების მხრიდან ძალადობა ქალებისათვის მიყენებული ზიანის მხოლოდ ერთი ნაწილია, რაც გაბატონებული გენდერული ნორმებიდან მომდინარეობს. გენდერული მოლოდინებისადმი ერთგულება, რომელიც ქალის სიგამხდრესა და მამაკაცის სიძლიერეს ითვალისწინებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უამრავ ნეგატიურ მოვლენას იწვევს, რომელთა შორისაა კვებითი ქცევის მოშლა, მოწევა, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში – სტეროდიების ჭარბი რაოდენობით მოხმარება. ფართოდ გავრცელებული კულტურა ხელს უწყობს ქალების სილამაზის ძალზე ვიწრო და ჩარჩოებში მოქცეული იერსახის წარმოქმნას, რასაც მრავალი (განსაკუთრებით ახალგაზრდა) ქალის საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილებისაკენ მივყავართ. სიგამხდრის მსურველი მილიონობით ქალი ხშირად საკუთარ თავს მსუქნად მიიჩნევს და გამუდმებით მიმართავს დიეტას – მაშინაც კი, როდესაც მათი წონა ჯანსაღი ნორმის ფარგლებში ან მის ქვემოთაა. ბევრ მათგანს კვებითი ქცევის მოშლა უვითარდება, რაც კუჭ-ნაწლავის ხელოვნურად დაცლით ან წონაში სწრაფად დამკლები დიეტებით არის გამოწვეული. ამგვარმა ქცევებმა შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს. მრავალ ახალგაზრდა ქალს არასწორი წარმოდგენა უყალიბდება საკუთარი გარეგნობის შესახებ. ისინი თავს ჭარბწონიანად მიიჩნევენ, მაშინ როდესაც ისინი სინამდვილეში ზედმეტად (საშიშად) გამხდრები არიან. მიუხედავად მოწევასთან დაკავშირებული კარგად ნაცნობი რისკებისა, სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი იწყებს თამბაქოს მოხმარებას და ამას ისინი არა მხოლოდ „მოდური იმიჯის“ გამო, არამედ სიგამხდრის შესანარჩუნებლად აკეთებენ. კვებითი ქცევის მოშლა შესაძლოა ქალზე სქესობრივი ძალადობის ისტორიას უკავშირდებოდეს, თუმცა ეს ხშირად გამოწვეულია

სიგამხდრის, როგორც ქალის იდეალური სილამაზის ნორმად აღიარებით. ამგვარი სტანდარტი გოგონებისა და ქალების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის (Hesse-Biber 2007).

გაბატონებული შეხედულებებისადმი შესატყვისობის საფასურის გადახდა კაცებსაც უწევთ, რომლებიც იზიარებენ გენდერულ მოლოდინებს, რომელთა თანახმადაც ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი, თვითდაჯარებულები და უემოციოები. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის კაცები, ადრინდელთან შედარებით, უფრო ღიად გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს, გენდერული სოციალიზაციის მიერ არ არის წახალისებული მამაკაცებს შორის ახლო მეგობრული ურთერთობები, რაც მათ მეგობრობის ხარისხზე აისახება. ტრადიციული გენდერული როლებისადმი ერთგულება უარყოფს ქალებისათვის ძალაუფლების, გავლენის, მიღწევებისა და დამოუკიდებლობის საჯაროდ ხელმისაწვდომობას; ამავდროულად, ის არ მიესალმება მამაკაცების მიერ განსხვავებულად ორიენტირებული სამყაროს გაზიარებას, რომელიც ჩვეულებისამებრ ქალებს ერგოთ წილად. ტრადიციული გენდერული როლების ათვისებამ ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს უსაფრთხოების უგულებელყოფას და სარისკო ქმედებების განხორციელებას, რაც ხშირად ნაადრევ სიკვდილს ან უბედური შემთხვევების შედეგად მიღებულ ტრავმებს იწვევს.

დღევანდელი ეპოქის მასკულანურ კულტურაში არსებული ძალადობის ფარული ტენდენცია უმეტესწილად იმ ათვისებულ გენდერულ როლებს უკავშირდება, რომლებიც ქალებსა და მამაკაცებს რისკის ქვეშ აყენებს.

რასა, გენდერი და იდენტობა

გენდერული იდენტობა არ წარმოიქმნება სხვა სოციალური ფაქტორების გარეშე. ამრიგად, რასა – გენდერთან (ისევე როგორც სოციალურ კლასთან) კომბინაციაში – გულისხმობს, რომ სხვადასხვა რასობრივი ჯგუფის წარმომადგენელ ქალებსა და მამაკაცებს შესაძლოა განსხვავებული მოლოდინები ჰქონდეთ გენდერულ როლებთან მიმართებით. მაგალითად, აფრო-ემერიკელები უფრო მეტად აღიარებენ გენდერული როლების თანასწორობას, ვიდრე თეთრკანიანები. თუმცა ორივე ჯგუფში ქალები უფრო მეტად ემხრობიან ეგალიტარიზმს, ვიდრე კაცები (Vespa 2009). ბევრი ამას იმით ხსნის, რომ შავკანიანი ქალები უფრო მეტად იყვნენ დასაქმებულნი, ვიდრე თეთრკანიანები. ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ბოლო დროს მცირდება გენდერულ როლებთან დაკავშირებით თეთრკანიანთა და შავკანიანთა მოსაზრებების განსხვავებულობა, რადგანაც თანდათან იზრდება დასაქმებული თეთკანიანი ქალების რიცხვი (Carter et al. 2009). როგორც წესი, ლათინოამერიკელი ქალები და მამაკაცები მეტად კონსერვატიულები არიან გენდერული როლების აღქმასთან მიმართებით, მაგრამ, აფროამერიკელების მსგავსად, აზრთა სხვადასხვაობა მათ შორისაც მცირდება დროთა განმავლობაში (Kane 2000; Harris & Firestone 1998). მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ამერიკელები სხვებთან შედარებით ეგალიტარული მსოფლმხედველობით გამოირჩევიან, მათი გენდერული იდეოლოგია დიდად არ განსხვავდება სხვა ჯგუფების შეხედულებებისგან (Harris et al. 2000).

განწყობების გარდა, რასა ადამიანის იდენტობასაც აყალიბებს. მაგალითისათვის, აფრო-ამერიკელი ქალებისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, განათლების მიღებისა და დასაქმების სურვილი; მათთვის სამსახური ქალის როლის ბუნებრივ შემადგენელს წარმოანგენს (Collins 1990). მამაკაცის გენდერულ იდენტობაზეც რასა ახდენს გავლენას. ლათინოამერიკელი მამაკაცები, მაგალითად, ხაზგასმული, აგრესიული მამაკაცურობის (machismo) სტერეოტიპის მატარებლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ „მაჩიზმი“ მამაკაცებში სექსისტურ ქცევასთან ასოცირდება, ის ასევე გაიგივებულია სახელთან, ღირსებასთან და პატივთან (Baca Zinn 1995; Mirande 1979). აღნიშნული სტერეოტიპის არსებობის მიზეზი არ გახლავთ მხოლოდ ლათინოამიერკული კულტურის გადმონაშთი. იგი შეიძლება ასევე მამაკაცების მხრიდან რასობრივი შევიწროებისადმი დაპირისპირებით აიხსნას.

გენდერული სოციალიზაცია და ჰომოფობია

ჰომოფობია გახლავთ ჰომოსექსუალთა მიმართ შიში და სიძულვილი. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენდერული სოციალიზაციის პროცესში, რადგანაც ჰომოფობია ხელს უწყობს ტრადიციული მოლოდინებისადმი მკაცრ ერთგულებას, განსაკუთრებით ბიჭებში და მამაკაცებში. გეებისადმი მიმართული შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება აქეზებს ბიჭებს უფრო მამაკაცური ქმედებისაკენ, რისი მეშვეობითაც ისინი თავიანთ თანატოლებს საკუთარ არაჰომოსექსუალობას უმტკიცებენ (Pascoe 2007). შესაბამისად, ჰომოფობია ხელს უშლის მამაკაცში ეგრეთ წოდებული ქალური თვისებების გამოვლინებას, როგორიცაა მზრუნველობა, ბავშვის მოვლა, თანაგრძნობა, ემოციურობა და სინაზე. მამაკაცები, რომლებიც უკიდურესად ტრადიციულ მამაკაცურ როლებს იზიარებენ, როგორც წესი, მეტად ჰომოფობიურები არიან (Burgess 2001; Alden 2001; Basow & Johnson 2000). ამგვარად, ჰომოფომია გახლავთ ერთ-ერთი ფაქტორი, რომლიც სოციალიზაციის მეშვეობით მოსალოდნერლი გენდერული როლების ფორმირებას ახდენს. ამის შედეგად ვღებულობთ არა მხოლოდ გენდერული როლებისადმი შესატყვისობას, არამედ შეძენილ მტრულ დამოკიდებულებას გეებისა და ლესბოსელების მიმართ.

ჰომოფობია ათვისებული, შეძენილი განწყობაა, ისევე როგორც კონკრეტული ჯგუფების მიმართ ნეგატიური სოციალური დამოკიდებულებების სხვა ფორმები. ჰომოფობია ასევე ღრმადაა გამჯდარი ადამიანების მიერ ქალისა და მამაკაცის განსაზღვრებებში. ბიჭებს ხშირად იმგვარად ზრდიან, რომ მამაკაცად ჩამოყალიბებისას მათში დაითრგუნოს ეგრეთ წოდებული ქალური თვისებები. თანატოლთა მხრიდან „ცისფერის“ ან „ქალაჩუნას“ დაძახება ერთ-ერთი ფაქტორია იმისა, რომ ბავშვის სოციალიზაცია კონკრეტული გენდერული როლისადმი შესატყვისობით წარიმართოს. ანალოგიურად, მოზარდ გოგონებზე განხორციელებული წნეხი, რომელიც მათ ქალაბიჭურ ქცევაზე უარს ათქმევინებს, სწორედ იმ მექანიზმს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც გოგონები ითვისებენ ქალურობასთან ასოცირებული ქცევებსა და ნიშან-თვისებებს. ლესბოსელის სახელის შერქმევამ შესაძლოა ქალებისადმი ძლიერი მიდრეკილების მქონე ქალს აიძულოს საკუთარი ემოციების დათრგუნვა და მისი სიყვარულის მხოლოდ მამაკაცებისაკენ წარმართვა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, თუ რა შედეგებამდე მივყავართ ჰომოფობიურ დაცინვას (თუნდაც ეს თამაშის ან ხუმრობის კონტექსტში იქნეს გამოყენებული), რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს როგორც ჰეტეროსექსუალ, ასევე ჰომოსექსუალ ქალებსა და მამაკაცებზე. სოციალიზაციისას, ადამიანების უმეტესი ნაწილი ჰომოფობიას მოსალოდნელი გენდერული როლების მიმართ ერთგულებამდე მიჰყავს, რაც გეებისა და ლესბოსელების შესახებ უამრავ მითს წარმოშობს. ამ თემაზე უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

გენდერის ინსტიტუციური საფუძველი

გენდერული სოციალიზაციის პროცესი საკმაოდ დიდ ინფორმაციას გვაწვდის გენდერული იდენტობების ჩამოყალიბების შესახებ, თუმცა გენდერი მხოლოდ იდენტობის საკითხი როდია: *გენდერი ღრმად არის დაკავშირებული სოციალურ ინსტიტუტებთან*, რაც იმას ნიშნავს, რომ ინსტიტუტები გენდერის მიხედვით არის დახარისხებული. შესაბამისად, ქალებისა და მამაკაცებისათვის განსხვავებული პირობები და შესაძლებლობები არსებობს. სოციოლოგები გენდერს არა მხოლოდ პიროვნებათაშორის მოლოდინებად მიიჩნევენ, არამედ მას ინსტიტუტების პარამეტრად განიხილავენ. ზუსტად ამას გულისხმობს ტერმინი *გენდერულად დიფერენცირებული ინსტიტუტი*. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ინსტიტუტები მთლიანად გენდერის მიხედვით არის სტრუქტურირებული.

გენდერულად დიფერენცირებული ინსტიტუტები გახლავთ გენდერული ურთიერთობების საერთო მოდელი, რომელიც ახდენს სოციალური ინსტიტუტების სტრუქტურირებას. მოდელი მოიცავს სტერეოტიპულ მოლოდინებს, პიროვნებათაშორის ურთიერთობებს და თანამდებობებზე ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულად გადანაწილებას, რაც ინსტიტუტებისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, სკოლა არ წარმოადგენს მხოლოდ იმ ადგილს, სადაც ბავშვები გენდერულ როლებს ითვისებენ, არამედ ის კონკრეტულ

გენდერულ მოდელებზეა დაფუძნებული. ინსტიტუტების გენდერულად დიფერენცირებულ ჭრილში აღქმა გვიჩვენებს, რომ გენდერი არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდის დამახასიათებელ თვისებას, არამად ის „არის პროცესების, პრაქტიკის, იერსახეების, იდეოლოგიებისა და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სექტორში ძალაუფლების გადანაწილების შემადგენელი ნაწილი“ (Acker 1992:567).

გენდერულად დიფერენცირებული ინსტიტუტის კონცეფციის მაგალითისათვის, წარმოიდგინეთ, რას განიცდის ქალი ისეთ ორგანიზაციაში მუშაობისას, სადაც მამაკაცების რაოდენობა ჭარბობს. ამგვარ ვითარებაში მყოფი ქალები აცხადებენ, რომ ორგანიზაციაში მომუშავე მამაკაცების მნიშვნელობა შეუმჩნევლად ვლინდება, ხოლო ამის გამო ქალები თავს უცხო პირებად (აუტსაიდერებად) გრძნობენ. მამაკაცებს შორის არაფორმალური ურთიერთობები (სამახურში და მის გარეთ) ხელს უწყობს მნიშვნელოვან კარიერულ კავშირებს. ქალებისადმი დამოკიდებულება აფიქრებინებს მათ, რომ კომპანიის სამოქმედო პრინციპები არაეფექტურია და ვერ გაუწევს დახმარებას ცხოვრებაში არსებულ კონკრეტულ მოთხოვნებთან გამკლავებაში.

ინსტიტუტების გენდერულად დიფერენცირებულ ჭრილში წარმოდგენის მიზანი გახლავთ თავად ინსტიტუტების გენდერულად დიფერენცირებული მახასიათებლების განხილვა.

სამსახურების სტრუქტურა ეფუძნება ძველ წარმოდგენს, რომლის მიხედვითაც მამაკაცები მუშაობენ, ხოლო ქალები – არა. ამრიგად, ინსტიტუტები, როგორც წესი, სამსახურისადმი ერთგულებას მოითხოვენ, ნაცვლად ოჯახისა. მაშინაც კი, როდესაც მამაკაცები და ქალები თავიანთი სამსახურისა და ოჯახის ინტეგრირებას ცდილობენ, გენდერულად დიფერენცირებული ინსტიტუტები ამის საშუალებას რთულად იძლევა. ამგვარად, გენდერულად დიფერენცირებული ინსტიტუტები გავლენას ახდენენ როგორც მამაკაცების, ასევე ქალების ცხოვრებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის მეტი წონასწორობის დამკვიდრებას შეეცდებიან. იმის თქმა, რომ სამსახური გენდერულად დიფერენცირებულ ინსტიტუტს წარმოადგენს, ნიშნავს იმას, რომ, საერთო ჯამში, ინსტიტუტში ჯამური და სისტემატური ეფექტი არსებობს გენდერთან მიმართებით.

გენდერი არ გახლავთ მხოლოდ ათვისებული როლი. ის აგრეთვე სოციალური სტრუქტურის ნაწილია, ისევე როგორც კლასი და რასა წარმოადგენს საზოგადოების სტრუქტურულ ფაქტორებს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ადამიანები არ განიხილავენ კლასობრივ სისტემას ან რასობრივ უთანასწორობას, როგორც კლასთან ან რასასთან ასოცირებულ როლებს. ცხადია, რომ რასობრივი და კლასობრივი ურთიერთობები სცდება პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ფარგლებს. რასობრივი, კლასობრივი და გენდერული უთანასწორობის განცდა პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ფარგლებში ხდება, მაგრამ ამ ტიპის უთანასწორობები ურთიერთობებს შორდება. იმის ფიქრი, რომ აშშ-ში რასობრივი ურთიერთობები რასობრივ-როლური სოციალიზაციის მიერ კონტროლირდება, ისეთივე უცნაური და არასწორი იქნება, როგორც იმის ვარაუდი, რომ გენდერული ურთიერთობები მხოლოდ გენდერული სოციალიზაციის შედეგია. რასისა და კლასის მსგავსად, გენდერიც პრივილეგირებულობისა და უთანასწორობის სისტემას წარმოადგენს, რომელშიც ქალები, კაცებთან შედარებით, სისტემატურად უფრო წამგებიან მდგომარეობაში იმყოფებიან. ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალაუფლებრივი დამოკიდებულება ოფიციალურ ხასიათს ატარებს; მათთვის არათანაბრად არის ხელმისაწვდომი სოციალური და ეკონომიკური რესურსები.

სოციოლოგიური კვლევა

კვებითი ქცევის მოშლა: გენდერი, რასა და სხეული

კვლევის საკითხი: „სიგამხდრის კულტურა“, „ტანადობის ტირანია“, „მითი სილამაზის შესახებ“: ამ ტერმინების გამოყენებით შეგვიძლია აღვწეროთ ის აკვიატებული აზრი, რაც ფართოდ გავრცელებული კულტურის მიერ წარმოჩენილ იდეალურ წონას და

სხეულის იერსახეს უკავშირდება. ეს საკითხი განსაკუთრებით გოგონებსა და ქალებს ეხება. დააკვირდით გოგონებისათვის განკუთვნილ პოპულარული ჟურნალების გარეკანს. დიდი ალბათობით, თვალში მოგხვდებათ რომელიმე სტატია, სადაც ახალი დიეტა იქნება წარმოდგენილი. ფართოდ რეკლამირებული დიეტები გვარწმუნებს, რომ სულ რამდენიმე დღეშია შესაძლებელი ზედმეტი კილოგრამების დაკლება, თუკი სათანადო რეჟიმს დაიცავთ და შესაფერის პროდუქტებს გამოიყენებთ. გარდა ამისა, ჟურნალებში გამოსახული მოდელები უმეტესწილად (ხშირ შემთხვევაში ზომაზე მეტად) გამხდრები არიან, რაც ძალზე საშიშია, რადგანაც ზედმეტი სიგამხდრე ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს იწვევს. ყველა ქალზე თანაბრად ახდენს გავლენას სხეულის ამგვარი იდეალი?

კვლევის მეთოდი: მეგ ლავჯოის სურდა გაეგო, სიგამხდრისაკენ სწრაფვა მხოლოდ თეთრკანიან ქალებს ეხება თუ არა და რამდენად განსხვავებულად აღიქვამენ აშშ-ში მცხოვრები აფრო-ამერიკელი და თეთრკანიანი ქალები სხეულის რეკლამირებულ იერსახეს. მისი კვლევა ეფუძნება კვებითი ქცევის მოშლის თემაზე არსებული ლიტერატურის განხილვას, რომელშიც ძირითადად აღნიშნულია, რომ თეთკანიან ქალებთან შედარებით, აფრო-ამერიკელ ქალებში ნაკლებია კვებითი ქცევის მოშლის შემთხვევები.

კვლევის შედეგები: თეთრკანიანებთან შედარებით, აფროამერიკელი ქალები ნაკლებად მისდევენ გადაჭარბებულ დიეტას და მათ ნაკლებად აფრთხობთ სიმსუქნე. თუმცა მათში უფრო ხშირია სიმსუქნით დაავადების შემთხვევები, რაც საკვების ჭარბი რაოდენობით მიღების პათოლოგიური მიდრეკილებით არის გამოწვეული. თეთრკანიანი ქალები, მეორე მხრივ, უმეტესწილად უკმაყოფილონი არიან საკუთარი სხეულის ფორმებით და გარეგნობით, რის გამოც ისინი სულ უფრო ხშირად მიმართავენ აკვიატებულ დიეტებს. ორივე რასის ქალებში ასევე შეიმჩნევა საკუთარი წონის საპირისპირო მიმართულებით შეცვლის ტენდენცია: თეთკანიანი ქალები გადაჭარბებით აფასებენ თავიანთ წონას (ანუ თავი მსუქნად მიაჩნიათ, როდესაც ეს სინამდვილეს არ შეეფერება); შავკანიანი ქალები კი უმეტესწილად სათანადოდ ვერ აფასებენ თავიანთ თავს და აცხადებენ, რომ საშუალო წონისანი არიან, როდესაც სინამდვილეში სამედიცინო სტანდარტზე მეტს იწონიან. რატომ ხდება ასე?

დასკვნები და მოსაზრებები: ლავჯოი ასკვნის, რომ შეუძლებელია კვებითი ქცევის მოშლის მიზეზების გაგება, თუკი არ შევისწავლით თეთრკანიანი და შავკანიანი ქალებისადმი საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ სტიგმებს. ლავჯოი აცხადებს, რომ შავკანიან ქალებს განსხვავებული სტანდარტები უვითარდებათ საკუთარი თავის შეფასებასთან მიმართებით, რაც ერთგვარად ეწინააღმდეგება ფართოდ გავრცელებულ, ევროპაზე ორიენტირებულ სტანდარტებს. ამ ტიპის შავკანიანი ქალები ნაკლებად ექვემდებარებიან იმ ინსტიტუტების კონტროლსა და მავნე ზეგავლენას, რომლებიც რეკლამირებას უწევენ სიგამხდრეს, როგორც ქალური სილამაზის იდეალს. მეორე მხრივ, საზოგადოებაში განცდილი დაუცველობის გრძნობა მათში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების წარმოქმნას უწყობს ხელს, რაც საკვების ჭარბი რაოდენობით მოხმარებაში გამოიხატება. შავკანიან ქალებში კვებითი ქცევის მოშლა ასევე მომდინარეობს იმ ტრავმებიდან, რომლებიც რასიზმიდან იღებს სათავეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ამას თან ერთვის სექსიზმი და შევიწროების სხვა გამოვლინებები.

ლავჯოი, ისევე როგორც აღნიშნული საკითხის სხვა მკვლევარები, ასკვნის, რომ კვებითი ქცევის მოშლა შესწავლილ უნდა იქნეს იმ სოციალური სტრუქტურების (გენდერი, რასა, კლასი და ეთნიკურობა) კოტექსტში, რომლებიც ყველა ქალზე ახდენს გავლენას (თუმცა განსხვავებული გზით). სხეულთან ასოცირებული კულტურული მნიშვნელობები განსხვავდება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით, თუმცა ღრმადაა დაკავშირებული საკუთარი თავის და ძირითადი ქცევების (მაგ.: ჭამა) შესახებ არსებულ ჩვენეულ კონცეფციებთან – ანუ იმასთან, რასაც ჩვენ „ბუნებრივად“ მივიჩნევთ.

გასააზრებელი საკითხები

დააკვირდით პოპულარულ კულტურაში წარმოდგენილ მუსიკასა და ვიზუალურ იერსახეებს და დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: რა სახის კულტურული გზავნილებია მათში გადმოცემული განსხვავებული რასებისა და გენდერული ჯგუფების მიმართ? რა სახის გზავნილებია მათში გადმოცემული შესაფერისი გარეგნობის შესახებ? რა გავლენას ახდენენ ისინი ადამიანების სხეულის იერსახეზე და მათ თვითშეფასებაზე?

ლავჯოი კვებითი ქცევის მოშლას გენდერის, რასის, კლასისა და ეთნიკურობის კოტექსტში განიხილავს. რა ტიპის კულტურული მნიშვნელობები შეესაბამება ასაკს?

არსებობს თუ არა „სიგამხდრის კულტურა“ თქვენ თანატოლებში? თუკი არსებობს, თქვენი აზრით, რა გავლენა აქვს მას ადამიანების თვითშეფასებაზე (საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენაზე)? თუკი არ არსებობს, არის თუ არა რაიმე სხვა კულტურული მნიშვნელობა თქვენ სოციალურ ჯგუფში, რომელიც ასოცირებულია ადამიანის წონასთან?

წყარო: მეგ ლავჯოი (Lovejoy, Meg. 2001). „სხეულის იერსახე და კვების პრობლემები. აფრო-ამერიკელ და თეთრკანიან ქალებს შორის არსებული განსხვავებები“ (Disturbances in the Social Body: Differences in Body Image & Eating Problems among African American & White Women). „გენდერი და საზოგადოება“ (Gender & Society 15 (April): 239-261) ●

გენდერული სტრატიფიკაცია

გენდერული სტრატიფიკაცია გულისხმობს გენდერის მიხედვით სოციალური და ეკონომიკური რესურსების იერარქიულ გადანაწილებას. საზოგადოებათა უმეტესობას ახასიათებს გენდერული სტრატიფიკაციის რომელიმე ფორმა, რაც ყველა ქვეყანაში განსხვავებულად ვლინდება. შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებები, სადაც ქალების თანასწორობის დონე სხვებთან შედარებით მაღალია, შემდეგი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა (Chafetz 1984):

- სამსახურები, სადაც ქალები არიან დასაქმებულნი, ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის
- ქალებისთვის განათლება ხელმისაწვდომია
- გენდერული უთანასწორობა ძლიერად არ არის გამყარებული რელიგიის ან იდეოლოგიის მიერ
- მამაკაცები უშუალოდ მონაწილეობენ საშინაო საქმეებში, როგორიცაა ოჯახის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაო და ბავშვის მოვლა
- სამსახურებში თანამდებობი მკვეთრად არ არის დაყოფილი სქესის მიხედვით
- ქალებისთვის ხელმისაწვდომია ოფიციალური და სახელისუფლებო თანამდებობები სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა მიმღებ რგოლებში

შვედეთში, სადაც გენდერული თანასწორების შედარებით მაღალი დონეა, ქალებისა და მამაკაცების სამუშაო ადგილზე დასაქმება და საშინაო საქმეებში (მათ შორის ბავშვის მოვლა და ოჯახის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაო) ჩართულობა სახელმწიფო პოლიტიკის მიერ არის ხელშეწყობილი. აგრეთვე, ქალები ძალზე გავლენიან როლს ასრულებენ პოლიტიკურ სისტემაში. თუმცა ქალები შვედეთში დღემდე ნაკლებ ჯამაგირს იღებენ, ვიდრე მამაკაცები. განათლება ქალებისა და გოგონებისათვის ბევრ ქვეყანაში უფრო ნაკლებადაა ხელმისაწვდომი, ვიდრე ბიჭებისთვის, მაგრამ ეს სხვაობა თანდათან მცირდება. და მაინც, ქვეყნების დიდ ნაწილში, წერა-კითხვის უცოდინარობის დონე ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში (United Nations 2010b).

როგორც ამას ზემოთმოყვანილი სია მოწმობს, გენდერული სტრატიფიკაცია მრავალგანზომილებიანი მოვლენა გახლავთ. ზოგიერთ საზოგადოებაში ქალები შესაძლოა თავისუფლები

იყვნენ ცხოვრების რომელიმე სფეროში, ხოლო დანარჩენში – არა. მაგალითად, იაპონიაში ქალები, როგორც წესი, კარგად არიან განათლებულები და მათი დასაქმებულობის დონე საკმაოდ მაღალია. მაგრამ, ოჯახში იაპონელ ქალებს საკმაოდ მკაცრი გენდერული როლი აკისრიათ. ამავე დროს, ქალებისადმი ძალადობის დონე (გაუპატიურება, პროსტიტუცია და პორნოგრაფია) საკმაოდ დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ იაპონელი ქალები ხშირად არიან დასაქმებულნი „სექს-მუშაკების“ რანგში კლუბებში, ბარებსა და სექს-დაწებულებებში (Allison 1994). გენდერული უთანასწორობის მოდელი ყველაზე მეტად ქალებისა და მამაკაცების ჯამაგირის სხვაობებში აისახება, რაზეც ქვემოთწარმოდგენილი დიაგრამა (3) მოწმობს.



დიაგრამა 3. სახელფასო სხვაობა: საერთაშორისო რაკურსი

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 2010c. გაეროს სტატისტიკური განყოფილება: „სტატისტიკა და ინდიკატორები ქალებისა და მამაკაცების შესახებ“. www.unstats.un.org/demographic/products/tab5.htm

გენდერულ სტრატიფიკაციას შესაძლოა უკიდურესი ფორმებიც ჰქონდეს, როგორც ეს ავღანეთში თალიბების მმართველობისას იყო. თალიბანმა – ექსტრემისტ მეომართა ჯგუფმა ავღანეთში ძალაუფლება 1996 წელს ჩაიგდო ხელში, რის შემდეგაც ქალებსა და გოგონებს ადამიანის ძირითადი უფლებები ჩამოართვეს. ქალებს ეკრძალებოდათ მუშაობა, გოგონებისთვის დაკეტილი იყო სკოლა, ხოლო სტუდენტი ქალები უნივერსიტეტებიდან იქნენ გამოძევებულნი. მთელ ავღანეთში ახლო ნათესავი მამაკაცის თანხლების გარეშე, ქალებს შინიდან გასვლის უფლება არ ჰქონდათ. სახლების ფანჯრები, სადაც ქალები ცხოვრობდნენ, შავად იყო შეღებილი, რის გამოც ქალები მოწყვეტილნი იყვნენ გარე სამყაროს. ქალების საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ჩამოშორებას და ამგვარ უკიდურეს იზოლაციას **გენდერული აპარტეიდი** ეწოდა. გენდერული აპარტეიდი სხვა ერებშიც გვხვდება, თუმცა არა ისე უკიდურესად, როგორც ეს თალიბების მმართველობის დროს იყო. საუდის არაბეთში ქალებს არ აქვთ მანქანის მართვის უფლება; 2006 წლამდე, ქუვეითში ქალებს ხმის მიცემა ეკრძალებოდათ.

სექსიზმი და პატრიარქატი

გენდერული სტრატიფიკაციის მხარდაჭერა ხდება იმგვარი მოძღვრებებით, რომელთა მიხედვიდაც გენდერული უთანასწორობა „ბუნებრივად“ ითვლება. სექსიზმი ქალს მამაკაცისაგან განსხვავებულად და მასზე დაბლა მდგომად განსაზღვრავს. რასიზმის მსგავსად, სექსიზმიც გენდერულ როლებს ბუნებრივად მიიჩნევს. თუმცა სინამდვილეში მათი ფესვები ძალაუფლებისა და პრივილეგიის სისტემებშია გამყარებული. ამ გაგებით სექსიზმი წარმოადგენს მრწამსს, რომელიც ამავდროულად სოციალურ ინსტიტუტებშია დამკვიდრებული. მაგალითად, აზრი იმის შესახებ, რომ მამაკაცს მეტი უნდა გადაუხადონ, ვიდრე ქალს, იმის გამო, რომ იგი ოჯახის უპირველესი მარჩენალია, სექსისტურ იდეას მიეკუთვნება. მაგრამ, ამგვარი იდეა ასევე სახელფასო სტრუქტურაშია ღრმად გამჯდარი. სექსიზმის აღნიშნული ინსტიტუციური განზომილება აღემატება ხალხის ინდივიდუალურ სექსიზმს, რის გამოც მას უამრავი უარყოფითი შედეგი მოაქვს.

სექსიზმი, რასიზმის მსგავსად, ფაქტობრივად უსაფუძვლო სოციალურ მითებს წარმოშობს, რაც ამავდროულად ხელს უწყობს დომინანტური ჯგუფების მიერ მათზე დაქვემდებარებულების მიმართ უპირატესობის წახალისებას. ამის ნათელი მაგალითია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ფერადკანიანი ქალები უფრო ხშირად საქმდებიან და სხვებთან შედარებით სწრაფად წინაურდებიან. ამგვარი წარმოდგენა არასწორად წარმოაჩენს ფაქტებს. ქალები ნაკლებად შოულობენ სამსახურს, კაცებისგან განსხვავებით, რადგანაც ფერადკანიან ქალთა უმეტესობა გენდერული და რასობრივი ნიშნით დაყოფილ სამსახურებშია დასაქმებული. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ქალები (განსაკუთრებით ფერადკანიანები) სირთულეებს აწყდებიან სამსახურეობრივ მობილობასთან მიმართებით, რაც მამაკაცებს (განსაკუთრებით თეთრკანიანებს) ნაკლებად ეხება (Padavic & Reskin 2002; Browne 1999). მითი იმის შესახებ, რომ ყველანაირ სამსახურს ფერადკანიანი ქალები შოულობენ, თეთრკანიან მამაკაცებს რასობრივი და გენდერული პრივილეგიის მსხვერპლად აქცევს. მიუხედავად იმ ერთეული შემთხვევებისა, როდესაც სამსახურს, რომელზეც თეთკანიან მამაკაცსაც ჰქონდა შეტანილი განაცხადი, ფერადკანიანი ქალი (ანდა მამაკაცი) შოულობს, გენდერული და რასობრივი პრივილეგიით, როგორც წესი, თეთკანიანი მამაკაცები სარგებლობენ.

სექსიზმი ასევე აუფასურებს იმ სამუშაოს, რომლითაც ქალები არიან დაკავებულნი – როგორც ფულადი, ასევე უფრო სუბიექტური თვალსაზრისითაც. გადავხედოთ ისტორიულ მაგალითს: ისეთ სამსახურებში, სადაც ერთ დროს მამაკაცები იყვნენ დასაქმებულნი, ხოლო შემდგომში თანდათანობით ქალების მიერ მოხდა მათი ჩანაცვლება, ჯამაგირის რაოდენობა შემცირდა. მომხდართან შესაბამისად აღნიშნული საქმიანობის პრესტიჟიც დაეცა (Andersen 2011). ასევე აღსანიშნავია ტენდენცია, რომელსაც „დედის გადასახადს“ უწოდებენ: მშობიარობისა და ბავშვის გაზრდის შემდეგ სამსახურში დაბრუნებულ ქალებს შემოსავალი უმცირდებათ. აღნიშნული ტერმინის ავტორის თანახმად, საკოლეჯო განათლების მქონე ქალი, რომელიც ერთ ბავშვს გააჩენს, „დედის გადასახადის“ შედეგად მთელი ცხოვრების განმავლობაში გამომუშავებული ჯამაგირიდან დაახლოებით ერთ მილიონ

დოლარს დაკარგავს (Crittenden 2002). „დედის გადასახადი“ ყველა დასაქმებულ დედას ეხება, თუმცა ის განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევს დაბალი ანაზღაურების მქონე ქალებს (Budig & Hodges 2010).

სექსიზმი **პატრიარქალურ** საზოგადოებებში იჩენს თავს, ანუ ისეთ საზოგადოებებში და ჯგუფებში, სადაც მამაკაცები ქალებზე მეტი ძალაუფლებით სარგებლობენ. ხსენებულმა მოდელმა შეიძლება თავი იჩინოს კერძო სექტორში, როგორიცაა ოჯახი, სადაც ქმარი, ცოლთან შედარებით, უპირატესი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. თუმცა, პატრიარქატი ასევე საზოგადოებრივ ინსტიტუტებშიც შეინიშნება, როდესაც მამაკაცებს ყველა ან გავლენიანი თანამდებობების უმეტესი ნაწილი უკავიათ. სხვადასხვა საზოგადოებაში პატრიარქატი განსხვავებული ფორმით ვლინდება, მაგრამ მას მთელ მსოფლიოში საერთო ნიშან-თვისებები აქვს. ზოგიერთ საზოგადოებებში მას მყარად აქვს გადგმული ფესვები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სფეროში. მაგალითად, ქალებს, რომლებიც საჯარო სამსახურში არიან დასაქმებულნი, შესაძლოა არ ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება. ისეთ საზოგადოებებში, როგორებიც თუნდაც თანამედროვე აშშ-ში არსებობს, პატრიარქატი გარკვეულწილად შესუტებულია კერძო სფეროში (მინიმუმ ზოგიერთ ოჯახში), მაგრამ საჯარო სექტორი კვლავაც ეფუძნება პატრიარქალურ ურთიერთობებს.

ტრადიციული განსაზღვრების თანახმად **მატრიარქატი** გახლავთ საზოგადოება ან ჯგუფი, რომელშიც ქალები მამაკაცებზე მეტი ძალაუფლებით სარგებლობენ. ანთროპოლოგები დაობენ ამგვარი საზოგადოებების არსებობის თაობაზე. ბოლო პერიოდის კვლევები გვიჩვენებს, რომ მატრიარქატული საზოგადოებები არსებობს, თუმცა არა ჩვეული ფორმით. დასავლეთ სუმატრაში (ინდონეზია) არსებული მინანგკაბაუს მატრიარქალური საზოგადოების შესწავლაზე დაყრდნობით, ანთროპოლოგი პეგი სენდეი (Peggy Sanday) ირწმუნება, რომ მატრიარქატის განმარტებისას მეცნიერებმა ძალაუფლების დასავლური განსაზღვრება გამოიყენეს, რაც არ შეესაბამება არადასავლურ საზოგადოებებს. მინანგკაბაუს საზოგადოება თავს მატრიარქალურად მიიჩნევს, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალები ეკონომიკურ და სოციალურ ძალაუფლებას ფლობენ. თუმცა, ამ საზოგადოებას ქალები არ მართავენ. ამ ხალხს სწამს, რომ მმართველობა კონსენსუსს უნდა ემყარებოდეს, რაც პროცესში მამაკაცებისა და ქალების ჩართულობას ნიშნავს. ამგვარად, მატრიარქატი არსებობს, მაგრამ ის არ წარმოადგენს პატრიარქატის ანალოგიურ მოდელს (Sanday 2002).

საერთო ჯამში, გენდერული სტრატიფიკაცია გახლავთ ინსტიტუციონალიზირებული სისტემა და იმ კონკრეტული წარმოდგენების სისტემებს ეფუძება, რომლებიც ქალებისა და მამაკაცების უთანასწორობას ემხრობა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს გენდერული ნიშნით დაყოფილი ისეთი საზოგადოება, სადაც ქალებს მამაკაცებზე მეტი ძალაუფლება უპრყიათ ხელთ, უნდა ითქვას, რომ გენდერული სტრატიფიკაცია ამგვარი მოდელის მიხედვით არ განვითარებულა. პუბლიკაციის მომდევნო ნაწილებში განხილულია აშშ-ში გენდერული სტრატიფიკაციის სხვადასხვა გამოვლინებები, განსაკუთრებით ის შემთხვევები, რომლებიც ქალთა და მამაკაცთა სტატუსების სხვაობას წარმოგვიდგენს.

ქალთა სტატუსი

გენდერული სტრატიფიკაცია განსაკუთრებით თვალშისაცემია, თუკი დავაკვირდებით ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურების განუწყვეტელ სხვაობას (იხ.: დიაგრამა 4). მიუხედავად იმისა, რომ არსებული სხვაობა 1960-იანი წლებიდან გარკვეულწილად შემცირდა (როდესაც ქალების ხელფასი მამაკაცების ჯამაგირის 59%-ს შეადგენდა), მთელი წლის განმავლობაში სრული განაკვეთით მომუშავე ქალები დღემდე საშუალოდ მამაკაცების მიერ გამომუშავებული ხელფასის მხოლოდ 77%-ს იღებენ. ბაკალავრის ხარისხის მქონე ქალების ანაზღაურება უმცროსი სპეციალისტის დიპლომის მქონე მამაკაცებისას უტოლდება (იხ. დიაგრამა 5). 2009 წელს, მთელი წლის განმავლობაში სრული განაკვეთით მომუშავე ქალების საშუალო შემოსავალი $36.278-ს შეადგენდა, როდესაც კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი $47.127 იყო (DeNavas-Walt et al. 2010).



დიაგრამა 4. საშუალო შემოსავალი რასისა და გენდერის მიხედვით

მოანაცემები მოიცავს მხოლოდ სრული განაკვეთით დასაქმებულ პირებს, რომლებიც წელიწადში 50 კვირას ან მეტს მუშაობენ.

ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურების სხვაობა უცვლელია, მიუხედავად დასაქმებული ქალების რიცხვის ზრდისა. **სამუშაო ძალის წილი** გახლავთ მოცემულ კატეგორიაში ნახევარი ან სრული განაკვეთით დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი. ქალების 60% ანაზღაურებად სამუშაო ძალას წარმოადგენს, ხოლო მამაკაცებში ეს მაჩვენებელი 72%-ს შეადგენს. 1960 წლიდან, დაოჯახებული დედების დასაქმების დონე თითქმის გასამმაგდა. დღეისათვის დედების დაახლოებით 71% წარმოადგენს სამუშაო ძალას, რომელთა შორის თითქმის ნახევარს ჩვილი ბავშვი ჰყავს. ამჟამინდელი მაჩვენებლები მოწმობს, რომ დასაქმებულ ქალთა რაოდენობა განაგრძობს ზრდას, ხოლო ამ კატეგორიის მამაკაცების რიცხვი ოდნავ დაიკლებს (აშშ-ის შრომის სტატისტიკური ბიურო, 2010).

შრომის ბაზარში ქალთა ჩართულობის მოდელი უკვე დიდი ხანია რაც სიმართლეს შეესაბამება ფერადკანიან ქალებთან დაკავშირებით, ხოლო დღეისათვის ის აგრეთვე თეთრკანიანი ქალების მდგომარეობასაც ასახავს. თეთრკანიან და ფერადკანიან ქალებთან მიმართებით, სამუშაო ძალის წილი, ფაქტობრივად, უკვე ერთ წერტილში იკვეთება. ბოლო პერიოდში ყველა რასობრივ ჯგუფში ასევე გაიზარდა ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ქალების რიცხვი.

რატომ აქვთ ქალებს დღემდე კაცებზე ნაკლები შემოსავალი, მაშინაც კი, როდესაც უკვე 50 წელიწადზე მეტია, რაც გენდერული დისკრიმინაცია კანონით იკრძალება? 1963 წელს მიღებული კანონი შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ ითვალისწინებს, რომ მამაკაცებმა და ქალებმა თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება უნდა მიიღონ. ამ იდეას ამერიკელთა უმრავლესობა ემხრობა. თუმცა სახელფასო დისკრიმინაცია იშვიათად არის აშკარა. დამსაქმებელთა დიდი ნაწილი არ ახდენს ქალებისათვის კაცებზე ნაკლები ჯამაგირის გადახდის ფაქტის დემონსტრირებას. მიუხედავად კეთილი ზრახვებისა და კანონმდებლობისა, დღემდე სახეზეა ქალებისა და მამაკაცების შემოსავლებს შორის სხვა-



დიაგრამა 5. განათლება, გენდერი და შემოსავალი

წყარო: აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო. 2010d. „მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიღებული დეტალური საშემოსავლო მონაცემების შეჯამება: 15 წელზე უფროსი ასაკის პირების შერჩევითი მონაცემები მთლიანი ფულადი შემოსავალის (2009 წ.), სამუშაო გამოცდილების (2009 წ.), რასისა და სქესის მიხედვით;

ობა. ამგვარ ვითარებას კვლევა ოთხი ძლიერი ფაქტორით ხსნის. ესენი გახლავთ: თეორია საკადრო პოტენციალის შესახებ, დუალური შრომის ბაზრის თეორია, გენდერული ნიშნით გამოყოფა და დაუფარავი დისკრიმინაცია.

ადამიანური კაპიტალის თეორია.

ადამიანური კაპიტალის თეორიის თანახმად, გენდერული ნიშნით განსხვავებული ანაზღაურება გამოწვეულია მშრომელთა ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით. ადამიანური კაპიტალის თეორია მიიჩნევს, რომ ეკონომიკური სისტემა სამართლიანი და კონკურენტუნარიანია, ხოლო სახელფასო სხვაობა რესურსების (ანუ *ადამიანური კაპიტალის*) განსხვავებულობას ასახავს. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ასაკი, წინა გამოცდილება, სამუშაო საათების რაოდენობა, ოჯახური მდგომარეობა და განათლება ადამიანური კაპიტალის ცვალებად მონაცემებს წარმოადგენს. ადამიანური კაპიტალის თეორია ამტკიცებს, რომ აღნიშნული ნიშან-თვისებები გავლენას მოახდენენ ადამიანის ღირებულებაზე შრომის ბაზართან მიმართებით. მაგალითად, მომუშავე პერსონალის მაღალი დენადობა ან მუშაობის პროცესის შეწყვეტა, რომელიც ბავშვის აღზრდით ან საოჯახო პასუხისმგებლობებით არის გამოწვეული, შესაძლოა უარყოფითად აისახოს ქალების შემოსავლიანობაზე. კვლევამ ასევე გამოავლინა ქალბისათვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი საშემოსავლო ჯარიმები, რაც ბავშვის გაჩენას უკავშირდება.

ადამიანური კაპიტალის თეორიას მრავალი ფაქტი მოჰყავს ქალებისა და მამაკაცების სახელფასო სხვაობის ასახსნელად, რომლის თანახმადაც განათლება, ასაკი და გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს შემოსავლებზე. მაგრამ, თუკი ერთმანეთს თანაბარი განათლების, წინა გამოცდილებისა და მუშაობის ხანგრძლივობის მქონე ქალებსა და

მამაკაცებს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაშიც ქალები მამაკაცებზე ნაკლებ ხელფასს იღებენ (იხ. დიაგრამა 5). მიუხედავად იმისა, რომ აღიშნული თეორია წარმოგვიდგენს მამაკაცისა და ქალის სახელფასო სხვაობის ზოგიერთ ახნას, ის სრულიად ვერაფერს ვერ ამტკიცებს. სოციოლოგებმა სხვა ფაქტორებს მიმართეს, რათა ბოლომდე აეხსნათ სახელფასო სხვაობის წარმომშობი მიზეზები (Browne 1999).

დუალური შრომის ბაზარი.

ქალებისა და მამაკაცების შემოსავლების სხვაობის მიზეზის მეორე ახსნა გახლავთ დუალური შრომის ბაზრის თეორია, რომლის თანახმადაც, ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურება იმიტომ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მათ, როგორც წესი, შრომის ბაზრის განსხვავებულ სეგმენტებში უწევთ მუშაობა. აღნიშნული თეორია მიიჩნევს, რომ ქალების მიერ გაწეული სამუშაოს გაუფასურება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ისინი უმეტესწილად დაბალანაზღაურებად სამსახურებში არიან დასაქმებულნი. მიუხედავად იმისა, რომ რთულია ქალების მიერ გაწეულ სამუშაოსა და ზოგიერთ სამსახურებში დაბალ ანაზღაურებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, ამგვარი სახელფასო სტრუქტურის ჩამოყალიბების შემდეგ საკმაოდ ძნელი ხდება მისი შეცვლა. შესაბამისად, თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურების პრინციპი შესაძლოა მთლიანობაში მოქმედებდეს, თუმცა ის შედარებით ნაკლებ ადამიანს თუ ეხება, რადგანაც მამაკაცებისა და ქალების უმრავლესობა არ ასრულებს თანაბარ სამუშაოს.

დუალური შრომის ბაზრის თეორიის თანახმად, შრომის ბაზარი ორ სხვადასხვა – *პირველად და მეორად* – სექტორად იყოფა. შრომის პირველად ბაზარზე სამსახურები შედარებით სტაბილურია; ხელფასები დამაკმაყოფილებელია; არსებობს დაწინაურების შესაძლებლობები; შესაძლოა არსებობდეს დამატებითი შეღავათებიც; დაცულია კანონით გათვალისწინებული პროცედურები. მსხვილი კორპორაციის მენეჯმენტში მუშაობა ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს. შრომის პირველადი ბაზრის სექტორში არსებული სამუშაო ადგილები, როგორც წესი, მსხვილ ორგანიზაციებს ეკუთვნის, რომლებიც მეტი სტაბილურობით, უკეთესი შემოსავლებით, შეღავათებით, მაღალი ხეფასებითა და მართვის რაციონალური სისტემით გამოირჩევა. ამისგან განსხვავებით, შრომის მეორად ბაზარს ახასიათებს მომუშავე პერსონალის მაღალი დენადობა, დაბალი ხელფასები, სამსახურეობრივი დაწინაურების ნაკლები შესაძლებლობა, შეღავათების სიმცირე, მუშაობის ცუდი პირობები, თვითნებური შინაგანაწესი და უჩვეულო ზედამხედველობა. ამ სექტორს ეკუთვნის ისეთი სამსახურები, რომლებშიც უმეტესწილად სტუდენტები არიან დასაქმებულნი: ოფიციანტი, ფასტ-ფუდის გამყიდველი ან მზარეული. თუმცა, სტუდენტებისთვის ეს მოკლევადიან სამუშაოს წარმოადგენს.

შრომის პირველადი ბაზარი ორ დონეს მოიცავს. პირველი დონე შედგება მაღალი სტატუსის მქონე პროფესიული და მენეჯერული სამუშაო ადგილებისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაწინაურების მაღალი ალბათობა, შემოქმედებითობისა და ინიციატივების შესაძლებლობა და ავტონომია. მეორე დონე შედგება სამუშაო კლასის სამსახურებისგან, როგორიცაა საოფისე სამუშაო, კვალიფიციური და ნახევრადკვალიფიციური ფიზიკური შრომა. შრომის პირველად ბაზარზე ქალები და უმცირესობები, როგორც წესი, მეორე დონეზე არიან დასაქმებულნი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამსახურები მეორადი ბაზრის სექტორის სამუშაოებზე მეტად სტაბილურია, მათზე უფრო დიდ გავლენას ახდენს გარეშე ფაქტორები. იქ, პირველადი ბაზრის პირველ დონესთან შედარებით, ნაკლებია დაწინაურების შანსი, უფრო დაბალია ხელფასი, პრესტიჟულობა და ავტონომია.

გარდა ამისა, არსებობს ბაზრის არაფორმალური სექტორი, რომელზეც უფრო დიდი მასშტაბის სახელფასო უთანასწორობა ფიქსირდება, სადაც არ არსებობს შეღავათები და თითქმის არ ხდება დაქირავების პროცედურების კონტროლი. ინდივიდებს სამუშაოდ აჰყავთ კერძო სექტორის, ანუ არაკანონიერი მუშაკები, რომლებიც დამქირავებელს მომსახურებას ჰონორარის საფასურად უწევენ (სამღებრო სამუშაოები, ბავშვის ძიძები, მომვლელები და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არაფორმალური სექტორის

შესახებ ოფიციალური მონაცემები (რადგანაც მათი უმეტესობა ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილია), აღნიშულ ბაზარზე უმეტესწილად ქალები და უმცირესობები არიან დასაქმებულნი. ამ სექტორში თეთრკანიანი მამაკაცების უფლებებიც ილახება, სტაბილურობის არარსებობისა და შრომის დაუცველობის გამო.

გენდერული ნიშნით დაყოფა

დუალური შრომის ბაზრის თეორია სახელფასო უთანასწორობას შრომის ბაზრის სტრუქტურის მოქმედებას მიაწერს და არა – დასაქმებულების ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს, როგორც ამას ადამიანური კაპიტალის თეორია გვთავაზობდა. დუალური შრომის ბაზრის გამო ქალები და მამაკაცები, როგორც წესი, სხვადასხვა თანამდებობებზე არიან დასაქმებულნი, ხოლო ერთი და იგივე პროფესიით მუშაობის შემთხვევაში, სხვადასხვა სამსახურებში არიან განაწილებულნი. ამ მოვლენას **გენდერული ნიშნით დაყოფა** ეწოდება. ეს ისეთი მოდელი გახლავთ, რომელშიც თანამშრომელთა სხვადასხვა ჯგუფები პროფესიულ კატეგორიებად გენდერული ნიშნით არიან დაყოფილნი. მოცემულ პროფესიულ ჯგუფში წარმოდგენილი ქალების რაოდენობა უშუალოდ უკავშირდება ამ სამსახურებში არსებულ ხელფასებს, ანუ რაც უფრო მეტია მოცემულ პროფესიულ ჯგუფებში ქალთა რაოდენობრივი თანაფარდობა, მით ნაკლებია ანაზღაურება (აშშ-ის შრომის სტატისტიკური ბიურო, 2010). გენდერული ნიშნით დაყოფა **პროფესიების გენდერული ნიშნით დაყოფის** გამორჩეულ ფორმას წარმოადგენს. შრომის ბაზარზე არსებული სეგრეგაცია ასევე შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა რასა, კლასი, ასაკი ან აღნიშნული ფაქტორების ნებისმიერი კომბინაცია.

მიუხედავად რამდენიმე დეკადის წინ მიღებული ქალების სამსახურეობრივი დისკრიმინაციის ამკრძალველი კანონმდებლობისა, ქალებისა და მამაკაცების უმრავლესობა დღემდე გენდერული ნიშნით გამოყოფილი პროფესიების პირობებში მუშაობენ. ის კი იმას ნიშავს, რომ ქალების დიდი ნაწილი ისეთ თანამდებობებზეა დასაქმებული, სადაც თანამშრომელთა უმეტესობას ქალები შეადგენენ, ხოლო მამაკაცების უმრავლესობა მამაკაცებთან ერთად მუშაობს. აგრეთვე, ქალები პროფესიათა უფრო ნაკლებ სპექტრში არიან თავმოყრილნი, ვიდრე მამაკაცები. დღემდე, დასაქმებული ქალების ნახევარზე მეტი საოფისე სამუშაოზე, გამყიდველად ან მომსახურების ისეთ სფეროში მუშაობს, როგორიცაა საზოგადოებრივი კვება, ჯანდაცვის სამსახური, საპარიკმახერო საქმე, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მოვლა და აღზრდა. მამაკაცები პროფესიათა უფრო ფართო სპექტრში არიან დასაქმებულნი. ქალები დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებელთა 82%-ს, მდივნების 97%-ს, ბუღალტერთა 92%-ს და ბავშვების მომვლელთა 95%-ს შეადგენენ, რაც ნათლად მოწმობს სამუშაო ძალის გენდერული ნიშნით დაყოფას (აშშ-ის შრომის სტატისტიკური ბიურო, 2010).

გენდერული ნიშნით დაყოფა ასევე პროფესიებთან მიმართებაშიც გვხვდება. ქალები, როგორც წესი, მამაკაცებისგან განსხვავებულ სამსახურებში არიან დასაქმებულნი, მაგრამ როდესაც ისინი ერთი და იგივე პროფესიით მუშაობენ, ხდება მათი დაყოფა გამორჩეული სფეროების ან დავალების ტიპების მიხედვით. მაგალითად, გაყიდვების სფეროში ქალებს გაყიდული საქონლიდან საკომისიოს არ უხდიან ან მათ უმეტესწილად ისეთ საქონელს აყიდინებენ, რომელსაც ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე იმას, რაც მამაკაცების მიერ იყიდება. ანდა ოფიციანტების შემთხვევაში, ქალები ხშირად ისეთ რესტორნებში მუშაობენ, სადაც შედარებიდ დაბალი ფასებია და შესაბამისად მათ ნაკლებ დამატებით გასამრჯელოს უტოვებენ, ვიდრე მამაკაცებს (Hall 1993).

დაუფარავი დისკრიმინაცია.

სახელფასო სხვაობის მიზეზის მეოთხე ახსნა გახლავთ დისკრიმინაცია. **დისკრიმინაცია** იმგვარ პრაქტიკას გულისხმობს, როდესაც განსხვავებული და უთანასწორო მოპყრობის გამო ხდება ზოგიერთი ჯგუფის გამოყოფა. ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად,

კვლავ გრძელდება ქალთა სამსახურეობრივი დისკრიმინაცია. დადასტურებულია, რომ მამაკაცები (განსაკუთრებით თეთრკანიანები), იმის გამო, რომ საზოგადოების დომინანტურ ჯგუფს წარმოადგენენ, შრომის ბაზარზეც ცდილობენ თავიანთი უპირატესობის შენარჩუნებას. ყოველივე ეს იმგვარი წესების დამკვიდრებით მიიღწევა, რომელთა თანახმადაც გასამრჯელო უთანასწოროდ ნაწილდება. ქალები თეთრკანიან მამაკაცთა ტრადიციულ პრივილეგიას საფრთხეს უქმნიან, რის გამოც კაცები ორგანიზებულად იცავენ საკუთარ ძალაუფლებასა და უპირატესობას (Reskin 1998). ისტორიულად, თეთრკანიანი მამაკაცები პროფესიულ გაერთიანებებს იყენებდნენ მაღალნაზღაურებადი, პროფკავშირებში გაერთიანებული სამსახურებიდან (სადაც ძირითადად ფიზიკური შრომით იყვნენ დაკავებულნი) ქალებისა და რასობრივი უმცირესობების განსადევნად. ამის შედარებით ახალი მაგალითია გარკვეული ჯგუფების მცდელობა იმ კანონმდებლობის შესასუსტებლად, რომელიც ქალთა და ეთნიკური უმცირესობების მხარდასაჭერად შემუშავდა. აღნიშნული ძალისხმევა შეგვიძლია ჯგუფური ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობად განვიხილოთ.

დაუფარავი დისკრიმინაციის კიდევ ერთი მაგალითია სამუშაო ადგილზე ქალების შევიწროება, მათ შორის *სქესობრივი ხასიათის საუბრები* და სხვა ტიპის შანტაჟი. სოციოლოგები ამგვარ ქმედებას მამაკაცების მხრიდან სამუშაო ადგილზე უპირატესობის შენარჩუნების მცდელობად აღიქვამენ. გასაკვირი არ არის, რომ ამგვარ ზეწოლას ყველაზე მეტად ის ქალები განიცდიან, ვინც ისეთი პროფესიით მუშაობს, სადაც ტრადიციულად მამაკაცები ჭარბობენ. მამაკაცებთან მიმართებით საპირსპირო იშვიათად ხდება ისეთ სამსახურებში, სადაც ქალთა რაოდენობა გაცილებით მეტია. მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი ზეწოლის მსხვერპლნი მამაკაცებიც ხდებიან, ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია. სქესობრივი ხასიათის შევიწროება სამსახურებში მამაკაცების უპირატესობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს მოსაზრებას, რომ ქალები მამაკაცთა სიამოვნებისათვის სექსუალურ ობიექტებს წარმოადგენენ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ახსნა – ადამინაური კაპიტალის თეორია, დუალური შრომის ბაზარის თეორია, გენდერული ნიშნით დაყოფა და დაუფარავი დისკრიმინაცია – ქალებისა და მამაკაცების უცვლელი სახელფასო სხვაობის მიზეზის უკეთ გაგებაში გვეხმარება. ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურებას შორის არსებულ უთანასწორობას იწვევს რამდენიმე ფაქტორი, რომელთა ერთობლიობაც სამუშაო ადგილზე ქალებს სისტემატურად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს.

ქალების მიერ შესრულებული სამუშაოს გაუფასურება

შრომის ბაზარზე ქალები, როგორც წესი, ყველზე მეტად გაუფასურებულ სამსახურებში არიან კონცენტრირებულნი, რაც ამგვარ ეჭვს აჩენს: ქალების რომელიმე კონკრეტულ სამსახურში კონცენტრაცია გამოიწვევს თუ არა მის გაუფასურებას? მაგალითისთვის, რატომ ითვლება პედიატრია კარდიოლოგიაზე ნაკლებად პრესტიჟული სპეციალობად? რატომ აქვთ დაწყებითი განათლების სკოლის მასწავლებლებს (რომელთაგან 81% ქალია) ნაკლები ხელფასი, ვიდრე ავიამექანიკოსებს? (რომელთა 98% მამაკაცია). დაწყებითი სკოლის ბავშვებთან ასოცირება და მისი „ქალურ სამუშაოსთან“ გაიგივება ამცირებს მის ავტორიტეტს და ეკონომიკურ ღირებულებას. თუკი ხელფასებს პროფესიის მიხედვით გავზომავთ, დავინახავთ, რომ ბავშვის მოვლა ქვეყანაში ყველაზე ნაკლებად პრესტიჟული სამსახურია. 2007 წელს, ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა საშუალო ანაზღაურება კვირაში მხოლოდ $368-შეადგენდა, რაც, ერთი წლის განმავლობაში მუშაობის შემთხვევაში, ფედერალური კანონით დადგენილ საარსებო მინიმუმზე დაბალ შემოსავალს გაუტოლდებოდა (აშშ-ის შრომის სტატისტიკური ბიურო, 2010).

ისეთ სამსახურებში, რომლებიც ტრადიციულად მამაკაცთან ასოცირდება, ქალების ძალზე მცირე ნაწილია დასაქმებული (მაგ.: პროფესიები, რომლებიც კვალიფიციურ შრომას მოითხოვს). კვალიფიციური მუშებისთვის განკუთვნილ სამსახურებში ქალების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ მათი წილი ჯერ მაინც ძალზე მცირეა (ფაქტობრივად 3%-ზე ნაკლები) ისეთ კვალიფიციურ სპეციალობებში, როგორიცაა სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი და

დურგალი (აშშ-ის შრომის სტატისტიკური ბიურო, 2010). ანალოგიურად, საკმაოდ ცოტა მამაკაცია დასაქმებული ისეთ სპეციალობებზე, რომლებიც ისტორიულად ქალურ საქმედ ითვლებოდა, როგორიცაა ავადმყოფის მომვლელი, დაწყებითი სკოლის მასწავლებელი და ოფისის მოხელე. საინტერესო ფაქტია, რომ ქალებისთვის მიჩნეულ თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცები, როგორც წესი, უფრო მეტად წინაურდებიან, ვიდრე ტრადიციულად მამაკაცურ სფეროში დასაქმებული ქალები (Budig 2002; Williams 1992). გენდერული ნიშნით დაყოფა ისე ფართოდ არის გავრცელებული შრომის ბაზარზე, რომ სამსახურების უმეტესობას თავისუფლად შეგვიძლია მივანიჭოთ ქალებისა და მამაკაცების სამუშაოთა კატეგორია. პროფესიული ნიშნით დაყოფა ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სქესთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არსებობს. დაფიქრდით ჯარისკაცის ნიშან-თვისებებზე. წარმოგიდგენიათ რომელიმე მათგანი, ვისაც თანაგრძნობა, სინაზე და თავმდაბლობა ახასიათებს? ანალოგიურად, წარმოიდგენეთ მდივანი, რომელიც აგრესიული, დამოუკიდებელი და ძლიერი აღნაგობის იქნებოდა. კონკრეტულ გენდერთან თითოეული ნიშან-თვისების ასოცირება თავად პროფესიას გენდერულად დიფერენცირებულს ხდის.

ყველა ქალისათვის გენდერის შესაბამისი ქცევის გაცნობიერება გარკვეულწილად ზრდის ინსტიტუტის ფარგლებში წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. ისეთი მარტივი რამეც კი, როგორიცაა მაკიაჟის გამოყენება, ყოველთვის პროფესიულ სამსახურში ქალის წამატებასთან იყო დაკავშირებული (Dellinger & Williams 1997). როდესაც ქალები ან მამაკაცები პროფესიული სეგრეგაციის მიერ დამკვიდრებულ საზღვრებს არღვევენ, ხშირად გენდერული ნორმებიდან დაცილებულად აღიქმებიან. ისინი საზოგადოებამ შესაძლოა სტერეოტიპულ ჩარჩოებში მოაქციოს და ჰომოსექსუალად მონათლოს; ამ დროს ეჭვქვეშ დგება მათი „ჭეშმარიტი გენდერული იდენტობა“. მედძმებად მომუშავე მამაკაცებს შეიძლება არავაჟკაცურის ან გეის სტერეოტიპული იარლიყი მოარგონ; საზღვაო ქვეითი ჯარის მდედრობითი სქესის ჯარისკაცს კი შესაძლოა „აქტიური ლესბოსელი“ უწოდონ. აღნიშნულის მსგავსი სოციალური პრაქტიკა ხელახლა ამყარებს ტრადიციულ გენდერულ იდენტობებს, რაც შესაძლოა ასუსტებდეს ტრადიციულად მამაკაცების მიერ დომინირებული ინსტიტუტების წინაშე მდგარ გამოწვევას, რომელიც ქალების გამოჩენით არის გამოწვეული (Williams 1995).

მაშასადამე, არატრადიციულ პროფესიებში დასაქმებული ქალები და მამაკაცები ზეწოლას განიცდიან და იძულებულნი არიან, გაამყარონ თავიანთი გენდერის შესაბამისი ქცევები. ისტორიულად, ქალების საქმედ განსაზღვრულ სამსახურში მომუშავე მამაკაცს შესაძლოა მოუწიოს საკუთარი მამაკაცური თვისებებისათვის ხაზგასმა; ხოლო თუკი მამაკაცი გეია, მასზე შეიძლება უფრო მეტი ზეწოლა განხორციელდეს, რათა მან თავისი სქესობრივი ორიენტაცია საიდუმლოდ შეინახოს. ამგვარი სოციალური შენიღბვების გამო ადამიანი შესაძლოა არამეგობრული და დისტანცირებული გამოჩნდეს, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე. მამაკაცების მიერ დომინირებულ სამსახურებში მომუშავე ჰეტეროსექსუალ ქალებსაც შეიძლება მოუწიოთ მათი ლესბოსელობის ან ზედმეტად მამაკაცურობის შესახებ წარმოშობილი ეჭვების გაქარწყლება. კვლევები გვიჩვენებს, რომ ლესბოსელები, საკუთარ ორიენტაციასთან დაკავშირებით, უფრო მეტად გახსნილები ისეთ გარემოში არიან, სადაც ქალების რიცხვი ჭარბობს მამაკაცებისას და მათი უფროსებიც ქალები არიან (Schneider 1984).

წონასწორობა სამსახურსა და ოჯახს შორის

შრომის ბაზარში ქალების ჩართულობის გააქტიურებასთან ერთად სამსახურეობრივი და საოჯახო ცხოვრების ერთმანეთთან შეთანხმების მოთხოვნაც გაიზარდა. კვლევა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა ქალებს და კაცებს სამსახურეობრივი და საოჯახო ცხოვრების კარგად გაწონასწორება ესაჭიროებათ, თუმცა ინსტიტუტები აღნიშნული თეორიის განხორციელებას ეწინააღმდეგებიან (Gerson 2010). აგრეთვე, კაცები, წარსულთან შედარებით, უფრო მეტად არიან ჩართულნი საოჯახო საქმიანობაში და ბავშვის მოვლაში, თუმცა ამ შრომის უდიდესი ნაწილი მაინც ქალებზე მოდის. აღნიშულ ფენომენს „მეორე ცვლის სამუშაო “ ეწოდა (Hochschild 1989). ქალებისა და მამაკაცებისთვის (განსაკუთრებით ქალებისთვის)

სამუშაო საათების ზრდით გამოწვეული სოციალური ყოფის აჩქარებული რიტმი, რასაც თან ერთვის ოჯახის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, სერიოზული სტრესის მიზეზს წარმოადგენს (Jacobs & Gerson 2004) საოჯახო საქმეების უმეტეს ნაწილს დღემდე ქალები ასრულებენ, როგორიცაა დასუფთავება, საჭმლის მომზადება, სხვადასხვა დავალებების შესრულება, სხვადასხვა პუნქტებამდე ბავშვების მიცილება და შინ მოყვანა, საოჯახო საკითხების მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები უფრო მეტად არიან ჩართულნი საოჯახო საქმეებში და ბავშვის მოვლაში, კვლავ დიდი სხვაობა ფიქსირდება ქალებისა და მამაკაცების მიერ შესრულებულ სამუშაოებს შორის. ბავშვების გარდა, ქალები გაცილებით მეტს ზრუნავენ თავიანთ ხანშიშესულ მშობლებზე. აღნიშნული მოთხოვნებით გამოწვეული დაძაბულობის გამო მრავალი ადამიანისთვის საშინაო საქმე უფრო და უფრო სამსახურეობრივს ემსგავსება. ქალებისა და მამაკაცების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ სამსახურში და შინ გატარებული დღეები ერთნაირად დამქანცველია; ისინი სამსახურში უფრო მეტ ემოციურ კმაყოფილებასა და სოციალურ მხარდაჭერას პოულობენ. სამსახურეობრივ და საშინაო საქმეებში ჩაფლული ადამიანებისათვის მცირეოდენი თავისუფალი დროის გამოძებნაც კი საკმაოდ რთული ხდება (Hochschild 1997). ამ პირობების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ ქალები თავიანთ უდიდეს პრობლემად სტრესს ასახელებენ (Newport 2000)

გენდერის თეორიები

რატომ არსებობს გენდერული უთანასწორობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მამაკაცებისა და ქალების შთაბეჭდილებების გასაზიარებლად, არამედ მისი მეშვეობით გენდერული უთანასწორობის ხანგრძლივი არსებობის მიზეზების უკეთ შესაცნობად. სოციოლოგიის ძირითადი თეორიული საფუძვლები რამდენიმე პასუხს გვთავაზობს, მაგრამ ფემინისტმა მეცნიერებმა ასევე აღმოაჩინეს, რომ აღნიშნული დარგის ტრადიციულ თეორიებს სათანადოდ არ შეუძლია იმ ახალი საკითხების გადაჭრა, რამაც ფემინისტების მიერ ჩატარებული კვლევისას იჩინა თავი.

სოციოლოგიის სტრუქტურები

სოციოლოგიის ძირითადი საფუძვლები – ფუნქციონალიზმი, კონფლიქტის თეორია და სიმბოლური ინტერაქციონიზმი – გარკვეულწილად პასუხობს კითხვას, თუ რატომ არსებობს გენდერული უთანასწორობა. თუმცა, ფემინისტმა მეცნიერებმა ახალი თეორიები შეიმუშავეს ქალების ცხოვრების უშუალოდ გასაანალიზებლად. მაგალითად, ფუნქციონალისტებს იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ისინი გენდერს საზოგადოების ფიქსირებულ როლად განიხილავდნენ. *ფუნქციონალიზმის თეორიის* თანახმად, საზოგადოებაში მამაკაცებს ქმედითი ფუნქციები აკისრიათ, ხოლო ქალებს – გამომსახველობითი როლი. აღნიშნული თეორია თვლის, რომ ფუნქციათა ამგვარ გადანაწილებას საზოგადოებისთვის სარგებელი მოაქვს. ფემინისტები უარყოფენ აღნიშულ განმარტებას და ირწმუნებიან, რომ ის ამართლებს საზოგადოებაში როლების სექსისტურ გადანაწილებას. ფემინისტების აზრით, ქალთა ფუნქციების გამომსახველობით დონემდე დაყვანა, ხოლო მამაკაცებისათვის ქმედითი ფუნქციის მინიჭება არაადეკვატურია როგორც მამაკაცებთან, ასევე ქალებთან მიმართებით. ფუნქციონალიზმის თეორიის თანამედროვე მიმდევრებიდან ძალზე ცოტა თუ იზიარებს ამგვარ ტრადიციონალისტურ მოსაზრებებს, თუმცა გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ფუნქციონალიზმი წინასწარ დადგენილი როლების მიხედვით ადამიანების სოციალიზაციას გამოყოფს. ამრიგად, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელფასო სხვაობა, ფუნქციონალისტების აზრით, ქალების მიერ გაკეთებული არჩევანის შედეგია, რამაც შესაძლოა უთანასწორობა გამოიწვიოს. მაგრამ, ყოველივე ეს ამავდროულად მოიცავს ფუნქციურ ადაპტაციას საოჯახო და სამსახურეობრივი როლების მეტოქეობრივ მოთხოვნებთან მიმართებით.

კონფლიქტის თეორიის მიმდევრები ქალების ნაკლებ უპირატესობას ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ ძალაუფლებრივ უთანასწორობაში ხედავენ, რომელიც სოციალურ

სტრუქტურაშია ჩანერგილი. აღნიშნული თეორია მოიცავს ეკონომიკურ უთანასწორობას, ისევე როგორც ქალთა არაპირივილეგირებულ მდგომარეობას პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებში. კონფლიქტის თეორიის მიმდევრები, მაგალითად, სახელფასო სხვაობას მამაკაცთა ისტორიულ ძალაუფლებას მიაწერენ, რომელიც აუფასურებდა ქალების მიერ გაწეულ სამუშაოს, მაშინ როდესაც ქალების შრომას მათთვის, როგორც ჯგუფისთვის, სარგებელი მოჰქონდა. გარდა ამისა, კონფლიქტის თეორიის მომხრეები უფრო მეტ ყურადღებას ანიჭებდნენ რასობრივ, კლასობრივ და გენდერულ ურთიერთქმედებებს, რადგანაც, მათი აზრით, უთანასწორობის ნებისმიერი ფორმა საზოგადოების დომინანტური ჯგუფების ხელში არსებული რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობიდან იღებს სათავეს.

ეთნომეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ფემინისტმა მეცნიერებმა შეიმუშავეს კონცეფცია, რომელიც **„გენდერული როლის თანახმად მოქცევის“** სახელით არის ცნობილი. ეს გახლავთ თეორიული თვალთახედვა, რომლის მიხედვითაც გენდერი არის ის, რაც ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთქმედების გზით მიიღწევა (West & Fenstermaker 1995; West & Zimmerman 1987). აღნიშული თეორიის მიხედვით, ადამიანების მიერ გენდერს ჩამოყალიბება სხვებთან ურთიერთობის და გარკვეული ქმედებებისა და გარეგნული მხარეების ინტერპრეტაციის შედეგად ხდება. ანუ, გენდერი არ არის სხვადასხვა ადამიანების დამახასიათებელი ნიშანი, როგორც ამას ფუნქციონალისტები მიიჩნევენ; ის მუდმივად ყალიბდება და ხელახლა წარმოიქმნება სოციალური ურთიერთქმედებების გზით. მამაკაცივით ან ქალივით მოქცევისას, ჩვენ ვახდენთ გენდერის დადასტურებას და არსებული საზოგადოებრივი წყობილების წარმოჩენას (Peralta 2002). ამ თვალსაზრისით, გენდერული ურთერთობები შეიცვლება, თუკი ადამიანთა დიდი ნაწილი განსხვავებულად მოიქცევა. ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც აღნიშნულ თეორიას მაკროსოციოლოგიური მოსაზრებების მომხრეები აკრიტიკებდნენ. მათი აზრით, ის უგულებელყოფს გენდერული, რასობრივი და კლასობრივი ნიშნით არსებულ ძალაუფლებრივ და ეკონომიკურ განსხვავებებს. ანუ ეს თეორია არ განმარტავს ქალების შევიწროების სტრუქტურულ საფუძველს (Collins et al. 1995).

სწორია თუ მცდარი?*

		სწორი	მცდარი
1.	მამაკაცები ქალებზე მეტად აგრესიულები არიან		
2.	მშობლებს ყველაზე დიდი გავლენა აქვთ შვილების გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე		
3.	ქალების უმრავლესობა ფემინისტურ ფასეულობებს იზიარებს		
4.	ყველა რასობრივ-ეთნიკურ ჯგუფში ქალებს საშუალოდ მამაკაცებზე ნაკლები შემოსავალი აქვთ		
5.	1970-იანი წლებიდან მოყოლებული, ქალებისა და მამაკაცების სახელფასო სხვაობა შემცირდა, რაც უმეტესწილად სამუშაო ბაზარზე ქალთა წილის მატების შედეგად მოხდა		
6.	ხელფასების თვალსაზრისით, ანტიდისკრიმინაციულმა პოლტიკურმა კურსმა ყველაზე მეტი სარგებელი საშუალო კლასის ქალებს მოუტანა		

* პასუხები იხილეთ მომდევნო ცხრილში

სწორია თუ მცდარი? (პასუხები)

1. **მცდარია**. ამგვარი განზოგადება უგულებელყოფს გენდერულ კატეგორიებში მიმდინარე ცვლილებებს; გარდა ამისა, „აგრესია“ ფართო ცნებაა, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს

2. **მცდარია**. გენდერული სოციალიზაციის მრავალი ფაქტორი არსებობს. თვით ის მშობლებიც კი, ვინც გადაწყვეტს გენდერული ნორმების მკაცრად დაცვის გარეშე შვილის აღზრდას, დარწმუნდება, რომ თანატოლები, მედია, სკოლა და სოციალიზაციის სხვა ფაქტორები ერთობლივად ახდენს ზეწოლას ადამიანებზე, რათა მათი ქმედებები შეესაბამებოდეს გენდერთან ასოცირებულ მოსალოდნელ ქცევებს.

3. **სწორია**. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქალი საკუთარ თავს „ფემინისტს“ არ უწოდებს, კვლევები გვიჩვენებს, რომ ქალების უმრავლესობა ეთანხმება ფემინიზმის ძირითად პრინციპებს. საკუთარ თავს ფემინისტად უმეტესწილად კარგი განათლების მქონე ქალაქის მაცხოვრებელი ქალი მიიჩნევს (McCabe 2005).

4. **სწორია**. თუმცა, ზოგიერთ ჯგუფში შემოსავლის საშუალო მაჩვენებლები ისე დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც სხვა ჯგუფებში. მაგალითად, თეთკანიანი ქალები თეთრკანიანი მამაკაცების შემოსავლის 66%-ს გამოიმუშავებენ, ხოლო ლათინოამერიკელი ქალების ხელფასი ლათინოამერიკელი მამაკაცების ჯამაგირის 80%-ს შეადგენს (რადგანაც ამ რასის ორივე სქესის წარმომადგენლებს საშუალოდ ძალზე დაბალი შემოსავალი აქვთ). შავკანიანი ქალები შავკანიანი მამაკაცების შემოსავლის 82%-ს გამოიმუშავებენ, ხოლო აზიელი ქალების ხელფასი აზიელი მამაკაცების ანაზღაურების 73%-ს შეადგენს. თეთრკანიანი და აზიური წარმოშობის ამერიკელი ქალები საშუალოდ შავკანიან და ლათინოამერიკელ მამაკაცებზე მეტ ხელფასს გამოიმუშავებენ (აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო, 2010c).

5. **მცდარია**. ქალებისა და მამაკაცების სახელფასო სხვაობის შემცირების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი გახლავთ მამაკაცების შემოსავლების კლება; აღნიშნული სხვაობის შემცირების ერთ-ერთი (შედარებით უმნიშვნელო) მიზეზი ქალების სახელფასო ცვლილებას უკავშირდება (Mishel et al. 2008).

6. **მცდარია**. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველმყოფმა კანონმდებლობამ ქალებს გარკვეული სარგებელი მოუტანა, სახელფასო მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმ ჯგუფის წარმომადგენლები, ვისი ხელფასებიც 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ყველაზე მეტად გაიზრდა, ის მაღალანაზღაურებადი ქალები არიან, ვინც ყველაზე დიდი შემოსავლის მქონე პირთა 20%-ში შედის. საშუალო და მუშათა კლასის ქალთა შემოსავალი გაცილებით ნაკლებად გაიზარდა, ხოლო ღარიბ ქალთა ხელფასები, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, თითქმის არ შეცვლილა.

ფემინისტური თეორია

ფემინიზმი არ გახლავთ მხოლოდ ცალსახა აზროვნებისა და მოქმედების გზა. ის ქალებისათვის უფრო სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის იღწვის. **ფემინისტური თეორია** ქალთა მოძრაობისაგან აღმოცენდა. მისი მიზანია საზოგადოებაში ქალის ადგილის გააზრება და გაანალიზება მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფემინისტურმა თეორიამ ოთხი ძირითადი სტრუქტურული კონცეფცია განავითარა. ესენია: ლიბერალური ფემინიზმი, სოციალისტური ფემინიზმი, რადიკალური ფემინიზმი და მრავალრასობრივი ფემინიზმი (იხ. ცხრილი 1).

ლიბერალური ფემინიზმი XIX საუკუნეში ბრიტანელი ლიბერალების ძირძველი ტრადიციიდან იღებს სათავეს. ლიბერალური ფემინიზმი ირწმუნება, რომ ქალებისადმი უთანასწორო დამოკიდებულება წარსულის ტრადიციებიდან მომდინარეობს, რომლებიც ხელს უშლიდა

ქალთა წინსვლას. ის ხაზს უსვამს ინდივიდუალურ უფლებებსა და თანაბარ შესაძლებლობებს, როგორც სოციალური სამართლისა და რეფორმის საფუძველს. აღნიშნული სტრუქტურული კონცეფცია გამოიყენებოდა მრავალი სამართლებრივი ცვლილების გასატარებლად, რომლებიც აშშ-ში ქალებისადმი თანასწორი დამოკიდებულების ხარისხის ამაღლებას ემსახურებოდა. ლიბერალი ფემინისტები თვლიან, რომ გენდერული სოციალიზაცია ხელს უწყობს ქალებისადმი უთანასწორო დამოკიდებულებას, რადგანაც სწორედ ათვისებული წეს-ჩვეულებების მიერ ხდება უთანასწორობის სამუდამოდ განმტკიცება. სოციალური ცვლილების ინტერესებიდან გამომდინარე, ლიბერალური ფემინიზმი აქტიურად მოითხოვს ბარიერების მოხსნას ქალების წინსვლასთან მიმართებით და მხარს უჭერს იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქალებისათვის თანაბარი უფლებების დამკვიდრებას.

სოციალისტური ფემინიზმი გახლავთ შედარებით რადიკალური ხედვა, რომელიც კაპიტალისტურ სისტემაში ქალების შევიწროების წარმოშობის მიზეზების თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. რადგანაც ქალები იაფ მუშახელს წარმოადგენენ, კაპიტალიზმის მიერ მიმდინარეობს მათი ექსპლუატაცია, ისევე როგორც მუშათა კლასის შემთხვევაში. მათი თვალთახედვით, კაპიტალიზმი პატრიარქატთან თანამშრომლობით ცდლობს ქალთა (როგორც ზოგადად ქალების, ასევე მშრომელების) ძალაუფლების შესუსტებას. სოციალისტი ფემინისტები აკრიტიკებენ ლიბერალ ფემინისტებს იმის გამო, რომ ისინი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ იმ ძირითად უთანასწორობას, რომელიც კაპიტალისტურ და პატრიარქალურ სისტემებშია დანერგილი. ამ მიმართულების ფემინისტების თანახმად, ქალებისადმი თანასწორი დამოკიდებულების მიღწევა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ცვლილების შედეგად იქნება შესაძლებელი.

რადიკალური ფემინიზმი ქალთა შევიწროების მთავარ მიზეზად პატრიარქატს მიიჩნევს. მათი აზრით, ქალთა შევიწროების მიზეზი კაცების მიერ ქალების სხეულის გაკონტროლებაში უნდა ვეძებოთ, რაც ისეთი ფორმებით ვლინდება, როგორიცაა გაუპატიურება, სქესობრივი ზენოლა, ოჯახური ძალადობა და სქესობრივი ექსპლუატაცია. ამ მექანიზმების დახმარებით კაცები ახდენენ საზოგადოებაში თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებას. რადიკალი ფემინისტების თანახმად, შეუძლებელია ცვლილების მიღწევა არსებული სისტემის პირობებში, რადგანაც სისტემას, დიდი უმრავლესობით, მამაკაცები აკონტროლებენ.

ცოტა ხნის წინ, **მრავალრასობრივმა ფემინიზმმა** ახალი თეორიული მოსაზრებები განავითარა რასის, კლასისა და გენდერის საკითხების შესასწავლად (Andersen & Collins 2010; Baca Zinn & Dill 1996; Collins 1990). რადგანაც ადრეული ფემინისტური მიმდინარეობები მათ მიერ ჩატარებული კვლევებისას არ ითვალისწინებდნენ ფერადკანიან ქალებს, კვლევების შედეგები ვერ წარმოაჩენდა ყველა ქალის მდგომარეობას. შესაბამისად, წარმოიშვა მრავალრასობრივი ფემინიზმის ჩამოყალიბების აუცილებლობა. აღნიშნული მიმდინარეობა იკვლევს გენდერის, რასისა და კლასის ურთიერთზეგავლენას, რაც მთლიანობაში წარმოაჩენს, თუ რა გავლენას ახდენენ აღნიშნული ფაქტორები ყველა ქალისა და მამაკაცის მდგომარეობაზე (Baca Zinn & Dill 1996).

ზემოჩამოთვლილი სტრუქტურული კონცეფციები იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რათა დავინახოთ და გავაანალიზოთ საზოგადოებაში მყოფი ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობა. ეს თეორიული მიმართულებები იმ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელზეც ფემინისტებმა სოციალური და პოლიტიკური ცვლილების განსახორციელებლად თავიანთი პროგრამები ააგეს.

გენდერი გლობალურ რაკურსში

აშშ-ში მცხოვრებ ქალთა და მამაკაცთა ეკონომიკური მდგომარეობა ასევე პირდაპირ არის დაკავშირებული მსოფლიოს სხვა ნაწილების მკვიდრი ხალხის ბედთან. გლობალური ეკონომიკის ზრდა და აშშ-ს ფარგლებს გარეთ არსებული იაფი ინდუსტრიული მუშახელი იმის მომსწავებელია, რომ აშშ-ში მაცხოვრებელი მუშები შრომის საერთაშორისო ბაზრის

ნაწილად იქცნენ. ამერიკაში დაფუძნებული მულტიეროვნული კორპორაციები მთელ მსოფლიოში ეძებენ შედარებით იაფ მუშახელს, რომლის დროსაც მათი ყურადღება განვითარებადი ქვეყნებისკენ არის მიმართული, სადაც ყველაზე დაბალანაზღაურებად მშრომელებს ქალები ან ბავშვები წარმოადგენენ. ამგვარად, სამუშაო ძალის გლობალური განაწილება გენდერულ კომპონენტს იძენს: როგორც წესი, ღარიბი ქვეყნების მდედრობითი სქესის დაბალანაზღაურებადი მუშები იმ პროდუქციას აწარმოებენ, რომელიც უფრო მდიდარი განვითარებული ინდუსტრიის მქონე მდიდარ ქვეყნებში ნაწილდება.

მსოფლიოში ქალები კაცების დონეზე ან მათზე მეტს მუშაობენ. მთელ მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც სამუშაო ადგილები არ არის გენდერული ნიშნით დაყოფილი. მსოფლიო მასშტაბით, ქალები ასევე იმ სამუშაოს უმეტეს ნაწილს ასრულებენ, რომლებიც ასოცირებულია ოჯახთან, ბავშვებთან ან ხანდაზმულებთან. თუკი ქალების ანაზღაურებადი სამსახურების რიცხვი იზრდება, მათ მიერ შესრულებული აუნაზღაურებული სამუშაო მსოფლიოს თითქმის ყველა ნაწილში კაცებისას აღემატება. გაეროს მონაცემებით, ქალების მიერ უხელფასოდ შესრულებული (როგორც საოჯახო, ასევე საზოგადოებრივი) სამუშაოს ღირებულება მინიმუმ 11 ტრილიონ დოლარს შეადგენს (www.un.org).

მიუხედავად ამგვარი ზოგადი ტენდენციებისა, სხვასხვა ქვეყნებში ქალების მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ჩინეთი იმით გამოირჩევა, რომ იქ ოჯახთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე თანაბრად არის გადანაწილებული. ჩინელი ქალები და მამაკაცები დღის განმავლობაში ხანგრძლივად არიან დატვირთულნი ანაზღაურებად სამსახურებში, ხოლო შვილებიან ქალებს დასაქმებისას პრობლემები არ ექმნებათ. ამ ქვეყანაში კარგად არის განვითარებული საბავშვო ბაღების სისტემა; ქალებისთვის კი 56-დღიანი დეკრეტული შვებულებაა გათვალისწინებული, რომლის დროსაც ნარჩუნდება ხელფასი და სამუშაო ადგილი. აღნიშნული დეკრეტული შვებულება ბევრ ორგანიზაციაში 6 თვემდეა გახანგრძლივებული. თუმცა, ამან შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მუშაობის სტაჟის მიხედვით ქალების სამსახურეობრივი დაწინაურების შესაძლებლობაზე (რაც აშშ-ში უკანონოდ ითვლება).

აღნიშნულისგან განსხვავებით, იაპონიაში განსაკუთრებული უთანასწორობა შეიმჩნევა საოჯახო სფეროსთან მიმართებით. იქ ქალები უფრო ხშირად ტოვებენ სამუშაოს დაქორწინების ან ბავშვის გაჩენის შემდეგ. იაპონელი ქალების იდენტობა უმეტესწილად ოჯახთან დაკავშირებული როლებით განისაზღვრება, თუმცა ბევრისთვის ამგვარი პრაქტიკა თანდათან იცვლება. ჩინეთისგან განსხვავებით, იაპონელი ქალების ყოფა უფრო მეტად ბრიტანეთის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, აშშ-ს მაგალითებს მოგვაგონებს. თუმცა, ისინი უფრო ნაკლებად ასრულებენ ანაზღაურებად სამუშაოს, ვიდრე აღნიშნულ ორ ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში, იაპონიასა და ბრიტანეთში არსებული ვითარების ერთმანეთთან შედარებისას, მკვლევრებმა შემდეგი რამ დაადგინეს: გენდერული უთანასწორობით ყველაზე მეტად ჩინელი ქალები არიან უკმაყოფილონი, ხოლო იაპონელი და ბრიტანელი ქალები დიდ კმაყოფილებას გამოხატავენ დასაქმების სფეროში არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა უცნაურადაც მოგვეჩვენოს იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთში მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება. სოციოლოგების აზრით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩინელი ქალები თავისებურად აღიქვამენ იმ სხვაობას, რომელიც გენდერული თანასწორობის ოფიციალურ იდეოლოგიასა და მათი თვალით დანახულ სამსახურეობრივ დაწინაურებასთან და სხვა სახის შეღავათებთან დაკავშირებულ უთანასწორობას შორის არსებობს (Xuewen et al. 1992).

სამუშაო არ გახლავთ ის ერთადერთი საზომი, რომლის მიხედვითაც ქალების სტატუსი მთელ მსოფლიოში კაცებისაზე დაბალია. ქალები არასაკმარისი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო პარლამენტებში (ან მთავრობის სხვა სტრუქტურებში); მთელი მსოფლიოს მხოლოდ ცხრამეტი ქვეყნის პარლამენტში აღემატება ქალების რიცხვი 25%-ს. მსოფლიო მასშტაბით, ყველა საპარლამენტო ადგილის მხოლოდ 18% უკავიათ ქალებს.

მხოლოდ 28 ქვეყანას თუ ჰყოლია ერთხელ მაინც ქალი სახელმწიფოს მეთაურის რანგში (www.ipu.org).

გაეროს მონაცემებით, ქალებისა და გოგონების მიმართ ჩადენილი ძალადობა გლობალურ ეპიდემიად იქცა, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მაგალითს წარმოადგენს (United Nations 2006b; UNICEF 2000b). ქალების მიმართ ძალადობა მრავალი ფორმით ვლინდება, რომელთა შორისაა გაუპატიურება, ოჯახური ძალადობა, ახალშობილის მკვლელობა, ინცესტი, სასქესო ორგანოების დასახიჩრება და მკველობა (ეგრეთწოდებული ოჯახის ღირსების დაცვის მიზნით განხორციელებული მკვლელობის ჩათვლით, რომლის დროსაც შესაძლებელია ქალის მოკვლა, თუკი იგი გაუპატიურეს ან მას ქმრის ღალატში სდებენ ბრალს). მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული, ქალთა ზოგიერთი ჯგუფი, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად დაუცველია, კერძოდ უმცირესობათა ჯგუფები, ლტოლვილები, შრომისუუნარო ქალები, ხანდაზმულები, ღატაკი მიგრანტები და ქალები, რომლებიც შეირაღებული კონფლიქტით მოცულ ქვეყნებში ცხოვრობენ. საკმაოდ რთულია სტატისტიკურ კვლევებში ქალებისადმი ძალადობის მასშტაბების სიზუსტით აღწერა, რადგანაც ძალადობის მრავალი ფორმა, როგორც წესი, საჯაროდ არ მჟღავნდება ანდა სხვადასხვა ქვეყნებში ძალადობის ფაქტებს სხვადასხვაგვარად აღრიცხავენ. ამისდა მიუხედავად, გაეროს მონაცემების თანახმად, მსოფლიო მასშტაბით მცხოვრები ქალების 20-50%-ს განცდილი აქვს ძალადობა სქესობრივი პარნტნიორის ან ოჯახის წევრის მხრიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალი ფაქტორი აყენებს ქალებს ძალადობის რისკის წინაშე, მათ შორის კულტურული ნორმები; ქალთა ეკონომიკური და სოციალური დამოკიდებულება მამაკაცებზე; პოლიტიკური ვითარება, რომელიც ხელს უწყობს უთანასწორო სამართლებრივ დაცვას ან ქალთა სუბორდინაცია (როგორც ეს თალიბების მაგალითზე ვიხილეთ).

გენდერი და სოციალური ცვლილება

ადამიანთა მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილის ცხოვრებას არ შეეხო ის ტრანსფორმაციები, რაც თან ახლდა ფემინისტური მოძრაობის გამოჩენას. ქალთა მოძრაობამ მუშაობის შესაძლებლობა წარმოშვა; ხელი შეუწყო ისეთი კანონების შემუშავებას, რომელბიც ქალთა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა; წაახალისა ლობისტური ორგანიზაციების დაფუძნება, რომლებიც იღწვოდნენ სახელმწიფო პოლიტიკის ქალების სასარგებლოდ შესაცვლელად; შეცვალა საზოგადოების განწყობები. დღევანდელ პერიოდში, მრავალი ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს იმ თავისუფლებას, რომლის მოპოვებასაც წინა თაობების ბრძოლა დასჭირდა. აღნიშნული, მრავალთა შორის, ისეთ ფაქტორებს მოიცავს, როგორიცაა შობადობის კონტროლის ხელმისაწვდომობა, კანონმდებლობებით გარანტირებული თანაბარი შესაძლებლობები, სქესობრივი შევიწროების წინააღმდეგ მიღებული კანონები, სპორტის სფეროში ქალთათვის გაზრდილი შესაძლებლობები, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა უფრო აქტიური ჩართულობა და ბავშვის მოვლის უკეთესი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მნიშვნელოვანი ცვლილებები დროის შედარებით მოკლე პერიოდში განხორციელდა.

ბევრი მიიჩნევს, რომ გენდერული რევოლუცია დასრულებულია და უკვე აღარ არსებობს ფემინისტური ცვლილებების საჭიროება. სახელმწიფო პოლიტიკაში ქალების საკმაოდ გამოკვეთილი როლი ერთგვარად გვარწმუნებს იმაში, რომ ქალებმა მიაღწიეს თავიანთ საწადელს. მართლაც, აშშ-ის ისტორიაში ქალებმა ძალაუფლებისა და გავლენის უპრეცენდენტო მწვერვალს მიაღწიეს. ამის ნათელ მაგალითს ჰილარი კლინტონისა და სარა პეილინის პოლიტიკური კამპანიები წარმოადგენს. სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური პლატფორმის მქონე კლინტონი და პეილინი, ისევე როგორც პოლიტიკურად გავლენიან თანამდებობებზე დაწინაურებული სხვა ქალები, მათთვის ახალი ერის დადგომას გვაუწყებენ – რაც, სულ მცირე, პოლიტიკის სფეროს ეხება. ქალების აქტიურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახალ კონსერვატიულ მოძრაობაში, როგორიცაა,

მაგალითად, კონსერვატიულ-ლიბერტარიანული პოლიტიკური მოძრაობა (Tea Party) ამერიკაში და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც დღეს „კონსერვატორ ფემინისტებს“ უწოდებენ.

შესაძლოა პოლიტიკაში მყოფ ქალთა ტრადიციულად მეორეხარისხოვანი როლებით გაწბილებულობის გამო, ქალები უმეტესწილად კონსერვატიული მიმართულების ძირითად სპიკერებად გვევლინებიან. კონსერვატიულ ფემინიზმს საფუძვლად უდევს ქალთა ცხოვრების ღირებულების ურყევი რწმენა, რომლის თანახმდაც ისინი ოჯახის ტრადიციულ უფროსებს და დედებს წარმოადგენენ. სხვა კონსერვატიული შეხედულებებთან ერთად, ისინი შეუპოვრად ეწინააღმდეგებიან აბორტის შესახებ მიღებულ კანონს.

თანამედროვე მსოფლიოში გენდერის გარშემო არსებული პროგრესული და კონსერვატიული პოლიტიკური მიმდინარეობების კომპლექსური ნაზავის პირობებშიც კი, ფემინისტური მოძრაობის მიერ მიღწეული ცვლილებები, სავარაუდოდ, შენარჩუნდება. თუმცა, მათთან დაკავშირებით მუდამ იარსებებს აზრთა სხვადასხვაობა, რასაც განსაკუთრებით ნათლად მოწმობს საზოგადოების შეცვლილი დამოკიდებულება და განწყობები.

ტერმინებისა და პიროვნებების საძიებელი

ადამიანური კაპიტალის თეორია. 126
ავტოეთნოგრაფია 30
ანიმიზმი 82
არავერბალური თვითგამოხატვა 27
არამატერიალური კულტურა 47
არეკლილი „მე“ 23
ბიოლოგიური დეტერმინიზმი 108
გამორჩეული ანუ მნიშვნელოვანი „სხვა“ 24
განვითარების ფსიქოსექსუალური საფეხურები 23
განზოგადებული „სხვა“ 25
განსხეულებული სტატუსი 41
გენდერი 107, 136
გენდერულად დიფერენცირებული ინსტიტუტები 118
გენდერული აპარტეიდი 123
გენდერული იდენტობა 112
გლობალური კულტურა 69
დახურული დაწესებულება 40
დენომინაცია 79
დისკრიმინაცია 128
დრამატურგია 27
ეთნომეთოდოლოგია 58
ეთნოცენტრიზმი 66
ეკლესია 78
ვერბალური თვითგამოხატვა 27
ვითარების განსაზღვრა 27
ზიგმუნდ ფროიდი 21
თავის შეკავება 30
თამაშის სტადია 25
თანდაყოლილი სტატუსი 41
თეოდიცეა 74
თომასის თეორემა 27
იდი, ეგო და სუპერეგო 22
ინტერსექსუალობა 108
ირვინგ გოფმანი 26
კარლ მარქსი 77
კონტრკულტურები 66
კონფლიქტის თეორია 14
კოსმოგონია 74
კრის და სტეფანი შპილმანები 43
კულისები 28
კულტი 80
კულტურა 47
კულტურული რელატივიზმი 67
მაკროსოციოლოგიური თეორია 13
მატერიალური კულტურა 47
მატრიარქატი 124
მიღწეული სტატუსი 41
მონოთეიზმი 83
მორალური ნორმები 58
მოსამზადებელი სტადია 24
ნორმები 57
პატრიარქატი 123
პაულინ ქუინი 38
პერსონალური ფასადი 28
პოლითეიზმი 83
რეგიონი 28
რესოციალიზაცია 40
რიტუალი 74
როლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი 42
როლი 42
როლიდან გამოსვლა 42
როლის განსახიერების სტადია 24
როლური დაძაბულობა 42
რონ ჰაბარდი 100
საკუთარი „მე“ 22
საკუთარი „მეს“ ორბუნებრიობა 25
სალმან რუშდი 71
სამოქალაქო რელიგია 102
სეპირ-უორფის ჰიპოთეზა 55
სექსიზმი 123
სექტა 79
სოციალიზაცია 18
სოციალიზაციის ფაქტორები 33
სოციალური კონსტრუირება 28
სოციალური სანქციები 58
სტატუსი 40
სტერეოტიპის ფორმირება 42
სუბკულტურები 65
სქესი 107
სცენა 28
ტაბუ 58
ტოტემი 75
ტრანსგენდერი 109
ფარული საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) 33
ფასადი 27
ფემინიზმი 133
ფუნდამენტალიზმი 98
ფუნქციონალიზმი 13
ქარიზმა 79
ქცევის გამოხატულებები 27
ღირებულებები 59
შთაბეჭდილების მოხდენის მართვა 27
ჩარლზ დარვინი 47
ძირითადი (წამყვანი) სტატუსი 41
ჯორჯ ჰერბერტ მიდი 24
ჰომოფობია 118

© CTC-ACETT